ვაჟა კაკიძე

ლოგის ენციკლოპედია

V

ვაჟა პაპიძე

დროის ენერგია V

დაუჯერებელი იდუმალების შესაძლო სინამდვილე ფანტაზია

წიგნი II

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი - 2022

დამკაბადონებელი ინგა დვალიშვილი

ISBN 978-9941-498-93-0

წინასიტყვაობა

წოდებული რომანის პირველ წიგნში აღწერილია ახალგაზრდა წყვილის წინასწარი მომზადება ნაყოფის ჩასახვამდე; ჩასახვიდან მომშობიერებამდე და შემდგომ მოვლინებული ბავშვების (უკვე რომანის მეორე წიგნშია ასახული) სულიერი, გონებრივი და ფიზიკური თვისებების თანშეწყობილი აღზრდა, მათი ჰორმონიული განვითარების მისაღწევად ბუნებრივი გზით, ეკოლოგიურად დაცულ გარემოში.

მთავარი თემის გაშლა იწყება როდესაც ტურიზმის საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობის დროს თავს დამტყდარმა შემთხვევამ მოასპარეზე წყვილი მთისგულის მღვიმეში მოახვედრა. ამ ფათერაკიდან თანაცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე თანდათან ვლინდება მათი გამჭრიახი გონების მიზანმიმართული შესაძლებლობათა გამოვლენა, სახელდობრ: ოჯახის სანიმუშო შექმნით და ზრუნვით. მრავალსახოვანი სამკურნალწამლო საშუალებათა გამოგონებით (სიჯანსაღის და ორგანიზმის სიახალგაზრდავის შემანარჩუნებელი). ქვეყნისა და საერთაშორისო წესრიგით სამყაროს უსაფრთხოებისა და განვითარებისთვის უანგარო მოამაგებით დასრულებული.

შემონაქმედი ითხზვებოდა წმინდა მიწაზე.

ვ. პაპიძე

შინ ნამრავლით დავბრუნდი. თავდაპირველად, ბავშვებზე ზრუნვისთვის მოხერხებული პირობები რომ მქონოდა, საძილე ოთახი მოვაწესრიგე, უმნიშვნელო წვრილმანიც კი გავითვალისწინე, რათა ჩემი შვილების დედას ბავშვების მოვლა არ გაძნელებოდა. თავად მე საერთო საყოფაცხოვრებო საქმიანობა გამიორმაგდა. თავიდან გამიძნელდა, მერე და მერე თანდათან გავითავისე, ვინაიდან ორი ჩვილის სრულყოფილად გამოკვება განსაკუთრებულ წესთა დაცვას მოითხოვდა. მეუღლე ჯანსაღ და გაძლიერებულ კვებაზე გადავიყვანე. ყოველდღე ახალ-ახალი კერძებისთვის ბაღჩიდან სხვადასხვა სახის ბოსტნეული ამომქონდა, ცალკე ცოცხალი თევზი თუ ნანადირევი, გამოზამთრებული ურიოშო ხილი, ჩირი თუ ქიშმიში. მკაცრი განაწესი გვქონდა. ცოტა მაშინ ამოვისუნთქეთ, როცა ბავშვებმა წამოჯდომა და სათამაშოებით გართობა ისწავლეს. ისინი სათამაშოებით ირთობდნენ თავს, ჩვენ კი ადრე დაწყებულ საქმიანობას ვაგრძელებდით. ჯანდაცვის პროექტში რაც ჩასამატებელი მასალა დაგვიგროვდა, ცალკე თავად დავამატეთ.

შემოდგომის დასაწყისისთვის, როგორც იქნა, დავასრულეთ მედიკამენტების დამზადების ბოლო საფეხური, საწარმოებლად მოგვარებული. შემდგომ ეტაპზე საჭირო ხდებოდა ფარმაცევტული საწარმოს აგება, ან რომელიმეს შესყიდვა და გადაიარაღება ახალი ტექნოლოგიით.

- ვინმე სანდო პირი გვჭირდება, - ვეუბნები მეუღლეს, - პროექტს რომ ყურადღება მიაქციოს. თანაკურსელი ხომ არ გეგულება ვინმე?

- სანდო პირის მოძებნას, ჩემო კარგო, დრო სჭირდება.

- მაშინ შენს სახელზე შევიტანოთ სამინისტროში ეს პროექტი.

- რატომ ჩემს სახელზე, როცა შენ მიგიძღვის ლომის წილი.

- მინდა, შენს სახელზე იყოს, მე კი დაგეხმარები. სამეცნიერო შრომადაც შეგიძლია წარადგინო. თავისუფლად შეიძლება მასზე სამეცნიერო ხარისხის დაცვა.

- ჰმ, ჩემგან უკვე ბევრს ითხოვ.

- რატომ, ყველაფერი მზად არის, მხოლოდ ცალკე ფურცელებზე გადატანაა საჭირო, ან ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაში შეტანა.

- ამ ბავშვების შემყურე, რას მოვახერხებ!

- ბავშვებს მე მოვუვლი, ერთად გავერთობით, შენ კი ამ საქმეს მიხედავ.

- გამიძნელდება, გაიგე, გამიძნელდება! - ჯიუტად მიმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს.

- აკი, გითხარი, დაგეხმარები-მეთქი! კარგი, მაშინ დაგიმზადებ ისეთ აპარატს, რომელსაც შეეძლება, დამოუკიდებლად ამობეჭდოს მიწოდებული ან ნაკარნახევი ტექსტები.

- ჰო, კარგი, შენ ადამიანს არ მოეშვები, გაამზადე აპარატი და დავიწყოთ.

- გავალ და ახლავე შევუდგები მის შექმნას, ხვალ ამოვბეჭდოთ, ორშაბათს კი კურატორს დაუკავშირდი, რომ დაგაკვალიანოს.

- გასაგებია, ბავშვები ტირიან, მათი კვების დროა, ჯერ მათ დავაპურებ, მერე ჩვენ წავილუკმოთ.

- კარგი, მე გავალ და მალე დავბრუნდები. - ფეხზე წამომდგარი იქვე შევბრუნდი და კვლევით განყოფილებაში შევედი.

ჩემს საქმეს დიდი დრო არ დასჭირვებია, როდესაც გამოვედი, დაპურებული ბავშვები უკვე ძილს მისცემოდნენ, ჩვენც წავივახშმეთ, შემდგომ ახალი ცნობების ჩანაწერებს მოვუსმინეთ და დასასვენებლად გასულებმა ძილს მივეცით თავი.

განთიადისას ბაღჩაში ჩავედი. სანამ დღეისთვის საჭირო ბოსტნეულს თავს მოვუყრიდი, ცოტა წავიმუშავე, შემდეგ ვარგისი ბოსტნეული დავკრიფე, კვალსათბურის სახურავი შევაღე და ზემოთ ამოვედი.

- კურატორს ველაპარაკე. - მომახარა მეუღლემ.

- ყოჩაღ, გიმარჯვნია დილაადრიან.

- ხმაზე ვერ მიცნო, რომ ვუთხარი, ვინც ვიყავი, გაუკვირდა - შენ დაკარგული არ იყავი, ახლა საიდანო - მეკითხებოდა განცვიფრებული. მეც ავუხსენი მოკლედ ჩვენი თავგადასავალი, მერე ნაშრომზეც ვუთხარი. გაუხარდა, შენი ჯგუ-

ფიდან სამეცნიერო საკითხებზე არავინ დაინტერესებულა, შენ ხარ ერთადერთიო. ჯერ საბჭო განიხილავს, მოგანიჭებენ სამეცნიერო ხარისხის მაძიებლის სტატუსს და დაგინიშნავენ ხელმძღვანელს, თუმცა, შენს სიტუაციაში, როცა უკვე მზად გაქვს ნაშრომი, შეიძლება ექსტერნად მოგიწიოს ხარისხის დაცვაო.

- ისიც უთხარი, ყველამხრივ მზად რომ ხარ?

- როგორ არა, დღესვე რომ შემიძლია მათ წინაშე წარვდგე. დამზადებულ სამკურნალო წამლებზე ჯერ არ მითქვამს.

- ძალიან კარგი!

- რატომ ძალიან?

- იმიტომ, რომ კონკურენტებს არ მოეწონებათ, რის გამოც, შესაძლებელია პროცედურა გაგიჭიანურონ. პასუხს როდის გეტყვის?

- ზეგ, თუ დადებითი პასუხი მივიღე, მაშინ ხელმძღვანელს ნაშრომი უნდა გადავუგზავნოთ გასაანალიზებლად.

- ასეც იქნება. ბავშვებმა ჭუჭყუნი დაიწყეს, შენ მათ მიხედე, მე გავალ და არჩევნების ციებ-ცხელებას გადავამოწმებ, ჩემი დახმარება ხომ არ გინდა?

- თუ დამჭირდება, დაგიძახებ.

თავდაპირველად პოპულარობის მაჩვენებელი გადავამოწმე. ვხედავ, ჩვენი ნაცნობი შეფი ლიდერობს. გამიხარდა, თუ ეს მაღვალაკობის შედეგი არ იყო. მაშინვე მათი სამკურნალო დაწესებულების საიდუმლო კაბინეტი გადავათვალიერე. ჩანაწერებიდან ირკვეოდა, რომ იდუმალი დანადგარი ამ ხნის განმავლობაში ორჯერ აამოქმედეს. მიუხედავად ჩემი თხოვნისა, მაინც ბოროტად იქნა გამოყენებული. რა გაეწყობოდა, მეც სასწრაფოდ შევცვალე მისი დანიშნულება, მექანიკურ ზეგავლენას, ჩავანაცვლე „ადამიანის ბუნების შესაბამისი მოქმედებით", დაე, თავად პიროვნებამ გადაწყვიტოს, ვის მიაკუთვნოს უპირატესობა.

ასევე გადავამოწმე უცხოეთში გატანილი იარაღის ასავალ-დასავალი. ქაოსი გრძელდებოდა, მეტმა იარაღმა ამბოხი გააძლიერა. ჩათრეულ იქნა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.

დაუყოვნებლივ საჭირო ხდებოდა იარაღის უწესრიგოდ გადაზიდვისა და ხელოვნურად გამოწვეული შფოთის დაუშვებლობა. აგრეთვე, ისეთი ნარკოტიკული ნივთიერების არდაშვება, რომელიც ქიმიური გზით შეიმუშავეს. სწორედ ამგვარი გზით დამზადებული აბები იყო ამა თუ იმ ორგანოს ფიზიოლოგიური ფუნქციის მოშლის მიზეზი. ახალგაზრდა ორგანიზმისთვის ეს ხომ კატასტროფის ტოლფასია, ამიტომ მათი მაწარმოებელი საწარმოა მოსაძებნი, რათა ეს საშინელი აბები სხვა სამკურნალო საშუალებით ჩავანაცვლებინო.

ფაქტებს ჩვენი სახელობის თანამგზავრიდან მიღებული სიგნალებისა და გამოსახულების მიხედვით ვიკვლევდი. შემოსული მასალებიდან ვარკვევდი, რომ უცხოეთის ბაზიდან გამოგზავნილი ნარკოტიკული ნივთიერებები, იმავე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული, სპეციალურად მისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული საწარმოს ნაყოფი იყო. ასევე გადასამოწმებელი შეიქნა მათ მიერ ფარმაკოლოგიური წარმოების სხვა დანარჩენი წამლების ქიმიური თვისებების ავკარგიანობაც, რის გამოც, ზუსტი ცნობების მისაღებად, გაშვებულ იქნა პროგრამირებული ლაზ-სხივი. პასუხის მიღებამდე ბავშვებს გავხედე, მეუღლეს წავეშველე, ხელი წავუკარი და კვლავ კვლევით განყოფილებაში დავბრუნდი. ამჯერად სურათი სხვანაირი დამხვდა. ირკვეოდა, რომ სამკურნალო წამლების შეფუთვაში იყო არა ის, რაც მის გარეკანზეა მითითებული, არამედ ქიმიური იარაღისთვის გამზადებული ნივთიერებების პაკეტები. გაეროს კონვენციის მიხედვით, ამგვარი ნივთიერების დამზადება დაუშვებელია, ამიტომ, სასწრაფო იყო შესაბამისი რეაგირება. მეც საჩქაროდ გავამზადე მიმართვა და გავუგზავნე მოთხოვნით - შეეწყვიტათ მასობრივი გამანადგურებელი ჭურვისთვის ქიმიური ნივთიერებებისა და არასანქცირებული ნარკოტიკული აბების დამზადება და დაუყოვნებლივ გადაიარაღებინათ საწარმო.

ჯერ ორი დღის შემდგომ მოვიკითხე, რა თქმა უნდა - უშედეგოდ. მერე კვირის თავზე მათ ხელმძღვანელს დავუკავშირდი და მოვთხოვე, აეხსნა არდაწყების მიზეზი.

- ჩვენ, - დაიწყო მან დინჯად - ვსაქმიანობთ წესდების და გეგმის მიხედვით, მხოლოდ სამკურნალო მედიკამენტების დამზადებით ვართ დაკავებულები! - როგორც ამბობენ, თვალსა და ხელს შუა იცრუა.

- კარგი! მე კიდევ ერთხელ გთხოვთ, თუ ისევ იგივე განმეორდა, ზეგ თავად იქნებით მთხოვნელის როლში. ნახვამდის!

კვლევითი განყოფილებიდან გამოსული მეუღლეს შევეხმიანე. ის ბავშვებთან ერთად ისე კარგად ერთობოდა, მეც სურვილმა წამძლია; უმალ ჩოქბჯენში გადავედი და მათ ცელქობას შევუერთდი.

- ორიოდე წუთის წინ ჩემს ხელმძღვანელს დავუკავშირდი, - სათქმელი რომ გულიანად ეთქვა, ბავშვებს წინ სათამაშოები დაულაგა და გააგრძელა - თემა ისე მოსწონებიათ, დროც კი დაუნიშნავთ დაცვისთვის.

- რაც მთავარია, შენ მზად ხარ და მეორე, აჩქარებენ იმიტომ, რომ ექსპერიმენტის სახით მედიკამენტის გამოცდა სჭირდებათ, მაგრამ აქ სიფრთხილეა საჭირო. ვინმეს მუქარის ქვეშ რომ არ მოხვდე. მე აგერ ვარ, ნურაფრის შეგეშინდება!

- საშიში რატომაა?

- იმიტომ, ძვირფასო, რომ უამრავ თავ წამალს შეცვლის, ესაა და ეს.

- გავიგე. ახლა ის მითხარი, ამის შემდეგ რას ვფიქრობთ?

- მე მეკითხები, თუ ბავშვებს? ხედავ, როგორ გიყურებენ - დედა რას გვეკითხებაო.

- დიახ, სამივეს გეკითხებით. მინდოდა მეთქვა, საკანდიდატოზე ხომ არ შევჩერდებით?!

- ოჰ! ნდომის სურვილი კვლავ ფორმაშია. მაშ ასე, ახლა შეგიძლია ერთ მედიკამენტზე დაიცვა, შემდეგ კი - მეორეზე. ნაშრომში ორი თემაა ჩადებული. შეიძლება მისი ორად გაყოფა. ჩვენ ისინი დაჩქარების მიზნით შევქმენით, ან დავტოვოთ და დავამატოთ ერთი კარგი შესაძლებლობა.

- რა არის?

- მოსაზრებას უფრო შეეფერება.

- თქვი, იქნებ გამორჩეული იდეაა!

- როდის?

- აბა, კვლავ ნუ დაიწყებ.

- რა, ჯერ არაფერი მითქვამს.

- ხუმრობა-მეთქი.

- სად არის აქ სახუმარო სიტყვა?

- კარგი, კარგი, ნუ დამღალე, ამოთქვი ერთი სიტყვა მაინც!

- აბა როგორ? არ მისმენ.

- როგორ გისმინო, ფეხზე წამოვდგე?

- არა, თვალებში მიყურე.

- გიყურებ.

- აი, ასე. ახლა შემიძლია ამოვთქვა. ჩვენი ლაზ-სხივი ხომ იცი, ნამდვილად იცი, ჰოდა, მისი შემწეობით გვაქვს საშუალება, მივაწოდოთ სასურველი დავალება და შევასრულებინოთ ესა თუ ის პროცედურა.

- ეგ ზოგადად.

- შენ გაინტერესებს უკვე გამზადებული სამკურნალო ხელსაწყო თუ მისი ფუნქცია?!

- აი, ისევ განაახლე.

- დავამთავრე! ახლა ნამდვილად დავიწყე. კარგი, ხუმრობა დროებით შევასვენოთ და მაგალითისთვის ავიღოთ ნებისმიერი ორგანო, თუნდაც ყველაზე ძნელად აღსადგენი ხრტილოვანი ქსოვილი. არის დღევანდელ დღეს რაიმე პრეპარატი მის სამკურნალოდ?

- არის, მაგრამ არაეფექტური. შენ რას გვთავაზობ?

- მე ვფიქრობ, პირობითად ვუწოდოთ მას ცენტრი, რომელშიც ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენის კოდი თვლემს. ჩვენ კი მისი გამოფხიზლება უნდა შევძლოთ. შემდეგი იდეა: მეტაბოლიზმის დროს წარმოქმნილი ტოქსიკური ნივთიერებების არჩარჩენა ორგანიზმში და უვნებლად მისი სრულად გაწმენდა არაორგანული ნივთიერებისგან.

- გმადლობ, რომ მაღირსე შენი იდეების გაგონება, იქნებ ისიც გამანდო, რა საშუალებით აფხიზლებ მის კოდს?

- რატომაც არა, ჩვეულებრივად, იქ, სადაც ხრტილის დის-

ტროფიის კერაა, განვაახლებთ ხრტილოვანი ქსოვილის წარმოქმნის პროცესს. ელექტრომაგნიტური რხევები ჩაგვყავს დაზიანებულ კერამდე. მის ირგვლივ განთავსებულ ნერვულ დაბოლოებებს აღნიშნული რხევების მეშვეობით ცენტრისთვის გადავცემთ წინასწარ შემუშავებულ პროგრამას.

- რას ვთხოვთ ცენტრს?

- დამატებით გამოიმუშაოს დაზიანებული ხრტილისთვის აღსადგენი ნივთიერება, რომელიც საბოლოოდ გამოიწვევს ქონდროგენეზს, ანუ ხრტილის წარმოქმნის პროცესს.

- რა იოლად აღწერე დაზიანებული ქსოვილის რეგენერაციის თანმიმდევრობა.

- თეორიულად ასე ჟღერს, სანამ ექსპერიმენტს არ ჩავატარებთ. რაც შეეხება მეორეს, მის სარეგულაციოდ პრეპარატს ვამზადებთ ფუტკრის პროდუქტებისგან, დამუხტული ენერგეტიკული სიხშირით. პრეპარატი მიიღება კვების დროს, საკვების გადამუშავებისას ხელი რომ შეუწყოს ორგანული ნივთიერებების დაშლას მარტივ ნივთიერებებად. სანამ დაშლის შედეგად მიღებული ელემენტები უჯრედამდე მიაღწევენ, პრეპარატი უზრუნველყოფს მის უვნებლობას, ანუ უნდა გაანეიტრალოს მისი ტოქსიკურობა, რომ ნებისმიერმა უჯრედმა შეძლოს დაკისრებული ფუნქციის თავისუფლად შესრულება, ამასთანავე, შეასრულებს გამწმენდ ფუნქციასაც.

- მეორე იდეა უფრო გამორჩეულია.

- ახსენი, რატომ?

- ტოქსინი, ეს ისეთი ულმობელი შხამია, რომელსაც უამრავი დაავადების გამოწვევა შეუძლია და თუ შენს მედიკამენტს შეეძლება ხსენებული შხამის განეიტერალება, ჩათვალე, რომ თავიდან აცილებული გვაქვს მრავალი სენი, თუ ამას დაემატება გაწმენდა არაორგანული ნივთიერებებისაგან, ჩვენ წინაშე წარდგება სრულიად ჯანსაღი ორგანიზმი!

- უდავოდ, ჯანსაღ ორგანიზმს კი ადვილად შეეძლება გაუმკლავდეს შემთხვევით მოხვედრილი მძიმე დაავადების გამომწვევ ბაქტერიებსაც.

- მართალი ხარ, ამიტომ მომეწონა ეს იდეა, არ შეიძლება, რომ დავაჩქაროთ?

- როგორ არ შეიძლება, მაგრამ, რაც დავიწყეთ, ჯერ ის დავასრულოთ!

- ფუტკრის პროდუქტებს სად ვიშოვით?

- ტყიდან, საიდანაც ველური თაფლი მომაქვს. იქ იქნება დინდგელი, მტვერი, ცვილი, შხამი, ბალზამი და ფუტკრის რძეც. სწორედ ფუტკრის რძეშია მაღალმოლეკულური ორგანული ნივთიერება, რომელიც ანტიტოქსიკურ, ანტივირუსულ და ანტიბაქტერიულ ფუნქციას ასრულებს, ესე იგი ახასიათებს მთელი სისტემისთვის დამცველობითი მოქმედება.

- ძალიან კარგი, რა იქნება, როცა დროს გამოვნახავთ, ცდებიც რომ ჩავატაროთ?

- ოჰ, მოინდომე არა მთელი სამეფო!

- კარგი რა, რა მოხდება, რომ ვცადოთ?

- ინერციით მიზეზობ, არა?

- მაინცდამაინც უნდა ვიმიზეზო, რომ რაიმე ამისრულო?

- რას ამბობ, დღევანდელ დღემდე სულ სურვილთა ასრულებაში ვარ და კიდევ აქეთ საჩივრები?

- არ ვჩივი, გთხოვ, კარგი, ნუ მოიღრუბლე!

- სად ამჩნევ ღრუბლის ქულებს? მე კი ელვას ვხედავ მოწმენდილ ცაზე.

- დაწყნარდი! არც დარია და არც ავდარი.

- არც მე ვღელავ, ამიტომ დაწყნარებაც არ მჭირდება!

- მისმინე, ხანდახან პატარა ბავშვის ხასიათი გაქვს და ჯიუტად ერთ ადგილზე დგახარ. მე იმიტომ გთხოვდი, რომ დედაჩემი ამ ბოლო ხანს ცუდად გრძნობს თავს. ხშირად თავს იტკივებს და წნევაც უწევს. წამლებს იღებს, მაგრამ ცოტა ხანს შველის, მერე ისევ თავიდან ეწყება. მისთვის მინდოდა გამეგზავნა, თუ მოვახერხებდით.

- დამშვიდდი, - ახლა მე ვამშვიდებდი მას - ნიავიდან ნუ წარმოქმნი ქარიშხალს. ხვალ ავალ ზემოთ, მოვიძიებ, რაც საჭიროა მისთვის და ხვალვე შევუდგეთ დამზადებას. ექსპერიმენტი ჩვენს ბოცვერებზე ჩავატაროთ. მისაღებია?

- რა თქმა უნდა! - გაუხარდა.

- მაშინ გავალ ლაბორატორიაში და მისთვის შესაფერის ენერგეტიკულ სიხშირეს და პროგრამატორს მოვამზადებ.

ლაბორატორიაში გასულმა ჯერ მაღალი სიხშირის რხევების შეცვლა დავიწყე უფრო დაბალი სიხშირის რხევებით, თან ჩემთვის ვფიქრობდი, ალბათ, ნევრომედიატორის იდეაზე სიტყვა რომ დამცდენოდა, უთუოდ ერთდროულად მომიწევდა ექსპერიმენტის ჩატარება. სათქმელად ისეთი დრო უნდა შემერჩია, მოულოდნელობით უეცრად შეცბუნებულიყო.

ამ იდეის საინტერესო მხარე სწორედ ის იყო, რომ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზმს ცხოველქმედებისას რომელიმე ფერმენტი, ჰორმონი, ამინომჟავა, ან რომელიმე ორგანული ელემენტი მოაკლდებოდა, მას უნდა უზრუნველეყო დანაკლისის ანაზღაურება. როგორ? ისმის კითხვა, ვპასუხობ, იმავ დროს ნევრომედიატორი შესაბამის ჯირკვალს გადასცემს იმპულსს, მაგალითად, მიღებული საკვების გადამუშავება განიცდის რომელიმე ბიოკატალიზატორის ნაკლებობას, მაშინვე ხდება ნევრომედიატორის ჩართვა, რომელიც ამა თუ იმ ჯირკვალს აწვდის სათანადო ინფორმაციას ფერმენტის გამოყოფის თაობაზე. აღნიშნული პრეპარატი კარგი საშუალება იქნება მათთვის, ვინც უკვე ხანდაზმულია, რადგან ასაკში შესული ადამიანი ყოველთვის განიცდის სეკრეტის ან ინკრეტის დეფიციტს. ჯირკვლებს ვეღარ შესწევთ უნარი, გამოიმუშაონ საჭირო რაოდენობის შინაგანი სეკრეციისთვის საჭირო პროდუქტი, ამიტომ აუცილებელი ხდება მათი სტიმულირება სრულყოფილი ფუნქციის აღსადგენად...

მეორე დღეს, დილით ადრე მივაკითხე ხის თაფლიან ფუღუროს. მიგნება არ გამჭირვებია, მოვიძიე და ჩამოვიტანე იმ რაოდენობის ინგრედიენტები, რამდენიც პირველი ეტაპისთვის მედიკამენტების დასამზადებლად ჩავთვალე საჭიროდ.

დოზები კომპას-აპარატის საშუალებით გამოვთვალე, სანამ აბებად გადავაქცევდი, ტიპური ელექსირი დავამზადე და ცდისთვის გამზადებულ ბოცვერებს გარკვეული დოზა შევასვი.

დაკვირვების ერთი კვირის თავზე გავაშუქე, შემდეგ მათი სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი გავაკეთე. გაირკვა, რომ მიღებულმა პრეპარატმა ამ ხნის განმავლობაში საერთოდ გაასუფთავა და გაწმინდა როგორც შლაკებისაგან, ასევე ტოქსიკური ნივთიერებებისაგან, ხოლო მათგან გათავისუფლებულმა ორგანოებმა საღად დაიწყეს ფუნქციონირება, ორივე ორგანიზმმა კი - თავისთავად გაახალგაზრდავება. რასაკვირველია, ასეთ ელექსირს ყველა სულიერი ინატრებდა.

შედეგი მეუღლემ რომ მოისმინა და ნახა, შემომეხვია და გაიძახოდა - შენ ხარ ჩემი ზეაკადემიკოსი. რამდენჯერმე გადამკოცნა და სულმოუთქმელად მეუბნება:

- რა იქნება, მეც რომ დავლიო ცოტა? - თან ცერა და საჩვენებელი თითით მაჩვენებს რაოდენობას.

- ხვალ აბებს დავამზადებ და აჯობებს, ის დალიო!

- სითხე იქნებ გემრიელი დასალევია, ცოტას გავსინჯავ, რა მოხდება, თუ არ გეღრიტინე, საშველს არ იძლევი!

- კარგი, კარგი, შესვი, ოღონდ ოც გრამზე მეტი არ დალიო, უკურეაქციას მოგცემს.

- ინსტრუქციას აუცილებლად დავიცავ, სად არის?

- ლაბორატორიის მაცივარში გადი, ბავშვებთან მე დავრჩები, - ავუხსენი მეუღლეს და ჩემ ბელებთან ჩავჯექი. სიამოვნებით შევუერთდი მათ თამაშს. ერთობოდნენ ისინი და უფრო მეტად - მე. მათი ხალისი, სილაღე მეც გადმომედო და ისე გავერთე, ვერც კი შევამჩნიე ოთახში შემოსული მეუღლე.

- ეს რა იყო? - შემომკითხა განცვიფრებული თვალებით.

- მოხდა რამე? - მეც უმალ ვკითხე.

- ამგვარი არომატული და გემრიელი ჩემს ცხოვრებაში არაფერი დამილევია! - მითხრა და სავარძელში ჩაეშვა.

- ეგ, ჩემო დედოფალავ, ელექსირია! ასეთი რანგი განსაკუთრებული „ბუკეტით“ უნდა გამოირჩეოდეს. სამწუხაროდ, დიდი დოზით მისი დალევა არ შეიძლება. ორჯერ დღეში ოცოცი გრამი, ორი კვირის განმავლობაში!

- ეს რა სასმელი დაგიმზადებია, უკვე მოქმედებს.

- ხვალ დედაშენისთვის აბებს დავამზადებ და გავუგზავნოთ. ისიც ასეთივე არომატული იქნება.

- უზადო ბიჭი ხარ, ხანდახან შენი უცნაური იუმორით რომ არ მაწვალებდე, უკეთესი იქნებოდა.

- გმადლობ, ძვირფასო, ორაზროვანი შეფასებისთვის. უყურებ, ბავშვებმა ჭირვეულობა დაიწყეს, მე კი ჭუჭყუნს ვერ ვახერხებ!

- აა, შენც მოგშივდა ჩემო კარგო?

- გამოიცანი! გავალ სამზარეულოში სალათებს გავამზადებ და დაგიძახებ, მას ცოტ-ცოტა პასტრამა ან ჩვენებური ვიჩინა მივაყოლოთ!

- ხომ გაგიგონია, რასაც კარგს გააკეთებ, წინ დაგხვდებაო! - შემახსენა ძველი მოარული ნათქვამი.

- კი, დღესაც ვკრეფ, რაც უწინ დამითესია!

- ასეა, ჩემო კარგო, ვერაფერს მოიმკი, ნიადაგში თესლი თუ არ ჩააგდე!

- მტკიცებას არ საჭიროებს, - დავუმოწმე მას და სამზარეულოში გავედი.

როცა ბავშვები და ჩვენც დავპურდით, ჩანაწერების დათვალიერება გადავწყვიტე, საერთო მონაცემების გასამზადებლად. აღვრიცხე და ჩემი სტატისტიკის გვერდზე გადავიტანე.

ცისკრისას აბების დამზადებას შევუდექი, ყველა ფარმაკოლოგიური წესის დაცვით. გამოშვებული აბები სპეციალურ კოლოფებში მოხმარების წესთან ერთად დავანაწილე, შევკარი და ადრიან დილით ნაწილი - ჩემებს და ნაწილი მეუღლის დედის მისამართზე გავგზავნე.

შინ დაბრუნებული უცხოეთს დავუკავშირდი. ქიმიური საწარმოს ხელმძღვანელობა ვიკითხე, რომელსაც შენობა ფარმაცევტულ საწარმოდ ჰქონდა შენიღბული. თავიდან ვერ შემიცნო.

- თქვენ რომელი ხართ?

- მე ის ვარ, ორჯერ რომ გთხოვეთ ბიოლოგიური იარაღისთვის ქიმიური ნივთიერების წარმოების შეწყვეტა.

- თავისთავად შეწყვეტილია. რამდენიმე დღეა მთავარ აგრეგატს ვერ ვამუშავებთ!

- გადაიარაღება თუ დაიწყეთ?

- არ დაგვიწყია, აგრეგატის ამუშავებას ველოდებით!

- მას ვერ აამუშავებთ მანამდე, სანამ არ გადააიარაღებთ წარმოებას, მე შემიძლია შემოგთავაზოთ ერთი აზრი, მეურნეობისათვის ეკოლოგიურად სუფთა სასუქის გამოშვება, ბუნებრივი მინერალებია. ძირითადად აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის შემცველობით. აზოტი, რომ იცოდეთ, ფოთლების ზრდისთვისაა, ფოსფორი - ყვავილების წარმოქმნისთვის, კალიუმი კი ხელს უწყობს ღეროების ზრდასა და გამაგრებას. ასეთი პროდუქციით უფრო მეტ შემოსავალს მიიღებთ როგორც მატერიალურად, ასევე მორალურადაც, ვიდრე შხამ-ქიმიკატების დამზადებით. დაფიქრდით, ურიგო იდეა არ არის.

- მე ზემდგომის გარეშე ამ საკითხს ვერ გადავწყვეტ, ისინი კი თქვენ დაგეძებენ. ჯერ-ჯერობით თქვენს კვალს ვერ მიაგნეს, სად არ იკითხეს, მაგრამ ამაოდ!

- მითხარით მათი კოორდინატები და მე თვითონ დაველაპარაკები.

- ჩაიწერეთ, პირველი მოადგილის ნომერს გკარნახობთ.

- შეფისაც მითხარით, - ნომრის ჩაწერის შემდეგ ვთხოვე მას.

- შეფის ნომერს თავად მოადგილე მოგცემთ, ჩემს ხელთ არ არის.

- ჩემი რჩევა მიაწოდეთ თქვენს ზემდგომს. დროს ნუ დაკარგავთ, საწარმოს გაჩერება დიდი ზარალია. აბა, თქვენ იცით, ნახვამდის.

მასთან საუბარი რომ დავამთავრე, არჩევნების ციებ-ცხელებას დავუბრუნდი. თვალი გადავავლე პარტიების პოპულარობის მაჩვენებლებს. სამივე პარტიის მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო. ასევე გადავხედე ლიდერების გამოსვლებსა და მათი პოპულარობის ინდექსს, თუ ნახევარი თვის წინ გამორჩეული ლიდერი ჰყავდათ, ამ ჯერზე ტოლნიშნიანებს ვხედავდი. აგრეთვე გადავათვალიერე კლინიკის საიდუმლო ლაბორატორიის განყოფილება, იქ კვლავ ყოფილი ტექნოლო-

გები თავს დასტრიალებდნენ საკუთარი ხელით აწყობილ მოწყობილობას, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ინფორმაცია ადრესატამდე შეცვლილი სახით მიდიოდა. მეოთხე დღეა, მისი მონდომება უშედეგო იყო. შეფმა მიზეზი იცოდა, მაგრამ განგებ არ ეუბნებოდა, ალბათ, ეშინოდა, მის განცხადებას სხვა გაუთვალისწინებელი რეაქცია არ მოჰყოლოდა, ამიტომაც დუმდა, არადა, მას განსაკუთრებით ახლა სჭირდებოდა დაწეული რეიტინგის კვლავ ამაღლება. მე ვერ მიკავშირდებოდა, თუმცა მაინც თავს შეიკავებდა სიტყვის შეუსრულებლობის გამო. არც მე ვცდილობდი მასთან დაკავშირებას, წინასწარ ვიცოდი, იმავეს მივიღებდი. ამის გამო, ამ ეტაპზე თავს ვიკავებდი, დაე, საკუთარი ძალებით შეძლოს მიღწევა და არა იმ მექანიზმით, ადამიანის წყობიდან გამოყვანა რომ შეუძლია.

რაც შეეხება მის კონკურენტებს, ერთს გამოვარჩევდი არა იმიტომ, რომ მას შედარებით უკეთესი პროგრამა ჰქონდა, არამედ ქალაქის მერობის პერიოდში მისი მრავალი კარგი წამოწყება იყო რეალიზებული. სხვებთან შედარებით, უფრო პრაქტიკოსი პოლიტიკოსის იმიჯი ჰქონდა. მაგრამ რატომღაც წინ ვერ მიიწევდა. აშკარად ჩანდა, რომ ის ბოროტი მაქინაციის მსხვერპლი ხდებოდა, რაც ობიექტურ სინამდვილესთან რეალურ კავშირს არღვევდა. ვიმედოვნებდი, რომ ნახევარ თვეში სრულიად სხვა სურათს ვიხილავდი.

როდესაც არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციების გაცნობა დავასრულე, უმალ გადავერთე მეუღლის სადისერტაციო თემის შედარებით რთული საკითხების ხელმეორე გადამოწმებაზე. ათ დღეში უკვე დანიშნული ჰქონდა სამეცნიერო ხარისხის დაცვის დრო, რასაც სათანადო მომზადება სჭირდებოდა. ორი ბავშვის დედას მისი მოსამზადებელი დრო მართლაც რომ ცოტა ჰქონდა, ამიტომ, მთელი კვირა მიწევდა ხან პატარებთან, ხან საკვლევ გარემოში ყოფნა.

... სამშაბათი დღის პირველ ნახევარში საბავშვო ეტლით აუდიტორიის წინ ვიდექი და ვგულშემატკივრობდი. ბავშვებმა დიდხანს ვერ გაუძლეს უცხო გარემოს, მოუსვენრობა

დაეტყოთ, ჯერ ერთი ატირდა, მერე მეორე აჰყვა. რაღას ვიზამდი, შენობიდან გამოვიყვანე და დასაწყნარებლად უნივერსიტეტის ეზოს სკვერში ვასეირნებდი. ეტლის ჯიბიდან ახალი სათამაშოები ამოვუღე, არადა, საკვების მიღების ჯერი დგებოდა. ყოველი შემთხვევისათვის გარეული თხის რძე მქონდა მომზადებული.

როცა ბავშვები ჩაწყნარდნენ და ჩაიძინეს, მაშინვე ყურსასმენები მოვიმარჯვე, მინდოდა, გამეგო, დაცვის რომელ საფეხურზე იდგა. უკვე დასმულ კითხვებს პასუხობდა. მაშასადამე, დასასრულს უახლოვდებოდა. ცოტა ხანს ვუსმინე, სანამ პატარებს ეძინათ. თვალები რომ დააჭყიტეს, აცქმუტდნენ. გასაგები გახდა მათი ცქმუტვის მიზეზი, რა წამსაც რძით სავსე ბოთლები მივაწოდე, უმალ გაიყურსნენ. მე კი მოსმენა გავაგრძელე. განცვიფრებას ვერ მალავდნენ კომისიის წევრები, განსაკუთრებით მაშინ, როცა სჯა-ბაასი მედიკამენტების ეფექტურობაზე მიმდინარეობდა. ისე მოეწონათ, რომ უმრავლესობამ მათ საწარმოებლად თანადგომა და დახმარება აღუთქვა და ამით დაასრულეს თემის ირგვლივ კამათიც. მერე ყველამ სათითაოდ მიულოცა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და ვიდრე გარეთ გამოვიდოდნენ, მეც მივედი. ჯერ მივულოცე მეუღლეს საწყისი წარმატება, მერე კი ყველანი საბანკეტო დარბაზში მივიწვიე, სუფრის წინამძღოლობა თავად მის ხელმძღვანელს ვთხოვე, რომ მოეღო პატივი და სუფრისთვისაც მას ეწინამძღვრა.

...ტრადიციულად დაიწყო თამადამ სადღეგრძელოები. თავად მოქმედ პირს ორი სადღეგრძელოს შემდგომ მოუწია დალოცვა - შეაქო როგორც პიროვნება, მისი ნიჭი და განსწავლულობა. აღნიშნა მისი უნიკალური მიგნება და სამკურალო დანიშნულების კოეფიციენტი.

- რადგან მას, - განაგრძო თამადამ, - გამოგონების უნარი აღმოაჩნდა, ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში მისგან კიდევ ახალი აღმოჩენის შესახებ შევიტყობთ...

- მე დარწმუნებული ვარ! - დაუდასტურა მის პირდაპირ მჯდომმა კომისიის წევრმა.

- აბა, ყველამ დავლოცოთ! - ომახიანად გასძახა სუფრას თამადამ, - შესვა და ალავერდს კომისიის თავმჯდომარესთან გადავიდა...

საბანკეტო სუფრამ ორ საათზე მეტ ხანს გასტანა. ტრადიციისამებრ და ლაზათიანად წარიმართა ყოველივე, ისე, როგორც დღევანდელ დღეს შეეფერებოდა.

დასრულებისას, მადლიერებას გამოხატავდა სუფრის თითოეული წევრი და დინჯი ნაბიჯებით დარბაზიდან კმაყოფილნი გადიოდნენ.

ჩვენც აღარ დავყოვნებულვართ. ადმინისტრაციას საუკეთესო მომსმახურებისთვის მადლობა გადავუხადეთ და დავემშვიდობეთ.

შინ რომ მივედით, დაღლამ მაშინ შეგვახსენა თავი, ჯერ ბავშვები ვაბანავეთ და დავაძინეთ, შემდგომ ჩვენი ჯერი დადგა, სანამ ძილს მივეცემოდით, მანამდე მეუღლე დღევანდელ შთაბეჭდილებებს მიყვებოდა, თან სახუმარო საესტრადო პიესების ნახვით ვირთობდით თავს...

დილით, ვინაიდან პატარები ძილს ისევ განაგრძობდნენ, არც ჩვენ გვიფიქრია ადგომა. მეუღლემ დილაადრიან განაახლა გუშინდელი დაწყებული შთაბეჭდილებების მოყოლა. ისე მოსწონდა, მთელი ორი დღე მის გარშემო ტრიალებდა. ძალიან ესალბუნა მინიჭებული „ტიტული". ირიბად კი შემომაპარა სამეცნიერო ხარისხის ამაღლებაზე სიტყვა, არც მე მითქვამს დახმარებაზე უარი, არადა, საკვანძო „პოსტულატი" უკვე ხელთ აქვს, მხოლოდ შესავალი და დასკვნითი ნაწილი არის დასაწერი. ერთი წლის განმავლობაში ამის შესრულება ნამდვილად არ იქნება ძნელი, თუ მესამე ბავშვმა არ შეგვაფერხა, თუმცა მისი წადილი ისეთი ძლიერია, სურვილს ხელს არ შეუშლის. მაგრამ მას ჯერ ფარმაცევტული საქმიანობის დაწყება სურდა, რაკი კომისიის წევრებმა დახმარება აღუთქვეს, სტიმულიც უფრო მეტი მიეცა. ჩვენც ხომ საერთო გეგმაში გვქონდა ჩასმული, რაც შეიძლება სწრაფად მიგვეწოდებინა მოსახლეობისათვის ბიოლოგიურად უზადო მედიკამენტები.

მთავარი მაინც არჩეული თემის დაწყება იყო. თუ კარგად დავიწყებდით, ზედიზედ ორი ნაბიჯი გვექნებოდა წინ გადადგმული. ცხადი იყო ისიც, რომ მომდევნო სამეცნიერო თემის დამუშავებაში ლომის წილი ისევ მე უნდა გამეღო. სიყვარული თანადგომას მოითხოვდა. მეც მზად ვარ მისთვის, - ვამბობდი ხოლმე ჩემთვის.

- ნუთუ ერთდროულად გინდა, - ვეკითხები მეუღლეს, - სამივე საქმის თაოსნობა?

- სად ხედავ სამს?

- ერთი - ფარმაცევტული, მეორე - სადოქტორო, მესამე - ყველაზე მნიშვნელოვანი - ბავშვების აღზრდა, თუ დიასახლისობას დავამატებ, რაოდენობა უფრო მოიმატებს.

- შენ მამასახლისობის გარდა სხვას არაფერს ითავსებ?

- ნამდვილად საკამათო კითხვა დასვი.

- რატომ?

- ჯერ გადახედე ჩემს ნამოღვაწარს და მერე ისევ ხელმეორედ შემეკითხე.

- ჰო, კარგი, გულსაწყრომად არ მითქვამს, ვიცი, რომ ირჯები, ახლა მეტი თავი საქმე გამოგვიჩნდა და უფრო მეტ აქტიურ მოქმედებას ითხოვს.

- ნუღა გააგრძელებ, აბა, თქვი, საიდან დავიწყოთ, უკვე მოფიქრებული უნდა გქონდეს!

- უნდა გაგიმხილო, ჯერჯერობით ვერ მოვიცალე!

- თუ ვერ მოიცალე, ვერც საქმე გიკარნახებს, როგორ მოიქცე, რაც შეიძლება ახლოს უნდა მიხვიდე მასთან!

- კარგი, ნუ მიბრაზდები!

- სიტყვამ მოიტანა და ვთქვი. რამდენიმე წუთის წინ, შენ რომ საუბრობდი, მე ყიდვა-გაყიდვის გვერდი გადავათვალიერე, მოვიძიე 300 კვ. მ. ფართობის შენობა. მყიდველები რომ ვართ, უკვე შეტყობინებაც გავგზავნე. ახლა ვაგზავნი შეკვეთას დანადგარების დამამზადებელ ქარხანაში სასწრაფო დაკვეთით. ხოლო რაც შეეხება ნედლეულს, პირველ წყებას ჩვენიდან წავიღებთ, მერმედ კი თანამშრომლებს დავასაქმებთ, და კიდევ, კვალიფიცირებული ფარმაკოლოგების, ასევე ფარ-

მაცევტების ასარჩევად კონკურსი გამოვაცხადოთ, მათში უკეთესს წარმოება ჩავაბაროთ. აი, ეს არის ახლოს დგომა საქმესთან!

- ვაღიარებ, რომ შენ ტალანტი ხარ!

- თავის გამართლებას ცდილობ არა? არანაკლები ნიჭი და ტალანტი შენც გაქვს, მარტოოდენ თვითმოტივაციაა საჭირო, ვინაიდან ჩემი იმედი გქონდა, აღარც საქმესთან მიხვედი ახლოს.

- არ იწყინო-მეთქი, ხომ გთხოვე!

- თხოვნა გათვალისწინებულია, მხოლოდ ჩემებურად ავხსენი, არც შენი განრისხება შეიძლება, ფეხზე ნუ დგახარ, მოდი, ჩემ გვერდით ჩამოჯექი, ჩაგეხუტო მინდა, ისე ჭოშნიერად მოვაწყობ საქმეს, კიდევაც გაგიკვირდება, მე მგონი, დაიჯერებ! - მკლავი შემოვხვიე, ჩემკენ მოვიზიდე და კვიპაროსივით მაღალ ყელს გადავეჭდე.

- მჯერა! - ჩამჩურჩულა, - მჯერა შენი შეურეველი სიტყვებისა. იქნებ ცოტა შემიშვა შენი ღონიერი მკლავები, თორემ სუნთქვა შემეკრა.

- რას ამბობ, სულმოუთქმელად როგორ გაძლებ, უცნაურად ჩაგეხლართე, არა? უკვე ავხსნი ხლართებს, იგრძენი თავისუფლება?

- კი, როგორც იქნა, ამოვისუნთქე.

- კეთილი, დაწყებულ საკითხს დავუბრუნდეთ.

- გისმენ!

- პრინციპში, ძვირფასო, დანადგარის ნაწილების შექმნა აქვე შემიძლია, ადგილზე ავაწყობ. კომპას-აპარატი ამ დავალებას ადვილად დაძლევს.

- მეც მოგეხმარები.

- ჩემი დახმარება იქნება, თუ ბავშვებს მიაქცევ ყურადღებას.

- როგორც გსურს, მე შენ გვერდით ვარ.

- შესაკითხი თუ არ გაქვს, მე გავალ და მისთვის სათანადო გეგმას შევიმუშავებ. ზოგიერთი დეტალის დამზადება დღესვე არის შესაძლებელი. სამ-ოთხ დღეში ყველა ნაწილი

მზად მექნება. შენ კი შეგიძლია ახალი სამეცნიერო თემის შესავალ ნაწილზე დაიწყო ფიქრი, რასაც მოიფიქრებ, მაშინვე ჩაწერე, ძირითად ნაწილს მერე მე დავამუშავებ.

- დავალება მივიღე, გპირდები, შევასრულებ, შენ მასზე არ განერვიულებ.

- კეთილი, მაშ, წავედი.

ლაბორატორიაში გასულმა კომპას-აპარატის დამხარისხებელ განყოფილებას სათანადო ინფორმაცია მივაწოდე, მის ცნობებზე შექმნილი ოპერატიული პროგრამა კი სალაზეროსა და გამშვებ პუნქტს...

მეოთხე დღეს ყველა დეტალი მზად მქონდა... როდესაც შენობა გადმოვიფორმე, მაშინვე გამზადებული ნაწილები გადავზიდე და მოცემული კონსტრუქციის მიხედვით ავაწყვე. ასევე მოვაწესრიგე წამლების დამზადების, შენახვისა და სხვა სავალდებულო სანიტარული წესების გათვალისწინებით შენობის თითოეული განყოფილება. ამავე დროს გამოვაცხადე მენეჯერის, ფარმაციისა და ფარმაკოქიმიის განათლების მქონე სპეციალისტების შესარჩევი კონკურსი.

როდესაც ყველა პუნქტი მოწესრიგდა, ჯანდაცვის სამინისტრომ კომისიის მიერ შემოწმების შედეგად მიღებული დამაკმაყოფილებელი დასკვნის საფუძველზე წესდებაში აღნიშნული მედიკამენტების საწარმოებლად დიდი სიხარულით გადმოგცვა ნანატრი მოწმობა-სერტიფიკატი.

მომდევნო დღეს ჩვენ მიერ საგულდაგულოდ შერჩეული უკვე თანამშრომლები დავიბარეთ, მედიკამენტების წარმოების წესის გაცნობისთანავე კოლექტივს მენეჯერი წარვუდგინეთ და ფარმაცევტული საწარმო საზეიმო ვითარებაში გავხსენით.

განცხადება მედიკამენტების სიახლის თაობაზე მეორე დღეს გავაშუქეთ ტელევიზიით, პრესითა და ინტერნეტქსელის საშუალებით.

ორი კვირის თავზე იმ რაოდენობის შეკვეთა დაგვიგროვდა, მენეჯერი დაბნეული მეუბნებოდა:

- დაკვეთების შესრულებას ვეღარ ავუდივართ, აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ!

- დამატებით აიყვანე თანამშრომლები და გადადი ორცვლიან რეჟიმზე, სანამ ახალ დანადგარს არ ჩამოვიტან, ამის საშუალებას ფართობიც გვაძლევს.

- გასაგებია, სათადარიგო კადრებს დავუკავშირდები და ხვალვე გადავალთ მეორე ცვლაზე.

- ნედლეულის ნაკლებობას ხომ არ განიცდი?

- არა, ღვთის წყალობით, ნედლეული საკმარისი რაოდენობით გვაქვს.

- მოხარული ვარ, იმოქმედე, კავშირზე ვიქნები.

მენეჯერთან საუბრის შემდეგ დანადგარისთვის ნაწილების შექმნა დავიწყე. მიხაროდა, მედიკამენტების წარმოებას მეტი დაინტერესება და გამოხმაურება რომ მოჰყვა. აღტაცებას ვერ მალავდა მეუღლეც.

- საქმე რომ ასე სწრაფად წავიდა წინ, დიდი წარმატებაა, თან ვნერვიულობ, შემოსულ დაკვეთებს ვაითუ ვერ აუვიდნენ.

- აბა, ახლა შეჩერდი! - ავუწიე ხმას და დაძაბულ მეუღლეს დასამშვიდებლად მივუახლოვდი, - მეტისმეტი განცდა შენც გავნებს და ჩანასახსაც!

- რა ვქნა, ჩემო კარგო, არც მე მინდა, მაგრამ განცდა უნებურად შემომეპარება ხოლმე.

- მისი შეჩერების მეთოდი ხომ გახსოვს?

- როგორ არა!

- ნუ, გამოიყენე მერე, თავსაც დაიმშვიდებ და დავიდარაბასაც ასცდები.

- ზოგჯერ იმის სურვილი მიჩნდება, რომ იქ ვიყო და მათ დავეხმარო. იცი, ჩვენებმა რა მითხრეს?

- თუ არ მეტყვი, არც მეცოდინება.

- ხალხი ისე კმაყოფილია, ზედმეტს ყიდულობენ, რომ მეტი მოიმარაგონო, განსაკუთრებით ხანდაზმულებს მოსწონთ, ამბობენ, ასეთი კარგი მედიკამენტები არ გვახსოვსო!

- ძალიან კარგი, ალბათ, ბუმი მოჰყვება მომავალ პრეპარატებს!

- ნეტავ ეგ არ გეთქვა!

- რაშია საქმე?

- მინდა, რომ დავაჩქაროთ. მაინტერესებს, რა რეაქცია მოჰყვება! - არ მოასვენა ცნობისმოყვარე ემოციამ.

- ოჰ, კარგია არა, ახალთახალი მედიკამენტები, მათგან აღფრთოვანებული კი საკუთარ თავს რომ ანებივრებ!

- რა მოხდება?

- არაფერი! მოხდება მაშინ, როცა ხალხს არსებულზე უკეთეს მედიკამენტს შევთავაზებთ.

- გეკადრება! ჯერ მისაგნებია ხერხი, როგორ და რა გზით, დასკვნები ბოლოს.

- მე ვსაუბრობ ეფექტზე და არა გზებზე. ჯერ შენ რა მოგასულიერებს და მერე მათ!

- რას ამბობ, ჯერჯერობით ასეთი ბედნიერება წარმოუდგენელია.

- რომ შევძლოთ?

- ფანტაზიორობ თუ პანიკაში მაგდებ?

- მღელვარებას მაშინ ნახავ, როცა მოისმენ. მისი გაგონება და „ვაუს" თქმა ერთი იქნება!

- კარგია, როცა ხუმრობის ხასიათზე ხარ.

- ხუმრობაშიც არის რაღაც სიმართლე.

- არის, მაგრამ ახლა არა მგონია.

- ვთქვათ, არის პატარა მარცვალი, მერე?

- მარცვალი ხომ საინტერესო არ იქნება! - კამათს არ იშლიდა, არც მე ვეპუებოდი.

- რატომ? შეიძლება ისე იყოს დამუხტული, რომ რაიმე აღმოჩენის სათავე გახდეს.

- ნუთუ არ მოგწყინდა ჰაერში სიტყვების სროლა?!

- მაშინ ვინც დაიჭერს, მისი საკუთრება იყოს.

- მაგალითად, რა?

- სიტყვები, შენი თქმით რომ ჰაერში ნარნარებენ.

- ჰოდა, ინარნარონ! - მხრები აიჩეჩა, ფეხზე წამოდგა და მეორე ოთახში გასვლა დააპირა.

- ეგ სიტყვები სწორედ ნევრომედიატორია.

- რაა? - თქვა და უკვე ფეხგადადგმული უცებ შემობზრიალდა. - გაიმეორე!

- ნევრომედიატორი, გენაცვალე, ალბათ პირველად გესმის.

- ერთად კი?

- ეს ის საშუალებაა, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს რომ აძლევს სტიმულირებას.

- გამიშიფრავ, თუ კვლავ უნდა გეღრიტინო! ეგებ როგორმე მაღირსო, რა არის?

- ახლავე, გენაცვალე, - ვთქვი და განსამარტად მოვემზადე.

მეც დაწვრილებით ავუხსენი მისი სამკურნალო და მთავარი მნიშვნელობა. ახსნის განმავლობაში გახევებული იდგა და თვალდაუხამხამებელი ისმენდა ჰაერში მფრინავ სიტყვებს.

როცა თხრობა დავასრულე, არც კი შერხეულა. კიდევ დიდხანს იქნებოდა შეცბუნებული, რომ არ შევხმიანებოდი.

- ნუ, რარიგად ინარნარე, ძვირფასო?

ის მაინც დუმდა, იქვე სავარძელში ჩაესვენა და გაკვირვებული შემომხედა.

- მე კი შენს მარცვალს სასაცილოდ ვიგდებდი, ვერც განცვიფრება მოვახერხე და ვერც „ვაუს" თქმა!

- რატომ?

- უბრალოდ რომ ვთქვა, უჩვეულოდ საინტერესო იდეამ და შენმა თავდაჯერებულობამ საპასუხო მოქმედების უნარი წამართვა.

- ეგ, ძვირფასო, ერთგვარი განცვიფრებაა, რამაც მეტყველება დროებით დაგითრგუნა.

- არ გამოვრიცხავ, მაგრამ ეს რა იყო და რა იქნება ასრულების შემდეგ, მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თუ ორგანოებს ცხოველქმედებისთვის არ მოაკლდება საჭირო ნივთიერებები, ისინიც სრული წესრიგით იფუნქციონირებენ და თანაც დაზღვეული იქნებიან სხვადასხვა დაავადებისაგან, არადა, დაავადებით მიღებული სტრესი ისეთი დიდია, სხვა დანარჩენ სტრესს აჭარბებს. მე შენი შექება მინდა, მაგრამ, არ ვიცი, სამეტყველო დიაპაზონში როგორ გამოვხატო. მარტივად რომ ვთქვა, ყოჩაღ, უდავოდ კარგი და შეუცნობელი ბიჭი ხარ!

- შეუცნობლის რა მეტყობა?

- მოულოდნელად ისეთ რამეს იტყვი ხოლმე, რეაგირებასაც ვერ ვახერხებ.

- ზოგჯერ შენც ხომ ეგეთი ხარ, ადვილად დარწმუნდები, თუ საკუთარ თავს დააკვირდები.

- ეს უჩვეულობები, ჩემო კარგო, გენეტიკური თვალსაზრისით ორივე ბავშვში მოიყრის თავს, ამიტომ, თავიდანვე ყურადღება გვმართებს, მათ სწორი მიმართულება რომ მივცეთ!

- დროული შენიშვნაა, თუ დაგვიანებული არ არის.

- ჯერ ერთი წლისანიც არ არიან.

- კი, მაგრამ გენები ხომ უკვე მოქმედებენ?

- მაშინ ჩვენ დაბადებიდან უნდა დაგვეწყო მათი აღზრდა.

- არა, ძვირფასო.

- ვცდები რამეში?

- კი, ნაყოფის ჩასახვამდე. - შევუსწორე მის მიერ შეცდომად მიჩნეული დასკვნა.

- ეგ როგორ გავიგო?

- აბა, გაიხსენე ჩვენი სპეციალური ტრენინგები, რასაც აქ მოხვედრის დღიდან ვასრულებდით და ვასრულებთ, ისინი სამივე საწყისის განვითარებას ემსახურებიან!

- მახსოვს, როგორ არ მახსოვს და ეს გარემოც ამისთვის არის გათვალისწინებული, ვითომ შემთხვევითობაა?

- ჩემო დედოფალავ, ჩვენ ეს შემთხვევა გამოვიყენეთ და არცთუ ცუდად.

- მე კი არ მგონია.

- შენ გინდა კიდევ ძველ თემას დაუბრუნდე?

- რა ვქნა, რომ მაინტერესებს! - ისევ მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა.

- დავუშვათ, რასაც ფიქრობ, სინამდვილეს შეეფერება - რა შეიცვლება, მხოლოდ ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებ.

- თუნდაც, ცნობისმოყვარეობა, ის ჩვენი გრძნობის ერთგვარი საკვებია. მასაც სჭირდება ხელის შეწყობა და დაკმაყოფილება.

- ეგ ჩაციებას უფრო ჰგავს, ვიდრე მას, რასაც შენ გულისხმობ. ჩანს, რომ შენი ნდომა ზღვარს სცილდება. რაც ზღვარს გადაცილებულია, კარგად იცი, რომ მავნებელია!

- ვინც შენ სპორტული განათლება გირჩია...

- მაშ, რომელი, - წინადადება აღარ დავაბოლოვებინე, - უნდა მიმეღო?

- სხვა დანარჩენი, თუნდაც სამედიცინო.

- მერე ასეთი ეფექტი ხომ აღარ ექნებოდა, იტყოდი, სამედიცინო განათლება აქვსო და აბა, სხვა რას უნდა მოველოდეთ მისგანო.

- ოჰო, ხედავ, როგორ სჯი, პრინციპში, მსჯელობას არ გაემტყუნება. ძლიერ შთაბეჭდილებას კი ახდენ ხოლმე. ალბათ, ხალხთან ურთიერთობის დროს რამდენ კომპლიმენტს მოისმენდი!

- ასე კი მოეწყო, რაღას იზამ.

- მერე, ვინ მოაწყო?

- ო, აი, ეს კი გამორჩეული შეკითხვაა. თუ პასუხს გამცემ, შენგან უთუოდ დავალებული ვიქნები!

- მაინც, რა გაინტერესებს?

- მინდა, ვიცოდე, თუ ვინ განაგებს ბედ-იღბალს?

- მე მეკითხები? - გაიკვირვა.

- არა, ბავშვებს, მათ ადვილად შეუძლიათ ამოხსნან და გაგვარკვიონ, მაგრამ, ვინაიდან ისინი ჯერ გაუგებარ ენაზე ლაპარაკობენ, შენ გაეცი პასუხი!

- რას ამბობ, შენ მეკითხები იმას, რაც მთელმა ცივილიზაციამ ვერ ამოხსნა და ჩემგან გსურს პასუხის მიღება?

- რა მოხდება, პასუხი რომ გამცე?

- კიდევ იმავეს მიმეორებ?

- რაც შენ სამედიცინო საგნები გაიარე, ნუთუ არც ერთში იყო მინაწერის სახით მაინც?

- ხუმრობ, ჩემო კარგო?

- კარგი, მე რომ გიპასუხო, მაშინ რას იტყვი?

- რას ამბობ, გაიმეორე, იქნებ შემომესმა? - ეუცნაურა ჩემი შეპასუხება.

- შესაფერ იპოსტას, რომელიც ახსნის ბედ-იღბლის არსს.

- შენ თუ მის ამოხსნას შეეჭიდები, მაშინ სასწორის ერთ პინაზე შენ დაგსვამ და მეორეზე - მთელი კაცობრიობის ნაზრევს, რომელი გადაწონის, ახსნის შემდეგ გავიგებ.

- მაშინ ერთ კითხვას დაგისვამ, მერე კი განვსაზღვროთ.

- რა კითხვას?

- მიპასუხე, შენი აზრით, არსებობს თუ არა მომავალი?

- ზუსტი პასუხი არ მაქვს.

- მე ვიცნობ ერთ პიროვნებას, სკოლაში სულ წარჩინებული იყო. სკოლა რომ დაამთავრა, ერთ-ერთი ინტერვიუს დროს თავისი წარჩინების საიდუმლო კორესპონდენტს გაუმჟღავნა, მე წინასწარ ვიცოდიო, რა დროს რომელი მასწავლებელი გამიძახებდა გაკვეთილის მოსაყოლად და მეც იმ გაკვეთილს კარგად ვსწავლობდიო, სხვა წინასწარმეტყველებას აღარ გავიხსენებ, ისინი შენც კარგად უწყი. აქედან გამომდინარე, არის თუ არა შესაძლებელი, რომ ნამდვილად არსებობდეს მომავალი, თუ კის ვიტყვით, მაშინ ყველაფერი ნათელია!

- რა იოლად ახსენი პრობლემური მუდმივები. შენი თქმით, პარალელურად არსებობს მომავალი, მაშინ თავისთავად იარსებებს წარსულიც, რა საინტერესო ჰიპოთეზაა, მაგრამ როგორ გინდა, დაამტკიცო?

- დასამტკიცებლად ცდაა ჩასატარებელი.

- ჩავატაროთ, თუკი შეგიძლია.

- დავუშვათ, შემიძლია, შენ რა გაინტერესებს, რისი გაგება გსურს, ყოფა-ცხოვრების თუ მოგზაურობა გინდა მომავალში?

- მინდა გავიგო, საერთოდ რა გველის.

- წინასწარი ცოდნა ინტერესს დაგაკარგვინებს, რაც შენ არ გაწყობს.

- მაშინ, შენი ჰიპოთეზა მცდარია.

- მცდარი - შენთვის, თორემ მე კი მჯერა.

- რადგან გჯერა, მეც დამაჯერე.

- კეთილი, ოღონდ წინასწარ მორიგება დაგვჭირდება.

- რაში?

- ჯერ ერთი, რომ არაა რეკომენდებული წინასწარი ცოდ-

ნის ფლობა, მერე თუ ცდის ჩატარებას გადავწყვეტთ, მხოლოდ ერთი წლით შემოვიფარგლებით!

- ეგ რას ნიშნავს?

- აღარ გადავალთ მეორე, მესამე და ასე შემდეგ წლებში. ხარ თანახმა?

- კარგი, ვაცხადებ თანხმობას.

- წერილობით!

- რატომ, ხელწერილს მაწერინებ?

- არა, უბრალოდ ისტორიისათვის, ჩვენ ხომ ისტორიას ვქმნით!

- გასაგებია, არც ეგ არის პრობლემა. როდის იწყებ?

- ჯერ ხელსაწყოების შექმნა მჭირდება.

- კერძოდ, რის, თუ მიზეზს ეძებ, რომ თავიდან აიცილო ჩემი თხოვნა?

- რას ამბობ, ამას როგორ გავიფიქრებდი!

- მაშინ დაიწყე.

- ძვირფასო, ხელსაწყოები იმიტომ მჭირდება, რომ თავისუფლად დავძლიოთ მატერიის წინააღმდეგობები, ისიც უნდა იცოდე, რომ მისი ფორმა დამუხტული ნაწილაკებისაგან შედგება. ელექტრონების, პროტონების, პოზიტრონებისა და აღარ გავაგრძელებ, ჩამოთვლილთაგან ყველა ქმნის წინაღობას. ეს არის ერთგვარი ბარიერი, რათა თავისუფლად ვერ შევძლოთ გადასვლა იმატერიალში და მეორე შენიშვნა, ესეც საჭიროა იცოდე, რომ მომავალი არ არსებობს მატერიის სახით, მას არ აქვს არც ფორმა და არც მასა, ის წარმოდგენილია როგორც ეფირული სახე, როცა დრო მოუწევს, აი, მაშინ იწყებს ტრანსფორმირებას!

- შენ ამბობ, რომ ეფირულია, მე როგორ შემიძლია აღვიქვა?

- სწორი ჩართვაა. შენთვის ადვილი შესაძლებელი გახდება.

- კი, მაგრამ მე ვინ ვარ, რომ შევძლო?

- იქ მოხვედრილს თუ მესამე თვალი გახსნილი არ აქვს, გარემოების აღქმა უსათუოდ გაუჭირდება. შენ კი მის გა-

სახსნელად თითქმის წელიწადია, რაც სპეციალურ ტრენინგებს ასრულებ!

- სიმართლეს ამბობ?

- ჭეშმარიტად!

- მაშინ ჩვენ გვრჩება მხოლოდ წინაღობების გადალახვა, მაგრამ რა საშუალებით?

- დიფრაქციული პრინციპით.

- განმიმარტე, რაც შეიძლება მარტივად.

- ვეცდები. დავიწყებ მისი მოქმედების ნიშან-თვისებიდან, რომლის ძირითადი თავისებურება არის სინათლისა თუ სხვათა ტალღების მიერ გზაზე შემხვედრი დაბრკოლებების შემოვლა. ხოლო, რაც შეეხება ჩვენ მიერ შექმნილ ხელსაწყოს, რომელიც დიფრაქციულ ტალღებს გამოიმუშავებს, ცდის დროს ადვილად შეგვეძლება თავისუფლად შემოვუაროთ წინმხვდომ წინაღობებს, შემდეგ კი ვიმოქმედებთ კოჰერენტული პრინციპით, ანუ მოხდება დროში შეთანხმებული მიმდინარეობა ტალღოვანი პროცესისა, რომ ჩვენც შეთანხმებულად გადავიდეთ დროდან დროში, სანამ მას მოქმედებაში მოვიყვანდეთ, წინასწარ ფონს შეუქმნის დედამიწის მაგნიტიზმის, გრავიტაციისა და ელექტრომაგნიტური ველების ურთიერთშეწყობილი მოქმედება. რა თქმა უნდა, მისთვის ცალკე მოწყობილობა იქნება დასამზადებელი. აქამდე რაა გაურკვეველი?

- მე ფიზიკაში ღრმად არ ვარ ჩახედული, თუმცა, შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ველების შეერთება, გეკითხები - აფეთქებას არ გამოიწვევს?

- რასაკვირველია, თან ისეთს, რომ ამ ადგილზე ოკეანე წარმოიქმნება.

- მაშინ, თუ გიყვარვარ, გადაიფიქრე.

- აბა, თუ თევზის დაჭერა გინდა, შარვლის ტოტებიც უნდა დაისველო.

- დასველებას ვინ ჩივის, დავიხრჩობით!

- რა უცებ შეშინდი, ძვირფასო, ამ შეერთებაში გათვალისწინებული მქონდა მოცემული ველების შეთანხმებული მოქმედება გაერთიანების მიზნით და არა პირიქით!

- მაინც, სახიფათოდ მეჩვენება.

- უსაფრთხო ნამდვილად არ არის. რაკი შიში გძლევს, დროებით შევაჩეროთ, მაშინ ახლა გავალ და დანადგარის დამზადებას გავაგრძელებ.

რამდენიმე დეტალი მქონდა დარჩენილი, ისინიც მალე დავამზადე და თან ჩავუტანე მენეჯერს განყოფილებაში, მომდევნო დღეს დავამონტაჟე და მეორე ხაზიც გავხსენით.

მენეჯერი მარჯვედ უძღვებოდა თავის მოვალეობას, ხშირად მეორე ცვლაშიც უწევდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. ჩვენც გადავწყვიტეთ, გულმოდგინებისა და პასუხისმგებლობის გამოჩენისთვის ყოველთვიური პრემია დაგვეწესებინა.

- ახლა უფრო მეტი ინტენსივობით მოუწევთ გარჯა, - ვეუბნები მეუღლეს.

- რატომ, მეორე ხაზი ხომ შეამსუბუქებს ზეწოლას?

- საქმე ისაა, გენაცვალე, რომ უკვე უცხოეთიდანაც მიუღიათ დაკვეთა.

- ასე თუ გაგრძელდა, სულ მალე გაფართოებაზეც მოგვიწევს ზრუნვა.

- ფართობი საკმარისია, ძვირფასო, წინასწარ გავითვალისწინე, მეორე და მესამე სართულიც ჩვენ გვეკუთვნის, ასე რომ, ფართობზე ნუღარ ინერვიულებ.

- ყოჩაღ, რა კარგი ბიჭი ხარ, წინასწარ რომ გიფიქრია, ჩვენი მომდევნო მედიკამენტების დასამზადებლადაც კი სამკარისი იქნება.

- უდავოდ, აი, ამის შემდგომ რა მოჰყვება, ვის ეცოდინება?

- რომელი გაქვს მხედველობაში?

- თავბრუ რომ დაგახვია!

- „ვაუს" თქმა რომ ვერ შევძელი, არა? მაშინ რა მოგახსენო, ჩემო კარგო, მინუს პირველი სართულის მოწესრიგებაც დაგჭირდება.

- ჰო, მანამდე საკმარისი დრო გვაქვს, ჯერ შენ მეორე სამეცნიერო თემა მოამზადე, მერე სხვაზე ვილაპარაკოთ.

- რატომ არ მეხმარები თემის დამუშავებაში?

- მე ხომ გითხარი, თემის ძირითადი ნაწილი მზად მაქვს-მეთქი. შენი მაჩვენე, ვნახო მინდა, რა მოიფიქრე თუ ჩაწერე რამე?

- ათი გვერდი მზად მაქვს.

- ოჰ, ათი ნამეტანი მოგსვლია. ათი კი არა, ასი გვერდიც არაა სამკარისი.

- განა შენ არ იცი, რომ საკმარისი დრო არა მაქვს, მხოლოდ მცირე დროის გამოყენებით ვსარგებლობ.

- ახლა გაქვს საშუალება, თორემ მესამე ბავშვის შეძენის შემდეგ, საერთოდ ვერ მოიცლი.

- მართალი ხარ, არ გეკამათები, ვეცდები, როგორმე მოვახერხო.

- კეთილი, შენ ეგ მოახერხე, დასკვნით ნაწილსაც მე მოგიმზადებ.

- გმადლობ, ჩემო კარგო.

- პატარას მოვლინებამდე ხარისხსაც თუ დავიცავთ, საუკეთესო შედეგად ჩავთვლიდი, ახლა ბავშვებს სძინავთ, შენ თემას ჩაუჯექი, მე კი ქიმიური ქარხნის მესვეურებს დავუკავშირდები! - მინდოდა გამეგო, რა გადაწყვიტეს.

დავუკავშირდი არა მეწარმეს, არამედ შეფის მოადგილეს, რომლის კოორდინატებიც თავად მეწარმემ მიკარნახა. ნომრის აკრეფისთანავე მიპასუხა.

მივესალმე, თავი წარვუდგინე და მაშინვე ძირითად საკითხზე გადავედი.

- საწარმოს გადაიარაღებაში რა გიშლით ხელს?

- ხარჯებთან არის დაკავშირებული და ამიტომ ვაყოვნებთ.

- ამდენ ხანს გაჩერებული ქარხანა თქვენთვის არ არის ზარალი?

- რა თქა უნდა, არის!

- თქვენ იმიტომ არ ჩქარობთ, რომ ანალოგიური ნედლეულის წარმოება სხვა ტიპურ ქარხანას შეუთავსეთ, ამიტომ, აღარ თვლით მის უმოქმედობას ტრაგედიად. მასაც რომ იგივე ბედი ეწიოს, მაშინ რას გადაწყვეტთ?

ჩემი განცხადება მას არ მოეწონა, ჯერ დუმილი ამჯობინა, თითქოს ჩემი სიტყვის თქმას ელოდებოდა. ხმა რომ არ ამოვიღე, მერმედ თვითონ ინება შეკითხვა.

- რომელ მეორე ქარნახაზე მესაუბრებით, იქნებ გამაგებინოთ?

მეც ავუხსენი მისი ადგილმდებარეობა, რა დასახელების პროდუქციას აწარმოებდა ძირითადად და შეთავსებით. ასევე დავუსახელე სხვა საწარმოები, რომლებიც მათ განკარგულებაში იყო.

- საინტერესოა, ასე დაწვრილებით ინფორმაციას საიდან ფლობთ, ან თქვენს ვინაობას რატომ არ მიმხელთ?

- მე, სერ, საგანგებო დავალების შემსრულებელი ინსტრუქტორი გახლავართ, გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციიდან, ამ საიდუმლო ჯგუფში ოთხი პირი ვართ, ოთხივეს თავისუფალი მოქმედების უფლება გვაქვს მონიჭებული. მოვალეობა კი გარემოს უსაფრთხოების დაცვა და სხვა რიგი ქვეთავები გახლავთ. თქვენთან მზადდება მასობრივი განადგურების იარაღისთვის სპეციალური ქიმიური ნივთიერებები, რაც ყოვლად საშიში და დაუშვებელია. შევამოწმეთ საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის აიროვანი მასის შემცველობა. მომწამვლელი აირები დაშვებულზე ოთხჯერ მეტია. მოსახლეობაში დიდი ხანია შემჩნეულია სხვადასხვა სენისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, რაც სწრაფ რეაგირებას მოითხოვს. ასე რომ, სჯობს სოფლის მეურნეებისთვის ეკოლოგიურად სუფთა სასუქი გამოუშვათ, ვიდრე ქიმიური იარაღი შექმნათ. მოიფიქრეთ ხვალ საღამომდე, თუ არ გადაწყვეტთ, მთავარ აგრეგატს გავაჩერებთ!

- რას ამბობთ, ამას არ დავუშვებთ, შეფი უფრო განრისხდება.

- თქვენ თუ ვერ გადასცემთ, რაც მე გითხარით, დამაკავშირეთ და თავად მე ავუხსნი.

- არ მაქვს უფლება, ვინმეს მისი კოორდინატები გადავცე.

- კარგით, ხვალ დღის მეორე ნახევარში დაგიკავშირდებით და პასუხი დამახვედრეთ.

მას დავემშვიდობე, შემოვბრუნდი და ჩემი საქმიანობა განვაახლე.

დილით ერთი კვირის ინფორმაციები გადავსინჯე, სათანადო ანალიზი და კომენტარი დავურთე, მერე ჭირვეული ობიექტები გადავამოწმე, როგორც კვების პროდუქციის წარმოებაში, ასევე გარემოს დაცვის მხრივ, საერთო რაოდენობიდან ხუთ პროცენტს მაინც აღმოაჩნდა მცირე დარღვევები, დავუკავშირდი მათ და თითოეულს საყოველთაო მიზანი შევახსენე, თან შთაგონებითი მეთოდი ავამოქმედე.

უფრო მოგვიანებით შეფის მოადგილეს დავუკავშირდი. უმალ მიცნო.

- შეფს თქვენთან შეხვედრა არ სურს.

- რა მიზნით?

- ის თავად გეტყვით. არა დღეს!

- თუ მასთან არ დამაკავშირებთ, პირობის შესრულებას ვიწყებ.

- რას ამბობთ, ეგ არ დაუშვათ, მე კიდევ ერთხელ ვთხოვ, რომ თქვენთან კავშირზე გამოვიდეს.

მისი მრავალჯერადი თხოვნის შემდეგ, როგორც იქნა, ხაზზე გამოვიდა.

- გისმენ! - გაისმა მისი მძიმე და ბოხი ხმა.

- გამარჯობათ, სერ! - მივესალმე და მაშინვე საკვანძო საკითხზე გადავედი. დაწყებული საუბარი შემაწყვეტინა.

- თქვენთან შეხვედრა და დალაპარაკება მსურს. - მომიგო ყოველგვარი შესავლის გარეშე.

- სამსახურებრივი მოვალეობის გამო, სერ, ჩემთან შეხვედრა დაუშვებელია. მკაცრად ვარ შეზღუდული, თუმცა, მე ვიცი თქვენი შეხვედრის მიზანი.

- საიდან, ეს მხოლოდ მე ვიცი.

- თქვენ გსურთ, სერ. - ვცდილობდი ამეხსნა ის, რაც მას სურდა შემოთავაზების მიზნით. - თანამშრომლობა, ან გარკვეული თანხის საფასურად დაზავება, თუ ესენი არ გაჭრის, ნებისმიერი ხერხით ჩამომიშოროთ.

- ნამდვილად ასეა, ჩვენთან ითანამშრომლეთ და არ წაა-გებთ!

- პასუხისმგებლობა არ მაძლევს, სერ, საშუალებას, რომ თქვენი წინადადება მივიღო. ვწუხვარ.

- მაშ, უარს ამბობთ?

- უარს არ ვამბობ, ჩვენი თანამშრომლობა უკვე დაწყებულია, მე გთხოვთ, გადააიარაღოთ ქარხანა, რათა თქვენ მიერ წარმოებული პროდუქცია უსაფრთხო იყოს, ესაა და ეს, სხვას არაფერს გთხოვთ.

- სამწუხაროდ, ამას ვერ შეგპირდებით.

- მიზეზი, ვინც გავალდებულებთ, შემკვეთი, სხვა ინსტანციაა თუ წრედია შეკრული?

- ყველა ერთად! - მომიგო მოკლედ და მძიმედ ამოისუნთქა.

- მე მათ დაველაპარაკები, გპირდებით, რომ ორი დღის თავზე შეკვეთას აღარ მოგცემენ.

- არა, რას ამბობთ! - წარმოთქვა თითქმის შეშფოთებულმა.

- სერ, მე თქვენ არ ჩაგრევთ, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდება, დამიჯერეთ.

- არ მაქვს იმედი, ამიტომ, გთხოვთ, ნუ გაამძაფრებთ ვითარებას.

- მე არავის წაქეზებას არ ვაპირებ, მხოლოდ შევასრულებ ჩემს მისიას, მათ კი ჩავაგონებ, თუ როგორ სჯობია მოქმედება. ნახვამდის.

მასთან საუბარი რომ დავამთავრე, მაშინვე დავუკავშირდი ჭურვის დამზადების გასაიდუმლოებული ქარხნის ხელმძღვანელს, ავუხსენი, ვინ ვიყავი და რა თხოვნა მქონდა. საუბარი დაახლოებით ისე წარიმართა, როგორც შეფთან. მერე მათ ზემდგომთან გავედი კავშირზე, მან საერთოდ გამორიცხა ამგვარი წარმოება. ეს იმას ნიშნავდა, რომ მავანი მკაცრად ერიდებოდა მის აფიშირებას. არადა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უპირველეს ფუნქციას სწორედ საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოების შენარჩუნება წარმო-

ადგენს, რაც მითითებულია პირველ მუხლში, მაგრამ სადაც საბრძოლო ჭურვები გამალებით მზადდება, თანაც ისეთი, როგორიცაა მასობრივი განადგურების იარაღი, საყოველთაო მშვიდობის განტკიცებაზე საუბარი ზედმეტია. სანამ იარაღი იარსებებს, ამბოხიც გარდაუვალია.

ვნახოთ, კიდევ ვინ გამოჩნდება მთავარი აგრეგატების გაჩერების შემდეგ.

ჩემი კვლევითი განყოფილებიდან გამოვედი. მისაღებში ბუხრის წინ მდგარ სავარძელში ჩავჯექი და გავფიქრიანდი.

- მოხდა რამე? რაღაც აღელვებული ჩანხარ. - შეამჩნია ჩემი დამძიმებული ხასიათი მეუღლემ.

- მოხდა ის, რომ მატერიალური ფასეულობების გამო კულტურული ხასიათის პრობლემების მოგვარება მეორე პლანზე ინაცვლებს.

- ვერ შეთანხმდით?

- რასაკვირველია, ვერა. თუმცა, იმედი მაქვს, რომ კარგად დასრულდება. გარკვეულ დროს საჭიროებს, მხოლოდ ეს არის დაბრკოლება. დანარჩენი ობიექტები თითქმის მწყობრში ჩადგა. საზოგადოება ჯანსაღი საკვებით იკვებება. შედარებით სუფთა ჰაერს სუნთქავს. თუ ჩვენი სამედიცინო კანონპროექტი დაემატება, რომელიც პარლამენტში პირველი მოსმენით უკვე განიხილეს, სხვათა შორის, მრავალმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, მენდე, სულ მალე, ღირსეული მომავლის მომსწრე გახდები.

- მომავალს როცა ახსენებ, შენ მიერ წარმოთქმული ჰიპოთეზა მახსენდება.

- თანაც, მოგზაურობაზე ფიქრობ, არა?

- კი, სურვილი მაქვს, თუმცა შიში უფრო მაწუხებს.

- კეთილი, ახლა შენ ის მითხარი, ფეხმძიმობა როგორ მიდის?

- ძალიან კარგად. არავითარი დისკომფორტი!

- შესანიშნავია, მაშინ ისიც მითხარი დისერტაციის თემის რა სტადიაზე ხარ?

- კიდევ რამდენიმე გვერდი მივამატე.

- ყოჩაღ. არ მოდუნდე, გააგრძელე სრული სვლით. ერთ თვეში მზად უნდა გქონდეს. ბავშვებიც მალე ერთი წლის გახდებიან. ასე რომ, მას არ უნდა გადავაცილოთ. ამ დღეებში ყოფილ ხელმძღვანელს დაუკავშირდი და აუხსენი ვითარება.

- რას იფიქრებს, არ იტყვის, სად ძერწავთ ასე მალე ამგვარ საუცხოო მიგნებებს, იქნებ ჩვენც გაგვანდოთო?

- მერე შენც უთხარი, საკუთარი საბადო გაგვაჩნია-თქო. ახლა გამახსენდა, გავალ, მენეჯერს დაველაპარაკები, გავიგებ, რა ხდება.

- აქედან რატომ არ ელაპარაკები, საიდუმლოა რაიმე?

- ხომ იცი, რომ ბავშვებთან აპარატით სარგებლობას ვერიდები. მიუხედავად იმისა, რომ ვანეიტრალებ მის რადიაციას, მათთვის მცირე დოზაც საკმარისია.

- მჯერა. მეც მაინტერესებს, როგორ აუდიან დაკვეთებს. - მითხრა და ბავშვებს მიუბრუნდა.

მენეჯერი სულმოუთქმელად ელოდებოდა ჩემს ზარს. კაბინეტში გადი-გამოდიოდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

- შემოწმებაზე იყვნენ ჯანდაცვის სამინისტროდან! - დაიწყო ათრთოლებული ხმით,

- ნუ ღელავ, დაწყნარდი და ისე მითხარი.

- შენ კარგად იცი, რომ აქ ყველაფერი წესისამებრ მაქვს მოწყობილი. თანამშრომლები შენობაში შემოსვლისთანავე იცვლიან სამოსს, ფეხსაცმელს, თავსაბურავით და პირბადით შედიან განყოფილებაში. ერთი სიტყვით, დაცულია ყველა წვრილმანიც კი, ნედლეულის შენახვისა და დამზადების წესიდან პრეპარატის გამოშვებამდე. დარღვევა რომ ვერაფერი ნახეს, მიზეზი მაინც მონახეს, ისიც არაობიექტური.

- რა მიზეზი?

- განყოფილებაში, სადაც პრეპარატები მზადდება, ჟანგბადის ნაკლებობა არისო, თუ ხვალ სპეციალურ ბალონებს არ დაამონტაჟებთ, დროებით შეწყვეტთ მუშაობასო. მე თქვენი მიკვირს, ვეუბნები მათ, მედიკამენტების წარმოე-

ბის წესდებაში ასეთი მითითებები არ არის და თქვენ რატომ თხოულობთ-მეთქი?

- რა გიპასუხეს?

- ეს ახალმიღებული წესდებაა და ყველას მოეთხოვება, დაიცვან აღნიშნული ნორმები.

- გასაგებია. აქ სხვა მიზეზი უფრო არსებობს, ვიდრე ჟანგ-ბადის ნაკლებობა.

- რა?

- კონკურენტების მაქინაციებს უფრო წააგავს, შურის ნია-დაგზე გამოწვეულს!

- დარწმუნებული ხარ?

- რაღა თქმა უნდა, მათი მედიკამენტების რეალიზაციის შემცირების გამო ხდება ეს ყველაფერი.

- რა უნდა ვიღონოთ?

- შენ მათი ვინაობა მითხარი, დანარჩენს მე მივხედავ.

მენეჯერმა მომაწოდა თუ არა თითოეულის მონაცემები, მაშინვე დავუკავშირდი ჯერ კომისიის ხელმძღვანელს და უსაფუძვლო სანქციის მოხსნა ვთხოვე.

როცა მისგან უარყოფითი პასუხი მივიღე, იქით ვკითხე:

- კარგით, მაშინ მითხარით, რამდენი პროცენტი ჟანგბადი უნდა იყოს მედიკამენტების შექმნის პროცესში?

- რამდენიც საჭიროა!

- მეც ეგ საჭიროება მაინტერესებს.

- ოცდაშვიდ პროცენტზე მეტი.

- რას ამბობთ, აიროვანი გარსი, რომელიც დედამიწას გარს აკრავს, შეიცავს მხოლოდ, ზუსტად რომ იცოდეთ, ოც მთელსა და ოთხმოცდათხუთმეტ პროცენტს, განყოფილებაში როგორ იქნება თქვენ მიერ დასახელებული რაოდენობა?! თუ ეგ თქვენი დადგენილი ნორმაა? ასე რომ, უკვე ცხადია, მისმა კონკურენტებმა გარკვეული თანხის სანაცვლოდ იქ რევიზიის ჩატარება გთხოვეს!

- არავითარი თანხა, ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ.

- კარგით, თქვენ თქვენი შეასრულეთ, მე კი ჩემს ვალდე-ბულებას მივხედავ.

- თქვენი რა არის? - სასწრაფოდ დაინტერესდა ჩემი საქმიანობით.

- ჯერ თქვენი ავტომობილის გამონაბოლქვი აირიდან დავიწყოთ, რომელიც სტანდარტს არ ექვემდებარება, ამიტომ სამსახურის შემდეგ ფეხით მოგიწევთ შინ წასვლა.

- რას ამბობთ, ახლავე ჩავალ და შევამოწმებ!

- რომც ჩახვიდეთ, ძრავას მაინც ვერ აამუშავებთ.

- როგორ ვერ ავამუშავებ?

- უბრალოდ დაბლოკილია. მეორე, კორუფციაში დაგედებათ ბრალი და ასე შემდეგ, თუ ხვალ სანქცია არ მოიხსნება, უფრო გაგირთულდებათ პრობლემები, ასევე მათ, ვინც თან გახლდათ. ნახვამდის.

მასთან საუბარი რომ დავამთავრე, მენეჯერთან აღვადგინე კავშირი და გადავეცი, გაეგრძელებინა წარმოება ნორმალურ რიტმში, ფხიზლად ყოფილიყო და შენობაში უცხო პირი არავინ შეეშვა, შესასვლელში დაცვა დაეყენებინა და ეკონტროლებინა თვით თანამშრომლებიც კი. მე, ჩემი მხრივ, ლაზ-თვალი დავაყენე, ერთიც - თვით მსხვილი ფარმაცევტული კომპანიის ოფისში.

გასვლა რომ დამაგვიანდა, მეუღლემ გააღო კარი და შემომჩივლა.

- რაღაც დიდხანს გაგიგრძელდა საუბარი, მოხდა რამე?

- რასაც ველოდი, ის მოხდა!

- არ იტყვი, რა სადარდებელია ჩვენს თავს?

- გეტყვი, შენც უნდა იცოდე. - დავპირდი და თან შევუდექი თანმიმდევრობით მოყოლას.

- კარგია, რომ სწრაფად დაგიწყია მოქმედება.

- მათ ადგილზე ალბათ სხვაც ამ გზას აირჩევდა. როგორმე კონკურენტი ჩამოიცილონ და არ დაეძებენ - როგორ!

- ეგ ხომ არასწორი მიდგომაა!

- მართალი ხარ, სასტიკად ეწინააღმდეგება ჯანსაღ კონკურენციას.

- შენ რას ფიქრობ? - დაინტერესდა ჩემი მომავალი ქმედებით.

- თუ სანქცია არ მოიხსნა, უნდა ვიმოქმედო.

- როგორ?

- ჯერ კანონის ფარგლებში, მერე კი დაუწერელი კანონის მიხედვით.

- სახელდობრ?

- ჩვენ გვაქვს ერთი კარგი მეთოდი, რომელიც რამდენჯერმე გამოვიყენეთ და არცთუ ისე ურიგოდ.

- შთაგონების მეთოდზე ამბობ?

- დიახ, საშუალო სიძლიერის ერთი სეანსი და არასწორი განზრახვა გადაფიქრებულია!

- როდის უკავშირდები?

- მაზეგ, დღის მეორე ნახევარში თუ სანქცია არ მოხსნა, ვიწყებთ და ამ გზით მოვაგვარებთ ამ პატარა დაბრკოლებას. ხოლო რაც შეეხება მეორე დიდ პრობლემას, მასაც ორი დღის შემდეგ უნდა დაველაპარაკო.

- კერძოდ?

- შეფს. ის უნდა დავარწმუნო, რომ კაცობრიობის მომავლისთვის არასწორი ნაბიჯია გადადგმული, რომ მასობრივ გამანადგურებელ იარაღს შეუძლია გამოიწვიოს ცოცხალი ბუნების საერთო გადაგვარება, მოსპობა.

- მაშინ, ყველა ის, რაც აქამდე შექმნილა, უნდა გაანეიტრალო, აი გამოსავალი.

- უზადო აზრია, - მოვუწონე ნააზრევი, - თავდაპირველად საჭიროა გავიგოთ, სად გავიდა მათ მიერ შექმნილი ყველა სახეობის იარაღი. დავაზუსტოთ, ვის მფლობელობაშია და ოპერაცია მერე დავიწყოთ.

- ატომურ იარაღზე რას ფიქრობ?

- მისთვის ცალკე ოპერაცია დაგვჭირდება. ჯერ რაც დაწყებული გვაქვს, მასზე ვიზრუნოთ.

- აუცილებლად, მე მზად ვარ!

- მერე რაიმე კერძს გაგიკეთებ.

- ძალიან კარგი, წავედით. აბაზანა გველოდება, გზაში კი სიახლეს გაგაცნობ.

- აქედანვე დაიწყე, რა გიშლის ხელს?

- კარგი, გენაცვალე, ეს არის მაცივარი, რომელსაც ახალი მექანიზმი უნდა დავუმზადო, მერე აღარ დაგჭირდება მისი გამოღება, არჩევა და ფიქრი, რისგან რა უნდა გააკეთო. შიგნით განთავსდება ყველა ინგრედიენტისთვის განკუთვნილი მექანიკური თარო. გარეთ კი - ელექტრომენიუ. აირჩევ ეკრანზე ნაჩვენებ სასურველ კერძს და მიანიშნებ, მექანიზმი თვითონ შეარჩევს, კერძისთვის რაა საჭირო და რამდენი ერთეული, თვითონვე გადაიტანს თაროებიდან არჩეულ რაოდენობას მეორე განყოფილებაში დასამზადებლად და თავად მოგცემს სიგნალს, რა დროსაც კერძი მზად იქნება, ორშვილიან დედას უეჭველად წაადგება.

- გამარკვიე, ნებისმიერ კერძზეა საუბარი?

- ეს დამოკიდებულია სურსათ-სანოვაგეზე. რა დასახელების ბოსტნეულიც გექნება ჩაწყობილი თაროებზე, მისგან რომელი კერძის დამზადება შეიძლება, იმას გიჩვენებს ეკრანიც, აბა, არაფრისგან რას დაგიმზადებს?

- ადრე რატომ არ მოიფიქრე?

- შენ რომ შეგეხსენებინა, ახლა მზად მექნებოდა.

- უცებ გადმომაბრალე, არა?

- სხვათა შორის, ხელით დამზადებულს უფრო კარგი გემო ექნება, ვიდრე მისგან გაკეთებულს.

- მეც გეთანხმები, კერძს კიდევ ბიოენერგია ემატება.

- ჭეშმარიტად, დამატებით არომატს იღებს მაშინ, როცა დიასახლისი კარგ ხასიათზეა!

- ჰმ, შეუწყოს მამასახლისმაც ხელი და მეუღლეც გემრიელს დაუმზადებს.

- კეთილი, აბა ახლა მითხარი, ქარიშხლის წარმოქმნას რომელი მხარე უწყობს ხელს?

- თქვენ, მამაკაცები! - მომიგო თავის თავში დარწმუნებულმა.

- მე ვიტყვი, რომ მეტი წილი ქალებზეა.

- ვითომ რატომ მაინცდამაინც ჩვენ? - გაიკვირვა.

- ალბათ იმიტომ, რომ გრძნობით გიწევთ ცხოვრება. გრძნობები, ჩემო კარგო, მე თუ შემეკითხები, ქვეცნობიერად უფრო ინსტინქტებზეა დამოკიდებული, რომლებიც ანგარიშ-

მიუცემლად ილტვიან მოთხოვნილებისკენ, ზოგჯერ გსურთ ის, რაც ერთდროულად სასიამოვნოც არის და მტკივნეულიც, ხოლო რაც შეეხება დაუკმაყოფილებელ გრძნობებს, ხშირად ვულკანის ამოფრქვევის საბაბი ხდება ხოლმე.

- თუ შენ ასე ფიქრობ, მაშინ მამაკაცები მისი გამღვივებლები ხართ. მოკლედ რომ გითხრა, უერთმანეთოდ არაფერიც არ წარმოიქმნება. ისიც შემიძლია ვთქვა, რომ ორი საპირისპირო ნიშნის გარეშე არსად არც ვულკანი, არც „ურაგანი“ და არც რაიმე იწყებს წარმოშობას!

- დარწმუნებული ხარ?

- თუ სამყაროს ორი ძალა მართავს, მაშინ კი.

- რომელი გაქვს მხედველობაში, მატერიალური თუ არამატერიალური?

- მე ვფიქრობ, რომ იქაც იარსებებს ანალოგიური კანონზომიერება.

- გეთანხმები, ელემენტები, რომლებიც ბუნების ფიზიკური სხეულების შემადგენლობაში არიან, არაა გამორიცხული, არამატერილური სამყაროსაგან იყოს წარმოშობილი და ის იყოს საფუძველი სრულიად მატერიის, - რას იტყვი?

- არც მე გამოვრიცხავ.

- თუ იქ ვიმოგზაურებთ, მაშინ ადვილად დავრწმუნდებით პირველ საწყისშიც.

- კარგი, შეჩერდი, უცნაურად გამაჟრჟოლა!

- რა მოხდა?

- მოგზაურობას რომ ახსენებ, ოკეანის წარმოქმნა მახსენდება, ჯერ მომავალში მოგზაურობა გინდოდა, ახლა - უხილავ სამყაროში.

- მე მინდოდა? - შევიცხადე - შენ არ მოისურვე, მაინტერესებს ჩემი მომავალიო?

- მერე, შენ შემაშინე ველების შეერთებით, ახლა, ვინ იცის, რას შეაერთებ!

- კარგი, ძვირფასო, როცა მოინდომებ, თანდათან შემომაპარე, ერთბაშად ნუ განმიცხადებ, მეც შენნაირი ადამიანი ვარ.

- უეჭველად, წინასწარ მოგამზადებ მოსასმენად.

- ასე აჯობებს, მოულოდნელობამ მოკლე ჩართვა არ გამოიწვიოს!

- ხანდახან შენი ქარაგმები ამოუცნობია ხოლმე ჩემთვის.

- მაინც, როგორი?

- ვერ ვიტყვი, რომ კარგია.

- რატომ?

- მის ამოცნობაში დროს ვკარგავ.

- ოხ, შენც დაკავებული ხარ სამეცნიერო მოკვლევებით!

- ნამდვილად ვარ.

- მაშ, მე რაღა უნდა ვთქვა?

- შენ მამაკაცი ხარ და უნდა შეძლო, მეტი ძალა და ენერგია გაქვს.

- შენ კი, ჩემო დედოფალავ, მეტი გულმოდგინეზის, გამძლეობის, ზრუნვის, შეძლებისა და ალღოს უნარი გაგაჩნია!

- რა ამბავია, რა კორიანტელი დააყენე?

- მე კიდევ ბოლომდე არ ჩამომითვლია.

- დანარჩენი შემდეგისთვის შემოინახე.

- კარგი, მოდი, ახლა მე გავალ და ახალი ტექნოლოგიის მაცივრის შექმნას შევუდგები. ხომ გაქვს სურვილი?

- ერთი სული მაქვს, როდის გექნება მზად.

მეუღლე და ბავშვები ბანაობის შემდეგ მისაღებში დავტოვე, მე კი ჩემს სამუშაო ადგილს მივაკითხე.

ჯერ, მისი კონსტრუქციული მოდელი, მერე მისი მიკროსქემა დავასრულე, შემდეგ ნაწილებისა და დეტალების შექმნა დავიწყე. დასასრულს, აწყობამდე ცოტა დავისვენე, ახალ ამბებს მოვუსმინე და კვლავ გულდასმით განვაგრძე მისი სისრულეში მოყვანა...

ვახშმამდე ახალი ტექნოლოგიის სამკარიანი მაცივარი უკვე მზად მქონდა.

მეუღლემ დაინახა თუ არა, ხილვით აღტაცებულმა იმავ წუთს თაროდან ფოტოაპარატი ჩამოიღო და ყოველი კუთხიდან სურათის გადაღება დაიწყო.

- სურათებს რატომ უღებ, ძვირფასო, საძინებელში გინდა ჩამოკიდო?

- არა, შეცდი, აბაზანაში, რისთვის და ალბომისთვის, ძალიან მომეწონა და ამიტომ.

- მადლობა, გენაცვალე.

- რისთვის მიხდი მადლობას?

- ხელობა რომ დამიფასე და აღიარე.

- რაც შეგიძლია, ყოველთვის ვაღიარებ ხოლმე.

- ერთი წუთით ბავშვებისკენ გაიხედე, შეხედე, ახალი სათამაშოებით რა კარგად ირთობენ თავს. ფიგურებს როგორ მოხერხებულად აწყობენ. ჯერ ერთი წლის არ არიან და შესანიშნავ გამჭრიახობას იჩენენ. ნეტავ ვის გვანან? ალბათ უფრო დედისკენ არიან.

- უყურეთ, ბავშვებო, მამას, თავის თავს ირიბად რომ იქებს, მე უფრო რატომ და შენ არა?

- ხშირად არიან დედასთან და მეც ამიტომ ვთქვი. შენ კვებავ რძით, ენერგიით, აცმევ და ახურავ, თავიანთ ენაზე ეტიტინები, ეს გარკვეულწილად მოქმედებს ბავშვების ფსიქიკაზე!

- აი, აი, რას არ გამოიგონებ, რომ თავი გაიმართლო, კი მაგრამ, მემკვიდრეობა რატომ არ აღნიშნე, თუ მხოლოდ ჩემი სასქესო უჯრედით მოხდა განაყოფიერება? ზიგოტა რომ წარმოიქმნას, გენაცვალე, ორივე სქესის სასქესო უჯრედების შერწყმაა საჭირო. ასე რომ, ბავშვებში გადადის ორივე მშობლის მემკვიდრეობითი თვისება.

- რასაკვირველია, ძვირფასო, თუმცა დასაშვებია, დედის მემკვიდრეობითი ფაქტორების ერთობლიობამ ერთ ბავშვში მოიყაროს თავი, ხოლო მამის - სულ მცირე იყოს.

- თეორიულად შეიძლება.

- რაკი შეიძლება, პრაქტიკა მხარს დაუჭერს. კარგი, საკმარისია, სჯობს პატარები დავაძინოთ, მერე ცოტა წავივახშმოთ და ჩვენს დაძინებადე სამეცნიერო თემას კიდევ რაღაც მივუმატოთ.

თემის ძირითადი ნაწილი მე მზად მქონდა, მხოლოდ დასკვნით ნაწილზე ვმუშაობდი, არც მას ჰქონდა ბევრი სამუშაო დარჩენილი.

გვიან ღამემდე, სანამ შეგვეძლო, ვმუშაობდით...

მომდევნო კვირის თავზე საერთოდ დავასრულეთ და

თან ყოფილ ხელმძღვანელს შევეხმიანეთ, გაუხარდა. მოვიკითხეთ, ავუხსენით ჩვენი მდგომარეობა. გულწრფელად შეგვაქო და თანადგომა აღგვითქვა.

- აბა, ახლა გადაიკითხე და დაიმახსოვრე? - ვეკითხები გახარებულ მეუღლეს, - უმთავრესი საკითხები, ისეთებიც, რომელთა გარშემო კითხვები ისმება, ამჯერადაც უნდა იმარჯვო.

- უსათუოდ, განა მარტო ერთხელ, დანიშნულ დრომდე რამდენსაც მოვასწრებ.

- ცოტას ხომ არ შიშობ?

- ცოტას კი!

- იქნებ, რას იტყვი, დასაცავად შენ მაგივრად რომ გავიდე? - წავეოხუნჯე მოშიშარ მეუღლეს.

- ისევ დაიწყე? მაგით კი არ ოხუნჯობ, უფრო მაბრაზებ.

- ჰო, კარგი, აღარ გავაგრძელებ.

- შენ ის თქვი, ბავშვებს რომ ერთი წელი უსრულდებათ, არ აღვნიშნოთ?

- ერთი წლის აღნიშვნა რომ არ შეიძლება?

- რატომ?

- ასეთი წესი ჰქონდათ წინაპრებს. ალბათ, არ არის მიზანშეწონილი.

- კარგი, როგორც იტყვი, ხომ არ მოგშივდა?

- ჯერ მათ შეფს მინდა დაველაპარაკო და მერე.

- მეც მაინტერესებს, რა გადაწყვეტილება მიიღეს.

ვინაიდან მას პირდაპირი კავშირი გახსნილი არ ჰქონდა, კვლავ მის მოადგილეს დავუკავშირდი.

- გამარჯობათ, სერ, როგორ ხართ?

- თქვენ ხართ, გმადლობთ, კარგად ვიყავით, ახლა ჩვენთან ძალიან არეულობაა თქვენ გამო, დაგეძებთ და ვერსად მიგაკვლიეთ!

- მე ხომ ხაზზე ვარ, რა, ძნელია ჩემთან დალაპარაკება?

- პირადად სურს შეფს, რომ გნახოთ.

- პირადად რატომ? ისე ვერ ახერხებს ჰუმანური ნაბიჯის გადადგმას, თუ ისევ ძველი საქმის გაგრძელება ურჩევნია?

- ვინ სპეციალისტი არ მოვიყვანეთ დედამიწის ზურგიდან, მაგრამ აგრეგატი ვერა და ვერ ავამუშავეთ, რა გაუკეთეთ ასეთი, ვერაფრით რომ ვერ შევძელით მისი ამოქმედება?

- ამოქმედდება მაშინ, როცა საწარმო გადაიარაღდება!

- შეფმა კავშირი გახსნა და ხაზზე გელოდებათ.

მან იგივე საჩივარი წამოაყენა, რაც მისმა მოადგილემ, მხოლოდ ერთი განსხვავებით, დაჟინებით მთხოვდა პირადად შეხვედრას. არადა, ჩემთვის გასაგები იყო, თუ რა განზრახვით სურდა ჩემი ნახვა. ჯერ ერთი, რომ ჩემი გამოჩენა არ შეიძლებოდა და მეორე, თუ მივიდოდი, ყოველგვარი უსაფრთხოების ნორმების დაცვით, ის კი ამით უფრო გაირთულებდა მდგომარეობას.

- რატომ ამბობთ უარს შეხვედრაზე? - კიდევ ერთხელ გამიმეორა თხოვნა.

- შეხვედრის დროს დამატებით ახალს ვერაფერს გეტყვით, რაც უკვე მითქვამს, მას ვერაფერს გამოვაკლებ, თუ რისამე თქმა გსურთ, მე მზად ვარ, მოვისმინო.

- ჯიუტობთ, ყმაწვილო, მე კარგ სამსახურს გთავაზობთ, საუკეთესო ანაზღაურებით და პრივილეგიებით!

- უღრმესი მადლობა, სერ, რაც შეეხება ჩემს პირობებს, თავად ხელმძღვანელი ცდილობს ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ვიყო, რათა ვიფიქროთ არა ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე, არამედ უშუალოდ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე.

- ზედმეტი მონაგები არავის გადაუყრია, პირიქით, ამდიდრებენ საკუთარ ბიუჯეტს!

- გულუხვობა სიკეთეა, სერ, მაგრამ მფლანგველობა - ზიანის მომტანი, ამიტომ გაუფრთხილდით თქვენს კაპიტალს. ახლა დროა მითხრათ, რა გადაწყვიტეთ?

- დასკვნა ჯერ არ მიმიღია.

- თუ ისევ ფიქრობთ, კიდევ სხვა ქარხანას შეუთავსოთ ქიმიური ნივთიერებების წარმოება, მასაც იგივე ბედი ეწევა. კვლავ კონტროლზეა აყვანილი ყველა თქვენი კოორდინატი, ამიტომ, თუ ახლო მომავალში შედეგი არ დავინახე, ვიწყებ მოქმედებას!

- რაში გამოიხატება, ყმაწვილო, თქვენი ეგრეთ წოდებული მოქმედება?

- უბრალოდ, გადავამოწმებთ, სერ, თქვენს ქსელში კიდევ ვინ ფიგურირებს და სხვა საეჭვო სფეროებს. სულ ეს არის ამ ეტაპზე.

- თუ იცით, ეს ღონისძიებები რას მოგიტანთ?

- საერთაშორისო უსაფრთხოებას, მშვიდობას, ადამიანთა უფლებების დაცვასა და ომის პრევენციას!

- თუ იცავთ, რატომ არსებობს დღესდღეობით სხვადასხვა რეგიონში დაძაბულობა, კონფლიქტური და საომარი სიტუაციები?

- მართალი ხართ, სერ, ახლა წარსულს ჩაბარდება, რაც ჩვენი საგანგებო სამსახური შეიქმნა, საკმაოდ შემცირდა, სულ მალე, რაც ჩამოთვალეთ, მისი კერა საერთოდ აღარ იარსებებს!

- რა სამსახურებრივ მექანიზმს ფლობს ასეთს თქვენი მცირე ჯგუფი?

- ისეთს, რაც ათასობით საუკუნემ ვერ მოახერხა. რომ დარწმუნდეთ, შეგიძლიათ შეამოწმოთ ერთი წლის განმავლობაში სატელევიზიო არხების მიერ გადმოცემული ინფორმაციები და შეადაროთ ბოლო სამი თვის მონაცემებს. აშკარად შეამჩნევთ სხვაობას. ზუსტად ოცდაშვიდი პროცენტით არის შემცირებული ცუდი ფაქტების გაშუქება.

- საინტერესოა, როგორ უნდა გაუმკლავდეთ დღეს არსებულ უზარმაზარ ძალას, როცა ამდენი ატომური, ბიოლოგიური, ქიმიური, ფსიქოტროპული იარაღია დედამიწის ყოველ რეგიონში?

- ძალიან მარტივად, სერ!

- ყმაწვილო, თქვენი სიმარტივე ჰუმანური იარაღია, თუ გაქვთ ისეთი, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ?

- აი, მაგალითად, მე თქვენ ორჯერ გთხოვეთ, არ გეწარმოებინათ მასობრივი განადგურების იარაღისთვის ქიმიური ნივთიერებები, მაგრამ, ამაოდ. მესამე თხოვნას აზრი აღარ ექნებოდა და ამიტომ გავთიშე მთავარი აგრეგატი, რომ წარმოება გადაგეიარაღებინათ. ჯერ კიდევ ფიქრობთ, რო-

გორ მოიქცეთ, მე გირჩევთ სხვა სახის პროდუქციის წარმოებას, რაზეც ადრე გვქონდა საუბარი და მეორე, თუ ზემოთ დასახელებული იარაღის მფლობელები თავად არ გაანეიტრალებენ საკუთარ არსენალს, ჩვენ შევძლებთ თითოეული იარაღის გაუვნებელყოფას. აქვე თქვენი შემდეგი კითხვის პასუხსაც მოგახსენებთ.

- რა იცით, ყმაწვილო, რა კითხვა უნდა დამესვა?

- ახლავე გეტყვით, სერ.

- გისმენთ!

- თქვენ კიდევ გსურთ გაიგოთ, თუ რა ძალით ან რა საშუალებით მოვახდენთ განიარაღებას.

- მართალი ხართ, უამრავი არსენალის განეიტრალება ხუმრობა არ არის. მით უმეტეს, ყველა მათგანი კოდირებულია. როგორ შეძლებთ, რაღაც სიმართლესთან შორსაა.

- კარგით, სერ, ახლახან დამზადებული ბალისტიკური რაკეტა თქვენი მეგობრის სამხედრო ნაწილის საწყობში ინახება გამოსაცდელად, სანამ გამოცდით, მანამდე გავაუვნებელვყოფთ. მიდით ზეგ და დაესწარით მის გაშვებას, რათა დარწმუნდეთ, ჭეშმარიტებას ვამბობ თუ არა. ჩვენ უკვე ყველა მესვეურს გავუგზავნეთ სპეციალური მიმართვა, კიდევ ერთხელ შევეხმიანებით. თუ დადებითი პასუხი არ მოჰყვა, დაუყოვნებლივ ვიწყებთ ოპერაციას!

- საკვირველი ვინმე ჩანხართ, ყმაწვილო, თქვენთან თანამშრომლობა დიდ დახმარებას გამიწევდა, სამწუხაროდ, თქვენ არ გსურთ, მე კი თანახმა ვარ.

- ჩვენ ხომ უკვე ვთანამშრომლობთ, სერ, პრობლემა ის არის, რომ ურთიერთშორის ვერ ვრიგდებით. თქვენ გინდათ დიდძალი კაპიტალის დაგროვება, მაგრამ არ ფიქრობთ, რა ფასად, დაიწყეთ ისეთი საქმიანობა, სარგებელს რომ მოიტანს, მე თანადგომას გპირდებით!

- მაინც, რას მთავაზობთ?

- მე კი არა, ეს თქვენ უნდა მოიფიქროთ!

- იქნებ თქვენ გაქვთ რაიმე აზრი?

- თუნდაც ისეთი ავტომანქანის სერიული გამოშვება,

რომლებიც გარემოს არ დააბინძურებენ, გამოიყენეთ მზისა და წყლის ენერგიები, ასევე შესაძლებელია ელექტროობის დამგროვებელი მოწყობილობებისა და ინერციული აკუმულატორის გამოყენება.

- აზრი კარგია, ყმაწვილო, საქმის დაწყება და აწყობაა რთული!

- თქვენთვის რთული არ იქნება, თუ მიზანს დაისახავთ. დაასაქმეთ თანამოაზრენი და შედარებით გაგიადვილდებათ იდეის წამოჭრა.

- ჰაი, რა ადვილად მსჯელობთ. სწორედ გამოგონებაში არის დიდი თანხა გასაღები, მერე მისი ტექნოლოგიურად გამართვა კი ცალკე საკითხია!

- როგორ, თქვენ თანხაზე საუბრობთ, როცა თავისუფლად შეგიძლიათ შეიძინოთ კუნძული ან უდიდესი ინდუსტრიული ცენტრები?

- ჩემი კაპიტალი ყველგან დაბანდებული მაქვს, ძირითადად უძრავ ქონებაში.

- საამისო თანხა ყოველთვის გამოგეძებნებათ, მოინდომეთ და დაიწყეთ, თუ ვინიცობაა, კონსტრუქტორს ვერ მოიძიებთ, მე შემიძლია რომელიმე მათგანი უსასყიდლოდ დაგიმზადოთ.

- ეს რას ნიშნავს, ჰუმანიტარულ აქციას მთავაზობთ?

- იმ შემთხვევაში, თუ ვერავინ მოგიხერხებთ ახალი ორიგინალური მოდელის შექმნას.

- და თუ ეს თქვენ შეძელით, ყმაწვილო, მაშინ ნამდვილად დავრწმუნდები თქვენი ესოდენ გასაიდუმლოებული სამსახურის მართლაც საგანგებოდ შერჩეული და მომზადებული თანამშრომლების სიმართლეში!

- ჩვენი სამსახური აფიშირებას არ საჭიროებს, ჩვენ მხარში ვუდგევართ ყველას, ვინც თითოეული ადამიანის ღირსებას პატივს სცემს, ხელს უწყობს მათ უფლებათა დაცვას, ფიქრობენ მომავალი თაობის პრობლემებზე და ზრუნავენ მათ მოგვარებაზე, ხოლო, ვისაც საპირისპირო განზრახვა ამოძრავებს, ვცდილობთ, როგორმე გარდავქმნათ მისი გონება.

- მე ამდენ ხანს არავის ველაპარაკები, მით უმეტეს, ყმაწვილს. თქვენ ერთადერთი გამონაკლისი ხართ, მათ შორის. ალბათ თქვენმა თავდაჯერებულმა და საგულდაგულო ლოგიკამ შემიყოლია.

- გმადლობ, სერ, დაფიქრდით ჩემს წინადადებაზე. იქაც უსათუოდ ნახავთ დიდ მოგებას. ახლა დაგემშვიდობებით, კავშირზე ვიქნები!

მას რომ ვესაუბრებოდი, მეუღლე მშვიდად იჯდა სავარძელში და ყურადღებით მისმენდა.

- ვინ არის ეს პიროვნება, ასე ომახიანად რომ ლაპარაკობდა?

- მაღალი რანგის თანამდებობის პირი, რომელმაც კაპიტალის კონცენტრაციის საფუძველზე წარმოქმნა მსხვილი გაერთიანება და ცდილობს კონტინენტზე გაბატონებას.

- რას უპირებენ ქარხნებს, მხედველობაში მაქვს ისინი, რომლებიც გაჩერებულია.

- ჯერჯერობით გაურკვეველია მათი ბედი, არც დემონტაჟი სურთ, არც გადაიარაღება.

- რას ელოდებიან?

- ცდილობენ, როგორმე შეაკეთონ მთავარი აგრეგატი.

- ეგ ხომ შეუძლებელია?

- ცხადია, ამაოდ ირჯებიან, ესეც იციან. დაველოდოთ დროს. ჩვენმა ატმოსფერულმა ბადემ შეიძლება მანამდე იმოქმედოს, თუ არა შთაგონებითი მეთოდი.

- რა კარგია, რომ ინფორმაციული ენერგიის მიმოქცევის რამდენიმე ალტერნატივა გვაქვს!

- მათ უნდა გამოვამუშავებინოთ სწორი, მიზანმიმართული ფიქრის უნარი, რომ იმსახურონ გულდაგულ და სამართლიანად. ამასობაში ხომ არ გადაგიფიქრებია კერძის დამზადება?

- მითხარი, რას დააგემოვნებ და მას შევუკვეთავ მაცივარმზარეულს.

- არ აჯობებს, მამაპაპურად ბუხარში რომ გაგვემზადებინა? ბასტურმა და მჭადის ფქვილი, სულგუნი ჩავხარშოთ

ღომში. ქორფა მწვანილსა და ბოსტნეულს ჩვენი სასათბურე მეურნობიდან ამოვიტან. შენ დაიწყე, მეც მალე ამოვალ. აბა, ჰე, დავტრიალდეთ!

- მწვანილებიდან, ვფიქრობ, შეხსენება არ გინდა, რა არ უნდა დაგავიწყდეს. ხომ იცი, იმერული წარმომავლობა გვაქვს.

- რა დამავიწყებს პირველი კვალი სწორედ მას დავუთმე!

- არ დაიგვიანო, მალე ამოდი. ჩემი სისტემა შეფერხებით მუშაობს, - თქვა და მარჯვენა ხელი მუცელზე დაიდო.

- კარგი, ძვირფასო, ახლავე ამოვალ. მანამდე ცოტა წაიხემსე.

დაახლოებით საათი და ოცი წუთი მოვანდომეთ დასახელებული კერძების მომზადებას.. ბავშვებს ხალიჩა-ფუჩი გავუშალეთ, ზედ დავსვით და ნაირ-ნაირი სათამაშო დავულაგეთ. ჩვენ კი სუფრას მივუსხედით.

- ჰე, გადაიღე სანამ ცხელია, მოვასწროთ, ჩემო კარგო, ვიდრე ბავშვები ერთობიან.

- ისე, მათ ცოტა მაგარი კერძები თანდათან რომ შევაჩვიოთ, მე მგონი, არაფერი უჭირთ.

- შემწვარი არა, მოხარშული შეიძლება.

- ახალი დაპურებულები რომ არ იყვნენ, ელარჯს გავასინჯებდი.

- ხედავ, რა გემრიელად დამზადდა, ეს, ჩემო დედოფალავ, შენი დამსახურებაა. ერთი წუთით, გაიგონე, ბავშვებმაც დაგიძახეს. ეგებ კიდევ ერთხელ გააგონოთ დედას, რა თქვით!

პატარებმა ენის ბორძიკით კვლავ შესძახეს დედას, დედოფალა და დაოთხილები ჩვენკენ გამოემართნენ.

- აბა, რომელი მოასწრებთ! - წავაქეზე მომბობღავი ბავშვები.

- ბიჭი უფრო გულდინჯად მოიწევდა, გოგოს მეტი სიმარდე ეტყობოდა, ამიტომ ის პირველი მოვიდა ჩემთან, ერთი ერთ ფეხზე დავისვი, მეორე - მეორეზე.

- რას მიირთმევენ ჩემი გვრიტები?

გოგომ ყველის ნაჭერს მოჰკიდა ხელი, ბიჭმა მჭადი აირჩია.

- იცი, ეს რას მახსენებს? - მეკითხება მათი შემყურე მეუღლე.

- სიმღერას, მომიტეხე ყველი, მოგიტეხავ მჭადსა!

- გამოიცან! ერთი მე გადმომიყვანე, თორემ შენ წინ სუფრას ნაომარს დაამსგავსებენ!

- რომელი წახვალთ დედიკოსთან? - დავუთმე პატარებს არჩევანი.

სურვილი არც ერთმა გამოთქვა. დროებით ორივე ჩემთან დავტოვე, სანამ არ მოსწყინდათ მჭადისა და ყველის ხორხნა, მერე ბიჭი წაბობღდა დედასთან, გოგო ჩემთან დარჩა, ერთი ხელი რომ გავითავისუფლე, მათ კუთვნილ ჩიჩიას შუაგული გამოვაცალე და პატარ-პატარა ნაჭრები ორივეს გავუნაწილე. ჩაიდეს თუ არა ლუკმა, ორიოდე ამოსულ კბილებს შორის, მაშინვე სახე დაემანჭათ, ამ მანერით გაგვაგებინეს, ეს რა მოგვაწოდესო, ცოტა ხანს პირში ატრიალეს, რომ ვერაფერი მოუხერხეს, ისევ უკან დამიბრუნეს.

- არა უშავს, თანდათან მიეჩვევიან, ასე ვიყავით ჩვენც ერთ დროს.

- გახსოვს კი, რაც იყო?

- რა გამოძიება ამას უნდა, აგერ შეხედე, მათი მემკვიდრეობითი თვისებები აშკარად გამოხატავენ ჩვენს წარსულს, ესე იგი მათი ქცევა ზოგადად ასახავს ჩვენს ბავშვობას.

- ო, რა მოკლედ ახსენი.

- სხვაგვარად როგორ დაგაჯერო, სამწუხაროდ, ამგვარი ჩანაწერები ჩემს მშობლებს არ შემოუნახავთ.

- მჯერა, ჩემო კარგო, სხვა ფაქტები აღარაა საჭირო.

- რაკი საჭიროდ აღარ თვლი, მაშინ ავწიოთ შევსებული ფიალები და ბარტყები დავლოცოთ, სწორედ რომ ბავშვების გამო ვართ ჩვენ ამ გარემოს წიაღში, მათ გამო გვიწევს სამივე საწყისის გაწვრთნა და განვითარება. ჩვენ, მშობლები, ჩემო კარგო, არა მარტოოდენ გამოკვებასა და გართობაზე, ან სწავლის შეძენაზე უნდა ვზრუნავდეთ, არამედ მათი უფლებების დაცვაზეც. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორმე ვეცადოთ, ხელი შევუწყოთ ბავშვების ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფი-

ლებას, უკვე დროა, ყურადღება მივაქციოთ და მოვახერხოთ მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების ჯერ გამოაშკარავება და მერე მისი განვითარება. გაზრდა შვილისა, ამბობდა, ძვირფასო, ერთ დროს ილია, ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვაფ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და დრო ამას უნდა შევახმაროთო. ჩვენი ბავშვების თამადობით ყველა ბავშვი დავლოცოთ. ვიმედოვნებ, მათ კარგ მომავალს დავახვედრებთ. ალავერდს გამოეხმაურე, გენაცვალე!

- ნეტავ კიდევ გაგეგრძელებინა, ლამაზად ლაპარაკობდი. ისე საამო იყო შენი მოსმენა, როგორც იავნანა. ბავშვებიც კი გულისყურით გისმენდნენ. რასაკვირველია, მეც ვუერთდები შენს სადღეგრძელოს და ერთგვარ მოწოდებას. ასეა, თუ აღზრდა სწორი მიმართულებით იქნება წარმართული, არც განუკითხაობების ჯერი იარსებებს. მშობლებმა რომ საკადრისი ყურადღება მიაქციონ მათ სწავლა-აღზრდასა და განვითარებას, პროგრესი უსათუოდ გაგვიორმაგდება. გაიხარონ ჩვენმა პატარებმა და მათთან ერთად მომავალმა თაობამ!

- დაილოცე, გენაცვალე. სხვათა შორის, ძვირფასო, ესთეტიკური განცდა სულის განწმენდას საუკეთესოდ ემსახურება. განწმენდილი სული კი, იცი, უსაფრთხოების გარანტია!

- თუ ასეა, გუშინ შენი ლაბორატორიის თაროებზე სხვადასხვა ფორმის საოცრად ლამაზი ფიგურები შევნიშნე. ისე ბრწყინავდნენ, თვალს ვერ ვუსწორებდი. გამოვიტანოთ და მისაღებში მოვუძებნოთ შესაფერისი ადგილი, ან რა დანიშნულება აქვს, ამიხსენი.

- ისინი, ჩემო კარგო, ჩვენი საბადოდან მოპოვებული ძვირფასი ლითონებისაგან არის დამუშავებული, პლუს ელექტრუმი, რომელიც რამდენიმე დღის წინ აღმოვაჩინე.

- რომელი?

- ელექტრუმი თვითნაბადი ოქროს სახეობაა, რომლისგანაც შენი დაბადების დღისთვის ზარდახშა დავამზადე. შიგ

აწყვია შუა თითის სამკაული, ორბიტის სახელწოდებით, თანამგზავრი ბრილიანტის ქვით. მის გვერდს ამშვენებს საყურეები და კულონი, ორი დიდი და ორი პატარა ბრილიანტის ქვით, სიმბოლურად ჩვენ და ბავშვები. ზარდახშის ახლოს დევს ბარქაში, ეს მოღრმო თეფშია. შარაგული, ელექტრუმით დაწნული. წედა და კულა. ახლა ვამზადებ საფუტკრეს დედა და მუშა ფუტკრებით. სკა მზად მაქვს. ფუტკრებისთვის მერე მოვიცლი, ცოტა მოგვიანებით გეგმაში მაქვს თევზები აკვარიუმით. აქ კი მათ გრეხილ-ხვეული თაროები დამშვენდება, უფრო ორნამენტული ხასიათის.

- შეიძლება ახლა რომ დავათვალიერო?

- პატარები დავაძინოთ და მერე.

- კარგი, ჩემო კარგო, შენს საუბარში ბიჭს უკვე ჩასძინებია. შენ ეს წამოიყვანე, გოგოს - მე და გავიდეთ!

საძინებლიდან გამოსულებმა პირდაპირ ლაბორატორიას მივაკითხეთ. დავიწყე ჯერ იმ ხელოვნების ნიმუშების ჩვენებით, რომლებიც ადრე მქონდა დამზადებული, თან მეუღლის ემოციას ვაკვირდებოდი, რატომღაც განცვიფრების ემოციის დამალვას ცდილობდა. თავს იკავებდა, მაგრამ როცა ზარდახშაში ჩაიხედა, აღტაცებამ მაინც გამოიყვანა წონასწორობიდან.

- ვაუ, ხელობა რომ იცოდი, ჩემთვის ნაცნობი იყო, მაგრამ ასეთ მაღალ დონეს ვერ წარმოვიდგენდი. აი, ეს ძალიან მომეწონა, ორბიტა. ჩვენი პლანეტა, თავისი თანამგზავრით, არანაკლებია კულონი, ამას რა სახელი შეურჩიე?

- ცა ვარსკვლავთა!

- არაჩვეულებრივია და საინტერესოდ შექმნილი. შიგნით რა არის?

- მაცოცხლებელი ძალა. გახსენი. წინასწარ იცოდე, რომ საიდუმლო გასახსნელი აქვს.

- რატომ საიდუმლო?

- რომ გახსნი, ნახავ!

- ვერაფერიც ვერ მოვუხერხე. აქეთ-იქით ვატრიალე, მაგრამ, უშედეგოდ.

- მინიშნებას მოგცემ და მიაგენი. ერთ-ერთ ვარსკვლავს თითს დააჭერ და მარჯვნივ შემოატრიალებ.

- ვერ ვაგნებ, რომელია!

- ეს იმიტომ, რომ თუ ზუსტად არ შეეხე - სხვები მას იცავენ. ახლა დააცადე ოცი წამი და ხელმეორედ სცადე, ოღონდ, იცოდე, თუ სხვას დააჭერ, ისევ ოცი წამი უნდა დაიცადო.

- ნუღარ მაწვალებ, დამეხმარე და გამახსნევინე!

- თუ არ მომაწოდე, როგორ გავხსნი!

- გამომართვი, თან მასწავლე.

- აი, დააკვირდი, გულის მხარეს ორი ვარკვლავია, ანუ სიძე-პატარძალი. პატარძალი რომელ მხარესაც დგას, სწორედ ეგ არის კულონის გასაღები.

- მაჩვენე, მე გავაღებ! - თქმა დასრულებული არ ჰქონდა, რომ უმალ ხელიდან გამომტაცა და აჩქარებით გახსნა.

- აუ, ამას რას ვხედავ, თვალებს არ ვუჯერებ!

- ეგ, ძვირფასო, გახსნილი თუ მზიანი დღეა, დახურული ვარსკვლავიანი ცაა.

- ეს ამოდენა ბრილიანტი ნამდვილია?

- არანამდვილი ეგრე როგორ იბრწყინებდა?

- ლამაზად კაშკაშებს, ჩანაფიქრი ძალიან მომეწონა. დღე და ღამე, ორი გარდაუვალი საჭირო აუცილებლობა. ესენი რა არის? - დააცქერდა საყურეებს.

- ციცინათელები. აბა, გამორთე შუქი!

- ახლავე!

სანამ შუქს გათიშავდა, აბრეშუმის ნაჭერი გადავაფარე და მაგიდის ნათურა ავანთე. სიბნელეში ფეხი რომ არაფრისთვის წამოეკრა.

- მზად ხარ? - ვუთხარი მას, როცა მომიახლოვდა.

- რა მომზადება მჭირდება?

- კარგი, მაშინ მაგიდის ნათურას გამოვრთავ, დანარჩენს შენ თვითონ ნახავ!

ლაბორატორიაში ციცინათელებმა დაიწყეს ციმციმი.

- რა ანათებს?

- ადგილზე იყავი, არაფერს დაეჯახო, მე თვითონ დავიჭერ და მოგიყვან, - აციმციმებული ორივე საყურე ჰაერში თამაშ-თამაშით ახლოს მივუტანე. - ახლა ხელები მაღლა ასწიე და ჩემკენ გამოიშვირე!

- მერე?

- მერე მოჰკიდე ხელი, ოღონდ ფრთხილად, არ გაგიფრინდნენ, თითები მოკეცე!

- მოვკეცე, შენ ხუმარა, შენა!

- ასე გეჭიროს, სანამ ნათურას არ ავანთებ.

- გელოდები.

- შეგიძლია ნახო, ფრთხილად გაშალე!

- ოი, ესენი იყვნენ, რომ დაფრინავდნენ?

- ყურებზე გაიკეთე და სარკეში ჩაიხედე, თუმცა, მომეცი, მე უფრო ვიცი, როგორ უნდა მიგამაგრო.

როცა საყურეები ბიბილოებზე მივამაგრე, სარკესთან მივიყვანე და შუქი გამოვრთე.

- ახლა კი იხილე, გენაცვალე, ეფექტი.

- ვაა, რა მშვენებაა, როგორ შეთანხმებულად ციმციმებენ!

- ნამდვილი დედოფალა ხარ, ლამაზი და მშვენიერი!

- დაბადების დღისთვის ამაზე უკეთესი საჩუქარი არა მგონია, ჩემთვის რამე იყოს!

- შემდგომისთვის „ბრასლეტსა“ და საათის სამაჯურს დაგიმზადებ!

- უღრმესი მადლობა, ჩემო იმედო, ზემოთ რომ ესთეტიკურ განცდაზე ვლაპარაკობდით, სწორედ რომ უებარი ფსიქოთერაპიაა!

- ასეთი უამრავი გაგეცვითოს და მეც უამრავი შემექმნას!

- მადლობა. ახლა უცებ თავი დიდ წვეულებაზე წარმოვიდგინე, საღამოს სამოსითა და სამკაულებით.

- კარგი თვისებაა, როცა წარმოდგენის დროს განსაკუთრებულ სიხარულს განიცდი, თითქმის უტოლდება სინამდვილეში განცდილ სიხარულს.

- რატომ არ შეიძლება, რომ მივიღოთ მონაწილეობა?

- ნუ ჩქარობ, გენაცვალე, მაგის შესაფერისი დროც მოვა. მაინცდამაინც ამ საღამოს გინდა შემოუარო ცეკვით დარბაზს? ტერფები თუ გითამაშებს, გავიდეთ ჩვენს ოაზისში და იქ გავმხიარულდეთ!

- ნუ გადააკეთე, ამ საღამოს არ მითქვამს.

- მე გეტყვი, როდის.

- მითხარი, მხოლოდ სწრაფად, შენებურად ნუ გამიწელავ.

- ახლო მომავალში.

- რა გითხარი, არ გამიზვიადო-მეთქი, ხომ გთხოვე!

- არ მაცლი ბოლომდე თქმას, სიტყვა ჩამიჭერი.

- გაცლი, გააგრძელე.

- ეს დრო იქნება მაშინ, როცა სადოქტორო ხარისხს დაიცავ, საბანკეტო საღამოზე!

- მართალი ხარ.

ჩემმა განცხადებამ ისე აღიტაცა, ერთი-ორჯერ ხელი ხელს შემოჰკრა და გადამეხვია.

- ასე რომ, ძვირფასო, სულ მალე, შესაძლებლობა გექნება კოხტად გამოიპრანჭო და გაიხარო.

- კარგი ბიჭი ხარ, ხანდახან მალულად ზრუნვა რომ გიყვარს.

- მადლობა, გენაცვალე, ახლა გავიდეთ ჩვენს ვესტიბიულში და არჩევნების ირგვლივ რა ხდება, ის გავიგოთ.

გასვლისთანავე თვალი გადავავლეთ რეიტინგის მონაცემებს. ლიდერის პოზიცია ყოფილი ქალაქის მერის პარტიას ეკავა. მეორე ადგილს თანაბარი ქულებით ორი პარტია იყოფდა, მესამე ახალშექმნილ ახალგაზრდათა კავშირს - ხსნის გზას დაეკავებინა. ასევე დავათვალიერეთ კლინიკის საიდუმლო პალატაში მოთავსებული პარაფსიქოლოგიური მოწყობილობის წინა დღეების კადრები. ამ ხნის განმავლობაში თავს ეხვია სხვადასხვა რანგის სპეციალისტი, ახლაც ერთ თეთრხალათიანს დაშლილი ჰქონდა დეტალებად და სათითაოდ უკირკიტებდა ყველა წვრილმანს, იქვე ფეხზე მდგარი შეფი გამუდმებით უყიჟინებდა თავის მოადგილეებს.

- მოძებნეთ, მოძებნეთ, სადაც და როგორც გინდათ!

- ვეძებთ, სერ, სად არ ვიყავით, ვინ არ ჩავრიეთ, მაგრამ უშედეგოდ, მხოლოდ ერთი იმედი გვრჩება.

- რა იმედზე მელაპარაკები?

- თუ თვითონ დაგვიკავშირდება.

- ეგ ხომ ალბათობაა, მას ველოდოთ, როცა უკვე არჩევნებმა კულმინაციას მიაღწია, რაღაც უნდა ვიღონოთ და მეორე, მისი დაკავშირება ვერაფერ დახმარებას გაგვიწევს, ის არ აამოქმედებს მას, იმიტომ, რომ პირობა დავარღვიეთ, მე მინდა, რომ ის აქ მოვიყვანოთ, პალატაში ჩავკეტოთ და ძალით ავამოქმედებინოთ, არ გავუშვებ მანამდე, სანამ არჩევნები არ დასრულდება და მიზანს არ მივაღწევთ. დატრიალდით, ჩარიეთ ძალოვნებიც, დრო მიდის, გადით და დაასაქმეთ ხალხი!

მისი მდგომარეობა დღითიდღე მძიმდებოდა, მხოლოდ ერთ საგანზე ჰქონდა ყურადღება გადატანილი, რომლის უქონლობით მომრავლებული პრობლემის მოგვარებას ვეღარ ახერხებდა. მას აკრძალული ილეთების გამოყენებით სურდა გამარჯვების მოპოვება და ერთპიროვნული ლიდერობა. ყოველ მხრივ ცდილობდა კვლავ რეიტინგის ამაღლებასა და კურსის შენარჩუნებას, თუმცა, სადღეისოდ მისი მცდელობები ამაო იყო.

- რა თანხაც გინდათ, ის მომთხოვეთ, - ეუბნება საგანგებოდ უცხოეთიდან მოწვეულ ტექნოლოგს, ოღონდ ეს ამიმუშავეთ!

- ხომ ხედავთ, სერ, ორი დღეა დეტალურად შევისწავლე ყოველი ნაწილი, თითქმის ყველაფერი რიგზეა. ავაწყვე, გამოვცადე, მაგრამ ხარვეზი იგივეა. მოწყობილობა აბსოლუტურად გამართულია, მხოლოდ ინფორმაცია მიდის ადრესატამდე სხვა ფორმით, მე ვფიქრობ, ან უფრო ძლიერი ხელსაწყო მოქმედებს მასზე, ან კოდირებას იწყებს მაშინ, როცა ინფორმაციას ვაწვდით გადასაცემად, დააკვირდით, სერ, როგორც კი დავალებას მივცემთ, იმ დროს ირთვება სხვა შრიფტი გადასაცემად. ის პირი არის მოსაძებნი, რომელიც მთავარ მექანიზმს აკოდირებს.

- სწორედ მაგას ვეძებთ!

- როგორ, თქვენ გაგიჭირდათ მისი პოვნა? - გაოცება ვერ დამალა კონსტრუქტორმა.

- სამწუხაროდ ასეა. ზუსტი კოორდინატები არ ვიცით.

- თუ არ იცით, სად დაეძებთ?

- დავეძებთ ყველგან, ყველა ინსტანციაში!

- თუ ესაუბრეთ ამ ბოლო ხანს?

- წარსულში მქონდა საუბარი, რიგ საკითხებში ვერ მოვრიგდით, ბოლოს თანამშრომლობა შევთავაზე, ღირსეულ საფასურად.

- რა პასუხი მიიღეთ?

- იუარა. დაუშვებელია ჩემთვის ასეთი სამსახურიო.

- ამ მოწყობილობას რომ ფლობდით, საიდან გაიგო?

- არ ვიცი. შეეძლო საერთოდ გაენადგურებინა. ერთი კი მთხოვა, ჩვენში დარჩეს, უკეთურად არ გამომეყენებინა, მაგრამ ვერ შევძელი. საჭიროებამ მოითხოვა. აი, შედეგიც სახეზე გვაქვს!

- გასაგებია, სერ, როგორც ვითარება გვკარნახობს, ისე უნდა მოვიქცეთ, უიმისოდ ვერაფერს გავხდებით, ისევ ის თუ დაგეხმარებათ!

- კეთილი, შენ ის მითხარი, მისი ანალოგი კიდევ რომ შევქმნათ?

- ასეთი ოთხიც რომ გქონდეთ, ის უჩინმაჩინი ოთხივეს დაგიბლოკავთ. მხოლოდ ერთი გამოსავალი გაქვთ, მასთან საერთო ენის გამონახვა.

- ნუთუ სხვა ოფცია არ არსებობს?

- გარემოების გამო, სერ, სხვაგვარად არ ძალგიძთ, ამგვარი პიროვნების მოხელთება შეუძლებელია, რომ მოიხელთოთ, ვერც ძალით დაიყოლიებთ მისი სამსახურებრივი მოვალეობის გამო!

- თქვენი მსჯელობიდან ჩანს, რომ ყველა გზა გადაკეტილია.

- სერ, თქვენ თუ გნებავთ, მეორე ამგვარი მოწყობილობა დაგიმზადოთ, მე თანახმა ვარ, თუ საჭირო ნაწილებს მომიტანთ, დღესვე აგიწყობთ, მაგრამ კიდევ გიმეორებთ, მას ისეთივე ბედი ეწევა, როგორიც წინას, ახლა თქვენ გადაწყვიტეთ!

- თუ ეს ერთი გზა დამრჩა, თანახმა ვარ!

- კარგით, კიდევ ერთი რჩევა, მოძებნეთ სხვა უფრო საიმედო ადგილი და იქ ავაწყოთ.

- სწორი შენიშვნაა, ვიფიქრებ სად აჯობებს.

შეფმა ისევ იმ ძველი წყაროების მეშვეობით მოახერხა ანალოგიური ნაწილების შეძენა. მეორე დღის ბოლოს ყველა საჭირო დეტალიც კი ხელთ ჰქონდა. ზეგ დილით, კვლავ აწყობა დაიწყეს. იგივე კონსტრუქციული მოდელით. აწყობას დიდი დრო არ დასჭირვებია. კონსტრუქტორმა ხელმეორედ გადაამოწმა საკუთარი ნამუშევარი და ცდების ჩატარება დაიწყო. ორი ცდა ჩაატარეს, ორივე სანიმუშოდ.

შეფმა მადლობა გადაუხადა, კუთვნილი თანხა გადასცა და თან სთხოვა:

- თუ შეგიძლიათ, ერთი დღეც რომ დარჩეთ.

- რა მიზნით, სერ?

- ჩემ მიერ ჩატარებულ პროცედურას თვალი რომ ადევნოთ, დიდად დამავალებთ.

- კეთილი სერ!

მომდევნო დღეს, სანამ შეფი და ტექნოლოგი ინფორმაციის გადაცემას დაიწყებდნენ, მე ჩემი თანამგზავრის საშუალებით ახალშექმნილი მოწყობილობის ძირითადი მექანიზმი ისეთივე კოდირებული გავხადე, როგორიც მისი წინამორბედი იყო და მეუღლეს მოვუბრუნდი:

- პროცედურის შემდეგ დაე თავად განსაჯოს, რომ ჩვენ არ დავუშვებთ აკრძალული ილეთების გამოყენებას!

- მართალი ხარ, იქით გაიხედე, შეხედე, შეხედე, ბიჭი ფეხზე გავლას როგორ ცდილობს.

- ვხედავ, პატარა ბელივით დაბაჯბაჯებს.

- სულ მალე გამართულად გაივლის.

- გოგო რატომ არ ფიქრობს, შეამოწმოს პირველი ნაბიჯები?

- ესეც მალე იქნება.

- ანდა რა საჩქაროა?

- რატომ ამბობ?

- ფეხს რომ ისწავლიან, ძვირფასო, მღვიმის რომელ მხარეს ამოყოფენ თავს, ვერ გავიგებთ, ამიტომ საჭირო გახდება ოაზისში ტბის შემოღობვა.

- აუცილებლად!

- ახალი სიტყვები ხომ არ მიუმატებიათ თავიანთი ლექსიკონისთვის, რაც მე არ ვიცი?

- ჰო, მინდას კი აღარ ამბობენ, გენაცვალე, ახლა გოგო თუ იტყვის გარეთ მსურს, ბიჭიც გამოეხმაურება - მეც მსურსო!

- ნამდვილად მიზანშეწონილი სურვილია, ამიტომ, ხშირად უნდა გავიყვანოთ გარეთ, გავასეირნოთ ჩვენს ბაღჩაში, მდინარის პირას, ან ავიყვანოთ ზემოთ, მთის ზეგანზე, იქაც არის სასეირნო ადგილები.

- ამ გახსენებაზე, შენ თუ რაიმე სერიოზული საქმე არ გაქვს, მოვემზადოთ და ჩავიდეთ.

- რომც მქონდეს, ყველა საქმეს შევაჩერებ, მხოლოდ მათი ბედნიერი მომავლისთვის ჩავაცვათ და გავიდეთ.

- სანამ მე მათ მოვამზადებ, კალათები გაათავისუფლე, რაც მათში იდება, თაროზე დაალაგე. ქვემოდან რაღაც-რაღაცების ამოსატანად დაგვჭირდება.

- თერმოსსაც წამოვიღებ. ჩვენი აღმოჩენილი მინერალური წყაროს წყალიც ხელს გამოვაყოლოთ.

ხელდახელ მოვემზადეთ და ქვემოთ ჩავედით. ბაღჩაში, ხეივნის ძირში, მოვნახე მინდორი და ბავშვებიც ბალახზე წამოვაკოტრიალე.

- ერთი წუთით, ჯერ ფარდაგს დავუფენ და შემდეგ.

- ცოტა ხანს ასე იყვნენ, ჩემო კარგო, შეიგრძნონ მინდორი, მიწა, მათი სურნელი და ენერგია, მერე გაუშალე და ტანსაცმელიც გახადე, მზის სხივების ძალაც რომ იგრძნონ, ამასობაში მე კალათებს წავიღებ და რაც მოსაკრეფი იქნება, მოვკრეფ.

კალათებს ხელი დავავლე და კვალსა და კვალს შორის ბილიკს გავყევი.

ოცდაათ წუთში ყველა სახის ბოსტნეული და მწვანილი კალათებში მეწყო. ბოლოს მცირე ზომის მოწნული აშარულის ძირში მოსული მარწყვი ჩავაწყვე და მათ შევუერთდი.

- თავს როგორ გრძნობენ დედა-შვილები? - მივეხალისე ჩემს საყვარელ ცოლ-შვილს.

- ძალიან კომფორტულად. ბავშვები და მეც მზეზე ვირუჯებით.

- გაამოთ, არც მე ვიტყოდი უარს, ისე, არც მდინარის წყალი გვაწყენდა, სანამ მზე დააპირებს ჩასვლას, იქნებ პატარებიც ვაჭყუმპალაოთ მდინარეში.

- რას ამბობ, არ გაცივდნენ!

- ახლა ისეთი დროა, გენაცვალე, წყალი ღანღალებს.

- მაინც შევამოწმოთ, ძალიან ცივი არ იყოს!

- ნახევარი საათი კიდევ ვიყოთ, მერე დავიწყოთ გასვლის სამზადისი.

მეც იქვე ჩამოვჯექი, თერმოსიდან ახლახან აღებული მინერალური წყალი ჩამოვასხი და მეუღლეს გავუწოდე.

- ბავშვებს ძალიან ცოტა შეასვი, დანარჩენი შენ დალიე.

- მე არ მინდა, მერე დავლევ.

- მინერალურ წყალს, ჩემო კარგო, მაშინ აქვს თერაპიული მოქმედება, როცა იქვე სვამ, ოცდაათი წუთის შემდეგ თანდათან ეცლება სამკურნალო ძალა.

- საიდან გამოიანგარიშე?

- შევამოწმოთ. შესვი ახლა ასი გრამი, თან მის ზემოქმედებას დაუკვირდი. ოცდაათი წუთის შემდეგ კვლავ შესვი და შეადარე ერთმანეთს.

- მჯერა შენი, მაგრამ ინტერესისთვის ცდას მაინც ჩავატარებ.

- დეგუსტაციის დროს შთაბეჭდილებები კარგად დაიმახსოვრე, დაგჭირდება.

- სხვაში რაში უნდა დამჭირდეს?

- შედარებებისა და ყურადღების გამახვილების გასააქტიურებლად.

- კიდევ?

- შთაბეჭდილებების გვერდზე შეიტან.

- ახლა სდექ!

- რა მოხდა?

- უკვე ხუმრობის სტადიაში გადახვედი!

- კარგი, შენ მითხარი და ჩემს გვერდზე შევიტან.

- გეტყვი, აბა ბავშვებს ხომ არ ვეტყვი!

- მიტკარ! - წამოიჩიფჩიფა გოგომ.

- გეტყვი, შვილო, გეტყვი, შენც და მამაშენსაც.

- ხომ ხედავ, ბავშვს გაუხარდა, რომ დაელაპარაკე. ბიჭი ხის კენწეროსკენ იყურება, ეტყობა, რაღაც საინტერესო შეამჩნია.

- უჩვეულოს მე ვერაფერს ვამჩნევ.

- ახლოს უნდა მიხვიდე, რომ გაიგო, რა არის.

- შენგან უფრო ახლოსაა, შეხედე და გაიგე.

- მე ვიცი, რაც არის, მინდოდა, შენც დაგენახა.

- ოჰ, ვინც არ გიცნობს, რა ხარ, მერე თქვი, თუ სპეციალური თხოვნით უნდა მოგმართო.

- რა იქნებოდა განსაკუთრებული ხეზე, ამას რა მიხვედრა სჭირდებოდა. ჩიორებს ბუდე გაეკეთებინათ და მას გასცქეროდა. პასუხი გაკმაყოფილებს?

- მე არა, პატარებს კი.

- მფრინავი ხვლიკი რომ მეთქვა, მაშინ ალბათ მეტ ინტერესს გამოიწვევდა.

- ჰმ, ხვლიკები კი, - ჩაეცინა ირონიულად - უფრო მეზოზოური ერის რომელიმე გიგანტური რეპტილია, მაგალითად, დინოთერიონი ხუთი მეტრი სიმაღლის რომ იყო, აი - ის ნამდვილად განმაცვიფრებდა!

- კი, შენი ხასიათი რომ ვიცი, შიშისაგან ამ მესერს ბავშვებიანად თავისუფლად გადაევლებოდი!

- ისე, რა საყვარლები იქნებოდნენ მათი ნაშიერები?

- მოსაფერებლად უფრო სასიამოვნოები, თან საქმე, უკვე დროა მდინარის პირას გადავინაცვლოთ.

- აბა, ჩემი გვრიტები ჩემთან, ხომ გინდათ წყალში თამაში?

თანხმობის ნიშნად თავი დააქნიეს და შემომეხვივნენ.

მდინარის პირას რომ ჩავედით, შედარებით სილიანი ადგილი მოვძებნეთ. ფარდაგის გაშლამდე, ჯერ სილაში დავსვით სათამაშოდ. მერე ნაპირთან მივიყვანეთ, წყლის ტემპე-

რატურა კი არ იყო მათი საკადრისი, მაგრამ ისე უნდოდათ მდინარეში შესვლა, რომ მისთვის აღარც მიუქცევიათ ყურადღება. მე მაინც თანდათან ვაჩვევდი წყლის სუსხს, მერე კი შეგეხედათ, მათ ანცობასა და სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. გამუდმებით იქნევდნენ ხელებს და დგაფადგუფით ირგვლივ წყლის შხეფების კორიანტელს აყენებდნენ. ჩვენც უნებურად ავყევით მათ გიჟმაჟ თამაშს. ნამდვილად გვსიამოვნებდა მთის სუსხიანი წყლის აბაზანები, მანამდე ვაგრძელებდით ბავშვებთან გართობას, სანამ მზე მთაგრეხილს არ მიეფარა, არადა, საერთოდ აღარ სურდათ წყლიდან ამოსვლა, ორივე დაჟინებით გვთხოვდა ბანაობის გაგრძელებას.

- მისმინეთ, ჩემო კარგებო, ხომ ხედავთ, როგორ უცებ აცივდა, - დავიწყე მათ გასაგებ ენაზე შეძლებისდაგვარად ახსნა. - სიცივე კარგი არ არის. ამიტომაც, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ამოხვიდეთ წყლიდან და სახლში წავიდეთ, მზიან დღეს ისევ ჩამოვალთ. აი, ხედავ, დედიკო თანახმაა, აბა, მომკიდეთ ხელი და ნაპირზე ერთად ავიდეთ!

იმ მიზნით, რომ მამა საბანაოდ კიდევ ჩამოგვიყვანსო, ხელი ჩამჭიდეს და ფეხების დგაფუნით ნაპირისაკენ წამომყვნენ.

შინ თბილი წყლის აბაზანები ძალიან ესიამოვნათ. ვახშამიც ღრიცინის გარეშე მიირთვეს, არც ძილისთვის უთქვამთ უარი. თამაშით დაქანცულებს მალე ჩაეძინათ.

- რა უცებ ჩაიძინეს, არა?

- კი, დღეს მეტი მოუვიდათ, ხომ ხედავდი, მდინარეში ისინი ერთი წუთით არ გაჩერებულან.

- მამას ჰგვანან, წყალი უყვართ.

- კარგი, ხვალ რა ვქნათ? კვირის ბოლოა, დავიწყოთ მათი ქალაქში გაყვანა?

- მე მხარს ვუჭერ აზრს შენსას! - დამიდასტურა ხელის აწევით.

- ახლა, ძვირფასო, მეგაპოლისის თელხი ვაგრძნობინოთ, რივიერას პარკში გავიყვანოთ, ხალხს თვალს შეაჩვევენ, ზოოპარკში ცხოველთა სამყარო დავათვალიერებინოთ. პატარ-

პატარა მოძრავი სათამაშოებით გავართოთ და ბოლოს თავიანთი პატარა გონებით ქალაქისა და მთიანეთის გართობებს ერთმანეთს შეადარებენ.

- რომც მოიწონონ, იქ ხშირად მაინც ვერ წავლენ.

- მართალი ხარ, კვირაში ერთჯერადად მოუწევთ გასვლა, ქალაქური იმუნიტეტის გამოსამუშავებლად, საწყის ეტაპზე საკმარისია. მერე როგორ მოვიქცეთ, თავად სიტუაცია გვიკარნახებს, ახლა ჩვენ მივხედოთ ჩვენს თავს!

წყლის პროცედურები რომ დავასრულეთ, მსუბუქად წავივახშმეთ, დღის მომხდარ ამბებს თვალი გადავავლეთ და დასასვენებლად გავედით.

დილით ადრე ბავშვებმა გაიღვიძეს, რომც გვდომოდა, ვინღა დაგვაძინებდა, ძალაუნებურად ფეხზე წამოვდექით და პირველ საჭიროების საოჯახო საქმიანობა ადრიანად დავიწყეთ. ჩვენ საქმეს ვაკეთებდით, ბავშვები კი, რაც ავდექით, სულ წყალს გაიძახოდნენ.

- გავალთ, მამი, გავალთ! - ხან ერთს ვაიმედებ, ხან მეორეს.

- ალბათ, გამართულ ლაპარაკს და სიარულს რომ ისწავლიან, არც ამოგასუნთქებენ! - შემომწუწუნა მათი ერთი და იმავეობით შეწუხებულმა მეუღლემ.

- ამიტომ, ისეთი ინტელექტუალური სათამაშოები უნდა შევურჩიოთ, რომ მათი დაშოშმინება შეძლონ. დროდადრო მოძრავ თამაშებს ჩავანაცვლებთ, შენ არ შეშინდე, ყველაფერი კარგად იქნება. თუ მათი საუზმე მზად არის, ახლავე დავაპუროთ, სანამ თვითონ დაიწყებენ ჭუჭყუნს.

- მზად მაქვს, უკვე შეგრილებული იქნება. სამზარეულოში ვასაუზმოთ, ასე სჯობს.

- აბა, ჩემო ცუგრუმელებო, მივიდეთ დედასთან, ვნახოთ, რა გაგვიმზადა. მერე ერთად გავაკეთოთ!

ჩავკიდე ბავშვებს ხელი, ტაატით მივუახლოვდით გაშლილ სუფრას, თავ-თავიანთ ადგილებზე დავსვი და სასაუზმოდ განვაწყვე.

როდესაც საკმაოდ დავპურდით, წინასწარ გამზადებულ ზურგჩანთებს დავავლეთ ხელი და კურსი ქალაქისკენ ავი-

ღეთ, თავდაპირველად ბინაში მივედით, გვინდოდა ბავშვებს თავიდანვე ეგრძნოთ რკინა-ბეტონით შეკრული ოთახების ავკარგიანობა.

დაახლოებით ორი საათი დავყავით ბინაში, შემდეგ ცენტრალურ გამზირზე გადავინაცვლეთ, იქიდან რივიერას საბაღნაროს ვესტუმრეთ, ბავშვები უმალ კარუსელებზე დავსვით. ბზრიალ-ტრიალით გული რომ იჯერეს, მერე დიდ სავაჭრო ცენტრში სპეციალურად მცირე ასაკის ბავშვებისთვის მოწყობილ მეოთხე სართულზე ავიყვანეთ, აქ იყო სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის მოძრავი ბუტაფორიები, საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო თვითმავალი სატრანსპორტო საშუალებები, კოშკურები, აღმავალი და დაღმავალი საფეხურებითა და სასრიალოებით, მოკლედ, პატარებისთვის ნამდვილი კომფორტული გარემო. სხვა ბავშვებთან ერთად ისე ერთობოდნენ, დედ-მამა აღარ ახსოვდათ, გავახსენდით მაშინ, როცა დაღლა იგრძნეს. უამრავ ხალხში ცდილობდნენ ჩვენს ამოცნობას, ცოტაც და, რომ არ მივსულიყავით, უკვე ტირილის დასაწყებად ემზადებოდა ორივე.

- აგერ ვართ ჩვენც! - მოვეხალისე ცუგრუმელებს - ტირილი გამიგონია თამაშის შემდეგ? აბა, მითხარით, კარგი იყო?

ბავშვებმა სიტყვის თქმას თავის დაქნევა ამჯობინეს.

- მათ მალე შუადღის ძილი და ჭამის დროც მოუწევთ, სად წავიყავნოთ?

- მათთვის საჭირო კერძებს აქ ვერ მოვძებნით, ამიტომ სჯობს დაბრუნებამდე სათამაშოები ვუყიდოთ. შენ რაც გსურს, შენთვის ის შეიძინე და შინ წავიდეთ, რაც ვერ მოვასწარით, შემდგომისათვის გადავდოთ.

პირველად ბავშვთა განყოფილებაში გავედით, შემდეგ ქალთა განყოფილებას მივაკითხეთ, ყველაფრის შეძენა რომ დავასრულეთ, გულმოჯერებული შინ დავბრუნდით.

ბავშვები დავაპურეთ და დავაძინეთ.

- სანამ გვიან არ არის, დაუკავშირდი შენს ხელმძღვანელს და გაიგე, რა გადაწყვიტეს, დანიშნეს თუ არა დაცვის დღე.

- ადრე რომ ველაპარაკე, ზაფხულის ბოლო თვე ივარაუდეს.

- დააზუსტე, მე კი მენეჯერს დაველაპარაკები, მედიკამენტების ექსპორტის თაობაზე.

აპარატს დავწვდი, მისი დამაკავშირებელი ნომრები მოვძებნე და ხაზზე გავედი.

მენეჯერი საუბრისას ძირითადი პრეპარატების რეალიზაციაზე ამახვილებდა ყურადღებას.

- რაც დრო გადის, შეკვეთების რაოდენობა იზრდება. ამ დღეებში უცხოეთის სამი ქვეყანა დაგვემატა, ამჟამად ორივე ხაზი სრული დატვირთვით მუშაობს.

- ძალიან კარგი, სხვა გაუგებარი სიტუციების მხრივ რა ისმის?

- ისევ ის, ჯანდაცვის სამინსიტროს თანამშრომელი დამიკავშირდა, ავტომანქანის ძრავის ამოქმედებას მთხოვდა.

- რა პასუხი გაეცი?

- მე რომელი მექანიკოსი ვარ-მეთქი, სად ფარმაცია და სად ტექნიკოსი, იმის შემდეგ აღარ დამკავშირებია. არის მუქარებიც. აგერ, გუშინ გზავნილი მივიღე, მწერს, შენმა მედიკამენტებმა ჩვენი მედიკამენტების რეალიზაცია შეგვიმცირა, ამიტომ დროებით შეწყვიტეთ წარმოება, თორემ შანტაჟს მოგიწყობთო.

- შენ რომელიმეს ადრესატი თუ იცი?

- არა, უმისამართოდ შემოდის ინფორმაციები.

- არა უშავს, მე თვითონ მოვძებნი. შენ ჩვეულებრივად განაგრძე საქმის წარმოება და ერთს გთხოვ კიდევ, ნუ აჰყვები ემოციებს, დანარჩენ პრობლემებს მე დავალაგებ.

დავემშვიდობე მას და ჩემი თანამგზავრის ცენტრი შევამოწმე. მინდოდა, გამეგო, საიდან მოდიოდა ეს უცნაური ინფორმაციები. ძირითადად მსხვილი კომპანიებიდან იგზავნებოდა. გავარკვიე ჯერ ერთის კოორდინატები და კავშირზე გავედი. მისალმებისთანავე ვეკითხები:

- თქვენ სამი დღის წინ მუქარის სახის გზავნილი გაგზავნეთ.

- რას ამბობ, - არ დამაბოლოვებინა სათქმელი. - რა გზავნილი, რა მუქარა, რაღაც გეშლება, ცილისწამებისთვის კი იცით, რა არის?

- ვიცი, შენ თუ იცი, შანტაჟისთვის რა მუხლია განკუთვნილი?

- არ ვიცი და არც ვინტერესდები, რადგან მე სუფთა ვარ!

- თუ ნამდვილად ხართ, კარგი, თუმცა ცდებით.

- ბოდიში მოიხადე და გამეთიშე ან მე გაგეთიშები.

- ვერსაც წახვალ, მობილურიც რომც დაამსხვრიო. მე დიდ ხანს არ ვაპირებ კამათს. ახლა ნახეთ საკუთარი ვებგვერდი, უკვე გამოვაგზავნე საკუთარი ხელით როგორ კრებთ მუქარის ტექსტს, გელოდები!

- ეს საიდან? - უცნაურად წამოიყვირა მან, - ეს შეუძლებელია!

- შეუძლებელია შენთვის, ჩემთვის კი არა!

- ვინა ხარ ასეთი, ჩემს პირად ცხოვრებას რომ აკონტროლებ?

- ვაკონტროლებ მაშინ, როცა მემუქრებიან, ისე კი, მშვიდად ვარ. შენ და კიდევ ორ კომპანიას გსურთ გაერთიანება იმ მიზნით, რომ ეცადოთ, როგორმე გააჩეროთ ახალფეხადგმული ფარმაცევტული წარმოება. ჩემი თხოვნაა, ეგ ბოროტი აზრი გადაიფიქროთ. მიეცით სხვასაც თავისუფალი კონკურენციის საშუალება, მათაც შეძლონ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების უნარის გამოვლინება!

- მე არავის არ ვუშლი ხელს, ის, რაც გამოგზავნეთ, დამონტაჟებულია, პროტესტს ვაცხადებ და ადვოკატს ვუკავშირდები.

- ესე იგი აზრს მაინც არ იცვლი! კეთილი, დღეიდან შენი ელექტრონული გამომთვლელი მანქანა აღარ იმუშავებს, ეს გაფრთხილებაა! თუ კიდევ არ შეიცვლი აზრს, ზემოქმედების ზომებს უფრო გავართულებ!

- რას ამბობ, ამის გარეშე ახლა ვინ მუშაობს?

- შენ იმუშავებ!

- ან როგორ გათიშავ, ეს ხომ მთელი სისტემაა?!

- სწორედ რომ სისტემიდან გამოეთიშები.

- ალბათ, ხუმრობ!

- კეთილი, შეგიძლია შეამოწმო, გიცდი.

- რას! რა! - სიტყვები ერთმანეთს ვეღარ გადააბა, - რა ხდება?

- ის, რაც დაიმსახურე, ორი დღის შემდეგ შეგეხმიანები, მანამდე მოიფიქრე! - მივუგე მას და ტელეფონი გავუთიშე.

ასევე დავუკავშირდი დანარჩენი ორი კომპანიის წარმომადგენლებს. საუბარი თითქმის იმავე ფორმატით წარიმართა. ბოლოს ვთხოვე, ვიდრე ზომებს მივიღებდი, ჩამოშორებულიყვნენ მსგავს ბოროტ განზრახვებს და შეენარჩუნებინათ ჯანსაღი კონკურენტუნარიანობა.

მათთან საუბარი რომ დავასრულე, გამოვედი და მეუღლეს მივუჯექი.

- რა გაიგე ახალი?

- ვარაუდი გაგვიმართლდა, სასწავლო წლის დაწყებას უდარეს.

- მაშ, შენ უკვე უნდა დაიწყო კოკისპირული მზადება!

- მე თავისთავად და შენც უნდა დამეხმარო.

- რასაკვირველია, ძვირფასო, შვილები რატომ გამოტოვე? მათ რომ მომზადება გვაცადონ, ეს არ არის დახმარება?

- სიმართლეს ღაღადებ, ჩემო კარგო.

- მე ვღაღადებ, ზოგიერთებს საბუდრიდან დადებული კვერცხი მოაქვთ!

- რას ნიშნავს?

- ვინც ყვირის - ხანძარიაო, ის ხომ არ მიდის ცეცხლის ჩასაქრობად?

- უფრო კონკრეტულად?

- მე დაგაინტერესე, შენ კი კონვეიერიდან სამეცნიერო ხარისხებს იღებ.

- მაშასადამე, შენ მოწოდების სიმაღლეზე დგახარ, და არცთუ ისე ურიგოდ. შთამომავლობა დაგიფასებს ამაგს.

- უდავოდ, ახლა ხუმრობა ცოტა ხანს შევაჩეროთ და გადავიდეთ საკვანძო საკითხზე. ამჯერად უფრო სერიოზულად მოგიწევს მოზადება, როცა სიახლე შეგაქვს ჯანმრთელობის

დაცვის სტრუქტურაში, ყოველ მხრივ მზად უნდა იყო. ამა თუ იმ ქვეთავის გარჩევისას დასაშვებია ზოგიერთ საკითხს დისკუსიის სახე მიეცეს. ამიტომ შენ მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა რომ დაადასტურო, მხოლოდ სათანადო არგუმენტების მეშვეობით უნდა შეძლო, თუ ცდით დამტკიცებული გაქვს, მონაცემები დაგჭირდება დასადასტურებლად. არ დაგაბნიოს ორაზროვნად ნათქვამმა ფრაზებმა, ან ერთი საკითხის ირგვლივ დასმულმა შებრუნებულმა კითხვებმა.

- კი, მაგრამ ესენი შენ საიდან იცი, როცა ამის გამოცდილება არ გაქვს?

- გუმანით!

- გუმანი და ინტუიცია მე უფრო უნდა მკარნახობდეს, ვინაიდან ერთხელ მაინც ვარ მათ წინაშე წარმდგარი.

- მერე, რაც მე ჩამოგითვალე, იქნება თუ არა ამდაგვარად?

- არც მე გამოვრიცხავ.

- და თუ შენც ამას ფიქრობ, მივხედოთ თემას.

თემის დამუშავება დაწვრილებით დავიწყეთ. აბზაციდან აბზაცამდე, გვერდიდან გვერდამდე. სადავო და საკამათო საკითხებს ცალკე ვინიშნავდით, რომ კიდევ ერთხელ გაგვეანალიზებინა. გვიან ღამემდე ვიმუშავეთ. დანარჩენი მომდევნო დღეებისთვის გადავდეთ.

დილით გოგომ გაგვაღვიძა. გონება დამძიმებული მქონდა.

- მძიმედ ვგრძნობ თავს! - შევჩივლე მეუღლეს, - ალბათ წუხანდელი ზედმეტი მუშაობის გამო!

- მართალი ხარ, შეიძლება ითქვას, ვიძალავეთ.

- აზარტის გამო უფრო იყო. ერთი სიტყვით საჭიროა განმუხტვა, გუშინ რომ მოგვეფიქრებინა და ასი გრამი წითელი ღვინო დაგველია, შეღავათს ნამდვილად მოგვცემდა!

- ახლა რა გამოგვიყვანს, ის მითხარი.

- ბავშვებს ხელი მოვკიდოთ და სპორტულ დარბაზში გავიდეთ. დანარჩენს იქ აგიხსნი.

დარბაზში გასულებმა ბავშვებს გასართობად ახალშეძენილი სათამაშოები მივეცით. ჩვენ კი მოსამზადებელი სავარჯიშოები დავიწყეთ.

როცა პირველი ნაწილი დასასრულს მიუახლოვდა, მეუღლის გასარკვევად ახსნა დავიწყე.

- სუნთქვითი სავარჯიშოებიდან განსაკუთრებით ისეთი შევარჩიოთ, რომლებიც გონებაზე იმოქმედებენ, მაგალითად, ამოსუნთქვასთან ერთად წარმოვთქვათ ბგერა „ი". ხუთი წუთის შემდეგ ბგერა „მ", ვიდრე პატარები ერთობიან, მოვასწროთ.

თანმიმდევრულად დავიწყეთ და თოთხმეტი წუთის შემდეგ შვება ვიგრძენით.

- ახლა ბავშვები წავავარჯიშოთ და მერე გავიდეთ.

- მათ რა უნდა მოახერხონ, ძლივს დადიან.

- ახლავე იხილავ, გენაცვალე, უშენოდ რამდენიმე ილეთი უკვე ჩატარებული მაქვს.

- მე რატომ არ დამასწარი?

- აი, რატომ, აბა პირველი რომელი მოხვალთ?

სურვილი ბიჭმა გამოთქვა, ჩემთან მობაჯბაჯდა და ჩამეხვია. წამოვდექი, მაჯებზე ხელი მოვკიდე და მაღლა ავწიე, მორიგეობით თითო-თითო ხელს ვუშვებდი, თან აქეთ-იქით ვაქანავებდი, ოთხჯერ წრიულად დავატრიალე და მერე ქვემო კიდურებზე გადავედი, თავდაყირა ხან ერთი ფეხით მეჭირა, ხანაც მეორით.

დედამისის შენიშვნებს განგებ ყურადღებას არ ვაქცევდი. მე ჯიუტად ვაგრძელებდი ბავშვის ვარჯიშს. როცა მისი ფეხებით ჰაერში დაბზრიალება დავიწყე, აი, მაშინ აუწია ხმას.

- რას სჩადიხარ, სახსრებში არ ამოაგდო ბავშვი!

- ხვდები არა, რატომ არ გაჩვენებდი, ნუ მომჩერებიხარ შეწუხებული სახით.

- შვილები არ გეცოდება, შეიძლება მათი ასე გამეტება?

- ეს მეთოდი, ძვირფასო, დიდი ხანია, რაც დანერგილია, შენც უთუოდ გექნება ყური მოკრული.

- რომც ვიცოდე, საკუთარ შვილს მე ვერ ჩავუტარებ!

- სხვათა შორის, ადრეული ასაკიდან ამ მეთდით აღზრდილი პატარები დიდად განსხვავდებიან თანატოლი ბავშვებისგან. ეს მაიმუნური მოქმედებები სხეულს თასმასავით

ხდის. ფიზიკური და გონებრივი განვითარების გარდა, ხელს უწყობს გარემომცველ პირობებში სწრაფად გარკვევას და ორიენტირებას. თავიდანვე ავლენს ფარულ შესაძლებლობებს და სხვა სიკეთეებიც ახასიათებს, მეტი რომ აღარ გავაგრძელო!

- ესე იგი, რა გამოდის, მრავალმხრივ განვითარებული რომ გახდე, უნდა გამაიმუნდე?

- კი არ უნდა გახდე, გამოიყენო, არა მარტო მისი, არამედ სხვა შინაური თუ გარეული ცხოველების მოქმედებებიც, გაიხსენე იოგა და უშუ, ძირითადად ფრინველების ან ცხოველების ქცევებიდან აქვთ გადმოღებული ბევრი რამ თავიანთ სისტემებში.

- გავიგე, მაგრამ მე მეცოდებიან, ჯერ პატარები არიან!

- რას ამბობ, მე კიდევაც დავაგვიანე, უფრო ადრე უნდა დამეწყო.

- თოთოები რას გაუძლებდნენ, ან შენი გული მოგცემდა ამის შეძლებას, ისინი წაღმა-უკუღმა დაგეტრიალებინა?

- როცა მეცოდინებოდა, რომ ეს მეთოდი მათ წაადგებოდა, გულს გავიმაგრებდი, შენ ახლა ის მითხარი, თავის სიმძიმემ თუ გაგიარა?

- გამიარა, თუმცა, ცოტა მაინც დამრჩა!

- ხუთი წუთი მოითმინე და გისაშველებ.

- მერე რა იქნება?

- ისეთ რამეს დაგალევინებ, საერთოდ გაგიქრება, მანამდე სამზარეულოში გადი და საუზმე მოგვიმზადე, ჩვენც მალე მოვალთ.

- წავალ, ოღონდ ბავშვებს არაფერი მოსწიო!

გავიდა თუ არა დარბაზიდან, ბავშვები ცოტა კიდევ წავავარჯიშე, მერე აბაზანაში გრილი შხაპი მივაღებინე, ახალი სამოსით გამოვაკოხტავე და სასაუზმოდ დიასახლისს ვეახელით.

- რა გამოგიპრანჭავს ბავშვები, ვდღესასწაულობთ?

- დაგავიწყდა, დღეს რომ ფერიცვალებაა?

- აა, ძალიან კარგი!

- მანამ მე სასმელს დაგიმზადებდე, გავალ და ახალ ტანისამოსს ჩავიცვამ, მერე შენ გადი,- თქმა და გასვლა ერთი იყო.

უკან მალე დავბრუნდი, მეუღლეს ვანიშნე, რომ გასულიყო, სანამ ის გამოიპრანჭებოდა, დრო მოვიხელთე და კენკრისგან სპეციალური კოქტეილი გავუკეთე, მაგიდაზე, მისი თეფშის გვერდით დავდგი და ისიც შემოვიდა.

- ოქროსფერი ნამდვილად გიხდება, მეც სწორედ მაგ ფერის კოქტეილი დაგიმზადე, ამას დალევ და სიმძიმეც მოგეხსნება.

-კარგი ბიჭი ხარ!

- ცოტ-ცოტა მოსვი ჭამის დროს და შედეგსაც მალე ნახავ.

- ჭამეს რამე ბავშვებმა?

- ძალიან მონდომებით!

- დღეს რატომღაც მდინარე არ უხსენებიათ, წყალში მინდას აღარ გაიძახიან.

- ახლა ცხენები უნდათ, დღეს, რომ ქვემოთ საბანაოდ ჩავიყვანოთ, კიდევ შეცვლიან ჩვენებას, ასე რომ, შემდეგ იმას მოისურვებენ, რაც ბოლოს საამურად განიცადეს.

- დღესაც გვიწყობს ხელს ამინდი. იქნებ მოვახერხოთ კიდევ ერთხელ ბანაობა!

- რატომ ერთხელ? სანამ დარი იქნება, მანამდე ნუ მოვაკლებთ მათ მთის წყლით გამაკაჟებელ პროცედურებს.

- თანახმა ვარ, შენ თუ ამის საშუალება გექნება!

- რას ჰქვია, არ მექნება, გამოვძებნი, მათი გაკაჟებისთვის სხვა საქმეს გვერდზე გადავდებ!

- კარგი! საქმეზე გამახსენდა, მაინტერესებს, არჩევნებში მონაწილეთა რეიტინგი.

- ლიდერობს ის, ვინც ნამდვილად უნდა ილიდეროს.

- იმ საქმოსნის პოზიცია?

- მეორე უკავია, ყოველდღე ჩვენს კავშირს ელოდება, თანაც დაგვეძებს, რომ გამოგვიყენონს შავ-ბნელი საქმეებისთვის. მისი მოპაექრეები უიარაღოდ იბრძვიან, მას კი იარაღის თანხლებით სურს მათთან პაექრობა, არარაინდულია!

- სწორად მსჯელობ.

- მე რომ მას დავუკავშირდე, უმალ კუდზე დამისვამს დაქირავებულ არაკანონიერ მაძებრებს!

- ეს როგორ?

- ჩემი აპარატიდან გასული ტალღების მეშვეობით მისი დამფიქსირებელი ხელსაწყო დიდი ხანია, რაც არსებობს.

- შენ ფიქრობ, რომ სივრცეში ადგილმდებარეობის გარკვევით მოაგნებენ შენს საცხოვრებელს?

- შეუმცდარად!

- შენ ხომ შეგიძლია ეს კოორდინატები დაახშო?

- შემიძლია, მაგრამ იქ უკვე აღრიცხულია.

- მაშ, გამოსავალი არ არსებობს?

- უკვე ნაფიქრი მაქვს!

- რა მოიფიქრე?

- პირველი, თანამგზავრის საშუალებით მისული კოორდინატის სიხშირე სკალიდან გავაქრო, მეორე, თუ უკვე წამოვიდნენ, ძრავა გავუთიშო და ამით დაშვება ვაიძულო!

- ეს მანევრი მისთვის უფრო წამგებიანი არ აღმოჩნდება?

- მან ხომ წინასწარ არ იცის, ამ ოპერაციას ჩავარდნა რომ უწერია, ამიტომ იმედიანად ზის თავის სავარძელში.

- ჩანს, რომ ბრძოლისთვის ემზადება!

- შეიძლება უკვე მზად არის, ამის შემოწმება პრობლემა არ არის. გინდა გაჩვენო?

- თუ სახიფათო არ იქნება, უარს არ ვიტყვი.

- საუზმეს რომ დავასრულებთ, მისაღებში დიდ ეკრანზე გავაშუქოთ, გავიგოთ, ამჟამად სად არის და რას მოიმოქმედებს ჩვენი დაკავშირების შემდეგ, თუ აღარ ვაგრძელებთ, შეგვიძლია ახლავე დავიწყოთ.

- კარგი, მოვკიდოთ ბავშვებს ხელი და გავიდეთ.

მისაღებში პატარები მოფარდაგულზე დავსვით, მათთვის საყვარელი სათამაშოები თაროებიდან გადმოვალაგეთ და ორივეს გავუწოდეთ. მე კი ეკრანის წინ კომპას-აპარატის მეშვეობით პატარა მანიპულაცია შევასრულე და მისი ადგილსამყოფელი მოვძებნე. ის იჯდა თავის კაბინეტში, ორ თანმხლებ პირთან ერთად. მაგიდაზე ეწყო პულტის მსგავსი ხელსაწყო და ორი მობილური, მათ შორის მოადგილის, ვინიცობაა, მე მას დავუკავშირდებოდი, პირდაპირ თვითონ გაეცა ჩემთვის პასუხი.

ჩემს ზარზე ავტომატურად მისი ხელსაწყოც ჩაირთო, სიგნალი მყისიერად გადაეცა ასაფრენ ბილიკზე გამზადებულ შვეულმფრენს. მის მიერ დაქირავებული რაზმიც იქვე იმყოფებოდა. აჩქარებით ჩასხდნენ და სკალაზე ნაჩვენები მიმართულებით გავიდნენ.

- ამჩნევ, ძვირფასო, როგორი მონდომებულები არიან, თუ არ გათიშე, ისინი მალე აქ აღმოჩნდებიან, ამიტომ, ჯერ კოორდინატებს ვშლით, მერე კვლავ თანამგზავრის საშუალებით მათ ძრავებს ვთიშავთ. ხედავ, უკვე წონასწორობას მოკლებული შვეულმფრენი ქვემოთ რომ ეშვება?

- ვხედავ!

- ახლა მე აღვადგენ შეფთან კავშირს, ოპერაციის მიზეზით რომ არ პასუხობდა, იქნებ ამჯერად მაინც ინებოს დალაპარაკება, მოვუსმინოთ, როგორ იმართლებს თავს!

როგორც იქნა, გახსნა ეთერი და დიდი მოწიწებით მომესალმა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი დაგეგმილი ოპერაცია წარმატებით დასრულდებოდა.

- თავად როგორ გრძნობთ თავს, სერ?

- გმადლობთ, ძალიან კარგად. ჩემი ნომრები თქვენ საიდან?

- ჩემთვის, სერ, მიუწვდომელი არაფერია, თქვენ ის მითხარით, ჩვენი პირობა რატომ დაირღვა?

- ამის გამო ბოდიშს ვიხდი, გამოუვალი მდგომარეობა იყო.

- გასაგებია, ახლის აწყობა რისთვის დაგჭირდათ?

- წინა რომ გაითიშა, იძულებული გავხდი, ახალი ამეწყო!

- მეორეც იმავე მიზნისთვის, ასეა, არა?

- არ დაგიმალავთ, მჭირდებოდა გამარჯვების მისაღწევად.

- ისიც ხომ გაითიშა, ახლა მესამეს აწყობას იწყებთ?

- არა, ახლა თქვენ უნდა დამეხმაროთ!

- მე, სერ, რამდენჯერმე დაგეხმარეთ, ეს თქვენ კარგად იცით, შემიძლია კიდევ მოგცეთ რჩევა, არჩევნებში უპირატესობა რომ მოიპოვოთ!

- გულისყურით გისმენ.

- სერ, პროგრამაში შეიტანეთ ქველმოქმედების მუხლი, თუ მას პრაქტიკულად დღეიდან შეასრულებთ, უამრავ ქულას მოიპოვებთ. სიკეთის ენერგიას სწრაფი გავრცელების უნარი ახასიათებს, ამაში რომ დარწმუნდეთ, უნდა სცადოთ, ამის საშუალება ნამდვილად გაქვთ.

- მე მინდა ხალხზე დაუყოვნებელი ზემოქმედება, ამიტომ მჭირდება ის აპარატი, რომელიც თქვენ გააჩერეთ და როგორც გააჩერეთ, ისევ თავად აამუშავებთ, სულ მალე ამასაც მოვესწრები!

- ვიცი, იმედი გაქვთ, სერ. თქვენ მიერ დაქირავებული სპეციალური რაზმის, თუ...

- საიდან ეს ინფორმაცია? - სწრაფად ჩამიჭრა შეშფოთებულმა სიტყვა.

- უპირველეს ყოვლისა, სერ, მითხარით, რა მიზნით გამოგზავნეთ სპეცრაზმი, - შეფი დუმდა, - ალბათ ჩემი თქვენთან ოფისში მოყვანა ჰქონდათ მიზნად, რომ შემდეგ ძალის გამოყენებით ამემუშავებინა რომელიმე აპარატი. უკიდურეს შემთხვევაში, ლიკვიდაცია. თქვით, რატომ დუმხართ, სერ, გადამოწმება გსურთ? გადროვებთ.

შეფი საჩქაროდ დაუკავშირდა დაქირავებული რაზმის ხელმძღვანელს. ცდილობდა, როგორმე გაერკვია ვითარება, საბოლოოდ პასუხი უარყოფითი რომ მიიღო, განრისხებული სიტყვებს ვერ პოულობდა. აღარ იცოდა, რა ეთქვა ჩემთვის. ისევ მე შევეხმიანე.

- მოხდა რამე, სერ? სად არიან თქვენი გამოგზავნილი სტუმრები, იქნებ გზაში დაბრკოლებას წააწყდნენ და ამის გამო ვეღარ შეძლეს ჩემამდე მოფრენა. ხომ ხედავთ, მე ვცდილობ ჯანსაღ ურთიერთობას, თქვენ კი მალულად მებრძვით, მითხარით, რატომ არ იყენებთ საზოგადოებაში მიღებულ ქცევის წესებსა და ნორმებს, ან სად არის ჩვენი ჯენტლმენური შეთანხმება. მე ამჯერად სრული უფლება მაქვს, საპასუხო რეაქციისთვის მოვემზადო!

- რას, რას აპირებთ, ყმაწვილო? - როგორც იქნა, დაარღვია დუმილი.

- კარგად იცით, სერ, ამ შემთხვევაში რა ზომებია მისაღები. იმ პირობით, თუ თქვენ ქველმოქმედებას დაიწყებთ, გარკვეულ დათმობებზე წავალთ. თვეში ერთი დღე გამოჰყავით გადარიცხვისთვის. დაცვა რომ გააათმაგოთ, უფრო მეტი ხარჯის გაწევა მოგიწევთ. შედეგი ნულის ტოლი გექნებათ, სჯობს, ის თანხა უპატრონო ბავშვთა დახმარების ფონდში ჩარიცხოთ. მოთხოვნების არშესრულების შემთხვევაში, პირველ ეტაპზე ელექტრონული მომსახურების საერთო სისტემიდან გაითიშებით!

- მის გარეშე რას შევძლებთ, ყმაწვილო?

- ამიტომ, შეასრულეთ ის, რაც თქვენც და სხვებსაც წაადგებათ.

- ვეცდები, როგორც კი საშუალება გაჩნდება.

- საშუალება ყოველთვის გაქვთ, სერ. თუ პირობა დაირღვა, ორი დღის თავზე ავტომატურად გაითიშებით. ნახვამდის!

- ისმენდი, არა? - ვეკითხები განცვიფრებულ მეუღლეს. - რა ხდებოდა, სასწრაფო ზომები რომ არ მიგვეღო, ისინი ჩვენი მთის ფერდობზე უკვე ჩამოქვეითებული იქნებოდნენ.

- კარგად მოიფიქრე, თავი რომ წინასწარ დაიზღვიე. პირობის შესრულებაზე რას იტყვი?

- იმის შიშით, რომ სისტემიდან არ გავთიშო, ეცდება, რაღაც მოახერხოს. შევხედოთ ეს ორი დღე, მერე ვიმოქმედოთ.

- სხვას რას აპირებ?

- მინდოდა, თემის განხილვა გაგვეგრძელებინა, სანამ პატარები კარგად ირთობდნენ თავს, რამდენიმე ფურცელიც წინ წაგვწევდა.

შუადღემდე დროდადრო ერთ ჯერზე რვა-ათი ფურცლის განხილვას ვახერხებდით. ნაშუადღევს კი ბავშვები მდინარეში ჩავიყვანეთ, ნეტავ გენახათ, რა წამსაც ტანზე გავხადე, პირდაპირ მდინარისკენ წაბაჯბაჯდნენ.

დაისამდე არც კი უცდიათ ზემოთ ამოსვლა და არც სილაში თამაშის გაგრძელება. როდესაც უკან დაბრუნების დრო მოვიდა, მეუღლემ უეცრად ისე ხმამაღლა შეჰყვირა, მთის ექო

ქალაქამდე ჩააღწევდა! თურმე, ჩვენკენ მომავალმა უცნაურმა ცხოველების შიშმა წამოაყვირა.

- დამშვიდდი, პატარებს ნუ გადარევ!

- რა დამამშვიდებს, განა ერთი იყო, მასთან ერთად კიდევ ორი შევნიშნე.

- შენი ყვირილის შეეშინდათ და გაიქცნენ, ნუღარ განიცდი.

- რომ დაბრუნდნენ? აგერ ერთიც გამოჩნდა!

- აქ არ ვარ, რამ შეგაშინა! იარაღიც მზად მაქვს, შენი თვალით დაინახავ, რას ვუზამ მაგ საფრთხობელას მაგას, შეხედე!

ის-ის იყო მიზანში ამოვიღე, მის უკან გაქცეული ორიც მალე გამოჩნდა. ორივეს ის ბედი ეწია, რაც პირველს, მერე ირგვლივ თვალი მოვავლე, როცა დავრწმუნდი, რომ სხვა მხრიდან საშიშროება აღარ იყო, უკან წამოსასვლელად ცოლშვილი ფრთხილად მოვამზადე, კაბინაში ჩავსვი და შინ დავბრუნდით.

- რა ცხოველები იყვნენ ასეთი უცნაურები, ზოოპარკშიც არ მინახავს.

- ეგეთი აფთრები ამ გეოგრაფიული ზონისთვის მართლაც უჩვეულოა, შეიძლება ნაკრძალიდან ამოყვნენ ხევს.

- ჩვენ კი შეგვაშინეს!

- ბავშვები უფრო შენმა ყვირილმა შეაშინა, ცხოველები მათ არც კი დაუნახავთ, ამიტომ ველური ბუნების ბინადრები ახლოს რომ გავიცნოთ, კვირის ბოლოს ზოოპარკში მოვაწყოთ ექსკურსია.

- გეთანხმები.

- ძალიან კარგი. ახლა კი, როგორც შეშინებულმა, პირველმა მიიღე წიწვოვანი აბაზანა. მერე მე შეგცვლი, მანამდე ბავშვებთან ერთად გავაგრძელებ თამაშს.

- აბა, ჩემო გვრიტებო, სანამ დედა მოვა, ერთად ვითამაშოთ.

მათ, რა თქმა უნდა, გაუხარდათ მამასთან ერთად თამაში. მაშინვე მობაჯბაჯდნენ თაროებთან, თავიანთი საყვარელი სათამაშოები ჩამოალაგეს, ჩემ წინ, მოფარდაგებულზე და-

აწყვეს და გართობა განვაახლეთ. მეც კარგად ვერთობოდი მათთან ერთად. ვერთობოდი ფიზიკურად, მაგრამ გონება კი სხვაგან იყო გადართული, ვფიქრობდი, თუ როგორ მომეგვარებინა ქალაქში მოძრავი უამრავი ტრანსპორტის მიერ კატასტროფულად დაბინძურებული გარემოს გაწმენდა. მის სულთამხუთავ გავლენას მთიდან ჩასული ადამიანი ადვილად ვგრძნობდი.

პირველი საშუალება, რომელზეც მე ვფიქრობდი, იყო ისეთი ნივთიერებების ჰაერში გაშვება, რომლებიც გაანეიტრალებდნენ გამონაბოლქვი აირების ტოქსიკურობას, მეორე ჩანაფიქრი კი - პერპეტუუმ-მობილის სისტემის, ან სხვა სახის ენერგიის დასაგროვებელი მოწყობილობის შექმნა. ამ ფიქრში ვიყავი გართული, როცა მეუღლე შემოვიდა. ბავშვები მას დავუტოვე, მე კი პირდაპირ ჩემს კვლევით განყოფილებას მივაშურე წარმოსახვითი მონახაზის შესაქმნელად. პირველად მუდმივი ძრავის მექანიზმის კონსტრუქციის შექმნა დავიწყე. ცდისთვის ავიღე ცილინდრი და ჩავსვი მეორე ცილინდრში, რომელშიც ჩასხმული მქონდა წინასწარ შეზავებული ბლანტი სითხე, მისი წნევა აიძულებდა შიგნით მოთავსებულ ცილინდრს, თავისი ღერძის გარშემო ებრუნა. მბრუნავი ცილინდრი სითხეს აძლევდა სითბური გამოცემის უნარს, რომელიც დამატებით აძლიერებდა მის სიჩქარეს. ამ სახის მოქმედებით, ერთი მხრივ, სითხეს დამატებით სტიმულს გადასცემდა წნევის წარმოსაქმნელად, მეორე მხრივ, სითბოს აქტიურ გამოყოფას უწყობდა ხელს. ორივე კი ერთმანეთისთვის იძლეოდა მოძრაობის აღმძვრელ მიზეზს და ცილინდრიც გამუდმებით ბრუნავდა. ორი დღე ასეთ ფორმაში დავტოვე, მესამე დღეს შეკრულ კორპუსში თანმიმდევრობით ჩავამაგრე გადამცემი, გადაბმულობის და წამყვანი ლილვები, ბოლოს დავუკავშირე ცილინდრს, ცილინდრმა წრედი შეკრა და მთლიანი კორპუსი აამოძრავა. ამის შემდეგ დანარჩენი მექანიკა ჩვეულებრივად შემეძლო ამეწყო.

როცა პროექტი მეუღლეს გავაცანი და ვაჩვენე, გაუხარდა.

- ნამდვილად რომ გამომგონებლად ხარ დაბადებული,

თავისუფლად შეგიძლია ამ საკითხზე სამეცნიერო ხარისხის მიღებაც!

- გმადლობთ, ძვირფასო, ოჯახში ერთი ოფიციალური დოქტორი და ერთი არაოფიციალური ჯერჯერობით საკმარისია!

- რატომ, შენც დაფიქსირდი!

- ამ გახსენებაზე, უკვე შენი დაცვის თარიღიც მოახლოვდა.

- მოახლოვდა და მეც მზად ვარ, თუ გინდა, გამომცადე.

- კარგი, კითხვა ასეთია - რა გზით შეგვიძლია დავიცვათ თავი მძიმე დაავადების გამომწვევი ბაქტერიების შემოტევისგან?

- პასუხი მარტივია, დავიცვათ ჯანსაღი ცხოვრების წესი.

- არასაკმარსია, დაამატე.

- როცა ორგანმიზმი ჯანსაღია, ადვილად უმკლავდება ნებისმიერ სენს.

- მართალია, მაგრამ როგორ მივიდეთ სიჯანსაღემდე?

- ორგანიზმის გაწმენდით არაორგანული ნივთიერებებისაგან.

- კეთილი, რა საშუალებით შეგვიძლია გავწმინდოთ, მედიკამენტები გამორიცხე.

- მოძრაობით და დიეტით.

- გამოგრჩა მთავარი შტრიხი - სამკურნალო შიმშილი! შემდეგი კითხვა - ელექსირის დასამზადებელი იდეა საიდან გაჩნდა შენში. წინასწარ გეუბნები, მინიშნებას აღარ მოგცემ.

- ჰო, კარგი, მე გაგცემ პასუხს, რადგან უამრავი დაავადება სწორედ რომ ორგანიზმში ჩარჩენილი ტოქსიკური ნივთიერებების მიზეზით ვითარდება, გადავწყვიტე, შემექმნა ისეთი პრეპარატი, რომელიც უზრუნველყოფდა მის უვნებლობას, ანუ გაანეიტრალებდა მის ტოქსიკურობას. რაც შეეხება შემადგენელ ნაერთებს, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, პრეპარატის დამზადებისთვის მხოლოდ ფუტკრის პროდუქტები გამომეყენებინა.

პასუხის გაცემა რომ დაამთავრა, კიდევ ორი კითხვა დავუსვი და ამით დავასრულე შინაურული გამოცდა.

ორი დღე შევისვენეთ, მესამე დღეს გადავწყვიტეთ, ზოოპარკიდან დაბრუნების შემდეგ, ისევ გაგვეგრძელებინა საგამოცდო გამოკითხვები.

დილას ჯერ ბავშვები მოვამზადეთ, მერე ჩვენ და ბაქანზე გავედით.

რადგან კვირის ბოლო იყო, სალაროებთან უამრავი ხალხი ირეოდა. ბავშვებიანები ურიგოდ გაგვატარეს. შიგნით რომ შევედით, დათვალიერება მარჯვენა მხრიდან ვარჩიეთ.

გალიები შინაური ცხოველებით სხვადასხვა ჯიშის მიხედვით ჩაეწყოთ, მერე - საფრინველეები, შემდეგ კი გარეული პატარ-პატარა ცხოველების გალიათა რიგი იწყებოდა.

ბავშვებთან ერთად ჩვენც დიდი სიამოვნებით ვათვალიერებდით სხვადასხვა კონტინენტისთვის დამახასიათებელ ნადირთა სამყაროს, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ გვენახა. ასეთი იშვიათი ცხოველების გალიებთან ბავშვებს სურათებსაც ვუღებდით. მერე მაიმუნებს ვესტუმრეთ. აქ კი ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ორივე სიცილ-კისკისით შესცქეროდა ხეებზე მოხტუნავე მაიმუნების თამაშს, მათი ინტერესის გამო უფრო დიდხანს მოგვიწია სადგომთან ყოფნა. ამასობაში, დაღლაც შეეტყოთ. სანამ ქვეწარმავლების განყოფილებას მივაკითხავდით, დასასვენებლად ზოოპარკის შუაგულში, კარუსელების წინ, ნახევრად ღია კაფეში დავსხედით. პატარებისთვის - ხილის წვენი, ჩვენთვის კი ნაყინი შევუკვეთეთ.

კაფეში დაახლოებით ორმოცდაათი წუთი ვისხედით, გარეთ რომ გამოვედით, ბავშვებმა კარუსელები რომ დაინახეს, ხელი იქით გაიშვირეს და შეუწყვეტლივ მინდა-მინდას გაიძახოდნენ. უარის თქმა აქ უკვე ზედმეტი იყო, რა გაეწყობოდა, ავიყვანე ორივე და სათამაშო ავტომანქანაში ჩავსხი. იქიდან კუზიან აქლემებზე შემოვაჯინე. მერე საქანელებით გავართე, ბოლოს, როგორც იქნა, კმაყოფილებმა თითი გალიებისკენ გაიშვირეს.

- წავალთ, მამიკოებო, სადაც იტყვით იქ წავალთ.

- და ასე, მათ ჭკუაზე უნდა ვიაროთ? - გაბრაზება დაეტყო მეუღლეს.

- უარს თუ ეტყვი, ტირილს დაიწყებენ. ტირილი კი, იცი, პატარა სტრესია, თუ ხშირი ხასიათი მიეცა, თანდათან უარყოფით განცდებად გარდაიქმნება, ანუ პათოლოგიის კერის შექმნის დასაწყისი გახდება, დროთა განმავლობაში რა ფორმით იჩენს თავს, შენ ვერ გაიგებ, ამიტომ, სჯობს თამაშ-თამაშით აღზრდა და მათ გასაგებ ენაზე შესაფერისი საუბრები. პატარებს გართობის და თამაშის უფლებებს ვერ წაართმევ. ასევე შენც, როგორც მომიზეზეს, თუ რამ გსურს, თქვი. ახლა შენ პატარა ბავშვივითა ხარ, არ მოგერიდოს, მითხარი.

- სწორედაც, რომ მინდა!

- რა?

- კანაფხალი!

- რაა, ეს საიდან ამოგიტივტივდა ამ შუაგულ ზოოპარკში? ჰო, კარგი, რა სახით, ჩამწნილებული, თუ ფხლად მოჯეჯგვილი?

- ორივე, ტყემალთან და მჭადთან ერთად.

- ოჰ, ახლა ესენი მაინც არ დაგაცლიან გემრიელად ჭამას, შინ რომ მივალთ, ნატვრას ნამდვილად აგისრულებ, თუ სასწრაფოდ გსურს? მე ახლავე გავალ და მოვიტან.

- მერმისთვის, ამოდენა მუცლით მათი მოვლა ნამდვილად გამიჭირდება.

- როგორც იტყვი, მაშინ გავაგრძელოთ დათვალიერება.

ზოოპარკში კიდევ ერთი საათი გავჩერდით. შინ რომ მივედით, ისინი მისაღებში დავტოვე, მე კი გარეთ გამოვედი. ბაზარში ცოტა გვიან მომიწია მისვლა, მაგრამ იმას, რაც მინდოდა, მაინც მივაკვლიე, მის გარდა კიდევ სხვა სახის მწნილი და ისეთი ბოსტნეული, რომლებიც ჩვენს ბაღჩაში არ გვქონდა დათესილი, მისი ყველა თავი თესლებთან ერთად შევიძინე და უკან დავბრუნდი.

- ასე ჩქარა რის ყიდვას მოასწრებდი? - შემომკითხა გაკვირვებულმა.

- რაც გსურდა და სხვა დანარჩენი. საუკეთესო ხარისხის მწნილებიც ავარჩიე და წამოვიღე. ჭყინტი სიმინდიც კი მოვიტანე. ჩვენთან ცოტა მოგვიანებით შემოვა.

- აი, ყოჩაღ, მოხარშულიც კარგია და ნაკვერჩხლებზე შემწვარიც.

- მადროვე და ორივეს სულ მალე ლანგრით მოგართმევ, ჩემო დედოფალავ!

- გმადლობთ, გენაცვალე!

- არაფრის. აბა, ახლა თან საქმე. შენ წყალი ამიდუღე, მე ცეცხლს გავაჩაღებ.

საშეშეში რომ ჩავიხედე, მარტოოდენ წვრილი ტოტებიღა იყო დარჩენილი. მაშინვე გარეთ გამოვედი, კაბინაში შევედი და მოძრაობის დამწყებ პუნქტს მივაშურე. ვხედავ, ზემოთ ასვლის მაგივრად ქვემოთ მივდივარ. კაბინა შუა გზაში დავამუხრუჭე. ასეთი რამ არასდროს მომსვლია, მაშასადამე ქვეცნობიერმა რაღაც იგრძნო და ისე მამოქმედა, როგორც მიზანშეწონილად ჩათვალა. მყის შევინიღბე და ზემოთ მაჩვენებელ ისარს ნიშანი მივეცი. ასვლისთანავე თვალი მოვკარი დაღმართზე მიმავალ ორ მონადირეს, რომ არა ის მცირე დაყოვნება, მათ პირდაპირ შევეჩეხებოდი და ორივე მხარე უსიამოვნებას გადავეყრებოდით. არადა, ამ სიშორეზე არასდროს ამოსულან. სასწრაფოდ რაიმე უნდა მეღონა, რომ მეორედ პირი აქეთ აღარ ექნათ.

პირველი, რაც მოვიფიქრე, ეს იყო, ასი მეტრის იქით გამეკეთებინა ტრაფარეტი წარწერით - ნაკრძალის ტერიტორიაზე ნადირობა აკრძალულია, თუ შემთხვევა განმეორდებოდა, მორიგი გაფრთხილების სანაცვლოდ ისეთ ენერგეტიკულ წინააღმდეგობას დავახვედრებდი, რომელიც უკან დაბრუნებას აიძულებდა.

ვფიქრობდი, თან შეშას ვაგროვებდი. შეგროვება რომ დავამთავრე, კაბინაში შევაწყვე, გარემოს თვალი შევავლე და შინ წამოვედი.

- ამდენ ხანს არასდროს დაგიგვიანია, მოხდა რამე? ლამის იყო, წამოსვლა დავაპირეთ. - თქვა და თვალებში ჩამხედა.

- პატარა ინციდენტმა შემაყოვნა.

- რა მოხდა, არ მეტყვი?

- გეტყვი.

ბუხარში შეშის ჩაწყობა დავიწყე, თან შემთხვევას ვუყვებოდი. მოყოლისას, აშკარად ვგრძნობდი მის შინაგან დაძაბულობას, თითები ხელისგულში მოექცია და დროდადრო აწვალებდა.

- რატომ ღელავ, ძვირფასო, რამე გენიშნა?

- თუ ისინი ხშირად ამოვლენ აქ, შეიძლება არასახარბიელო სიტუაციაში ჩავვარდეთ.

- ჩვენ რატომ? - პასუხის მოლოდინში ბუხარში ჩაწყობილ შეშას ცეცხლი წავუკიდე და სავარძელში გადავინაცვლე.

- რომ შეგვამჩნიონ, გაგვირთულდება აქ ცხოვრება.

- ქვემოთ, ძვირფასო, ხვალიდან ენერგო-მესერს დავაყენებ. ჩვენს ზონაში ვეღარ შემოვლენ, ასე რომ, ნუღარ აღელდები. შენი ფაქიზი ემოციები არ ღირს მის განსაცდელად. ამიტომ შევეშვათ მათზე ფიქრს და გადავიდეთ სამშაბათის ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაზე. რომ იცოდე, მე უკვე შევუკვეთე საბანკეტო სუფრა უფრო დიდ და კეთილმოწყობილ დარბაზში, მეორე - შენ ვისი მოწვევაც გსურს, ჩამოვწეროთ და დავუკავშირდეთ. ჩვენი მენეჯერი და ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაცევტული განყოფილების ხელმძღვანელი არ დავივიწყოთ, წინასწარ გავაცნოთ მომავალი მედიკამენტების სიახლე. მესამე, სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენებისთვისაც უნდა ვიყოთ მზად.

- შენ, ჩემო კარგო, ბევრი საქმის შეთავსება გიწევს, ეგეც შენ მოგიწევს.

- რატომ მე?

- ვის უნდა ანდო ასეთი მნიშვნელოვანი საქმე, ვინ გყავს კანდიდატურა?

- აგერ, მომავალი თაობა!

- სახუმარო დრო ნახე?

- რომ მითხარი, შენ მოგიწევსო, სხვას ვის მოუწევდა, თუ არა მე. სიტყვა გაგვიგრძელდა, რაც წამოვიწყეთ, გავაგრძელოთ, კეცები შევამოწმოთ, თუ მზად არის - დავაჯინოთ.

- გავალ, შევზელ და გამოვიტან.

- მე მანამდე შესაწვავ სიმინდს გავარჩევ. მამიკოებო, - გავძახე ბავშვებს, - ხომ არ მოგშივდათ?

ისინი ისე იყვნენ თამაშში გართულნი, ჭამა საერთოდ არ ახსოვდათ.

სიმინდების გარჩევა რომ დავამთავრე, მეუღლეც გამოვიდა. მოზელილი სიმინდის ფქვილი კეცებზე დავაჯინე, ტაროები ნაკვერჩხლებთან მივაწყვე და საკეცე მივაწოდე.

- შენ თუ არ შეგიძლია ფხალის მოჯეჯგვა, მე გავალ, შენ კი ტაროები ატრიალე, არ დაგინახშირდეს.

- კარგს იზამ.

- აგერ, სამფეხიც, ჩამოჯექი და მეც მალე მოვალ.

სამზარეულოში ჩემს საქმეს მალე მოვრჩი. მაგიდის გასაწყობად საჭირო ჭურჭელს თავი მოვუყარე და მისაღებში გავედი, სანამ სუფრის გაწყობას დავიწყებდი, მეუღლეს გავხედე. ერთი ხელი მუცელზე ჰქონდა მიდებული, მეორეში საკეცე ეჭირა და ტაროებს გვერდს უცვლიდა.

სუფრის გაწყობას თავი დავანებე, ბუხართან მოფუსფუსე მეუღლეს მივუახლოვდი, მხარზე ხელი მოვხვიე და მის გვერდზე ჩამოვჯექი.

- ადრიანად ხომ არ დაგეწყო, ძვირფასო?

- რაღაცას მანიშნებს, თუმცა, ჯერ ნახევარი თვე დრო გვაქვს.

- სამი-ოთხი დღე მოითმინოს, მერე თუ უნდა, ცეკვა-ცეკვით გამოვიდეს!

- არა მგონია, ასე ადრე მოხდეს, ის ჭკვიანია, ხარისხის დაცვას უსათუოდ გვაცდის.

- კარგი, მე გავალ და კიდევ რაღაც-რაღაცებს გამოვიტან, შენ კეცებს გვერდი უცვალე ჩემს გამოსვლამდე, ცხობასაც მოიმთავრებენ.

გამზადებული თავი კერძები ლანგარზე დავაწყვე, მარცხენა ხელში ღვინით სავსე დოქი მოვიმარჯვე და ღიღინ-ღიღინით გამოვედი სამზარეულოდან.

ჯერ პატარები დავაპურეთ, მერე დიდებმა მივხედეთ ჩვენს თავს.

- როგორ მოგწონს ჩემი მოჯეჯგვილი ფხალი, ხომ არაფერი დამიკლია?

- უზადოა, სხვა საქმესთან ერთად მზარეულობაც გეხერხება!

- საქმე უნდა მოიმარჯვო, გენაცვალე, მისგან კარგი შედეგი რომ მიიღო.

- რა მაგის პასუხია, ქიმიურ საწარმოს რა ბედი ეწია? რატომღაც გამახსენდა, მთავარ ხელმძღვანელს ხომ არ დაკავშირებიხარ?

- არა, კვირის დასაწყისში ვაპირებ, რაც ვთხოვე, მეეჭვება, რომ შეასრულოს, თუმცა ერთი ვარიანტი ნახევრად მოიწონა.

- რომელი?

- მის სანაცვლოდ ავტოქარხნის შექმნის იდეა. ავტომანქანა გამონაბოლქვის გარეშე!

- აზრი მომწონს.

- კონსტრუქციის მოდელს მე ვაწვდი.

- მან იცის ამის შესახებ?

- თუ თვითონ ვერ მოახერხებს, მაშინ მე უნდა მივაწოდო სქემა და მისი ვიზუალური სახე.

- მოდელს როდის ქმნი?

- უკვე შექმნილი მაქვს. გაბარიტები სტანდარტზე ოდნავ დიდია, მაღალი, ფორმა - ოვალური, შუქ-ფარები პანტერის თვალებს მოგაგონებს. კორპუსის ზედა ნაწილის ჰორიზონტალს ორი არშია აქვს შემოვლებული, რაც ავტომანქანას თვითმყოფად სახეს აძლევს.

- რას ამბობ, არ შეიძლება მაჩვენო?

- ახლავე გამოგიტან, გენაცვალე.

კვლევითი განყოფილებიდან შეფუთული მოდელი გამოვუტანე და მის რეაქციას დაველოდე. მან აჩქარებით დაიწყო გარედან შემოხვეული აბრეშუმის ნაჭრის შემოხსნა, შემოხსნა დაამთავრა და თვალებიც გაუფართოვდა.

- აი, ეს მესმის! მეც მინდა მყავდეს!

- აიღე, მე პრეტენზია არ მაქვს.

- ეს არა, ნამდვილი!

- ნამდვილი ჯერ არ შექმნილა. როცა შეიქმნება, თუ ისურვებ, პირველი ავტომანქანა შენი იქნება.

- როდის მოესწრება?

- აი, ეგ მეც მაინტერესებს. ხვალ დავუკავშირდები და ვითარებასაც გავარკვევ. ზეგ კი, იცი, განსაკუთრებული მარათონი გველის, ამიტომ ეს ორი დღე ადრიანად უნდა დავიძინოთ, რომ ენერგია მოვიზღვავოთ!

ნავახშმევი მივალაგ-მოვალაგეთ, მთვლემარე ბავშვებს ხელი მოვკიდეთ და საძინებელში გავედით.

დილას ადრე ავდექი, მაშინვე ორი ცალი ტრაფარეტი დავამზადე და ზემოთ ავიტანე. ერთი ჩვენიდან დაახლოებით ასი მეტრი მანძილის მოშორებით, თვალსაჩინო ადგილზე მივამაგრე, მეორეს თვალის შეუმჩნეველი მხარე მოვუძებნე, ხელდახელ ორი იღლია ხმელი შეშა შევაგროვე და სახლს მივაშურე. შეშა საშეშეში ჩავალაგე. მე კი კვლევით განყოფილებაში გავედი. პირველად თვალი ყველა საწარმოს წარმოებული პროდუქციის ავკარგიანობის მონაცემებს გადავავლე. ამჯერად ამ ფუნქციას თვითონ გამომთვლელი ხელსაწყო მისრულებდა. თანამგზავრიდან აღებული ინფორმაციის მიხედვით, ხელსაწყო მიღებულ ნაკლოვანებებს მინიშნავდა და შენიშვნების გვერდზე გადაჰქონდა. ასეთი ხარვეზიანი საწარმოები, სამწუხაროდ, კიდევ აღმოჩნდა, მათი სიჯიუტის მოსახსნელად უკვე სათანადოდ შემუშავებული შთაგონებითი მიმართვები გავაგზავნე. დასასრულს, ქიმიური საწარმოს თაობაზე შეფის უწყებას დავუკავშირდი.

- დიდი ხანია, შეფი თქვენს კავშირს ელოდება. - გამცა პასუხი მდივანმა.

- გადამრთეთ, თუ შეიძლება.

- ახლავე, შეგიძლიათ უპასუხოთ.

- გამარჯობათ, სერ, როგორ მყოფობთ ამ ბოლო დროს?

- გმადლობთ ყმაწვილო, თავად?

- უკეთესად. გადავიდეთ ჩვენი მოლაპარაკების შემდგომ ეტაპზე, რა გადაწყვეტილება მიიღეთ, თუ საიდუმლო არ არის?

- სანამ გიპასუხებდეთ, მინდა შეგეკითხოთ, ბალისტიკური რაკეტები ვერ გამოსცადეს, წუნის გამო. მასში თქვენი ხელი რომ ურევია, ხომ არ ვცდები?

- არა, სერ, არ შემცდარხართ. მე წინასწარ გითხარით, შემიძლია გავიმეორო. შემუშავებული გვაქვს სპეციალურ ღონისძიებათა სისტემა ყველა მასობრივი გამანადგურებელი იარაღის გასანეიტრალებლად. ალბათ, თქვენი მეგობრები ძალიან გაბრაზებულები იქნებიან ჩვენი მიზეზით, ასე არაა, სერ?

- არ დაგიმალავთ, ყმაწვილო და აღარ იციან, რა მოიმოქმედონ, უმუშევრობის დონეზე არიან, მეც მათ რიცხვში შევდივარ.

- სერ, არ იქნებით არც ერთი უსაქმოდ, თუ ჩემს წინადადებას მიიღებთ, ამის შესახებ თქვენ კარგად იცით. მოიძიეთ ვინმე ნიჭიერი კონსტრუქტორი?

- არიან, ყმაწვილო, მაგრამ შიგა წვის სქემა ბოლომდე ვერ მიიყვანეს. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ აკუმულირებული ენერგიის ბატარეები ძრავას სიძლიერეს ვერ გადასცემსო, ხოლო რაც შეეხება წყლის ძრავას, ის უკვე შექმნილი აქვთ და სერიულ გამოსვლას ელოდებიანო. სხვა ალტერნატივა ჯერ-ჯერობით ვერ მოძებნეს.

- მე ჩემს იდეას შეგახსენებთ, სერ, იმ შემთხვევაში, თუ ავტოინდუსტრიას სერიოზულად მოეკიდებით.

- მითხარით, ჩემი გაუკეთებელი საქმე არ არსებობს!

მე სქემატურად აღვუწერე მუდმივი ძრავას მოდელი და მისი დიზაინი, ამასთანავე ელექტროფოსტით გავუგზავნე მისი წინა, უკანა და გვერდითი ფორმის ჭრილში შექმნილი გამოსახულებებით.

- ყმაწვილო, მართალი გითხრათ, შესანიშნავი იდეაა, მოდით და საქმე ერთად დავიწყოთ.

- გმადლობთ, სერ, ამისთვის დრო ნამდვილად არ მექნება. მე კი ყველაფრით დაგეხმარებით. დაიწყეთ მშენებლობა და უფრო მეტიც, ავტომანქანის ნაწილების შაბლონებს თავად გამოგიგზავნით. თქვენ მხოლოდ შენობა გაამზადეთ, მე მგონი, კარგი პირობაა.

- გმადლობთ, ყმაწვილო, ახლა ის მითხარით, თქვენ რამდენ პროცენტს ითხოვთ მოგებიდან?

- უცნაური პასუხი კი იქნება, მაგრამ, მაინც გეტყვით, ჩემთვის საკმარისია თავად მიზანშეწონილად რამდენსაც ჩათვლით, რას იტყვით?

- რა გაეწყობა, თქვენი ინიციატივაა და თქვენვე უნდა გადაწყვიტოთ. რაკი ასეა, მე წინააღმდეგი არ ვარ. კარკასის შეკვრას დიდი დრო არ დასჭირდება. ხვალვე ჩაეყრება საფუძველი.

- წარმატება თქვენს მხარეს იყოს, სერ, თვის ბოლოს დაგიკავშირდებით. ნაწილებისთვის ყალიბებს ადრიანად დაგიმზადებთ.

მასთან საუბარი რომ დავამთავრე, მეუღლის ხარისხის დაცვის წინასწარი განწყობით დავინტერესდი.

- ძვირფასო, როგორ ხასიათზე ხარ?

- ცოტას ვღელავ.

- ღელვა და ნერვიულობა ამ დროს ცუდი მოკავშირეები არიან. ცოტა კოქტეილი მოსვი და შეგოჭილობას მოგიხსნის, ან ქვემოთ ჩავიდეთ და გავისეირნოთ, გუნება-განწყობას გამოგიკეთებს.

- მდინარის პირზე გავიდეთ, თან შენი სასმელიც წავიღოთ.

- არ ვარ წინააღმდეგი, მასთან ერთად სადილიც ჩავაწყოთ კალათაში და იქ წავიხემსოთ.

- არც მე ვაცხადებ უარს, შენ რაც გსურს, იმ საჭმელ-სასმლით შეავსე კალათა, მე ბავშვებს მოვამზადებ.

სამზადისს დიდხანს არ მოვნდომებივართ, პლედი ავიღეთ და გარეთ გამოვედით.

შემოდგომის სეზონის დასაწყისისთვის მშვიდი ამინდი იდგა. მზის სხივებს თითქმის შერჩენოდა ზაფხულის დროის სიმხურვალე. მთაში ასეთი საამური დღე განწყობის ასამაღლებლად საუკეთესო საშუალება იყო.

ქვემოთ ჩამოსულებს ფეხი არ გვქონდა ქვიშაზე დადგმული, რომ ბავშვებმა მდინარის დანახვაზე მაშინვე გაქცევა მოისურვეს და პირდაპირ ტანსაცმლიანად მოინდომეს ბანაობა.

- მადროვე, მამი, - ვეუბნები ბიჭს, რომელმაც პირველმა გამოავლინა სურვილი, - მივიდეთ ჩვენს საბანაო ნაპირთან, გაგხდი და მერე რამდენიც გსურს, იმდენი იდგაფუნე!

მან თავი ჩაღუნა, გაიბუტა, სიტყვაც არ უთქვამს, ასე თავ-ჩაღუნული, უხმოდ წამომყვა შერჩეულ ადგილამდე, მერე კი ცქმუტვა დაიწყო, თან მიყურებდა, რას ვეტყოდი. გოგომ უფრო გაბედა, თითს მდინარისკენ იშვერს და დედას ეკი-თხება:

- დე, მინდა!

- სად, შვილო?

- წყალში!

- ჩაცმული ხომ არ შეხვალ, ტანსაცმელს გაგაძრობ და შე-მდეგ შეგიშვებ.

როცა მეუღლე გოგოს კაბას ხდიდა, უცებ ინსტინქტურად იქით გაიხედა, სადაც ამას წინათ უცნაური ცხოველები შე-ნიშნა. მერე მე შემომხედა.

- ნუღარ გეშინია, ძვირფასო, იმ ადგილებზე დაცვის ხაზი დავაყენე, ასევე, აღმოსავლეთის მხარეც დაზღვეულია. თუ ირგვლივ კიდევ რაიმე საფრთხე თავს იჩენს, კომპას-აპარატი წინასწარ მოგვცემს გამაფრთხილებელ სიგნალს, ასე რომ, ნუ-ღარ დაიძაბები. მე წავალ, ცოტა ხანს ბავშვებთან ვიქნები, შენ შეგიძლია წასუსნო რამე, ჩვენც მალე მოვალთ.

ბავშვებთან ახლოს რომ მივედი, ნაპირზე ბანაობა აღარ მოისურვეს და ცოტა ღრმად შესვლა მომთხოვეს.

- იქით არა, აი, აქ გაჩერდით, თორემ მაღლა აგიყვანთ.

იმის შიშით, რომ მამამ წყლიდან მართლა არ ამოგვიყვა-ნოსო, სიტყვაც აღარ უთქვამთ. შემოტრიალდნენ და თავდა-უზოგავად დაიწყეს ხელების დგაფადგუფი. მე მათ ავყევი და გვქონდა ერთი აჟიოტაჟი.

- არ მოგშივდათ? - გადმომძახა მეუღლემ, თან ხელით გვითითებს გამზადებული სუფრისკენ, - შეგიძლიათ მოხვი-დეთ და ისადილოთ.

ბავშვებმა არ მოისურვეს მდინარიდან ამოსვლა, ჭამას ჭყუმპალაობა გვირჩევნიაო.

- ცოტაც ვაცადოთ, - გავძახე მეუღლეს. - შენ მანამდე ნუ მოიწყენ!

არ გასულა მცირე ხანი, გოგომ რომ მომთხოვა წყლიდან ამოყვანა.

- დაიღალე, მამი? მოდი, გენაცვალე და დედასთან მიგიყვან!

ბიჭი ისევ განაგრძობდა თავისთვის ოინბაზობას, თუმცა მარტო ყოფნა მალე მოეწყინა და თავისკენ მიხმო.

წყლიდან ამოყვანილი ბიჭი კარგად შევამშრალე და თავისი დაიკოს გვერდით დავსვი.

- მისმინეთ, მამილოებო, დედა ახლა რასაც მოგცემთ, კარგად უნდა დაღეჭოთ და მერე გადაყაპლოთ, თორემ ზოოპარკში რომ მხეცები ნახეთ, ისინი მოვლენ და შესანსლავენ თქვენს წილ საჭმელს, აბა, დაიწყეთ!

წყალში ბანაობამ მოშიება იცის. ამიტომ მათ აღარ დასჭირვებიათ მეტი თქმა. დედიკოს მიერ მიწოდებულ ლუკმას ახალამოსული კიჭებით გემრიელად აქუცმაცებდნენ და არც მათი გადაყლაპვა უჭირდათ. ყოველ ლუკმას ჩვენც სიამოვნებით შევექცეოდით. კოქტეილმა კი ხასიათი კიდევ უფრო მოგვითაფლა.

ამასობაში მზე გადაიწვერა. შინ წასვლის მომზადების ნიშანი მოგვცა. მეუღლე აღარ შემიწუხებია, მე თავად ნელ-ნელა ავკრიფე, რაც ჩამოტანილი ხაბაკხუბაკი გვქონდა და ჰარი-ჰარალოთი შინისკენ გავწიეთ.

ყველაფერი, რაც ხელთ გვქონდა, დროებით მისაღების ერთ კუთხეში მივაწყვეთ. ბავშვები ხალიჩაზე, თავიანთი სათამაშოების გვერდით დავსვით და სავარძლებში ჩაშვებულებმა ერთი ღრმად ამოვისუნთქეთ.

- ზედმეტია ამ საკითხზე საუბარი, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, - მეუბნება წუთიერი დუმილის შემდეგ.

- რა არის ისეთი, ზედმეტად რომ თვლი?

- ადრე ჩემმა ხელმძღვანელმა მითხრა, რომ მჭირდება ხოლმე შენთან დაკავშირება და ვერაფრით ვახერხებ, იქნებ რაღაც იღონოო.

- შენ რა მიზეზი უთხარი?

- იმის გამო, რომ მობილურთან სიახლოვე ალერგიულ შეტევებს მაძლევს, აღარც მისი შეძენა მიფიქრია, ხოლო ხაზი ჯერ არა გვაქვს, ახალმოსახლეობის გამო, თქვენთან დაკავშირებას ქუჩების ჯიხურებიდან ვახერხებ-მეთქი.

- რა მიამიტური მიზეზი გითქვამს!

- სხვა იმ დროს ვერაფერი მოვიფიქრე, რაღაც ხომ უნდა ვუსაშველოთ, იქნებ ახლაც სურს დაკავშირება და ვერ ახერხებს.

- კარგი, მაგ პრობლემას მოვაგვარებ.

- როდის ან როგორ?

- პირდაპირ თანამგზავრის საშუალებით, ისე, რომ ჩვენი კოორდინატები არსად ჩანდეს, მოგწონს იდეა?

- რა თქმა უნდა!

- შენ ის მითხარი, საბანკეტო სამოსელს რომელს ირჩევ?

- ბოლოს რომ შევიძინეთ, საშუალო ქუსლიან ფეხსაცმელთან ერთად. შენ?

- მე, გენაცვალე, სმოკინგში გამოვეწყობი. ბიჭისა და გოგოს ტანსაცმლის არჩევანი შენთვის მომინდვია, ახლა დროა, სამეცნიერო თემა კიდევ ერთხელ მიმოვიხილოთ, მერე დილას დრო რომ არ დავკარგოთ, ხვალისთვის რაც დაგჭირდება, ჩავაწყოთ და ერთ ადგილზე დავალაგოთ.

- აუცილებლად, მაშინ დროს ნუღარ დავკარგავთ, დავიწყოთ.

ძირითადად თემის საკვანძო საკითხებს დავუბრუნდი: კითხვა-პასუხის ფორმატით, მეტწილად ყურადღება ახალი მედიკამენტის დამზადების წესსა და მის მნიშვნელობაზე გავამახვილე.

ერთ საკითხზე დიდხანს არ ვჩერდებოდი, რომ ვრწმუნდებოდი მისი ცოდნის სიმტკიცეში, უმალ სხვა კითხვას ვანაცვლებდი და ასე რიგად მივყვებოდი მნიშვნელოვანი საკითხების განმეორებას.

მიმოხილვა რომ დავასრულეთ, ბავშვებთან ერთად მოვივახშმეთ, მერე, რაც მეორე დღისთვის წასაღები გვქონდა, ყველაფერს თავი ერთად მოვუყარეთ და დასასვენებლად ადრიანად გავედით.

ალიონზე დილის პროცედურების დამთავრების შემდეგ ბავშვები გამოვაწყვეთ და ერთი საათით ადრე სამედიცინო უნივერსიტეტის მეორე სართულზე, დეკანატის წინ მეუღლის ხელმძღვანელს შინაურულად ვესაუბრებოდით.

- ვწუხვარ, რომ ვერ გიკავშირდებით! - გვითხრა და კაბინეტში შეგვიპატიჟა.

- ხვალ ეს პრობლემა მოხსნილი მექნება.

- მე მინდოდა, - მიმართავს მეუღლეს, - ვინაიდან თქვენ აღმოჩენის ნიჭი გამოგაჩნდათ, და არცთუ ისე ურიგო, ვიფიქრე, უნივერსიტეტში შეგვექმნა სპეციალური განყოფილება გამომგონებლობისა და რაციონალური წინადადებისთვის, თანამედროვე აღჭურვილი ლაბორატორიით. თქვენ კი უხელმძღვანელებდით ამ განყოფილებას, მანამდე კათედრაზე მსურს დაგტოვოთ. თქვენი შექმნილი მედიკამენტები ძალიან პოპულარული შეიქნა ჩვენთან და უხოეთშიც. მომავალი სამკურნალო პრეპარატები, როგორც ინტუიცია მკარნახობს, უფრო ცნობილი გახდება. რას იტყვით ჩემს წინადადებაზე, მიიღებთ?

მეუღლემ თავი ჩემკენ შემოაბრუნა და ისე შემომხედა, თითქოს რაღაცის ამოკითხვას ლამობდა, მეც ისეთი გამომეტყველება მივიღე, როგორიც მას სურდა. გამიღიმა და ხელმძღვანელს მიუბრუნდა.

- ფეხმძიმობა რომ არა, მეც ვიფიქრებდი შემოთავაზებულ წინადადებაზე.

- აქ ყველა პირობას შეგიქმნით, - განაგრძო მან. - რომ თქვენი ნიჭი არ შეიზღუდოს.

- მშობიარობის შემდგომ პერიოდში უფრო მოვახერხებ, სადღეისოდ ასეთ ფორმაში ნამდვილად ვერ შევძლებ.

- გასაგებია ჩემთვის თქვენი მდგომარეობა, მანამდე გაქვთ განსჯის დრო და საშუალება, რომ იფიქროთ მომავალი წარმატების მოსაძიებლად. ახლა, რაც შეეხება დღევანდელ საკითხს, კარგად მომზადებული რომ ხართ, ცხადია, მიუხედავად ამისა, იქნებ მაინც გაჩნდა რაიმე ხასიათის შეკითხვა?

- დიახ, ერთი შეკითხვა მაქვს. ეს ეხება დამზადებულ პრეპარატებში შემადგენელი ნივთიერებების დოზებს, რომლებიც მითითებული არა მაქვს, ეს ხომ არ გამოიწვევს კიდევ კამათს, როგორც პირველ შემთხვევაში?

- რომც გამოიწვიოს, თქვენ სრული უფლება გაქვთ, განხილვისას დაიცვათ აღმოჩენის საიდუმლოება, ასევე, წარმოებისას და შემდგომშიც.

- შეიძლება ერთი პატარა თხოვნა, - მივმართე მას, - სანამ აუდიტორიაში გავიდოდეთ?

- თქვით, გისმენთ!

- ტრადიციისამებრ, დაცვის დასასრულს ყველა იქ დამსწრეს სთხოვეთ საბანკეტო სუფრასთან, რექტორი არ დაივიწყოთ და კიდევ ერთი თხოვნა - სუფრას ისევ თქვენ უნდა წარუძღვეთ!

- ოო, ეს მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობაა, რატომ მაინცდამაინც მე, აგერ დავაყენოთ კომისიის თავმჯდომარე ან თავად რექტორი!

- უკაცრავად, თხოვნას არ გადავთქვამ, როგორც ხელმძღვანელმა, საზეიმო წვეულებასაც თქვენ უნდა უხელმძღვანელოთ. ეს კი ჩვენგან საჩუქრად და... - მის წინ მაგიდაზე ძვირფას ქვაში გამოკვეთილი ჰიპოკრატეს ბიუსტი დავდგი - სახსოვრად!

- ეს რას ნიშნავს, არ იყო ნამდვილად ამის საჭიროება, აიღეთ, უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ!

- რას ბრძანებთ, ხომ შემეძლო მომერთმია ძვირფასი ფერწერა, ან ლიტერატურა, მე მედიცინის მამა ავარჩიე და გისახსოვრეთ. ნუ იუხერხულებთ, გთხოვთ მიიღოთ საჩუქრად!

- კეთილი, უღრმესი მადლობა. დროა გავიდეთ, ათიოდე წუთი დაგვრჩა.

აუდიტორიაში უფრო მეტი რაოდენობა დაგვხვდა, ვიდრე საკანდიდატოს დაცვის დროს იყო. ყველანი ჩვენ გველოდნენ. მეუღლეს წარმატება ვუსურვე, აუდიტორიის კარი ფრთხილად გამოვხურე, ბავშვები საბავშვო ეტლში ჩავსხი და მოსასმენი აპარატურა დავიმაგრე.

მშვიდად და აუღელვებლად დაიწყო შესავალი ნაწილი. აუდიტორიაში ჩამიჩუმიც არ ისმოდა, როცა ძირითად ნაწილზე გადავიდა, უკვე ერთმანეთში ჩუმი გადალაპარაკების ხმა მესმოდა. რაკი ასეთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ვფიქრობდი ჩემთვის, კომისიის წევრებსაც კითხვები მეტი გაუჩნდებათ და არც შევმცდარვარ, თემის წაკითხვა რომ დაამთავრა, შეკითხვების რიგი დადგა. უმთავრესად სამკურნალო მეთოდსა და მედიკამენტებს ეხებოდა. იყო ორაზროვანი შეკითხვებიც.

- მედიკამენტის სამკურნალო თვისების მიღებამდე, - ეკითხება კომისიის თავმჯდომარე, - მის შესატყვის დოზას როგორ მიაკვლიეთ?

- არიან ადამიანები, პატივცემულო, რომლებსაც დაბადებიდანვე სხვადასხვა ფენომენალური უნარი დაჰყვება. ზოგს მოვლენების წინასწარი განჭვრეტა ძალუძს, ზოგიც წარსულ-მომავლის, კალენდარული რიცხვებისა და დღეების გამოცნობის შემძლეა. მე კი, სამკურნალო მიგნებით გამომარჩია განგებამ, ამიტომ შესაბამისი დოზის მიგნება არ გამჭირვებია.

პასუხს კამათი არ მოჰყოლია, ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ გაცემული პასუხი შესაფერისად ჩაუთვალეს.

განცხადებაში ერთმა კომისიის წევრმა, რომელსაც ხმაზე ხნოვანება ეტყობოდა, აღუნიშნა ეროვნული ფარმაციისა და ფარმაკოთერაპიის განვითარების საკუთარი ხელწერა, შეუქო გამორჩეული ნიჭი, თანადგომას შეჰპირდა და თან ურთიერთთანამშრომლობის წინადადება მიაწოდა, სამკურნალწამლო ინდუსტრიის შექმნასთან დაკავშირებით.

როდესაც თითოეულმა კომისიის წევრმა აზრის გამოთქმა და კომენტარები დაასრულა, კომისიის თავმჯდომარემ დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა და მან პირველმა მიულოცა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ამის შემდეგ უკლებლივ, სათითაოდ ულოცავდნენ უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას. ბოლოს ჩემი ჯერიც დადგა. აუდიტორიის გამოსასვლელში წინასწარ შეკვეთილი ლამაზი ყვავილების თაიგული გადავეცი, გადავეხვიე და მივულოცე.

საზეიმო წვეულებაზე ყველა იქ დამსწრე წამოვიდა, არც მოწვეულ სტუმრებს დაუგვიანიათ.

მეუღლე სანამ საზეიმო სამოსს გადაიცვამდა, ბავშვები მაგიდის მომსახურე პერსონალს ჩავაბარე, მე კი სტუმრების მიღება დავიწყე. სამინისტროდან მოსულები სუფრის აღმოსავლეთ მხარეს მივიპატიჟე, მათ გვერდზე ნათესავები დავსხი. დასავლეთ მხარეს კომისიის წევრებს და აუდიტორიაში დამსწრე საზოგადოებას ვთხოვე. ამასობაში დარბაზის ზღურბლთან საზეიმო განწყობით, ოქროსფერი კაბითა და სამკაულებით შემკობილი მეუღლეც გამოჩნდა. მას განსაკუთრებით შევეგებე, როგორც მთავარ მოქმედ პირს.

- თვალს არ ვუჯერებ, ძვირფასო, ამჯერად ნამდვილი დედოფალა ხარ!

- კარგი, რით ვერ ავედი დედოფლობამდე?

- არც ეგ იქნება რთული ბარიერი. მთავარია შენ გსურდეს. ეს თემა შემდეგისთვის. უხერხულია, ხალხი გველოდება. სუფრის თავში შენთვის სპეციალური ადგილი მაქვს შერჩეული, ხელკავი და წავედით!

საზეიმო მელოდიასა და ტაშის ქუხილში ამაღლებულ ადგილამდე მივიყვანე და მისთვის განკუთვნილ სავარძელში ჩავსვი, მერე მიკროფონს დავწვდი, დამსწრე საზოგადოებას საქეიფო გუნება-განწყობა ვუსურვე. მეუღლეს საჯაროდ კიდევ ერთხელ მივულოცე მისთვის საპატიო ხარისხი, მის ხელმძღვანელს მადლობა გადავუხადე გაწეული გარჯისთვის, ზედაც სუფრის წინამძღოლობა შევახსენე.

მიუხედავად თავშეკავებისა, ბოლოს მაინც დამთანხმდა, სუფრის თავში ადგილი დაიკავა და ტრადიციისამებრ, როგორც დღევანდელ დღეს შეეფერებოდა, თანმიმდევრულად დაიწყო საზეიმო წვეულების გაძღოლა.

„ჩვენ გვჭირდება, - ამბობს მორიგ სადღეგრძელოში სუფრის თამადა, - თვითმოტივირებული და შემოქმედებითი წარმოდგენის მეცნიერ-მუშაკი. სწორედ ასეთი თვისებით ხასიათდება ჩვენი მთავარი პერსონაჟი. ის ახერეხებს იმგვარი მედიკამენტების შექმნას, არა მხოლოდ ჯანმრთელობა დაუბრუნოს

ადამიანებს, არამედ შექმნას ისეთი პრეპარატი, რომლის მიზანია თავიდან ააცილოს ორგანიზმს, შეიძლება ითქვას, ნებისმიერი დაავადება, უფრო მეტიც, მას სურს, საფუძველი ჩაუყაროს ახალ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრს, საკუთარი მედიკამენტების გამოყენებით. მე მხარს ვუჭერ მის იდეას და ჩემი უფლებების ფარგლებში ვპირდები, ყოველმხრივი დახმარება გავუწიო მის ინიციატივას. ვუსურვოთ მას მეცნიერების უმაღლესი მწვერვალების ლაღად დალაშქვრა“.

მოსრულებისას ღვინით სავსე განსხვავებული სასმელი მაღლა ასწია და ბოლომდე დაცალა.

თამადის მოადგილემ, ასევე სუფრის თითქმის ყველა წევრმა, თავდაპირველად მიულოცეს სამეცნიერო ხარისხი, აღნიშნეს მისი ფარმაკოლოგიური ნიჭი, ახალი იდეის გამორჩეული მნიშვნელობა, აღუთქვეს მხარდაჭერა და რაც ესოდენ წასახალისებელი იყო მისთვის, თანადგომა.

დასასრულს განსხვავებული სასმისი მე მომაწოდეს.

მერიქიფეს ღვინით სავსე სასმელი გამოვართვი და მეუღლეს მივუბრუნდი.

- სრულიად მალე მიგეგნოს, გენაცვალე, ახალი აღმოჩენების ულევი საბადოსთვის, ამასთანავე, შეგექმნას ისეთი ჯანდაცვის პროექტი, რომელსაც სიცოცხლის საშუალო ასაკი ასი წლით განესაზღვროს. მისი პერსპექტიული გეგმის რიგში - მივმართავ ღირსსაქებ თანამეინახეებს - შეამჩნევთ საინტერესო მიგნებებსაც. მათ შორის არის ელექსირი, რომელიც ბრჭყალებში უკვდავების ეფექტს უტოლდება! შენ კი, - მივუტრიალდი კვლავ მეუღლეს, - მოგეცეს ყოველგვარი საშუალება, რომ იდეა რეალობად გადააქციო. შენი გამარჯვება იყოს, შენი მრავალჟამიერი! - ერთი ამოსუნთქვით შევსვი და ადგილს დავუბრუნდი...

საზეიმო წვეულებამ კიდევ ორ საათზე მეტ ხანს გასტანა. იყო შვება და დალხენა დარდიმანდიანი, გულხალვათი განწყობა ქეიფის დამლევსაც არ დანელებულა. თითოეული სუფრის წევრი დამშვიდობებისას კმაყოფილებას გამოხატავდა და ხალასი სტუმართმოყვარეობისათვის მადლობას გვიხდიდ-

ნენ, ჩვენც მადლიერი დავრჩით მათი თანაგრძნობით. სწორედ რომ მათმა ინტელექტუალურმა შესაძლებლობამ დღევანდელი საღამო სახალისო გარემოდ და დღესასწაულად გადააქცია. მიწურულს სუფრის ხელმძღვანელი დაგვემშვიდობა. ჩვენც გავემზადეთ, მომსახურე პერსონალს მადლობა გადავუხადეთ და საბანკეტო დარბაზიდან კმაყოფილები გამოვედით.

- კარგი ხასიათი რომ შევინარჩუნოთ, - ვეუბნები მეუღლეს, როცა შინ მივედით, - ჩვენს ოჯახშიც აღვნიშნოთ შენი უკვე მინიჭებული საპატიო ხარისხი, ნურც საბანკეტო კაბას გამოიცვლი, ჯერ ბავშვებს მივხედოთ, მერე კი ბუხრის წინ შემოვუსხდეთ მაგიდას, თან შთაბეჭდილებები მომიყევი.

- ო, ჩემსას ნუ იტყვი, სამეტყველო დიაპაზონში ნამდვილად გამიჭირდება.

- აგერ არ ვარ, დაგეხმარები!

ჯერ ბავშვები საკუთარი საჭმელ-სასმლით დავანაყრეთ, მერე მათთვის კედელთან ხალიჩა-ფუჩი გავშალე, რომელი სათამაშოც მოისურვეს, სათითაოდ წინ გადმოვულაგე, ბუხართან მდგარ სავარძელში ჩავჯექი და მაგიდიდან ხელადა ავიღე.

ღვინით ფიალების შევსება რომ მოვასრულე, მეუღლეს გავხედე.

- მე ვიცი, რომ შენ გაოგნებული ხარ. ეიფორია არ გაძლევს გამოფხიზლების საშუალებას. ასე უეცრად, წარმატებას წარმატებაზე, რა თქმა უნდა, არ ელოდი, უკვე კათედრაზე მიწვევა, ანუ სერიოზული სამუშაო ადგილი. რას იტყვი, ძვირფასო, სანამ რაიმეს იტყვი, დაგლოცავ, დაილოცე და მოულოდნელი ბედნიერების განცდებს ხშირად წაეხალისებინე.

- მართალი ხარ, უდავოდ ეიფორიულ მდგომარეობაში ვიმყოფები, ალბათ, იქ, იმ სინამდვილეში, ასერიგ, ჩემთვის მოულოდნელ წარმატებას ვერც კი გავიფიქრებდი, რასაკვირველია, ვაღიარებ, რომ ნამდვილად შენი დამსახურებაა. ჩემი წვლილი ამ არაჩვეულებრივ გამარჯვებაში მეტად უმნიშვნელოა.

- რას ამბობ, ზედიზედ რომ გამოგონებას გამოგონება მოჰყვა, სწორედ უმნიშვნელო წვრილმანებმა ჩაუყარა მათ საფუძველი. შენ რომ არა, ვინ მოუყრიდა თავს წვრილმანებს?

- მადლობა, ჩემო კარგო, ასე რომ ზრუნავ ჩემზე, რაც მე უფრო მეტად პასუხისმგებლიანს მხდის, მაკისრებს მოვალეობას - გაგიფრთხილდე შენ, შვილებსა და მომავალსაც!

- დევიზი შესანიშნავი შეგირჩევია, მეც ვუერთდები შენს გამონათქვამს. კარგი დასაწყისი გვაქვს, ძვირფასო და მერმისი მისდა კვალად გაგვეგრძელებინოს!

- მე მჯერა, რომ მიზანს მივაღწევთ!

- ამინ!

- ერთი გარემოება მინდა გავიხსენო საზეიმო წვეულებიდან.

- კერძოდ?

- ჩემი დალოცვის დროს გაიხსენე, რას ამბობდი, მას აქვსო საუკეთესო მიგნებები. მათ შორის ისეთიც, უკვდავების ელექსირს რომ უტოლდებაო. კი მაგრამ, რომ მკითხოს, რა სტადიაშია, რა უნდა ვუპასუხო, ვერაფერსაც ვერ ვუპასუხებ, მე კი უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდები!

- უხერხულობაში რომ არ ჩავარდე, მოვიფიქროთ.

- მასზე მთელი კაცობრიობა ფიქრობდა და ფიქრობს, შენ კი ერთი ხელის შევლებით გინდა მისი შექმნა?

- წინასწარ რატომ ღელავ?

- მაქვს მიზეზი და იმიტომ!

- ნუ ნერვიულობ, ახლავე ჩაგიწყნარებ უმიზეზოდ გამოწვეულ ღელვას.

- ახლა არ გამაგიჟო და არ თქვა, უკვე აღმოვაჩინეო!

- არა, ნამდვილად არ მინდა შენი გაგიჟება, ღელვას კი ჩავაწყნარებ.

- რა საშუალებით?

- თუნდაც ავიღოთ ჩვენ მიერ შექმნილი მედიკამენტები. შენ კარგად იცი, რომ მათ შეუძლიათ: გამწმენდი, თავდაცვითი, დაავადების თავიდან აცილებისა და თერაპიული მოქმედების უნარი, თუ მათ ახალ ნევრორეგულატორს და-

ვუმატებთ და გარდავქმნით ერთ სამკურნალო პრეპარატად, მივიღებთ სრულიად გამორჩეულ სინთეზს.

- ნევრორეგულატორი, აღვნიშნავ, უდავოდ კარგი საშუალებაა, მომისმინე! - თქვა და შეჩერდა.

- რაიმეს თქმა გინდა, მაგრამ რაღაც გბოჭავს!

- მე მასზე ვფიქრობ, რაც შენ თქვი, რაღაც არაჩვეულებრივს ამბობ, არ ვიცი, ეგ რა იქნება.

- ჩვენ, ძვირფასო, დაგვჭირდება სპეციალური კვლევები და ცდები იმ მიზნით, რომ ერთ პრეპარატში თავმოყრილი ნივთიერებები ერთგვაროვნად ვამოქმედოთ. უპირველესად უნდა გავარჩიოთ, რომელი ნივთიერება რა დოზით უნდა შეირჩეს.

- კომბინირების მიზნით, არა?

- დიახაც, მისი ეფექტი უნდა სჭარბობდეს თითოეული კომპონენტის ცალკე მოქმედებას.

- თეორიულად შესანიშნავი მოკვლევაა, პრაქტიკულად როდის მოვახერხოთ?

- ჯერ თეორია მივიყვანოთ ბოლომდე!

- აპირებ რაიმეს დამატებას?

- დავუშვათ, დავადგინეთ დოზები, კითხვა - რას უნდა ველოდოთ მისგან, გამეცი პასუხი, როგორც უკვე ნამდვილმა დოქტორმა!

- რასაც თითოეული პრეპარატი ასრულებდა ცალ-ცალკე, სინთეზირების შემდგომ შეასრულებენ, ასე ვთქვათ, ერთიანი ძალებით.

- სწორი დასკვნაა, ახლა შედეგი მითხარი, რას გაუტოლდება?

- შენ გინდა, რომ მე ვთქვა - ელექსირს?

- იმიტომ მინდა, რომ შენს სიტყვას ამ ჯერად წონა შეემატა.

- კი, მაგრამ რარიგად დავამტკიცებთ?

- აგერ ჩვენს ბოცვრებზე ჩავატაროთ ცდები, მიღებული პრეპარატი შევასვათ ჯანმრთელსა და არაჯანმრთელს. ორი თვის შემდეგ მათი ანალიზები შევამოწმოთ. ერთი სიტყვით, ჩავატაროთ ძირფესვიანი გამოკვლევა. ასევე, შევამოწმოთ

მათი დაავადებისა და დაბერების კოდები და გავიგოთ, ჩვენ მიერ დამზადებული ელექსირი როგორ იმოქმედებს ერთ ან მეორე ბოცვერზე.

- შენ ამით ის გინდა მითხრა, რომ თუ ორგანიზმს მდგომარეობა უკეთესისკენ შეეცვალა, მაშასადამე, პრეპარატი საგანგებოდ მოქმედებს?

- მსჯელობ ისე, როგორც უნდა იმსჯელო! - ჩემი სიტყვების გამო უნებურად გამეღიმა.

- ხუმრობ, არა?

- რას ამბობ, ეს იქნება ერთ-ერთი დაუჯერებელი იდუმალების შესაძლო სინამდვილე, აი, მაშინ ნახე შენი აღზევება. გახსოვს, რომ მითხარი, ყოველთვის დედოფალას რომ მეძახი, როდის გავხდები შენთვის ნამდვილი დედოფალიო!

- მახსოვს.

- მე კი გპასუხობ, აგერ-აგერ! ორი გზა გაქვს, ორივე რეალური.

- მეორე რომელია?

- დღეს გინდა გაიგო ისიც?

- თუ მაღირსებ, კარგი ბიჭი იქნები, ოღონდ ხუმრობის გარეშე.

- კარგი, გეტყვი, მოემზადე, ცოტას მოვსვამ და შემდეგ. როგორ გიხდება საღამოს გამოსასვლელი კაბა და სამკაულები!

- ეგ შესავალია?

- არა, მოთელვა.

- ნუ ოხუნჯობ.

- ესეც მისი ნაწილია, ამჯერად გადავდივარ შენთვის საინტერესო მოვლენის ახსნაზე, რატომღაც მგონია, თითქოს გაბრაზებული მიყურებ!

- მელევა მოთმინების მარაგი, ალბათ იმიტომ...

- მოთმინება, გენაცვალე, ასე მალიად რა არის, რომ ეგ იყოს, სულ მალე, ძვირფასო, დავიწყებთ ახალი მედიკამეტების წარმოებას, რომლის გარეკანზე მითითებული იქნება შენი სახელი, გვარი და მონიჭებული ხარისხი. ცნობით ახლაც გიც-

ნობენ, მერე უფრო გაიზრდება შენი პოპულარობა. ამას დაემატება სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის გახსნა. ამავე დროს უნივერსიტეტში კათედრას ჩაგაბარებენ, პარალელურად შენს გახმაურებულ სამკურნალო მეთოდსა და პრეპარატების თაობაზე მოეწყობა სპეციალური სატელევიზიო გადაცემები. პოპულარობის მეორე ეტაპზე შექმნი კავშირს, ეროვნული მედიცინა და მედიკოსები, რომლის მიზანი იქნება ჯანმრთელი თაობა ჯანსაღ სახელმწიფოში. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, შენი დამსახურება ეროვნული მედიცინის განვითარების საქმეში მთავრობას საშუალებას მისცემს, ჩაგაბარონ ჯანდაცვის სამინისტრო, ორ წელიწადში შენი მოდერნიზებული ჯანმრთელობის სისტემა პოპულარული გახდება საქართველოშიც და მის გარეთაც, ამასთანავე, პარლამენტის სხდომაზე წარადგენ სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიულ პროგრამას, თუ რა მეთოდით შეიძლება უმოკლეს ვადაში მისი სწრაფი აღმავლობა. ეს იქნება ოთხი წლის თავზე. შემდგომი საპარლამენტო არჩევნებისთვის თქვენ იქნებით უმრავლესობა, უკვე ხვდები, მერე რის თქმას ვაპირებ? თუ ესეც ჩემი საინფორმაციო წყაროდან გინდა გაიგონო, რას იტყვი?

- რა კარგი იყო მოსასმენად, ტკბილი და საამური, როგორც არაკი, რატომ შეკვეცე, ბოლოს გეთქვა, რა მოხდებოდა!

- ბოლოს მაშინ გეტყვი, როცა შენ მიერ მიღებული არაკი სინამდვილეს დაემსგავსება, ერთი პირობით, თუ მოვინდომე, თუ არა, არაკად დარჩება.

- რატომ გაბრაზდი, მე ხომ მაგ მიზნით არ მითქვამს?

- დოქტორობაც ზღაპრად მიგაჩნდა, მაგრამ კი შეხედე, როგორი ზღაპარი ყოფილა!

- ჰო, კარგი, მართალი ხარ, არ მინდოდა შენი განაწყენება.

- არ გავნაწყენებულვარ, უბრალოდ გულუბრყვილოდ თქვი და არც დაფიქრებულხარ, რა მოჰყვებოდა ნათქვამს. მთავარი აქ ისაა, რომ კვლავ უწინდებურად ფიქრობ და ეჭვი გეპარება, ანუ არ ხარ დარწმუნებული იმაში, რომ ჩემს მონდომებასა და შესაძლებლობას შეუძლია გააკეთოს ის, რაც

შენთვის მიუღწეველი მიზანია, ფიქრშიც კი. რატომ მიყურებ შეშინებული ბავშვის თვალებით, არ გავბრაზებულვარ, მხოლოდ ვმსჯელობ, ეგებ ვცდები, მითხარი, მეც ადამიანი ვარ და უშეცდომო არც მე ვიქნები. სხვათა შორის, თუ დაუკვირდები, ხშირ შემთხვევაში ნებისმიერი ადამიანი ხალისის აღმძვრელი მიზეზით ცხოვრობს, თუ ეს სტიმული წავართვით, მაშინვე უხეშ და ცივ ინდივიდად გადავაქცევთ, ასეა ოდითგან მისი გრძნობითი სისტემა განპირობებული, სხვა დროს კი ინსტინქტებს უწევთ როლის გათამაშება.

- ცნობიერებამ რა დააშავა?

- ცნობიერება მარეგულირებელ ფუნქციას კისრულობს, კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, თუმცა, ყოველთვის როდი ახერხებს მას!

- რატომ?

- გარეგანი გამღიზიანებლების გამო.

- გამოსავალი?

- აქ, ჩემო კარგო, მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი პირობითი რეფლექსების გარემოცვაში ვიმყოფებით, ისინი ჩვენ დროთა განმავლობაში გვიყალიბებენ შეხედულებებს საკუთარ აზროვნებასა და გარემომცველ რეალობას შორის. სწორედ ამ რეფლექსების რეგულირებაა საჭირო, რომ მათ მიერ გაღიზიანების შედეგად გამომუშავებულმა ჩვევებმა შეგვაძლებინოს საღი აზროვნებისა და მიღებული განცდების ანალიზი.

- და ეს ნოტაციური ჟესტი ერთი სიტყვის გამო დაგჭირდა?

- შეიძლება მის ადგილზე სხვა სიტყვა გეთქვა, მაგრამ ინტონაციური დატვირთვა იგივე ყოფილიყო!

- შენთან კამათი რთულია, რომც ცდებოდე, ისეთ არგუმენტებს მოიყვან, თავს მაინც გაიმართლებ.

- თუ არგუმენტი ობიექტურია, წინ ვერ დაუდგები. სხვათა შორის, კონფლიქტურ სიტუაციას თავგამოდება და ტერმინოლოგიური უზუსტობაც ქმნის, რომლის მიზეზითაც თავს იჩენს ისეთი პირობები, რომლებიც შენთვის არახელსაყრელია.

- მაგალითს თუ მოიყვან, ძალიან დამავალებ!

- კეთილი, მეგობრისთვის ცხადია ყოველთვის კარგი გინდა, მაგრამ როცა პირდაპირი შენიშვნა მიგიცია, რა შედეგი მოჰყოლია?

- ნაწყენი დარჩენილა!

- ესე იგი, შენი აზრით, შენიშვნა მიზანშეწონილი იყო, მისი აზრით კი - უსამართლო. მოხერხებულად რომ გეთქვა, წყენას უსათუოდ ასცდებოდი!

- მეც გამახსენდა ერთი მაგალითი, მოვყვები, მერე შენ გააგრძელე. ჩემმა ახლობელმა ისიც მედიცინის მუშაკია, თავის თანამშრომელს ურჩია, რომელსაც მედსასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, რომ წელს შეღავათია გამოცხადებული მედსასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის, ვისაც სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება სურსო, სცადე, იქნებ შენც გაგიმართლოსო. მას თავდაპირველად უარი უთქვამს, რა დროს ჩემი სწავლის გაგრძელებაა, რომ ჩავაბარო, სწავლას მაინც ვერ შევძლებო. ჩემმა ახლობელმა მანამდე უჩიჩინა, სანამ არ ჩააბარებინა, თავისი სტუდენტობის დროინდელი კონსპექტებიც კი უსახსოვრა.

- სიკეთე გაუღია!

- კი, მაგრამ ჯერ არ დამიმთავრებია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ ისევ იმ საავადმყოფოს დაუბრუნდა, ხელფასიც მეტი ჰქონდა და გავლენაც, მერე, იცი, რა მოხდა?

- რა?

- როცა განყოფილების გამგედ არჩევნების ჯერი დადგა, ერთი სიტყვით, ჩემს ახლობელს მეგობრებმა გადააწყვეტინეს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მეორე დღეს სამდივნოში მისი განცხადებაც შევიდა, თურმე მასაც მოუსურვებია არჩევნებში მონაწილეობა. ახლობლის მეგობრებს უთქვამთ მისთვის, უმაღლესი განათლება მან მოგცა, სამუშაო ადგილი, ხელფასი, გავლენა და ახლა წინ უდგებიო?

- საინტერესოა, მერე?

- მერე და მას უთქვამს, მან თავისი სცადოს და მე ჩემსას ვცდიო!

- სიმართლეს ამბობ?

- რა თქმა უნდა, სიმართლეს, თუ არ გჯერა, შეგახვედრებ და შენ თვითონ მოუსმინე.

- ჰო, კარგი, მჯერა. რით დასრულდა?

- საბოლოოდ, ვერც ერთი გავიდა, ვერც მეორე. ვაკანტური თანამდებობა მესამე კანდიდატმა დაიკავა. კომენტარი შენ თვითონ გააკეთე.

- საწყენია.

- ხედავ, როგორი ცდუნებისგან შედგება ჩვენი ცხოვრება? გვერდიგვერდ არსებობენ სამართლიანობა და უსამართლობა, სიკეთე და ბოროტება, სარწმუნო და ურწმუნო!

- სამწუხარო ფაქტია, ამგვარი ურთოერთობები ერთმანეთს არ უნდა განსაზღვრავდნენ, უფრო რეალურ სინამდვილეს დაშორებულ ფორმაში ჯობდა მათი არსებობა. შენი მაგალითის შემთხვევაში მსაზღვრელის როლში ვერც ერთი გამოვიდა, ორივე დამარცხდა და მათ გაუთვალისწინებელი სახესხვაობა ჩაენაცვლა და გაიმარჯვა. სავალალოდ, სიკეთე ხშირად იჩაგრება ხოლმე, მოკლედ, თუ ისინი, ასე ვთქვათ, ვეგეტატიური ფუნქციის მატარებლები არიან, კაცობრიობა მას ვერაფერს მოუხერხებს.

- ერთი წუთით, აქვე მინდა შეგეკითხო, ჩვენ მიერ გადაჭიმული ენერგეტიკული ბადე, ნუთუ არ შეუწყობს ხელს მსგავსი განუკითხაობების დასუსტებას?

- მისი პრობლემის უმთავრესი ამოცანაა ეგოცენტრიზმის გადაყვანა მეგოცენტრიზმში, თუ ზემოთქმული ეგრეთ წოდებული ვეგეტატიური სისტემა მასთან მჭიდრო კავშირშია, მაშინ ადვილად შეეძლება მონაწილეობა მიიღოს მის გარდაქმნაში და პარალელურად უზრუნველყოს, შეიძლება პირობითად ვთქვათ, აქტიური იმუნიტეტის წარმოქმნა.

- გასაგებია და რა კარგად უსადაგებ სამედიცინო ტერმინებსაც, ძალიან მომწონს.

- ვინ, მე თუ ტერმინები?

- ჯერ შენ და მერე ისინი. უშენოდ ისინი როგორ იქნებოდნენ?

- როცა გიტარას ვუკრავ, მაშინ რატომ არ მეუბნები ასეთ ლამუნა სიტყვებს?!

- ვინ გითხრა, რომ არ ვამბობ?

- ჩემამდე არ მოსულა, ალბათ სიმღერა შთანთქავდა! ახლა დავუკრავ და მოუსმინე!

გიტარა საკიდიდან მოვხსენი, რამდენიმე აკორდით თითები მოვთელე და სიმღერა რომ უნდა დამეწყო, მეუღლემ ბავშვებისკენ გაიხედა.

- შეხედე, როგორ გიყურებენ, ბოლოს ნახევარი წლის წინ დაუკარი მათი თანდასწრებით, როცა ისინი ძალზე პატარები იყვნენ. ახლა კი, ხედავ მათ რეაქციას? აბა, წაუმღერე, ვნახოთ, რა რეაგირება ექნებათ!

ჩემი სიმღერისა და ბავშვების რიტმული მოძრაობების დაწყება ერთი იყო, თითქოს მელოდიის აჟღერებას ელოდნენო. გულისყურით მისმენდნენ და დროდადრო სიმღერას ტუჩებს აყოლებდნენ. ცოტა მოგვიანებით მათი მოღიღინე ხმაც შემომესმა.

- მონაცემები აქვთ, ძვირფასო, დროთა განმავლობაში უფრო გამოაჩენენ.

- ამიერიდან ხშირად მოგიწევს ხოლმე წაღიღინება და არც უნდა დაიზარო. ერთიც აგალობდი და მერე დავისვენოთ, თორემ დაგვათენდა!

- ვაჰ, დრო ისე გასულა, ვერც ვიგრძენით, არც პატარებმა მოგვცეს რაიმე ნიშანი.

- ნიშანზე გამახსენდა, ამ კვირაში თუ არა, დასაწყისში აუცილებლად მოგვიწევს სამშობიარო სახლისკენ ჰერი-ჰერი!

- რას ამბობ, სასიხარულო ცნობაა, ჩვენც დაველოდოთ. ახლა ავიშალოთ და ყველამ ერთად დავისვენოთ.

მეორე დღეს სერიოზული არაფერი დაგვიგეგმავს, მხოლოდ წინა დღის შედეგებს განვიხილავდით და იმავდროულად სამომავლო გეგმას ვადგენდით. გეგმის პირველი მუხლი ეხებოდა კვლევის გაგრძელებასა და მის კათედრაზე მიწვევას. მიუხედავად დიდი სურვილისა, პრაქტიკულად შე-

უძლებელი იყო ამ ეტაპზე მისი სამსახურის დაწყება, მინიმუმ ერთი წელი მაინც. ვიმედოვნებდით, ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებაში ეგოს აქტიურობა საკმაოდ შემცირდებოდა და მასაც შეეძლებოდა თამამად ესაუბრა ახალ აღმოჩენებზე.

მომდევნო მუხლი ეხებოდა ახალ-ახალი მედიკამენტებისთვის დამატებითი ხაზის დამონტაჟებას.

მესამე მუხლში განვიხილეთ გარემოს დაცვისა და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც.

მეორე დღე დეტალების დამზადებას მოვანდომე, შემდეგი დღეები - ზამთრისთვის მოსამარაგებელი სანოვაგის შეგროვებას. ტყიდან რისი მოტანაც შეიძლებოდა, თანდათანობით ყველაფერი მომქონდა. დღეს მაჟალო მქონდა ჩამოტანილი და მისთვის შერჩეულ თაროებზე ვაფასებდი. ის-ის იყო უნდა დამემთავრებინა, რომ მეუღლემ დამიძახა. ხმის ტონზე მივხვდი, რატომაც მეძახდა.

სასწრაფოდ მოვემზადეთ და რამდენიმე წუთში სამშობიარო სახლის კარს მივადექით.

დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია, ექთანი-მეანი „ბიჭია-ბიჭის“ ძახილით გამოვიდა სამშობიარო ბლოკიდან და მესამე შვილის ამქვეყნად მოვლინება მახარა. მას მამშობიარე ექიმი მოჰყვა, რომელმაც გასულ წელს ამშობიარა მეუღლე, მომილოცა და თან აღმინიშნა ნაყოფის მეგაკარპიური დაბადება.

- მიუხედავად ნაყოფის სიდიდისა, - მიხსნიდა ექიმი, - მშობიარობა რაციონალურ დონეზე ჩატარდა. დედა და შვილი, რაც მთავარია, თავს კარგად გრძნობენ!

- უღრმესი მადლობა, ექიმო, შემიძლია ვინახულო?

- მეორე სართულზე, მესამე პალატაში მიბრძანდით და იქ ამოგიყვანენ. გენოტიპები კარგნი ხართ, არ შეჩერდეთ! - ბავშვებს გაუღიმა და თავის კაბინეტში შებრუნდა.

მეორე სართულზე ასულები მესამე პალატის წინ დავდექით.

- აი, ისინიც, - ვეუბნები ბავშვებს, - წინ წავიწიოთ და დედას შევეგებოთ!

მივულოცე მეუღლეს შესანიშნავად განვლილი მშობიარობა და ოჯახში კიდევ ერთი წევრის შემატება.

- არ შეშინდე, ყველაფერიც კარგად არის და იქნება.

- მე არაფერი მიჭირს, შენ იყავი ყოჩაღად, ბავშვებთან პირველად გიწევს დარჩენა და ეცადე, თვალი არ მოაშორო. თავს არაფერი მოსწიონ!

- მეც ხომ მჭირდება მეთვალყურე?

- შენ ბავშვები მოგხედავენ. - გაეცინა.

- ჰო, როგორმე ერთმანეთს გავუგებთ. ეს ბუთხუზა - მივუთითე ახალშობილზე - ისეთი ჩანს, ძალოსანი თუ არა, სუმოს მოჭიდავე უთუოდ დადგება, მწვრთნელობას მამიკო ან დედიკო გაუწევს.

- უფრო მამიკო!

- მოვრიგდებით! კარგი, ახლა თქვი, რა გჭირდება სახლიდან რა გსურს, რომ წამოგიღო? - ზედაც გავაფრთხილე, ნაჩქარევად არ ჩამოეთვალა, რაიმე რომ არ გამორჩენოდა.

ჩამოთვლა რომ დაასრულა, დიდხანს აღარ გავჩერებულვარ, ბავშვებს ხელი ჩავჭიდე და შინ წამოვიყვანე.

სახლში შესვლისას მოღუშული სახეები შევამჩნიე. უნებურად აქეთ-იქით მიმოვიხედე. სიცარიელე ვიგრძენი. სიტყვის თქმას ვერ ვახერხებდი, რაღაც მბოჭავდა, რატომღაც ეული განცდის კვალს უფრო ჰგავდა.

ფიქრებიდან ჩემმა გოგომ გამომიყვანა.

- მამი, მამი! - მეძახდა, თან შარვლის ტოტს ქვემოთ ეზიდებოდა.

- ჰო, მამი, - უცებ გამოვერკვიე, - ახლავე მოგხედავ, ჯერ სამზარეულოში გავიდეთ, აქამდე მოგშივდებოდათ, ჰე, გამომყევით. შენ რატომ არ მოდიხარ? - ვეკითხები ბიჭს.

- არ მინდა! - მითხრა და თავი ჩაღუნა.

- რას ჰქვია, არ გინდა, ორივემ ხელი მომეცით და წავიდეთ!

სამზარეულოში თავიანთ მაგიდასთან დავსხი და გამომშრალი პური ჩამოვუღე.

- ამით გაერთეთ, მანამდე მანიფაფას მოგიმზადებთ!

შიმშილის გრძნობამ მეც გამახსენა თავი, ეს მაშინ ვი-

გრძენი, როცა ბავშვები ხრაშახრუშით ილუკმებოდნენ. ჩემი თავისთვის მერე მოვიცლი, ვფიქრობდი ჩემთვის. უპირველეს ყოვლისა შვილები.

მანიფაფა სწრაფად გამზადდა. მალე რომ გაცივებულიყო, ცოტ-ცოტა დავუსხი, კარაქი და თაფლი ჩავამატე და წინ დავულაგე, დანარჩენი ღრმა ხის ჯამში გადმოვიღე. თეფშებზე ამოღებულს სანამ დაამთავრებდნენ, ეს უკვე გაცივებული დახვდებოდათ. როდესაც ბავშვებმა დაპურება იგრძნეს, მერე მე მივუჯექი მაგიდას. დანაყრებამდე ჯერ კიდევ არ ვიყავი მისული, გოგომ რომ თოჯინა მომთხოვა, ბიჭმა კი - ვერტმფრენი. რაღას ვიზამდი, ავდექი და პირდაპირ სათამაშო კუთხესთან მდგარ თაროებთან მივიყვანე, ჩამოვიღე, რაც ორივეს სურდა, ისინიც, რაც მერე უნდა მოეთხოვათ, მეც იქვე ჩამოვჯექი და მათ უღიმღამო თამაშს შევცქეროდი. დედის არყოფნის გამო მიუსაფრად გრძნობდნენ თავს, თუმცა, თამაშს მაინც განაგრძობდნენ. ეს ცოტა ხანს. მერე მოიღუშნენ, თამაშს თავი დაანებეს, ჯერ გოგო ატირდა, მერე ბიჭი აჰყვა. დედასთან წასვლა მომთხოვეს.

- კარგით, ნუ ტირით. დედაც მალე მოვა, ახლა ავდგეთ ყველა და ოაზისში გავიდეთ.

ორივე ფეხზე წამოვაყენე და უკანა მხარეს გავიყვანე, იქნებ ოაზისის სილამაზეს დაემშვიდებინა მათი პატარა გულები. თუკი ისევ გააგრძელებდნენ ტირილს, მაშინ იძულებული ვიქნებოდი, შთაგონებითი საშუალება გამომეყენებინა, მაგრამ მე მიჯობდა თავისით, თამაშ-თამაშით რომ დამშვიდებულიყვნენ.

- შეხედეთ, მამიკოებო, რა მშვენიერი ხეები ამოსულა, აი, იქ, ნახეთ, კაქტუსს რა ლამაზი ყვავილი გაუშლია!

- მინდა, მამი! - გაიშვირა გოგომ ხელი და მის მოსაწყვეტად გაიწია.

- არა, შენ არა, მამი, გიკბენს. აქ დარჩი, მე თვითონ, - კაქტუსის გაშლილი ყვავილი ფრთხილად მოვწყვიტე და მოვუტანე. - ახლა ცოტა წინ წავიწიოთ, იქ ვნახოთ, რა არის.

- მამი, მამი! - მეძახდა ბიჭი და თითს ბილიკზე მიმავალი კუსკენ იშვერდა.

კუ მაშინვე ავიყვანე და მის ფეხებთან დავსვი, გოგოც მიუცუცქდა, ჯერ შიშით ხელს ვერ ჰკიდებდნენ, მერე და მერე შეეჩვივნენ, ისე აღიქვეს, როგორც ცოცხალი სათამაშო, ხან უკუღმა, ხან წაღმა აბრუნებდნენ. თუ კუ წასვლას დააპირებდა, ბიჭი უმალ აიყვანდა და თავდაყირა დასვამდა, გოგო კი გამუდმებით აბზრიალებდა.

კუმ დიდხანს გაართო ორივე.

- ახლა, ჩემო გვრიტებო, წავიდეთ და ზღარბი ვნახოთ, ხომ გახსოვთ, ზოოპარკში რომ ვნახეთ, თუ არ გახსოვთ, როცა დაინახავთ, გაგახსენდებათ!

ბილიკიდან გადავედით და მისი ძებნა დავიწყეთ. ვათვალიერებდით თითოეული ხისა და ბუჩქის ძირს. არსად ჩანდა.

- იქნებ იქ იყოს? - მივანიშნე მათ მღვიმის ქვიანი გვერდობის ძირში გაზრდილი ბუჩქისკენ.

ამჯერად გაგვიმართლა. გახარებით კი გაუხარდათ, მაგრამ წუხდნენ, ხელის მოკიდებას რომ ვერ ახერხებდნენ. ორივე მე მიყურებდა, რა ვქნათო. მეც სხვა გზა არ მქონდა და შემლებისდაგვარად ვუხსნიდი, როგორც კუ ატარებს თავდასაცავ ჯავშანს, თავი რომ დაიცვას ვერაგი მტრისგან, ასევე ზღარბსაც აქვს თავისებური ჯავშანი, ოღონდ მჩხვლეტავი ნემსები. იგრძნობს რა საფრთხეს, ჩერდება, ბურთივით გადაიქცევა და ვერც ვერავინ ეკარება.

თითქოს ახსნილი გაიგესო, მოულოდნელად შეწყვიტეს მასთან თამაშის ინტერესი და მზერა იქით გადაიტანეს, სადაც თავდაპირველად ბაკნიანი კუ შენიშნეს. მერე მე შემომხედეს იმ განზრახვით, იქნებ ისევ ის მოვძებნოთო.

- კარგით, მოვძებნოთ, მოდით, ჯერ ჩვენს წყალსაცავში ოქროსფერი თევზები ვნახოთ, მერე ხეივანს თუ ამოვუყვებით, ზუსტად იქ მიგვიყვანს. აბა, ჩამჭიდეთ ხელი და მარშით წავიდეთ!

მიდვიოდი, თან ვცდილობდი, როგორმე ფეხი მათი ნაბიჯებისთვის ამეწყო. სამარშო ტაქტს საგანგებოდ იქ მოშინაურებული მგალობელი ფრინველების საამური გალობა და

ფეხქვეშ ჩამოცვენილი ფერადი ფოთლების შარი-შური ახმოვანებდა.

- გესმით, ცუგრუმელებო, ჩიტების ჭიკჭიკი?

- კი, მამი! - ერთხმად გამცეს პასუხი.

- სწორედ ისინი მიგვაცილებენ სანაპირო ზოლისკენ, ხომ არ დაღლილხართ, ცოტაც მოითმინეთ და იქ რომ მივალთ, პირველ რიგში დავისვენოთ, შემდეგ კი დავიწყოთ დათვალიერება!

ასეც მოვიქეცით. ადგილზე მისულები მაშინვე გრძელ მერხზე ჩამოვჯექით. მე საზურგეს მივეყუდე, ორჯერ ღრმად ჩავისუნთქე და ამოვისუნთქე. ბავშვებმაც, როგორც მოახერხეს, ისე მომბაძეს, მერე თავი საზურგეს მიადეს და თვალები მილულეს, სიტყვაც აღარ მითქვამს, ჩემი ხალათი მივაფარე, წყალსაცავს გავხედე და გავფიქრიანდი.

ხვალისთვის წასაღებ ჩამონათვალს ვიხსენებდი, ყველა რომ გავიხსენე, ფიქრი ბავშვების მორიგი კერძის დამზადებაზე შევაჩერე. ერთი სიტყვით, სახლში მისვლისთანავე მაცივარ-მზარეულს რაიმე წვნიანს შევუკვეთავ. მათთვისაც კარგი იქნება და მეც კარგად დავაგემოვნებ. დილისთვის კი მოვძებნი ბავშვებისთვის შესაფერის ულუფებს.

ფიქრებიდან მაშინ გამოვედი, როცა ბიჭმა შმუშვნა დაიწყო. თვალი გაახილა, იუცხოვა, მე რომ შემნიშნა, გული მიეცა, თვალები მოიფშვნიტა და დაიკოს გადახედა, ეს ესაა, რომ იღვიძებდა.

- გეუცხოვათ ადგილი? მსუბუქ ლეიბ-საბანში ხართ მიჩვეულნი. იქნებ დაგავიწყდათ, აქ რატომ ვართ მოსულები? არც ერთი ხმას არ იღებდა. აბა, გაიხსენეთ კუ და ზღარბი! - მათ ხსენებაზე გაეღიმათ. - ახლა ოქროს თევზები ვნახოთ და შინ დავბრუნდეთ. აგერ იქით გაიხედეთ, ნაპირზე არიან გამოსულები, ჩვენ გველოდებიან, როდის ვნახავთ, ავდგეთ და ახლოს მივიდეთ.

ნაპირთან აშკარად ჩანდნენ გუნდ-გუნდად მოცურავე თევზები.

- შეხედეთ, რა ლამაზები არიან, ვერ ხედავთ? კარგი, ხელში აგიტაცებთ და უკეთ დაინახავთ!

ხელში აყვანილები ნაპირთან ახლოს მივიყვანე. ისე მოეწონათ, ტაშიც კი შემოკრეს. ტაშის ხმაზე თევზები დაფრთხნენ და წყლის სიღრმეში გაუჩინარდნენ.

- ფაფუ! - თქვეს და ხელისგულები მაღლა ამოატრიალეს.

- თქვენ არ იჯავროთ, ისინი ისევ მოცურდებიან. ახლა სახლში შევიდეთ, ნაპირზე როცა გამოვლენ, შემდეგ კიდევ მოვიდეთ.

შინ ბავშვები სათამაშოებთან დავსხი, მე მაცივარ-მზარეულს შეკვეთა მივეცი, შემდეგ დანაბარები მოვძებნე და ხვალისთვის წასაღებად გავიმზადე. მერე პატარებს მივუბრუნდი. ვავახშმე და დასაძინებლად გავიყვანე.

დილას არ დასჭირვებიათ ჩემი გაღვიძება. ჩავაცვი. სასპორტო დარბაზში ცოტა წავარჯიშებულებს გრილი წყლის აბაზანები მივაღებინე, საუზმესაც კარგად შეექცნენ, მეც წამოვკარი კბილი და გარეთ გამოვედით.

ბავშვებს ისე გაუხარდათ დედის დანახვა, თითქოს მთელი წელი არ ენახათ.

- ხომ არ გაუჭირდათ უდედობა?

- რაღა თქმა უნდა!

- მერე, როგორ აუდიხარ მათ დაწყნარებას?

- მათი მოვლისა და ყურადღების გარდა სხვას ვერაფერს ვაკეთებ. ცოტა წაუტირეს კიდეც. დღევანდელ დღეს არ ვიცი, როგორ გადაიტანენ. შენ კარგად გრძნობ თავს?

- კი, უკეთესად.

- ახლავე რომ წაგიყვანო, რას იტყვიან შენი ექიმ-ექთნები?

- რას ამბობ, მინიმუმ სამი დღე უნდა ვიყო. შვილებსაც ასწავლე მოთმინება. ეს შენ კარგად გამოგდის!

- მოხერხება ერთია, მეორე კი მათ საკმაოდ აქტიური მგრძნობელობა გამოაჩნდათ ამა თუ იმ ემოციებს თავისებური განცდით პასუხობენ, თითქოს შეურიგებელ ინტერესს იჩენენო.

- რა მოხდა?

- განსაკუთრებული არაფერი, როცა შვილებთან ხარ, აღზრდის ახალ-ახალი მეთოდები გაქვს საძებარი, მეც ვეძებე და

თუ გსურს, ასაკთან შესაფერისი ჩვევები ჩამოუყალიბო, ჯერ თავისთავად უნდა მიუთითო, თუ მითითებას არ შეისმენენ, მაშინ უნდა გადართო, ანუ გარემო შეუცვალო, რათა გარემომ აიძულოს, უცნაური ქცევა შეაცვლევინოს, შეცვლილი ქცევა კი აიძულებ, თავიანთი პატარა გონება აამუშაონ. აღზრდა ერთი და იმავე მეთოდს ვერ იტანს, ძვირფასო!

- გუშინ ბევრი იტირეს?

- გუშინ სანამ ტირილს დაიწყებდნენ, სათამაშოები ჩამოვუღე, რაც მათ უნდოდათ. არ გასულა საათი, რომ ტირილი მორთეს. ახსნამ არ გაჭრა და არც სხვა სათამაშოებმა, ამიტომ სხვა თამაშით ჩანაცვლება გადავწყვიტე, მოვკიდე ხელი და ოაზისში გავიყვანე. იქ კარგად გაერთნენ, ერთსადაიმავეობას განსაკუთრებით ბავშვები ვერ ეგუებიან, ამიტომ ესაჭიროებათ შესაფერისი გარემო ცვლილებები. ადრიანი ასაკიდან, სწორედ გარემოებამ უნდა შეუწყოს ხელი მათ გონებრივ განვითარებას და როცა ვერ იღებენ მას, რაც სურთ, იბუტებიან, ან ტირილით გამოხატავენ პროტესტს, ეს მათი მოთმინების ერთგვარი სახეა. ხშირად მშობლები უმოკლეს გზას ირჩევენ და მას სჯერდებიან.

- რას გულისხმობ?

- დასჯას, დასჯით სურთ გამოუმუშაონ შვილებს შეუმცდარი აზროვნება. დასჯა რომ სიკეთე ყოფილიყო, ახლა უმაღლეს საფეხურზე განვითარებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მომსწრე გავხდებოდით. ჩვენ უნდა შევქმნათ აღზრდის ისეთი მობილური სისტემა, რომელმაც კი არ უნდა მოაჩლუნგოს ფარული თუ არაფარული პოტენციალი, არამედ უნდა ეცადოს, გამოავლინოს, როგორც მონაცემები, ასევე მიდრეკილებები ამა თუ იმ საგნის, დარგის თუ სფეროს მიმართ.

- ამას ხომ თავისებური პროგრამა დასჭირდება?

- მას არ სჭირდება საგანგებო პროგრამა, მთავარია ყოველი დღის მიზანშეწონილი შევსება, ასაკთან შესაფერისად, თითოეული საათი უნდა იყოს ინტერესით დატვირთული, რომ არ მივცეთ მათ ცუდი ფიქრის საშუალება. კარგი, შენთან

რა ხდება, ჩემს ბუთხუზას მთელი დღე სძინავს, რა არის, რაც აქ ვარ, სულ ძილშია, ან როდის კვებავ?

- როცა გამოიღვიძებს!

- ალბათ, მერე დაეხარბება!

- შენ რას სთავაზობ მათ, ჯიუტობენ კვების დროს?

- არა, მიირთმევენ, როგორც სჩვევიათ, ნელ-ნელა.

- გამოცდილებას მიიღებ, შემდეგ რომ დაგჭირდეს, გეცოდინება, რა დროს რა არის საჭირო.

- აგერ შენ, ჩემთან დამაკავშირებელი აპარატი, უჯრაში ჩავდებ. როცა დაგჭირდები, ნებისმიერ დროს შენთან გავჩნდები. ახლა გავალთ, ბავშვები მინდა კარუსელებით გავართო, იქნებ შევძლო მათი დროებით განმუხტვა.

- კარგს იზამ, არ მოიწყინოთ!

- ვეცდებით, ბუთხუზა რომ გამოიღვიძებს, დამიკოცნე.

- ერთი წუთით, შეხედე, უკვე გამოიღვიძა!

- ვაა, რა ლამაზი თვალები აქვს, თვალების ფერით დედას ჰგავს, გამოხედვით - მამას, თუ არ გჯერა, შვილებს შევეკითხოთ.

- კიდევ რით ჰგავს მამას?

- შეკრული მუშტებით! - ამის თქმა და მისი ჩაკუჭკუჭება ერთი იყო.

- რას არ იტყვი ხოლმე!

- აი, შეხედე, როგორი მეტყველი მუშტი აქვს.

- მე რით მგავს, ეს მითხარი.

- შენ - ფეხის თითებით! - ისეთი გადაიხარხარა, მისმა ხმამ დერეფნის ბოლომდე ჩააღწია.

- ნუ მაცინებ ასე უცნაურად! - მოუსმინეთ, შვილებო, დედას და თქვენც გამხიარულდებით.

- მე კი არა, მამას უნდა მოუსმინოთ, კარგად რომ გაერთოთ.

- მათ გზაში ვართობ, აქ რა გასართობი დაახვედრე, ხომ ხედავ, მოწყენილები იყურებიან!

- კიდევ რომ მოხვალთ, მერე დაგახვედრებთ. დღეს შენ გაართე, არ აატირო, ცოდოები არიან.

- გპირდები, დავემშვიდობოთ, ჩემო ცუგრუმელებო, დედას და წავიდეთ.

ბიჭმა განცვიფრებულმა შემომხედა.

- კარუსელებზე უნდა დაგსხათ, მამი, აბა, დავუქნიოთ ხელი დედას და გავიდეთ.

ასე, თითების ქნევა-ქნევით ბავშვები პალატიდან გამოვიყვანე.

გარეთ შემოდგომის სასიამოვნო დარმა საშუალება მოგვცა, მზის სხივების ქვეშ ფეხით გაგვესეირნა. ათი წუთის შემდეგ სეირნობას რივიერას პარკში ვაგრძელებდით. სიხალვათე იგრძნობოდა, ამიტომ, თავისუფლად რიგში დგომის გარეშე, მიწევდა მათი დასმა სხვადასხვა კარუსელებზე.

სანამ არ დაიღალნენ, მანამდე არც კი მოაფიქრდათ სახლში წასვლა.

მეორე დღეს ბავშვებისთვის განკუთვნილი საცირკო პროგრამის ეფექტური ნომრების სანახავად წავიყვანე. მოკლედ, ეს დღეები გაძლიერებულ გასართობ ღონისძიებებზე მყავდა გადაყვანილი...

როდესაც მეუღლე სამშობიაროდან გამოვიყვანე, გზაში ბავშვებს მოუსვენრობა შევატყვე.

- რა სჭირთ მათ, ასე მოუსვენრად რომ ცქმუტავენ?

- ატრაქციონი ან კარუსელებზე ტრიალი სურთ, ამის გამო ვერ ისვენებენ.

- შეაჩვიე, არა? ახლა რაღაც იღონე, როგორ გინდა, რომ დაამშვიდო?

- ვფიქრობ, ოაზისის შესასვლელში საქანელებისა და კარუსელის მოსაწყობად ადგილი გამოვძებნო, საქანელას დღესვე დავუმზადებ და რამდენიც უნდათ, გაერთონ.

... შინ რომ მივედით, ორივე მოღუშულები მიყურებდნენ და შარვლის ტოტს ერთი აქეთ ებღაუჭებოდა, მეორე - იქით.

- ცოტაც მოითმინეთ, კიდევ ცოტა ხანს მადროვეთ, - დედიკო ძამიკოს დააძინებს და მერე თქვენთან მოვა. მე კი ქანა-ქანას გაგიკეთებთ. გინდათ, არა? - თანხმობის ნიშნად თავი

დამიქნიეს. - მანამდე მითხარით, რაც გნებავთ და თაროებიდან იმას ჩამოგიღებთ.

ბიჭმა თავისით გადმოიღო, რაც უნდოდა, გოგომ კი ამარჩევინა. ამასობაში მეუღლეც გამოვიდა. ორივე მას ჩავაბარე, მე კი საქანელების დასამზადებლად გავედი.

შვიდიოდე წუთი დამჭირდა მათი დამზადებისთვის. არც ოაზისში გამჭირვებია, შესაფერისი ადგილი გამომეძებნა. ორივესთვის ცალ-ცალკე ავაწყვე და მათთან შევედი, მინდოდა მიმეხარებინა მისი აწყობა, მაგრამ ისე კარგად ერთობოდნენ, ხელი აღარ შევუშალე. მერმისთვის გადავდებ-მეთქი, გავიფიქრე და დასასვენებლად სავარძელში ჩავეშვი.

ოჯახში კიდევ ერთი წევრის მომატებას საქმის მომატებაც მოჰყვა. მთელი დრო შვილების მოვლა-აღზრდას მიჰქონდა. მალეც დაგვიზამთრდა. ყინვების გამო ბავშვები ხშირად ვეღარ გაგვყავდა გარეთ, მხოლოდ მაშინ ვახერხებდით, როცა ცის ჰორიზონტზე მზეს შევნიშნავდით. ჩავიბარგებოდით, ბაღჩას მექანიკურ სახურავს გადავხდიდით და მანამდე ვიყავით იქ, სანამ მზე არ გადაიწვერებოდა.

... ბავშვებმა ასაკის მატებასთან ერთად ლაპარაკი ისწავლეს, გაეხსნათ გონება. ცოტა ცელქობასაც მოუმატეს, ერთ ადგილზე გაჩერებულს ვერ ნახავდით. დედამისი მსაყვედურობდა, ხმას თუ არ ავუწიეთ, მერე და მერე ვეღარ მოვთოკავთო.

- რა ვუთხრა, გავუჯავრდე, სკამზე რატომ ახვედი ან რატომ დარბიხართ-მეთქი? სირბილში ისინი ზედმეტ ენერგიას ხარჯავენ. თუ არ დაიხარჯნენ, ვერც მოისვენებენ. რომ დასაჯო, ათი წუთი წყნარად გაგიჩერდებიან, მერე ისევ იმავეს დაუბრუნდება სამივე. მათ ხომ დაუხარჯავი ენერგია არ აძლევთ მოსვენების საშუალებას, ამიტომ მას უნდა მოვუძებნოთ ხარჯვის საჭირო პირობები.

- სწორედ რომ ასე იყო გუშინ. შენ ქვემოთ იყავი ჩასული, მე რომ მეგონა, აქ იყვნენ, ჩუმად ოაზისში გასულან და წყლის პირას თევზებს დასდევდნენ დასაჭერად. ცოტაღა

მაკლდა გულის შეწუხებამდე, გავუბრაზდი. სახლში სულ ტირილ-ტირილით შემოვიყვანე. მხოლოდ ნახევარი საათი იყვნენ გაბუტულები, უცებ ისევ აცუნდრუკდნენ.

- ისინი რომ დასვა, ჩემო კარგო და საინტერესო გართობა შესთავაზო, ძალიან მალე მოზღვავებული ენერგია და სხვათა შორის გართობის ერთფეროვნებაც აიძულებს, ფეხზე წამოაყენოს და ანგარიშმიუცემლად სხვა გასართობის ძებნა დაიწყებინოს. პატარებს ძალიან უყვართ მრავალფეროვნება. ასაწყობი სათამაშოების შემდეგ საქანელა შესთავაზე, მერე ფურცელი და ფანქარი დაუდე წინ და ასე სხვადასხვა ფიზიკური და ინტელექტუალური თამაშის მონაცვლეობით შენც გაერთობი, თავისთავად ისინიც.

- მაშინ, როგორც ვთქვი, სპეციალური პროგრამის შედგენა დაგვჭირდება.

- დაგვჭირდა და ეგ არის. მასთან ერთად პერიოდულად მოგვიწევს პირდაპირი მითითებები, კონკრეტული, აი, ეს არის კარგი და ეს მავნე. დროდადრო თვითონ გადაიანგარიშებენ მათ ავკარგიანობას. კვირაში სამჯერ დავუნიშნოთ ცურვის დღე. ხვალისთვის აუზს მოვუმზადებ, მეორად ფსკერს ამოვუწევ მათ სიმაღლეზე.

- კარგი იდეაა, მოჭარბებულ ენერგიასაც იქ დახარჯავენ!

- რა თქმა უნდა, მერე თვითონ აღზრდის პროცესი გვასწავლის, რა მიმართულება ავირჩიოთ.

- საბავშვო ბაღში სექტემბერში მივიყვანოთ, თუ დაველოდოთ, სანამ ოთხი წლისანი გახდებიან?

- მომავალ სექტემბერს, მანამდე ჩვენ მოვამზადოთ.

- შენ ახლა ის მითხარი, ჩემი სამსახურის საქმე როგორ იქნება?

- შეკითხვა კარგია, ჯერ თუ კითხვაზე გამცემ დამაკმაყოფილებელ პასუხს, მერე შემოვუბრუნდები შენს შეკითხვას.

- რა კითხვა უნდა დამისვა ისეთი, პასუხი რომ ვერ გავცე, ნაწილობრივ მაინც.

- მაშ, მისმინე. რა მიზნით გსურს სამსახურის დაწყება? ზერელედ ნუ მიპასუხებ!

- პირველი, ჩემო კარგო, ის არის, რომ კათედრაზე მიმიწვიეს სამუშაოდ, მეორე, ინტერესის გამო.

- რა შედის შენს ინტერესში, ხელფასი, ხალხთან ურთიერთობა, თუ თანამდებობა?

- ალბათ, ცოტ-ცოტა ყველაფერი!

- შენ თუ ლიდერობისკენ ხარ მიდრეკილი, მაშინ კარიერული წინსვლით ხარ დაინტერესებული. დავუშვათ, ისე მოხდეს, როგორც შენ ფიქრობ და არ გიფიქრია იმ განუკითხაობებზე, რაც მას უნდა მოჰყვეს?

- ისე ლაპარაკობ, თითქოს გამოცდილი მქონდეს!

- საკამათოდ არ მითქვამს, კარგი, გააგრძელე კიდევ რის თქმას აპირებდი?

- დასაწყისში პრაქტიკას მივიღებდი, პრაქტიკა გამოცდილებას შემძენდა, გამოცდილება კი - ანალიზის უნარს!

- კეთილი. ახლა შენი მომავლის შეხედულებები, გაიყვანე რაციონალური ცნობიერების მიღმა და დაუკვირდი, რას შეგაგრძნობინებს, თუ არანაირ ნიშანს არ მოგცემს, მაშინ, უშუალოდ როცა ჩაერთვები, გარემოება თავად გაიძულებს, რომ დაგაფიქროს.

- ვერ გავიგე, უფრო კონკრეტულად!

- რა არის გაურკვეველი. დავუშვათ, ხარ მეცნიერ-მუშაკი, თავისთავად გიჩნდება სურვილი, გახდე განყოფილების გამგე, ან კათედრა ჩაიბარო, თუნდაც ფაკულტეტის დეკანი!

- ყველას სურს გენერლობა.

- მეც მაგას გეკითხები, რატომ?

- გავლენის მოსაპოვებლად!

- დიახ, გავლენა, რომ საჭირო ქალად იგრძნო თავი, უფრო მეტი დამფასებელი და თაყვანისმცემელი. აი, სად მივყავართ კარიერისტობას!

- რას ნიშნავს ეს ყოველივე?

- ეს არის სამსახურებრივი აღმასვლის, პიროვნების ინდივიდუალური გამოვლენის ნიშნები!

- მერე, ვის ახასიათებს?

- ადამიანს, მისი ერთგვარი განმაპირობებული თვისე-

ბაა, ამ თვისების აქტიურობა მაშინ იწყება, როცა ჩნდება მისი გამოხატვის მიზეზი. რაც შეგვეხება ჩვენ, ვინაიდან სამსახურებრივ გარემოს მოწყვეტილი ვართ, აღარც ზემოთქმული მისწრაფებების ტყვეობაში ვიმყოფებით.

- შენი თეზისიდან გამომდინარე ჩანს, რომ ვერასოდეს დაგვიწყია ნამდვილი სამსახური!

- რატომ, ჩვენ ხომ გვაქვს მისია, სამსახურებრივ ფორმატში, რომელიც დიდ მოვალეობას გვაკისრებს. ამავე დროს გვაქვს ყველაფერი, რაც შეიძლება ამ ცხოვრებაში ჰქონდეს ადამიანს, თანამდებობრივი იერარქიის გარდა!

- როგორ მოვიქცეთ, უარი ვუთხრათ შემოთავაზებულ წინადადებას? ამჯერად მან იცის, რომ ვერ ვახერხებ ჩვილი ბავშვის გამო. შემდეგ რა იქნება?

- შემდეგში, ძვირფასო, ენერგ-ბადის წყალობით საზოგადოებაში ეგოცენტრის აქტიურობა საკმაოდ შემცირდება, ხოლო, როცა შურისა და ბოროტების მძვინვარება მოიკლებს, შენც თავისუფლად შეგეძლება, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე იმსახურო

- გასაგებია!

- უფრო გასაგები რომ იყოს, გასულ წელს ჩვენი ახალი მედიკამენტების წარმოებას რა აჟიოტაჟი მოჰყვა, ალბათ გახსოვს. წარმოების მენეჯერს ვინ აღარ ემუქრებოდა, რომ მას მედიკამენტების გამოშვება შეეჩერებინა!

- მახსოვს. შენ ის თქვი, კიდევ ორი სამკურნალო პრეპარატის გამოშვებას რომ ვაპირებთ, მას რა მოჰყვება!

- ბუმი, ამიტომ, ვეცადოთ, რაოდენობის თანდათანობით მომატებას, რომ იცოდე, უკვე ორწელ-ნახევარია, რაც ჩვენი ენერგ-ბადის პროგრამა მოქმედებს. წელიწადში რვა პროცენტი კლებაა. დღესდღეობით ოცი პროცენტია დაკლებული. ეს არცთუ ისე მცირე მაჩვენებელია. შედეგებს რომ არ დაეტყოს, მერე კი გავზრდით.

- რა დოზით ვაპირებთ მისი აქტიურობის მომატებას?

- ნელინელ სამოცდაათ პროცენტამდე ავალთ. მერმედ თავად ვითარება გვიჩვენებს.

- დარჩენილს რა მიზანი აქვს?

- ეტყობა, მაშინ გულისყურით არ მისმენდი, არა უშავს, მოკლედ, გავიმეორებ, როგორც სამყარო იკვებება, ასე ვთქვათ, იმ სუბსტანციით, რომელიც ორი საპირისპირო ნიშნის შემცველია, ასევეა ადამიანიც. თუ რომელიმე გამოაცალე, ჩამოიშლება და დაიშლება. ის პიროვნება აღარ იქნება.

- რომელი რომელს უნდა ემსახუროს?

- ვინაიდან პროცენტულად უარყოფითი სჭარბობს, მომსახურება დადებით ნიშანს რჩება. შედეგს კი ხედავ, რა ფორმაშია. როლების შეცვლის შემთხვევაში პანორამა მკვეთრად შეიცლება. დღესდღეობით ოცპროცენტიანმა შეჯამებამ გვიჩვენა, სახელდობრ, როცა წინა კვირას ანალიზი გავუკეთეთ ორ-ნახევარი წლის განმავლობაში საინფორმაციო გამოშვებაში გადმოცემულ ცნობებს, ნათლად დაგვანახვა, თუ როგორ საგრძნობლად იყო დაკლებული დანაშაულებებისა და კორუფციების მაჩვენებლების კოეფიციენტი.

- საინტერესოა, მომავალში რა სურათი გვექნება?!

- შეიქმნება შესაფერისი გარემო სწორი ცხოვრებისეული ხედვის გამოსამუშავებლად. ეს კი ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. აბა, გამოიცანი - რისი?

- შენ რომ გეთქვა, რა მოხდებოდა!

- მე მინდა, რომ შენ მიაგნო.

- შეიცვლება ყოფითი პირობები.

- კიდევ?

- ხალხში გაჩნდება სასურველი მომავლის იმედი და მოიმატებს სიხარულის განცდის უნარი.

- იქნებ კიდევ დაამატო?

- მე ვფიქრობ, აგრეთვე მოიმატებს განწყობა ბედნიერების განსაცდელად, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ადამიანისათვის!

- ყოჩაღ, მიაგენი, აი, მაშინ კი, უსათუოდ მისი ფორმულის ამოხსნის ჯერიც დადგება. შენ კი სასურველ გარემოში მოგიწევს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება.

- სასიამოვნო განცხადებაა, მეორე ალტერნატივა რა უნდა იყოს?

- მეორე რა გითხრა, მომავალი წინ იშვიათ შემთხვევაში თუ გადმოგვიფენს, რა შეიძლება მოხდეს, ამიტომ, წინდაწინ ვერ განვსაზღვრავთ მეორე შესაძლებლობის არსებობას, შენ რომ დაგეცადა იმ დროს, როცა მომავლის მოგზაურობის მოწყობილობას ვაწყობდი, უკვე მეცოდინებოდა პასუხი.

- შემაშინე, პატარა გაუთვალისწინებლობა და ირგვლივ ყველაფერი წყლით დაიფარებაო.

- გაგეხუმრე, შენ კი სინამდვილედ გადააქციე!

- არცაა საჭირო, წინაწარ როცა იცი, რა მოხდება, კარგის მოლოდინი კარგია, ცუდის მოლოდინში შენი დაგემართება.

- წყალთან დაკავშირებით გამახსენდა, ზაფხულის მიწურულს, ან შემოდგომის დასაწყისში ბავშვები ზღვაზე, სამკურნალო ქვიშრობში გავიყვანოთ, თუნდაც ურეკში.

- მდინარის ქვიშრობმა რა დააშავა?

- მდინარე კარგია, მაგრამ ზღვას და მის ჰაერს შედარებით მეტი პლუსი აქვს!

- კერძოდ?

- იმუნიტეტს ამაგრებს, მისი შემწეობით კი ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნარი მაღლდება, ხოლო ბანაობის დროს, კანში შეღწეული ელექტროლიტები ნივთიერებათა ცვლის გააქტიურებასაც უწყობს ხელს და უჯრედების მდგომარეობის გაუმჯობესებასაც.

- ეგებ, ისიც მითხრა, რატომ არის ბანაობის შემდეგ ულტრაიისფერი სხივებისადმი ორგანიზმის მგრძნობელობა გაზრდილი?

- ეს გამოწვეულია თვით ზღვის კლიმატის მიერ. მასში არსებული მინერალების, მიკროელემენტების სიმდიდრისა და ჰაერში მომატებული ჟანგბადის გამოც. სხვა რა გაინტერესებს?

- დანარჩენი შემდეგ, იქ რომ წავალთ!

- კეთილი, წასვლამდე ყალიბების შექმნას შევუდგები.

- ამ გახსენებაზე, ავტოქარხნის მშენებლობა თუ დაასრულეს?

- დასრულების სტადიაშია.

- ბოლო დროს თუ დაელაპარაკე?

- არ იყო საჭიროება, ერთი სიტყვით, ზღვამდე უნდა დავასრულოთ და გავუგზავნო. ახლა შენი ნებართვით, მე გავალ და მათ დამზადებას განვაახლებ.

- კარგი. თუ დამჭირდი, დაგიძახებ! - გამაფრთხილა და პატარებს ჩაუჯდა.

...დღენიადაგ, ჩემი ბავშვების შემყურე იმდენი დეტალის ყალიბს ვამზადებდი, რამდენსაც ვახერხებდი.

მეორე თვის დასაწყისში თითოეული ნაწილის ყალიბი მზად მქონდა. დამზადებისთანავე კავშირზე გავედი.

- გამარჯობათ, სერ, როგორ გრძნობთ თავს?

- გმადლობთ, ყმაწვილო, იმედის წყალობით, კარგად!

- ისიც კარგია, ავტოქარხნის მშენებლობა რომ დაგისრულებიათ.

- ორ სმენას ვამუშავებდი, მხოლოდ შიდა სამონტაჟო სამუშაოები დაგვრჩა.

- ხვალ დილით ყალიბთა კომპლექტს გამოგიგზავნით და ხვალვე შეგეძლებათ მონტაჟის დაწყება.

- ერთი რამ მინდა გითხრათ, განმეორება მომიწევს, ალბათ მიმიხვდით, გახმაურებულ ამბავთან დაკავშირებით, აბსოლუტურად ყველა მეკითხება და მთხოვს თქვენი კოორდინატების გამჟღავნებას. თითქოს მე ეს ვიცოდე. მათ არ სჯერათ, რომ მათთან ერთად მეც უვიცი ვარ ამ საქმეში. მინდა გამოგიტყდეთ, ყმაწვილო, თქვენი ვინაობის დასადგენად რა არ იღონეს, თანამედროვე ტექნოლოგიის რა საშუალებები არ სცადეს, თანამგზავრიც კი გამოიყენეს, მაგრამ უშედეგოდ!

- ვიცი, სერ, ორმაგი დაცვითი სისტემა რომ არა, ალბათ მათ ხელში ვიქნებოდი.

- საკვირველია!

- რა გაკირვებთ?

- მათ დედამიწის შუაგულში რა ხდება, ის იციან. ისეთი ელექტრონული ხელსაწყო აქვთ, რომელიც ნებისმიერი ტალღის სიხშირეს აფიქსირებს. კავშირგაბმულობის ქსელი მათ განკარგულებაშია, თქვენ კი უჩინმაჩინივით ხართ!

- ჩვენი მიზანი კარგად იცით, სერ! ისინი სწორედ რომ ამ მიზნის ფასეულობის ხარჯზე ცდილობენ მატერიალური კეთილდღეობის შეძენას, ისიც დამახინჯებული, ანუ არაბუნებრივი გზით. იმიტომ დამეძებენ, რომ მერე თავისუფლად მიეცეთ ნავარდობის საშუალება.

- მე მესმის თქვენი, ყმაწვილო, მაგრამ ყველას ხომ ვერ გასწვდებით. გამოჩენით თქვენ არ ჩნდებით, ისე როგორ უნდა შეძლოთ!

- სერ, აბა, დაათვალიერეთ ყველა ფაბრიკა-ქარხანა, შედით ნებისმიერ საწარმოში და გასინჯეთ მათი დამზადებული და დაფასოებული საკვები. არის თუ არა მათში დაცული საჭირო რაოდენობა და ხარისხი, უახლოეს მომავალში შეიცვლება თვით ადამიანთა შორის ურთიერთობები. არ იქნებიან მოთავისენი. გარდაიქმნებიან და გახდებიან საზოგადოებრივი ინტერესების ნამდვილი დამფასებლები. დროის ენერგიის შემწეობით კი თქვენც მალე მოესწრებით მის რეალობას. მხოლოდ ცოტა მოთმინება დაგჭირდებათ.

- უკეთესი მომავლის შესახვედრად, ყმაწვილო, საამისო ნებისყოფა უდავოდ მაქვს!

- ჩვენს საუბარში, სერ, მათმა კავშირგაბმულობის ქსელის კურიერმა, ჩემგან წამოსული სიგნალის ორიენტაციის მიხედვით ორი სპეცშვეულმფრენი გამოგზავნა, არ გაინტერესებთ, რა ბედი ეწიათ?

- თუ პატივს დამდებთ, დამავალებთ!

- ქალაქის გასასვლელში, ჩრდილო-დასავლეთის მხარეს შეგიძლიათ მიხვიდეთ, ნახოთ და გაესაუბროთ. მასაც გაარკვევთ, ვინც გამოგზავნა, თან გადაეცით, განმეორების შემთხვევაში, იძულებით დაშვებას უფრო მძიმე სახეს მისცემენ-თქო!

- მე ვიცი მათი მიზანი.

- გისმენთ!

- თქვენთან თანამშრომლობა სურთ, ამიტომ უნდათ აგიყვანონ, რომ გამოგიყენონ.

- კეთილი მიზნისთვის მზად ვარ. მე ამ ადგილიდანაც მო-

ვახერხებ მათ დახმარებას, ეს თქვენ კარგად იცით, ბოროტი მიზნისთვის ნურას უკაცრავად!

- კარგი, გადავცემ.

- ხვალ, როგორც დაგპირდით, საქონელს გამოგიგზავნით.

- გმადლობთ, ყმაწვილო!

- არაფრის, ნედლეულის საკითხი თუ გადაწყვიტეთ?

- ნედლეულის მომწოდებელი პირი მოძებნილი მყავს, სხვათა შორის ვინც კი გაიგო, ყველას აინტერესებს ავტომანქანის მართვადუნარიანობა, მისი სიძლიერე და სისწრაფის მაჩვენებელი. ასევე, მეკითხებიან გამომგონებლის ავტორის სახელს. რა პასუხი გავცე?

- თქვენც უპასუხეთ, იქს-მედინს ეკუთვნის-თქო, ავტომობილსაც ეს სახელი შეურჩიეთ ან ინფინიტივი, ან, რასაც გადაწყვეტთ. კარგ მონტაჟს გისურვებთ, კავშირზე ვიქნები.

მისაღებში გამოსული დედა-შვილების თამაშს მეც შევუერთდი.

- რა ისმის? დაასრულეს მშნებლობა?

- კი, სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებენ. რა მაგის პასუხია, ბავშვები გარეთ არ გავიყვანოთ? ამინდი ხელს გვიწყობს. დღეს და ხვალ მთის ზეგანზე გავასეირნოთ, მერე ქვემოთ, მდინარის პირზე, ზეგ კი ზღვისკენ გავემგზავროთ. - გავაცანი ჩემი გეგმა.

შემოდგომის შესაფერისად გამოვეწყვეთ და ზეგანზე ავედით. იმ ბილიკზე ვარჩიეთ გასვლა, რომელზეც ხშირად გვიწევდა სიარული. ნელი ნაბიჯებით მივუყვებოდით ხილნარისკენ მიმავალ საცალფეხო გზას.

ტყის სიღრმიდან მონაბერ სიოს შემოდგომის სასიამოვნო სურნელი მოჰქონდა.

ნელსურნელება და აფერადებული ბუნების ხედები რენესანსის ხანაში შექმნილ პეისაჟს მახსენებდა, რამაც ერთი-ორად ამიმაღლა განწყობა. ამ გუნება-განწყობის შენარჩუნებას კი ჩემს გვრიტებთან ერთად ხის რტოებზე მოფრთხიალე მოჭიკჭიკე ჩიორებიც ცდილობდნენ.

მივიწევდით ამაყად წინ მე და ჩემი ბუთხუზა ბიჭი,

ხილნარს რომ მივუახლოვდი, მივაყურადე, მივიხედ-მოვიხედე. ეს ის ხილნარი იყო, რომელშიც გასულ წელს დათვი თავისი ბელებით რომ გვესტუმრა, ყოველი შემთხვევისთვის კომპას-აპარატის საბრძოლო განყოფილება შევამოწმე და გზა გავაგრძელეთ.

ხილნარის კიდევ ერთი სიკეთე ის იყო, რომ მის არემარეში ძეძვს ვერ ნახავდით, აქა-იქ თუ შეხვდებოდით ალაგ-ალაგ ამოსულ დიყს.

მოვძებნე შედარებით დიდი ხე. პლედიც მის ძირში გავშალე, ზურგჩანთები თავსა და ბოლო კიდეზე დავაწყვე, პლედის შუაგულში კი ბავშვებს მივუჩინე ადგილი.

- ყურადღებით ვიყოთ, - ვეუბნები მეუღლეს. - შესაძლოა ახლომახლო მაჩვი, მელაკუდა, ან გზააბნეული ბელი გამოჩნდეს. მათ ზოოპარკში არ ეგონოთ თავი და მისკენ არ გაექანონ. მე ფეხზე ვიქნები, აქვე ვიტრიალებ.

- შორს არ წახვიდე!

- არა, გენაცვალე. პანტას ჩამოგიკრეფთ, იქნებ მოგეწონოთ!

- ორი ცალი მომაწოდე, ძალიან მჟავე თუ არ არის, ბავშვებსაც გავასინჯებ.

- ერთი წუთით, ზემო მხრიდან რაღაც ხმაური შემომესმა, თუ რომელიმე ნადირი გამოჩნდა, აქამდე ვინ მოუშვებს, მაგრამ დაზღვევისთვის კი იცი, როგორ უნდა მოიქცე, პატარებს ხელი მოჰკიდე და ზურგით ხესთან დადექი. დაველოდოთ, ვინ გვესტუმრა, მანამდე ჩანთიდან დურბინდს ამოვიღებ, იქნებ დავინახო, ვის მოვენატრეთ.

ჯერ ის მხარე დავათვალიერე, საიდანაც ხმაური შემომესმა, მერე - შემოგარენი.

- წვრილფეხა ცხოველები არიან, სადესერტოდ ხილნარში ჩამოსულან. თუ ვინიცობაა, ჩვენამდე მოვლენ, არ შეშინდე. დაგვინახავენ და ისევ უკან გაბრუნდებიან.

- ასეთი მოკრძალებულები როდიდან გახდნენ?

- როცა ნადირი ადამიანს ან ცხოველს შვილებთან ერთად შენიშნავს, თავს შორს იჭერს, მან იცის, რომ თუკი დედა და-

ინახავს, მის შვილებს საფრთხე ემუქრებათ, უეცრად მასში თავდაცვის შეუპოვარი ინსტინქტი და მრისხანება იღვიძებს. სწორედ ამ მრისხანე ხასიათს ერიდებიან ისინიც და განზე დგომას ამჯობინებენ.

- დაველოდოთ მათ სტუმრობას?

- სანამ ისინი ჩამოვლენ, თუ ხის ნაყოფი მოგეწონა, კიდევ ჩამოგიკრიფავთ!

- ნახევრად მჟავეა, არც მათ ჭამეს.

- ერთ თვეში კარგი იქნება, ზამთარში შესანახად უფრო მეტის ჩამოკრეფა დაგვჭირდება.

- რატომ?

- აგერ, ერთი სული მოგვემატა, ბუთხუზას ორი იმდენი დასჭირდება, რაც მათ!

- მართალი ხარ, ყველაფერი მეტი რაოდენობით დაგვჭირდება. რა ამის პასუხია, ყოველთვის მინდოდა მეკითხა, მაგრამ ვერ ვახერხებდი, ჩვენმა შორეულმა მეგობრებმა მესამე შვილის შეძენა მოგვილოცეს?

- როგორ არა, მეორე დღეს ეს-ესაა უნდა დამეწყო მისი მოყოლა, რომ პალატაში ექიმიც შემოვიდა. მეორედ ისე ჩავთვალე, თითქოს გითხარი. ტელეპატიური გზავნილი მივიღე, მოხარული ვართ მესამე შვილის შეძენით - ასეთი ფორმირებული დატვირთვა ჰქონდა. უახლოეს მომავალში გვესტუმრებიან. მათ მაშინ უყვართ ჩამოსვლა, როცა ხილი მწიფობაშია.

- ჩვენ როდის ვესტუმროთ?

- სამი წლის რომ შესრულდებიან.

- ერთი ადგილი გამახსენდა, თუ არ ვცდები, ჩვენი მეზობელი გალაქტიკის მეშვიდე პლანეტა უნდა იყოს. მისმა ფლორამ ძალიან გამაოცა. გახსოვს, ყვავილების თაიგული რომ შეკარი და მისახსოვრე. ის თაიგული ახლაც შენახული მაქვს. ბავშვები რომ არა, ახლა მოვლილი გვექნებოდა მთელი სამეზობლო. ვარსკვლავთა ხეივანი ჩამრჩა მახსოვრობაში, სადა და თავბრუდამხვევი საოცრება, როდის მოვესწრებით კიდევ მის ნახვას? - ბოლო ფრაზა ნაღვლიანად წარმოთქვა და შემომხედა.

- ორი წლის შემდეგ! - მოკლედ ვუპასუხე მის სევდიან კითხვას. - აქვე კიდევ ერთი გასათვალისწინებელი დეტალიც.

- კარგი თუ ცუდი?

- დასკვნა შენ თვითონ გააკეთე, ჯერ მათ შეხედე, როგორ ყურადღებით მისმენენ, მოისმინონ თუ გაიგებენ, ერთი სიტყვით, მე იმის თქმა მინდოდა, რაც უფრო ნაკლები სენტიმენტალობით განეწყობი წარსულის მიმართ, ჩვენთვისაც კარგი იქნება!

- მე უბრალოდ გამოვხატე ჩემი გრძნობა და ინტერესი, თუ ზედმეტად მგრძნობიარედ ვამბობდი, არც მიმიქცევია ყურადღება.

- თვითკონტროლი კარგი ჩვევაა, ძვირფასო.

- ვიცი, ხანდახან გრძნობის იმპულსი ჩემი ნების დაუკითხავად იწყებს ხოლმე მოქმედებას. ეს ავტონომიური ნერვული სისტემის ბრალი უნდა იყოს და არა პირადი.

- მაშინ, ჩვენი ავტონომიური სერვისი იმ დროს შევამოწმოთ, როცა სიტყვა ეს-ესაა უნდა წარმოვთქვათ. შესანიშნავი დაზღვევა იქნება გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად.

- თუ ჩვენს ნებას არ ემორჩილება?

- შენ ხომ ამ მხრივ გარკვეულ წარმატებას მიაღწიე. რატომ იუცხოვე ჩემი ნათქვამი, თუ ბუნებაში აზრები გაგეფანტა, ისიც კარგად იცი, როგორ უნდა შეძლო მისი მოწესრიგება. თვითშთაგონება ერთ-ერთი საუკეთესო ავტოთერაპიაა.

- ვიცი, შეიძლება შვილებზე ფიქრმა და ზრუნვამ იმოქმედა.

- არც მე გამოვრიცხავ, მართალია ისიც, რომ მათ გამო აღარც ბევრი დრო გვრჩება ტრენინგების ჩასატარებლად, მაგრამ სტაბილურობის შენარჩუნება აუცილებელია, ესეც ბავშვების გამო. ამიტომ, აუტოგენური სავარჯიშოებისთვის პერიოდულად უნდა მოვიცალოთ. შენ კარგად იცი, რომ მშობლები შვილებთან არა მარტო მემკვიდრული ნიშან-თვისებებით არიან დაკავშირებული, არამედ მათ შორის არსებობს ასევე ენერგეტიკული კავშირიც. მაგალითად, ენერგეტიკული ჭიპლარი, დედა მისი საშუალებით ცხრა მთას იქითაც კი გრძნობს შვილების

ავკარგიანობას, ამიტომ, მშობლებს ბიოველი მუდამ გაწმენდილი უნდა ჰქონდეთ, რომ გადაცემულ ნიშან-თვისებებთან ერთად შვილებს უზადო ენერგოსაკვები მიაღებინონ, და რაკი ჩვენ უშუალო კავშირში ვართ ერთი მეორესთან, ყოველთვის ფორმაში უნდა ვიყოთ, რომ შვილებმა თავი მხნედ იგრძნონ.

- ვერ შეგეკამათები!

- კონკრეტულად რომ ვთქვათ, ძვირფასო, თითოეულ სიტყვას, აზრს, განზრახვას რა გრძნობითაც წარმოვთქვამთ, იმავე გრძნობით დავმუხტავთ მათ ფსიქიკასაც, ამიტომ მუდამ ყურადღებაა საჭირო, რას როგორ გავიფიქრებთ და ვიტყვით.

- ერთი წუთით, რაღაც ხმები შემომესმა, უფრო ჭყვიტინს წააგავდა.

- გარეული ღორი გვსტუმრებია თავისი გოჭებით.

კისერზე ჩამოკიდებული დურბინდი ხელმეორედ მოვიმარჯვე, ფეხზე წამოვდექი და არემარე შევათვალიერე.

- ჩვენკენ მოიწევენ. არ შეშინდეთ, მოვიდნენ, შევხედოთ, როგორები არიან, თუ ძალიან ახლოს მოვიდნენ, ცუგას მივუშვებ!

- აბა, ცუგა!

- ჩანთაში მყავს. გავხსნი და გამოვუშვებ.

- ოჰ, შენ ხუმარა შენა!

მალე ისინი თვალთახედვის არეში მოვიდნენ. დიდებიცა და პატარებიც სიხარულით შევეგებეთ მათ გამოჩენას, უცებ ტყუპები დაბზრიალდნენ და მათკენ გაიწიეს.

- სად, - წავავლე ხელი ორივეს, - სად აპირებთ გაქცევას, მოინდომეთ არა გოჭებთან ერთად კვინტრიში, დამშვიდდით და აქედან უცქირეთ.

მათი ნახვით გახარებულ ბავშვებს შენიშვნა გულთან არ მიუტანიათ, ხესთან დადგნენ და ადგილზე კუნტრუში გაა-გრძელეს: ბუთხუზა დედას ეჭირა, ფაცები ზემოთ აეშვირა და გამუდმებით აქეთ-იქით იქნევდა. მე უმალ აპარატი ვიდეოკამერის გვერდზე გადავრთე, მათ უკან დავდექი, ერთიანი ფონი შევარჩიე და გადაღება დავიწყე. ვიღებდი მანამ, სანამ ტაშის შემოკვრით გოჭები არ დააფრთხეს.

- მოასწარი რაიმეს გადაღება? - შემეკითხა მომღიმარი მეუღლე.

- მნიშვნელოვანი ეპიზოდების გადაღება კი. ახლა შეიძლება ისინი დაბრუნდნენ, ვინც პირველად გვესტუმრა. დაველოდოთ თუ წავიდეთ. იქნებ ჩვენს გოჭუნებსაც მოშივდათ?

- მართალი ხარ, მალე მათი კვების დროც დადგება. სჯობს წასასვლელად მოვემზადოთ.

ათ წუთში უკვე მზად ვიყავით. ისევ ისე განვლაგდით, როგორც ამოვედით. წინ მე და ჩემი პატარა ბიჭი მივდიოდით, შუაში - გოგო-ბიჭი, მიუხედავად მცირე ასაკისა, ყოჩაღად მომყვებოდნენ, დედამ კი ჩამკეტი როლის შესრულება ითავა. გზაში ერთი შესვენება გავაკეთეთ, არემარე შევათვალიერეთ, რომ დავრწმუნდით ირგვლივ უსაფრთხო იყო, ბილიკს ავუყევით.

შინ მისულებმა ბავშვები ჯერ ვაბანავეთ, შემდეგ თავიანთ მაგიდასთან დავსხით და საკუთარი ხელით პატარ-პატარა ლუკმებით ჭამას ვასწავლიდით, ნაბოლარას კი ჯერჯერობით ჩვენი ხელით უწევდა დაპურება. კარგად რომ დანაყრდნენ, სათამაშოებთან დავსხით, ჩვენ კი მაგიდას მივუსხედით.

- მოგშიებია, ჩემო კარგო! - შენიშნა ჩემი მადიანი შექცევა მეუღლემ.

- ასე იცის თავაუღებელმა საქმემ, მით უმეტეს, თუ მთაში ხარ.

- იცი, რა მაინტერესებს?

- საინტერესო თუ არის, თქვი!

- მომისმინე და გაიგებ, შენ რომ მეუბნებოდი, შეიძლება ჩვენ მივაგნოთ, უფრო სწორად, დავამზადოთ ყოველი სენის სარგო წამალი, რა ბედი ეწევა ჯერ მას, მერე დანარჩენ მედიკამენტებს?

- თავად რას ფიქრობ?

- ყველა სამკურნალო პრეპარატი ცხადია გადაინაცვლებს უკანა პლანზე.

- ასეა, ძვირფასო, ამიტომ აჯობებს, თავდაპირველად მისი წინამორბედი მედიკამენტი გავუშვათ წრედში. ეს იქნება წინა მოსამზადებელი ეტაპი, ნევრორეგულატორი, ხომ გახსოვს?

- ძალიან კარგად მახსოვს!

- აი, მასზე ჩავატარებ ცდებს. შემდგომ კი სისტემაში ჩავსვამთ. ცოტა მოგვიანებით ჩვენი მედიკამენტების კომბინაციურ თავსებადობას გამოვიკვლევთ, თუ ექსპერიმენტმა გაამართლა, მაშინ ხელთ გვექნება სამკურნალო პრეპარატი, პანაცეა.

- ყველაფერი ასე მარტივად?

- არა, ყველაფერი ეფექტის თანხლებით.

- როდის ვიწყებთ?

- ცდების ჩატარება ხვალიდანაც შეიძლება, ან ზღვის ვოიაჟის შემდეგ.

- დრო რამდენი გაქვს დაგეგმილი?

- ორი კვირა. ჰაერის გამოცვლა ბავშვებსაც მოუხდებათ და შენც, ამის მერე კი დავიწყებთ მასზე სერიოზულ კვლევებს. თუ ვარაუდმა გაამართლა, მაშინ მისი დროებითი კონსერვაცია მოგვიწევს.

- როდემდე, ვის ვუნახავთ?

- მომავალ სექტემბერს, თუ შენი მიწვევა რეალობად გადაიქცა, აი, მაშინ მოხსნი გუდას თავს. სახელს კიდევ უფრო გაითქვამ და იმავ დროს კარიერის დასაწყისად მოგვევლინება. დანარჩენ მხარეს თანდათან მოვაგვარებთ, რასაც შენი მდგომარეობა გვიკარნახებს. - ფიალიდან ცოტა ღვინო მოვსვი და მის პასუხს დაველოდე.

- აზრი მომწონს! ეს, რაც მე შემეხება. ახლა შვილებზე გეკითხები, სად აჯობებს მათი მიყვანა, აქ თუ იქ, სადაც მე ვიქნები, არადა, ვისაც საშუალება აქვს, ყველა უცხოეთში აგზავნის სასწავლებლად. ჩვენთვის რომელი აჯობებს?

- თუ ბავშვების ეროვნულობა გვსურს, რაღა თქმა უნდა, სამშობლოში, იმ მიზნით, ვინც უცხო ქვეყნებში აგზავნის შვილებს გასანათლებლად, მაშინ იქ!

- ეტაპებად რომ დავყოთ, თავდაპირველი აღზრდა, სწავლა და განათლება მშობლიურ მხარეში მივაღებინოთ, შემდეგ კი ავარჩიოთ, სად აჯობებს.

- კეთილი! მშობლიური გარემო საწყის ეტაპზე მნიშვნე-

ლოვანიც არის, განა არ შეიძლება მათი აღზრდა სამშობლოს გარეთ, მაგრამ ეს უფრო ხელოვნური იქნება, ვიდრე ბუნებრივი. ჩვენი შემთხვევის მიზანი შენ კარგად იცი, ასეთი სუფთა და წმინდა გარემო, ფეხმძიმობის პერიოდის გასავლელად აქა-იქ თუ მოიძებნება. ბავშვებს ასე კარგად რომ უღაჟღაჟებთ ღაწვები, სწორედ ამ პირობების დამსახურებაა. ჯანსაღ გარემოში სული, გონება და სხეულიც ჯანსაღია!

- ჩვენი პროგრამის წყალობით, ჩემო კარგო, ვითარება ყველგან დალაგდება, რაც მთავარია, თავისუფლად ამოისუნთქავს მატერიალურად გაჭირვებული ფენაც.

- ვიმედოვნებ!

- კორუფციასთან ბრძოლას როდის ვიწყებთ, არადა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან უწყებებში განაწილებული თანხები მიზნობრივად რომ იხარჯებოდეს, ქვეყანა აყვავების ხანაში იქნებოდა.

- სრულიად მალე, მასაც დავიწყებთ.

- როგორ?

- სხვადასხვა უწყების ელექტრონულ ქსელში ჩაიდება მაკონტროლებელი პირობითი ნიშანი, ასევე კონკრეტული უწყების ხელმძღვანელ პირებს თვალყურს ადევნებს ინფოკომი ანუ ლაზ-თვალი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იქნება თანამგზავრთან. ინციდენტის შემთხვევაში სიგნალს მიიღებს ჩვენი ელექტრონული აპარატის საინფორმაციო განყოფილება. რაც შეეხება რეაგირებას, მისი სისტემა შენთვის უცხო არ არის.

ფიალაში დარჩენილი სასმელი მოვსვი, სავარძელში გვერდი ვიცვალე და საუბარი ხვალის გეგმაზე გადავიტანე.

- ხვალ ერთი მარტივი სპეცოპერაცია მაქვს ჩასატარებელი. გამზადებულ ყველა დეტალის ყალიბს ჩავიტან გარიჟრაჟზე, როცა ავტოქარხნის ტერიტორიაზე არავინ იქნება, დაცვის თანამშრომლის გარდა, ინკოგნიტოდ, შეკრულ ყუთებს საწყობის წინ ჩავუშვებ, თან მას გავაფრთხილებ, სასწრაფოდ გენდირექტორს აცნობონ ტვირთის მიღება. მე კი მაშინვე ჰაერში ავიწევ და გავუჩინარდები. მერე ჩვენს საქმეს მივხედავთ. ხვალისთვის ბავშვებისთვის საკვები ხომ არ მექნება მოსატანი?

- არა, ჯერჯერობით გვაქვს.

- დღეს დილით ყური მოვკარი, გოგო ამას წინათ შენ მიერ წაკითხულ ლექსს ამბობდა!

- რას ამბობ, ორჯერ რომ წაუკითხო, მესამედ თვითონ იმეორებს გოგოც და ბიჭიც!

- ეს უკვე გამორჩეული ნიჭია, აქედანვე ჩანს მათი მომავალი, ლექსების გარდა მოკლე მონოლოგებიც ვასწავლოთ. ფანქარი და თაბახის ფურცელი მივცეთ, იქნებ ხატვის ნიჭიც დევს მათში, ვამღეროთ, მათ ხომ უკვე აღმოაჩნდათ მონაცემები, სხვათა შორის, ცურვასაც არცთუ ისე ურიგოდ ახერხებენ. ახლა ჩვენი მოვალეობაა, თვალყური ვადევნოთ ორივეს უნარ-ჩვევებს. პატარა ვნახოთ, რას გამოაჩენს მომავალში. რატომ ჩაფიქრდი?

- ადრე ხომ არ არის, ამაზე ვფიქრობ.

- თუ ზემოთ ჩამოთვლილს გართობის სახით მივაწვდით, ამ გზით ისინი თან გაერთობიან, თანაც საკუთარ მონაცემებს გამოამჟღავნებენ. მათ ფსიქიკასაც დატვირთვას ავარიდებთ.

- რაკი ასეა, ადრეც ვთქვი, შესაფერისი პროგრამის შემუშავების თაობაზე, ახლა გამახსენდა, - მოთამაშე ბავშვებს გადახედა და ისევ ჩაფიქრდა.

- ვფიქრობ, ჯერ არ დაგვჭირდება, თუნდაც ავიღოთ ეს მომენტი, ხომ ხედავ, როგორ უღიმღამოდ ერთობიან, ეს იმას ნიშნავს, რომ სათამაშოები, რომლებითაც თამაშობენ, მოსწყინდათ. ახლა მე მივალ მათთან, შენ აქედან მიყურე.

უჯრიდან სახატავი ფურცლები და ფანქრები ამოვიღე, სათითაოდ დავურიგე, მათ გვერდით ჩამოვჯექი და ვეკითხები:

- ტყეში, ხის ძირში რომ იყავით წამოსკუპებულები, რა ესხა იმ ხეს? აბა, რომელი მოასწრებს თქმას?

- მე ვიტყვი, - იმარჯვა გოგომ, - ვაშლი!

- ყოჩაღ, კიდევ?

- ფერადი ფოთლები!

- კარგი გოგო ხარ. მაშინ, ჯერ მე დაგიხატავთ ვაშლს, მერე თქვენ დამიხატეთ, კარგით? - ორივემ თავი დამიქნია და ჩემს სახატავ ფურცელზე გადაიტანეს მზერა.

ვხატავდი აჩქარების გარეშე, მათ რომ კარგად დაენახათ... დასრულებისას ნახატი წინ დავუდე და ვეუბნები:

- ახლა, თქვენ მოიმარჯვეთ ფანქრები და დაიწყეთ!

ხატავდნენ ნელა და მონდომებით, ბოლოს ასე თუ ისე მიამსგავსეს ნახატს ნახატი.

- აი, ყოჩაღ, ჩემო ცუგრუმელებო, მე ძალიან მომწონს თქვენი ნახატები, ამჯერად დავხატოთ ხის ფოთოლი. პირველად მე დავხატავ, მერე ისევ თქვენ.

ასერიგად ვაგრძელებდით შემოქმედებით საღამოს, მერე ხე თავისი ფოთლებით და მსხმოიარე ვაშლებით დახატეს, შემდეგ, რაც იქ ნახეს, გოჭები დედა ღორით.

მხატვრობა დიდხანს აღარ გაგვიგრძელებია, ბავშვები ვაბანავეთ და საძილედ იავნანა ჩავურთეთ.

მეორე დღეს, როცა ქალაქიდან დავბრუნდი, ბავშვები უკვე გაღვიძებულნი დამხვდნენ. ამოსუნთქვა არ მაცალეს, უმალ ხელში ფურცელი და ფანქარი შემაჩეჩეს.

- მე მელოდებოდით, დედა აქ არ იყო?

- ერტი ლამ დაგვიკატა, - წაიტიტინეს უხალისოდ.

ამ დროს მეუღლემ გამოიხედა სამზარეულოდან.

- შენც მოსულხარ. ხომ მშვიდობით ჩაიარა?

- დაცვას არც კი გაუგია, ისე უხმაუროდ ჩავუშვი ტვირთი. წამოსვლის დროს შევეხმიანე, ავუხსენი, რაც იყო და ვის უნდა დაკავშირებოდა.

- ძალიან კარგი, საუზმე მზად არის, შეგიძლია მიირთვა. ბავშვებმა ეს-ესაა დაამთავრეს. შენს მოლოდინში იყვნენ, როდის მოხვიდოდი და რაიმეს დაუხატავდი.

- შენ რა შესთავაზე?

- მე რაც შევთავაზე, არ მოეწონათ, კიდევ მთხოვდნენ მეორე სურათის დახატვას, ამის დრო ნამდვილად არ მქონდა, თან საქმეს ვაკეთებდი, ან და რას მიაჩვიე, თვითონ რატომ არ ხატავენ?

- ნუთუ ვერ მოიფიქრე, გეთქვა მათთვის, ახლა თქვენ დახატეთ პირველებმა, მერე მე თქვენიდან გადმოვიხატავ-თქო. მოდი, გასწავლი მეთოდს!

- ხედავ, როგორ გიცქერიან. ერთი სული აქვთ, როდის მიუჯდები მათ.

- კარგია, რომ ინტერესი გაუჩნდათ, უფრო კარგი იქნება, თუ ასეთივე ინტერესი გაეღვიძებათ სხვა ხელოვნების მიმართაც. თუ საქმე არ გაქვს, შემოგვხედე, როგორ გავერთობით. აბა, ბავშვებო, სანამ ხატვას შევუდგებით, მანამდე მომიძებნეთ ისეთი ფერის ფანქრები, რა ფერის ფოთლებიც ჰქონდა ვაშლის ხეს.

ორივე გაიქცა დავალების შესასრულებლად. უმცროსი კი მხოლოდ მათ მოქმედებებს აკვირდებოდა. ერთმა მწვანე მომიტანა, მეორემ - ყვითელი. შემდეგ მოვატანინე ის ფერები, რა ფერითაც ასახეს გარეული ცხოველები, მერე თავიანთ მაგიდასთან დავსვი და ჩემს დაუხმარებლად, რისი დახატვის სურვილიც გაუჩნდებოდათ, ის უნდა დაეხატათ და გაეფერადებინათ.

ორივემ გოჭების დახატვა გადაწყვიტა. რატომღაც არჩიეს ის, რაც ორივესთვის საძნელო იყო. ეს მათ განსაკუთრებულ აზრობრივ წყობაზე მიანიშნებდა...

დღის მეორე ნახევარში მდინარის პირას იმ მიზნით გავიყვანე, რომ იქ რაც მოეწონებოდათ, სახლში დაბრუნების დროს სწორედ ის უნდა დაეხატათ. ამის გამო იყო, რომ ყურადღებით აკვირდებოდნენ ნაპირზე მიმოყრილ კენჭებსა თუ ქვების ფორმებს, მდინარიდან გამორიყულ ჯირკებსა თუ ხმელ ტოტებს. პატარა გონებაში იბეჭდავდნენ და შთაბეჭდილებებით დატვირთულები დღის დასალიერს ზემოთ ავიყვანე, პირდაპირ მაგიდასთან დავსხი და მორიგი დავალება ავუხსენი.

შემდგომ დღეებში ხატვისთვის ვეღარ მოვიცალეთ, ვინაიდან დილიდან საღამომდე ზღვის სანაპიროზე ვიყავით გასულები.

შუადღისას, თითქმის ყოველდღე ჩვენი გუჯაბი ბავშვებისთვის განკუთვნილ შენობაში გაგვყავდა, იქ სხვა ბავშვებთან ერთად ისე კარგად ირთობდნენ თავს, არც ფანქარი გახსენებიათ, არც სახატავი ფურცელი. ზოგჯერ სასრიალოდ გაგვყავდა, ისიც იქვე იყო, ძალიან უხაროდათ გამორჩეულად

სხვადასხვა ფორმის ნახევრად ღია ხვეულ მილებში წყალთან ერთად სრიალი.

... საზღვაო დასვენება ორ კვირამდე გაგრძელდა. პატარებთან ერთად ჩვენც გავიუმჯობესეთ გუნება-განწყობა, ნამზეურები ყველას თვალსაჩინოდ გვემჩნეოდა, უფრო მეტად - ბავშვებს.

მომდევნო დღეს, როცა გაიგეს, რომ ზღვაზე აღარ მივდიოდით, ტყუპებმა ტირილი დაიწყეს, მერე ნაბოლარაც აჰყვა, მეუღლე მე მიყურებდა, რა ვქნათო.

- რადგან ეს მათი პირველი თხოვნაა, შევუსრულოთ, თუ ჟინიანობას სისტემატური ხასიათი მიეცა და ახსნა-განმარტებამ არ გაჭრა, მაშინ ცოტა მკაცრი ტონით მომიწევს თქმა, ახლა კი მოვემზადოთ და წავიდეთ.

კიდევ ერთი კვირა გასტანა საკურორტო მიმოსვლამ. ვფიქრობდი, ბავშვებს მოსწყინდებოდათ საზღვაო ერთფეროვნება, მაგრამ ნურას უკაცრავად, რაც დრო გადიოდა, მით უფრო იხიბლებოდნენ. რაღას ვიზამდით, მასაც საზღვარი ჰქონდა.

მეორე დღეს საუზმის დასასრულს, როცა გამგზავრების დრო ახლოვდებოდა, სანამ თვითონ აიჩემებდნენ წასვლას, მათ მაგიდას მივუახლოვდი და სასაუბროდ გვერდზე ჩამოვუჯექი.

- რატომ არ ჭამთ, აღარ გინდათ?

- არა, მამი!

- გავიგე, მაგრამ რატომ, გამაგებინეთ!

- მე აღარ მინდა! - მეუბნება ბიჭი.

- შენ? - მივუბრუნდი გოგოს.

- მეტს რომ ვჭამ, მამი, ცუდად ვარ.

- ახლა მე შემომხედეთ.

ფიალაში წყლის ჩასხმა დავიწყე. პირამდე რომ ავავსე, მე მაინც ვაგრძელებდი.

- რას შვრები, მამი, იღვრება!

- ვხედავ, რომ იღვრება, ყველაფერი დავასველე, ცუდია, არა?

- კი! - გამცეს ერთხმად პასუხი.

შემდეგ მეორე ფიალა ავიღე, შიგ წყალი ზომაზე ჩავასხი და მათ ვეუბნები:

- ხომ კარგად შევავსე?

სამივემ თავი დამიქნია.

- ესე იგი, ეს კარგია, ცოტაც რომ დავამატო, ცუდი გახდება იმიტომ, რომ დაიღვრება. აი, შვილებო, თქვენ რომ ჭამა აღარ გინდათ - ეს კარგია, თუ კიდევ დაამატებდით, შენ როგორ თქვი, ჩემი გოგო - ცუდად ვარო, ასე არ მითხარი?

- კი, მამი!

- მაშინ ზედმეტი, შვილებო, ყოველთვის ცუდი ყოფილა, ხომ გჯერათ?

ისევ თავის დაქნევით გამცეს პასუხი, პატარა ბიჭი მექანიკურად მიქნევდა თავს, უფრო სწორად, მათ ბაძავდა.

- ასეა ზღვაც, ჩემო კარგებო, მეტი რომ მოგივიდა, - ვეუბნები უფროს ბიჭს, - ფეხი ამიტომ იტკინე, ახლა უნდა შევისვენოთ, დავისვენოთ და მერე გავაგრძელოთ, ზოოპარკში ჩავიდეთ და თქვენი საყვარელი ცხოველები მოვინახულოთ. დედათქვენი რას ფიქრობს?

- ასეთი კარგი მამაშვილური საუბარი უცებ რომ დამთავრდა, გულს დამაკლდა, სხვას რაც შეეხება, თანახმა ვარ.

- მოისმინეთ, ჩემო ბარტყებო, ხომ ხედავთ, ისიც თანახმაა. თუ არაფერი გინდათ, ხილის წვენი მოსვით და გავიდეთ, ვაცადოთ დედას ალაგება.

სამზარეულოდან გამოყვანილი ბავშვები მათთვის განკუთვნილ ადგილზე დავსხი, თაროდან სათამაშო კონსტრუქტორი ჩამოვუღე, მათ წინ გავშალე და ტვირთის ასაწევი მოწყობილობის აწყობა დავიწყე, თან გულდინჯად ვუხსნიდი მისი აწყობის წესს, შემდეგ თვითონ რომ აეწყოთ. პატარას კი ერთმანეთში ჩასაწყობი ფიგურები ჩამოვუღე. მის წინ ვალაგებდი, პარალელურად ვუჩვენებდი, თუ როგორ უნდა მოეთავსებინა ზომების მიხედვით შესატყვისი ფიგურები ერთი მეორეში.

მათ თამაშში შემოსული სიგნალები შევამოწმე, უფრო დამაინტერესა ჩემ მიერ ჩატანილმა დეტალებისთვის დამზა-

დებულმა ყალიბების ბედმა, როგორც ვხედავდი, სამონტაჟო სამუშაოები თითქმის დაესრულებინათ, ჩქარობდნენ. ზოგიერთი ნაწილის ჩამოსხმა უკვე დაეწყოთ. ყველას აინტერესებდა მოდელის ფორმა. ავტომანქანის სვლის ასაჩქარებელი მოწყობილობა, მისი გამწევუნარიანობა, ძრავის მექანიკით კი უფრო მეტად მექანიკოსები იყვნენ დაინტერესებულნი. ცვლა ცვლაზე იყო მიბმული. ვფიქრობ, ერთი კვირის თავზე პირველი სანიმუშო ეგზემპლარი მზად ექნებოდათ, ვნახოთ, რა სიძლიერის გამოხმაურებას გამოიწვევს.

დათვალიერება უკვე დასრულებული მქონდა, როცა დიასახლისმა გადმოგვხედა.

- როგორ ერთობიან მამა-შვილები?

- შვილებს მოენატრე.

- მარტო შვილებს?

- მე სულ მენატრები და ვერც მოგისიყვარულე.

- ეგ კარგია შენთვის თუ...

- არავითარი თუ, არც ვეძებ გამოსავალს, ეს ჩემთვის მუდმივად ქცეული ეიფორიული მდგომარეობაა. დემონატრების სურვილი ჩემგან შორსაა. შენთან როგორაა დე თავსართი, ან როდის გენარტებოდი?

- გაცნობის დღიდან!

- მე მგონი ცრუობ, იმიტომ, რომ ასეთ ძვირფას ფასეულობას ნამდვილად ვიგრძნობდი. შენ იყავი მიუწვდომელი, როგორც აღორძინების ხანაში შესრულებული შედევრი. მესმის, იყავი თავდაჭერილი, მაგრამ მასში გრძნობის პატარა ნაწილაკს მაინც შევამჩნევდი. მგრძნობელობასაც გააჩნია, უკეთუ მივუდგები სავეგეტატიურო მხრიდან, რომელიც ისეთი აღგზნების ტალღას იძლევა, თუ არ დააკმაყოფილე, არ მოგასვენებს და მეორე, სწორედ ეს ტალღებია ადრესატი რომ ავტომატურად იღებს, მიუხედავად იმისა, როგორი თავდაჭერილიც უნდა იყოს, ის მაინც გამოეპარება.

- იქნებ არ უშვებს თავისუფალ ნებაზე.

- თუ ქალში აღიძრა ეს მოუსვენარი გრძნობა, როგორც უნდა დაიჭიროს თავი, ენერგო-ინფორმაციულ ქსელს მაინც

ვერაფერს გამოაპარებს. დავუბრუნდეთ შენს განცხადებას, ამბობდი, გაცნობის დღიდანო, ასეა არა?

- ასეა!

- მე გეკითხები, რატომ ვერ აღვიქვი, თანაც, რა არ ვიღონე იმისთვის, რომ როგორმე ოდნავ მაინც მეგრძნო შენგან სითბო!

- პრინციპული გავხდი.

- რის გამო?

- შენამდე ბევრი თაყვანისმცემლის გამო, ყოველ მათგანს ერთნაირად აღვიქვამდი, შენც მათ სიაში ჩაგწერე, თუმცა, სიმპათია შენკენ იყო გადმოხრილი, ვიდრე მათ მიმართ, მაგრამ ვინაიდან ჩვევად მქონდა გადაქცეული, სხვა აზრზე ვეღარ გადავდიოდი, გრძნობის მოთხოვნის გამოძახილი ცალკე გულს მიღრღნიდა, ცალკე მშობლების ჩიჩინი გათხოვებაზე, რასაც ვერ ვიტანდი. იქით ნათესაობა. ბოლოს გადავწყვიტე, მხოლოდ სწავლა, ტურიზმი კი გასართობად, რამაც ბედს შემახვედრა.

- ოჰო, რას ამბობ, ნაბოლოვანი ფრაზა ნამდვილად მომეწონა. ისე, აშკარად ჩანდა შენი ცივი გონების განწყობა, თუმცა, ცივი გონება ხშირად ვერ შველის ლიბიდოს, ლტოლვას, რომელიც გაიძულებს, მოძებნო შენი გულისსწორი, აი, მაშინ რით ანუგეშებდი თავს, განსაკუთრებით გაზაფხულზე, როცა ყველაფერი იღვიძებს?

- რა შეკითხვას მისვამ?

- თუ გერიდება, მე აგიხსნი.

- არ მინდა!

- აქ საკითხავი წარმოდგენები ხდება, რომელსაც სურვილის დასაკმაყოფილებლად მიმართავდი.

- რა მოგდის, რა არაორდინარულ კითხვებს მისვამ! - აჩქარებით მითხრა და თავი მორცხვად დახარა.

- მე ნორმალურად ვთვლი, რადგან ეს ეხება იმ ამოძახილს, რაც არაცნობიერს ახლავს, ჩვენთვის გაუცნობიერებელი და იდუმალებით მოცული. ზოგჯერ ვერაფრით ვახერხებთ, შევძლოთ ის, რისი წადილიც გვაქვს და იმისკენ მიგვდრიკავს, რაც ნებას არ სურს. შენ არ ხარ მარტო ამ არეალში, არის

სხვაც. რაც შეეხება ჩემს დასმულ კითხვას, გენატრები თუ არა, მე ასევე ვიგულისხმე სიყვარულიც, ხომ გახსოვს მისი ფორმულა?

- შენც გაიმეორე!

- თუ გინდა, რომ ბედნიერი იყო, მრავალჯერ უნდა შეიყვარო.

- მართალი ხარ, ამის საბაბს ყოველთვის მაძლევ.

- ესე იგი, დამსახურების მიხედვით, ეს ხომ ანგარებას წაგავს. მე არ მჭირდება მოანგარე სიყვარული, როგორც სიკეთეა ანგარების გარეშე მადლით შემოსილი, სიყვარულიც ასე უნდა იყოს. მე კი ნაანგარევი არ მსურს. მიყვარხარ ისეთი, როგორიც პირველად იყავი, ხარ და იქნები!

- ეგ რას ნიშნავს? სიყვარულს მიხსნი? უცებ თავი გაუთხოვარი წარმოვიდგინე!

- მეც უეცრად გამიჩნდა სურვილი, რომ მეთქვა შენთვის, თუ რა ანათებდა შენს განუმეორებელ სილამაზეს, სილამაზეს, რომლის საკვირველი წიაღიდან ამონათებული ათინათების მკრთალი ნათება ახლაც რომ ფიანდაზად შეჰფენია შენს ლამაზ ნაკვთებსა და ჩემს ჯეელ ფიქრებს კვლავაც საოცრად აჯადოებენ. ეს ჩემი აღმოჩენაა. აღმოჩენილი საგანძური კი - ჩემი მესაიდუმლე!

- რა არის? - დაებნა სიტყვა, - ასეთი ხატოვანი ფრაზები თავიდან არ გითქვამს!

- ამას შენ ამბობ, როცა ერთ გადაკრულ სიტყვაზე ნაღმივით ფეთქდებოდი. ვინ მაცადა სამიჯნურო საუბარი!

- მერე ხომ შეგეძლო გეთქვა!

- როდის, მღვიმეში ჩამოვარდნის დროს, როცა ტრაგი-კომედიის როლში აღმოვჩნდით. არადა, იმ დროსაც გვქონდა ისეთი საალერსო საუბრები, როგორიც ჩვენს მდგომარეობას შეეფერებოდა. ახლა არ მიიღებ?

- რას ჰქვია, არ მივიღებ, ამას როგორ გავიფიქრებ, რომც თავიდან გაიმეორო, საგულდაგულოდ მოგისმენდი.

- ასე რომ, ძვირფასო, ჩემი სურვილებით თანდათანობით ითესლებოდა შენი ლამაზ-ლამაზი ნაკვთები. ამჯერად აღტა-

ცებით ვუცქერ ჩემს მონაგარს და დღითიდღე გავიხარი. საუ-ბარი გამიგრძელდა. მათ კი ზოოპარკში წასვლას შევპირდი, მაგრამ თამაშში ისე არიან გართულნი, არც ახსოვთ!

- არა უშავს, ხვალ დავათვალიერებინოთ!

- მაშინ მე ლაბორატორიაში გავალ და ნევრორეგულა-ტორზე ექსპერიმენტს განვაახლებ. ასაკოვანი ბოცვრების ანა-ლიზს გამოვიკვლევ, ჯერ სნეული ორგანიზმის მდგომარეო-ბას გადავამოწმებ, რა რაოდენობით გამოუმუშავდა ესა თუ ის ნივთიერებები, მერე კი - უსენო ბოცვრების ორგანიზმს. დე-და-შვილები ეცადეთ, არ მოიწყინოთ! - ვთხოვე და ლაბორა-ტორიაში გავედი.

გამოკვლევებმა და სწორად დაყენებულმა მეცნიერულმა ცდებმა სავსებით გააბათილეს ჩემი სადავო მოსაზრება და სა-წყის ეტაპზე სრულიად დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენეს.

... ერთი თვის თავზე - უფრო უკეთესი, შემდგომად ყოველ ორ თვეში მიწევდა ანალიზების გამოკვლევა და შეჯამება. რაც დრო გადიოდა, ცდები უფრო მარწმუნებდა ნევრო-რეგულა-ტორის საგანგებო როლის შესრულებაში ორგანიზმის საერთო სიჯანსაღის შენარჩუნებისთვის.

ზაფხულის მიწურულს პრეპარატი მზად მქონდა. მხო-ლოდ კომისიის შემოწმება ჰქონდა გასავლელი.

ახლა ვფიქრობ, კერძოდ, მეუღლის მიერ ჩასატარებელი ცდების თაობაზე, რომელმაც კათედრაზე მიწვევისას უნდა დაიწყოს. გეგმაში მაქვს პრობლემური მუდმივები - ვისაც სი-მაღლეში მომატება და წონის კორექტირება გადაუწყვეტია.

- აღნაგობა, როგორც იცი, - ვუმეორებ საღამო ჟამს მეუღ-ლეს, - ინდივიდუალური თავისებურებაა და გენეტიკურადაა განპირობებული, ამიტომ, პირველ რიგში, ჩვენ უნდა გადა-ვხედოთ გენეტიკურ რუკას, სახელდობრ, გენეტიკური ინფო-რმაციის იმ თვისებრიობას, რომელიც ზრდის ფაქტორს განა-პირობებს!

- სხვათა შორის, ამ მედიკამენტს მოსახლეობის ოთხმოც პროცენტზე მეტი მოითხოვს. ჩემს კურსზე მეტწილად გოგო-ნებს სურდათ სიმაღლეში მომატება და რა კარგია, შენ რომ ამ

პრობლემას შეეხე. მათ, ვისაც სულითა და გულით სურთ დამატებითი გაზრდა, სულ შენს ლოცვაში იქნებიან. ახლა, რაც შეეხება იდეას, აქ უმთავრეს მხარეს მემკვიდრული საფუძველი წარმოადგენს, თუ ჩვენ კორექტირების შეტანა გვინდა, მხოლოდ მისი გადაპროგრამებით შევძლებთ და მეორე, შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, რომელიც ზრდის ჰორმონს გამოიმუშავებს; ამ ჰორმონის ქიმიური ანალიზი გავაკეთოთ, რაც შეიძლება დეტალურად და დავიწყოთ მისი ხელოვნური მიღება.

- ჩვენ, ძვირფასო, არც მისი შემადგენლობისა და ნიშან-თვისების განსაზღვრა გაგვიჭირდება. ძირითადად ჩვენთვის შედარებით რთული იქნება მისი სინთეზი ბუნებრივი გზით, ამიტომ მოგვიწევს ქიმიური ანალიზის შემდეგ ჰორმონის ელემენტებად დანაწევრება, რომ ანალოგი მოვუძებნოთ, უპირველეს ყოვლისა დავიწყოთ ცხოველებისგან, გამოვიკვლიოთ გორილა და ჟირაფი, ფრინველებისგან - სირაქლემა. გავაანალიზოთ მათი ზრდის ნივთიერების შემადგენლობა, რა ანალოგიური შესაბამისობით გამოირჩევიან, ან თუ ახასიათებთ მსგავსი ფუნქციის შესრულება. მაგალითად, გორილას და ადამიანს; ცალკეული ორგანოების მორფოლოგიური მსგავსება მიგვანიშნებს ახლო მდგომ ურთიერთკავშირზე. შესაბამისად, ცდა შეგვიძლია ჩავატაროთ მცენარეებზე, რომლებიც სიმაღლითაა გამორჩეული. კვლევა აუცილებლად დაგვანახვებს მათი ნივთიერებების თვისების ინდენტურობას ადამიანთან. ამის მიხედვით კი დავიწყებთ პრეპარატის დამზადებას.

- თეორიულად კარგად ჟღერს!

- როდის გაგვჭირვებია, რაიმე ცდის პრაქტიკულად ჩატარება. ვცადოთ. შემოქმედების უნარი ნამდვილად გვაქვს. ჩვენც ვიმოქმედოთ, კარგი, წონის კორექტირებაზე რას იტყვი?

- თუ ზედმეტი წონა შთამომავლობითია, მაშინ, რომელი გენიც არის ამ ნიშან-თვისების მატარებელი, მისი მოძიება დაგვჭირდება, ხოლო თუ ნივთიერებათა ცვლის, ან სხვა ორგანოს ფუნქციის მოშლით არის განპირობებული, მაშინ მათი განკურნებისთვის უნდა ვიზრუნოთ!

- გასაგებია, თუმცა, მაინც დაგვჭირდება გამოკვლევა. კონკრეტულად რა მიზეზი არსებობს სიმსუქნის მიდრეკილების მქონე ორგანიზმში. ჩემი მოსაზრებით, თუ ნივთიერებათა ცვლისთვის ორგანიზმი განიცდის აუცილებელი ნივთიერების დეფიციტს, ამის კვალად ცხოველქმედების პროცესი მოკლებული იქნება მთელ რიგ ქიმიურ გარდაქმნებს. შესაბამისად, დარღვეული თანმიმდევრული მონაცვლეობა გამოიწვევს შემაერთებელი ქსოვილოვანი უჯრედების სახის შეცვლას, მხედველობაში მაქვს ცხიმოვანი ქსოვილი და ერთი დამატებაც, შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი ეს იყოს, სეკრეტირებული ფერმენტი ლიპაზა, რომელიც საჭმლის მონელების პროცესში შლის ცხიმს, კარგად გეცოდინება.

- რასაკვირველია!

- მისი არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, თავისდათავად ცხიმოვანი ცვლა ირღვევა, თუკი ეს ასეა, ნევრორეგულატორს თავისუფლად შეეძლება აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება, როგორია?

- ნამდვილად კარგი!

- კეთილი, სანამ მას კიდევ რაიმეს დავამატებთ, მანამდე შენი სამსახურისა და ბავშვების საბავშვო ბაღში მიყვანის თაობაზე დავილაპარაკოთ, რომ არა უკეთესობისკენ ცვლილებები, მე უარს ვიტყოდი, მაგრამ შენც კარგად ხედავ, ამ ხნის განმავლობაში რამდენად დარეგულირდა, როგორც საზოგადოების, ისე გარემოს დაცვის ეკოლოგიური პირობები. საინფორმაციო წყაროებიც აშკარად ადასტურებენ, რაოდენ საგრძნობლად შემცირდა დანაშაულებრივი ქმედებები. მე თავად ვხედავ, ამაღლდა თანაგრძნობის უნარი. გაიზარდა ურთიერთ პატივისცემა, ასეთ გარემოში სამსახური დიდად სასიამოვნოა. რაც შეეხება გრაფიკს, დილით საჭირო დროს ჩაგიყვანთ ქალაქში. ავტოფარეხიდან ავტომანქანას შენ თვითონ გამოიყვან, ჯერ ბავშვებს მიიყვან საბავშვო ბაღში, მერე სამსახურში მიხვალ. საღამო ხანს სახლში რომ მოხვალთ, ჩემს სიგნალს დაელოდებით, უკანა ეზოდან ასევე უჩინრად აგიყვანთ, თუ ვინიცობაა, ვინმე მეორე დღეს შეგეკითხება,

წუხელ სად იყავიო, პასუხი მოკლედ გაეცი, დედამთილთან. შენიშვნებს ვიღებ. და კიდევ ერთი, სანამ შენ იტყოდე, თუ კათედრაზე შეგეკითხებიან, რა კვლევით სამუშაოებს გეგმავთ, უპასუხე, ზედმეტი წონის პათოლოგიური მიზეზებისა და ზრდის ფაქტორის სამკურნალო პრეპარატის შესაქმნელად საკვლევი ექსპერიმენტების ჩატარებას-თქო. ამას შენც ეტყოდი, მაგრამ მე მაინც გითხარი.

- ერთი შენიშვნა მინდა შემოვიტანო.

- შეგიძლია!

- ბავშვებს რომ გაუჭირდეთ ბაღში დარჩენა?

- მიგიხვდი, შენ იმის თქმა გინდა, რომ მე დავრჩე მათთან ცოტა ხანს. კი, გენაცვალე, მერე შენთან გადმოვალ, ვინიცობაა გაგიჭირდეს!

- ხუმრობ, არა? მე რატომ უნდა გამიჭირდეს, თანამშრომლებს თითქმის ნახევარს ვიცნობ.

- კარგი, ძვირფასო, სანამ შეეჩვევიან, მანამდე დავრჩები. სხვა რა არის გასათვალისწინებელი, მოიფიქრე და მითხარი. მე არ მოვიწყენ. თუ ამის თქმას აპირებ, ხომ ხედავ, საქმის მეტი რა გამოჩნდა. აბა, თქვენ იცით, როგორ იყოჩაღებთ!

საუბარი აღარ გაგვიგრძელებია. ბავშვები დასაძინებლად გავიყვანეთ და ჩვენც მათთან ერთად ძილის საათი გამოვაცხადეთ.

სექტემბრიდან ჩვენი განაწესი შეიცვალა. თავიდან რეჟიმის შეცვლა გაგვიჭირდა. დილით ადრე ადგომა, პროცედურები, ბავშვების მომზადება, გამგზავრება და ასე შემდეგ. დასაწყისში შეცლილი რიტმები უცნაურად მოგვეჩვენა, მერე - სასიამოვნოდ, მერე და მერე ერთფეროვნად გადაიქცა, მოსაწყენიც და ზოგჯერ აუტანელიც იყო, მაგრამ, როცა ძრავა ჩართულია, შეუძლებელია მისი სწრაფად შეჩერება, მეორე, როცა წინ სვლაში ზურგის ქარი გეხმარება, ეს უკვე ბედის გაღიმებაა, ამიტომ გახდა საჭირო, სამკლავეების წამოწევა.

ბავშვები თანდათან ეჩვეოდნენ ბაღის რეჟიმს. თითქმის ყოველდღე, სიხარულით მიყვებოდნენ თავიანთ თავგადასა-

ვლებს, მეც გულისყურით ვუსმენდი მათ მონაყოლს და მათთან ერთად ვმხიარულობდი.

ამას წინათ მათი აღმზრდელი მესაუბრებოდა, განცვიფრებას ვერ მალავდა.

- ბავშვები გყავთ მეტად არაორდინარული. სიმღერას ან ლექსს რომ ვასწავლით, ერთი წაკითხვა და უკვე მოგიყვებიან. მათი სიმღერა უფრო მელოდიურობით გამოირჩევა, ვიდრე სხვების. ორი დღის წინ დათვლის სწავლება დავაწყებინეთ. თქვენი ბავშვები მაშინ გავაჩერე, როცა სამოცდაათს გადასცდნენ. დღეს დილით უფროსი ბიჭი გამოვცადე, სიტყვები წავუკითხე იმ მიზნით, რომ მერე მას უნდა ეთქვა თანმიმდერულად. წარმოგიდგენიათ, ერთიც არ შეშლია, ჯერ ათი სიტყვა წავუკითხე, შემდეგ - თხუთმეტი, ასე ავედი ორმოცდაათამდე, ფენომენი შვილები გყავთ, მათი საგანგებო აღზრდაა საჭირო. ვინ იცის, კიდევ რა შესაძლებლობები იმალება ბავშვებში.

- გმადლობთ, ქალბატონო, ყურადღებისთვის, მათ უფრო ისეთი თამაშები და გართობა აინტერესებთ, რაც მათთვის მოსაწყენი არ არის. კარგი იქნება, თუ გონებრივად არ გადატვირთავთ!

- თქვენ მაგის დარდი არ გქონდეთ, ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ!

- კეთილი, თქვენი იმედი მექნება. ნახვამდის! - დავემშვიდობე აღმზრდელს, ბავშვებს ჩავჭიდე ხელი და ბაგა-ბაღიდან გამოვედით.

საღამოს, ვახშმის დროს მეუღლეს შეუკვეცავად მოვუყევი აღმზრდელის ნაამბობი. მას არც კი გაჰკვირვებია. მეტიც, იუმორნარევი კილო გამოურია.

- ისეთი დედ-მამა, როგორებიც მათ ჰყავთ, სხვას რას უნდა ველოდეთ?

- რასაკვირველია, როცა დედა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ჰყავს, მისი შვილები, ცხადია, ნიჭით გაძეძგილები იქნებიან!

- მამაზე რატომ არაფერს ამბობ?

- როცა დედის ერუდიცია საკმარისია, მამის - სარეზერვო წყარო ხდება!

- თავს იმდაბლებ? თუ არ გსურს, ამჯერად თავის გამოჩენა?

- დროის ენერგია გამოაჩენს ჩემო ძვირფასო, ახლა რაც შეეხება მათ აზროვნებასა და გონებრივ განვითარებას, მთავარია არ გადავტვირთოთ. მე ბაღის თანამშრომლებს ვთხოვე, რაც შეიძლება სხვადასხვა თამაშობით და მეტი გართობით შეეყოლიებინათ ბავშვები, ვიდრე გონებრივად დაეტვირთათ. შენკენ რა ისმის?

- სადღეისოდ კათედრის გამგის მოვალეობას ვასრულებ, მალე დამამტკიცებენ და ლაბორატორიას გამიმზადებენ ცდების ჩასატარებლად!

- ხომ არ გაშინებს დამოუკიდებლად მუშაობა?

- უშენოდ? ცხადია!

- წაიღე მასალები და იქ განაახლე.

- იქ არ იქნება ისეთი დანადგარები, როგორიც შენ დაამზადე.

- ამით რისი თქმა გსურს, რომ მისი ანალოგი დავამზადო? არ იქნება ჩემთვის რთული, მაშინ ჯერ ამ დანადგარებს სურათები გადაუღე და რექტორს აჩვენე. თუ თავად ვერ იშოვის, მერე შენ მოგთხოვენ მის შეძენას. შემდეგ კი იცი, რა უნდა უთხრა. მე თითქმის მზად მაქვს ზრდის ფაქტორი. პირველ ცდაზე ბოცვრებმა ათი სანტიმეტრი მოიმატეს. ერთი კვირის თავზე ხელახალ ანალიზს ჩავუტარებ, შევამოწმებ, ორგანიზმში თუ ცვლილებები არ შეიმჩნევა, კვლავ დოზას მოვუმატებ, მაქსიმუმ ოც სანტიმეტრამდე რომ მიაღწიონ, მეტი აღარ იქნება საჭირო. ამის შემდეგ შენ დაიწყებ დამოუკიდებლად შენს ლაბორატორიაში იმავე ცდებს.

- მადლობა, ჩემზე მზრუნველო! - გამიღიმა, თავისი ფაქიზი მკლავები კისერზე შემომხვია და ჩამჩურჩულა - მე ვიცი, რომ ყველაფერს ჩემი სიყვარულის გამო აკეთებ. კი, მაგრამ როდემდე?

- საზღვარი არ აქვს, ძვირფასო, ან სანამ შენ არ მოგწყინდება!

- მოსაწყენი სიყვარული არასდროს არ არის, ოღონდ მე უხერხულ მდგომარეობაში ვარ.

- სამიჯნურო ისტორიის გვერდებზე ასეთი სიტყვები არ არსებობს და იცოდე, რომ მე ყოველგვარი ანგარების გარეშე დავიწყე შენი სიყვარული და ამის გარეშეც მსურს გავაგრძელო. ჩემი მხარდაჭერა მხოლოდ შენი თავანკარა სიყვარული იქნება!

მის ტეხილ თმაში ნება-ნება თითები შევაცურე, თავი ჩემკენ მოვზიდე და ნანინანატრად ვეამბორე, როგორც თავდაპირველად, მორიდებული შენაბედი.

- კარგი, ჩვენც მოვნახეთ დრო, გავიდეთ, თორემ ბავშვები თავდაყირა დადგებიან!

- ისინი, ძვირფასო, თავისთვის მშვენივრად ერთობიან, ჩვენი გასვლით უფრო ხელს შევუშლით, თუ არ გჯერა, გავიდეთ და ვნახოთ.

ვარაუდმა გაამართლა. ტყუპებს დამოუკიდებლად მოეძებნათ ახალი წყება სათამაშოები, უმცროსსაც თვითონ აურჩევია მისთვის საინტერესო გასართობი და სამივე თავისთვის უხმაუროდ ერთობოდა.

ჩვენ რომ გავედით, მაშინვე წამოიშალნენ. მეუღლეს გადავხედე.

- რას ვერჩოდით, ღუღუნებდნენ თავისთვის.

- მამი, მამი! - მოირბინა გოგომ ჩემთან, თან ფანქარსა და სახატავ ფურცელს მაწვდის. - რა იქნება კიბე-კიბე ბაღები რომ დამიხატო?

- შენ რა იცი, შვილო, ეს ბაღები?

- არ ვიცი, უცებ გამახსენდა!

- როგორია ისინი, აბა, მითხარი, მივიდეთ მაგიდასთან და შენ თვითონ დამიხატე!

მაგიდაზე დადებული ფურცელი შემოატრიალა, ფანქარი თითებში ოსტატურად მოიქცია და ხატვა დაიწყო.

ირიბად, კიბე-კიბე ხაზებით გამოჭყავდა ოდნავ დაქანებული ბაქნები, ბაქნებს შორის მცენარეები ფერად-ფერადი ზოლებით. თითებს ისე მარჯვედ და მოქნილად ამოძრავებდა, თითქოს მისი ხელით გამოცდილი მხატვარი ხატავდაო.

- ყოჩაღ, შვილო! - მოვუწონე სემირამიდას ბაღების თავისებური მხატვრული მხარე.

- აი, მე რა დავხატე, მამი! - მაჩვენებს ბიჭი უკვე დახატულ პირამიდას.

- მორიგი აღმოჩენა, თუმცა, არ არის გასაკვირი, თქვენ ხომ ტყუპები ხართ. დედათქვენმა რომ ნახოს... აგერ ისიც გამოვიდა, მოდი, შეხედე შენს შვილებს, საოცრებების ხატვა დაუწყიათ!

- აბა, მაჩვენეთ!

გოგომ უმალ აჩვენა სახელდახელოდ შექმნილი ნაშემოქმედარი, მერე - ბიჭმა. ბუთხუზა კი და-ძმის მიერ მიტოვებულ სათამაშოებს დაჰპატრონებოდა და გულიანად ირთობდა თავს!

- ეს რა არის, იქნებ მითხრა შვილო!

- ეს კიბე-კიბე ბაღებია, კარგია, არა?

- მე ძალიან მომწონს!

- ჩემი ნახე! - შეაჩეჩა ხელში ტყუპისცალმა თავისი შემოქმედება დედას.

- შენ იცი, ეს რა არის?

- ვიცი!

- მამამ გითხრა, დახატეო?

- არა, მე თვითონ მოვიფიქრე. - წაუტიტინა დედას.

- მართლაც, რომ კარგად დაგიხატავს, შვილო, კიდევ რის შესრულებას აპირებ?

- არ ვიცი, მოვიფიქრებ და მერე!

- ახლა თქვენ ნამდვილად გამორჩეული ვახშამი გეკუთვნით! - შეგვპირდა და სამზარეულოსკენ გაგვიძღვა.

ბავშვებმა წვნიანი ხაფად შეხვრიპეს, არც მეორე თავი კერძი დაუწუნიათ. დედამ რომ დესერტად ნამცხვარი გამოუტანა, მიუხედავად იმისა, რომ დანაყრებულები იყვნენ, ისე მოეწონათ, გადაღებული ნაჭრები მაინც სიამოვნებით შესანსლეს.

როდესაც ვახშამი დავამთავრეთ, ბავშვებს ამჯერად გასართობად ოინების ჩატარება შევთავაზე.

პირველი იყო ხელის გულებში ბურთულის გაქრობა და გამოჩენა. მეორე ნომრად დახურულ ყუთში ერთი ბურთუ-

ლის გადაქცევა ორად და პირიქით. შემდგომ ფერების გამოცნობის ნომერი შევთავაზე.

- ვის რომელი ფერიც მოგწონთ, - ვეუბნები სამივეს. - აირჩიეთ და მაჩვენეთ!

- მე მწვანე მინდა! - ამბობს ბიჭი.

მისმა დაიკომ წითელ ფერზე მიმითითა.

- შენ, ჩემო ბუთხუზ?

- აი, ეს, - მაჩვენა ყვითელი ფანქარი და ფანქრიანი ხელი მაღლა ასწია.

- ძალიან კარგი, ახლა მე უკან მივტრიალდები, თქვენ კი კოლოფებში ცალ-ცალკე ჩააწყობთ ფერად ფანქრებს და თავს კარგად დაახურავთ, მერე მე მოვტრიალდები და ამოვიცნობ, რომელ ყუთში რომელი ფერის ფანქარია ჩადებული. ვინ ვერ გაიგო?

ხმას არავინ იღებდა.

- რაკი ხმას არ იღებთ, ესე იგი გასაგებია, მაშინ დავიწყოთ!

როცა ყველამ სათითაოდ ფერადი ფანქრების ჩალაგება დაამთავრა, დამიძახეს.

- გამოიცან, მამი, - პირველად გოგო მეკითხება, - რომელ კოლოფშია ჩემი ფანქარი?

- აი, აქ, შვილო! - მოვკიდე ხელი განაპირა კოლოფს.

- ჩემი, მამი? - მეკითხება ტყუპისცალი.

- შენი - შუაში. დარჩენილ კოლოფში კი - შენი, ჩემო ბუთხუზ!

- როგორ გამოიცან, მამი? მასწავლი? - დაინტერესდა ჩემი პატარა დედოფალა.

- შენ როგორც კიდური ბაღები დახატე, ზუსტად იმგვარად გამოვიცანი მეც. გაიგე, არა?

- ვერ მივხვდი!

- ხვალ ადვილად მიხვდები, ახლა ყველამ დავისვენოთ, ხვალ დილით ადრე ვართ ასადგომი! - ჩამჭიდეს სათითაოდ ხელი და დასაძინებლად წამომყვნენ.

მეორე დღეს ჩემი ჩატარებული ოინი გოგომ ბაღში თავის ამხანაგებს ჩაუტარა, ეს რომ აღმზრდელებმა შენიშნეს, თა-

ვისთან იხმეს და ყველას თვალწინ ხელმეორედ ზედიზედ ორჯერ ჩაატარებინეს, ორჯერ იმიტომ, რომ ცდილობდნენ, როგორმე გაეგოთ, როგორ ახერხებდა ფერების გამოცნობას, რომ ვერაფერ ხრიკს მიაგნეს, მერე შეეკითხნენ. მას უპასუხია, - გუშინ მამამ გაგვიკეთა და მეც ისე ვაკეთებო.

როცა მათ წამოსაყვანად დედამისი მისულა, აღმზრდელებს ყველაფერი მოუყოლიათ მისთვის. მეუღლეს მათი მონაყოლი არ ეუცხოვა, მხოლოდ უთქვამს, რადგან თქვენ ფენომენად მონათლეთ, არც ეგ გაუჭირდებოდაო.

რაც დრო გადიოდა, თანდათან ვეჩვეოდით მათ არაჩვეულებრივ ნიჭს, თვითნაბად ცოდნასა და უნარს. ზაფხულის პერიოდში კიდევ ერთი უჩვეულობა შევამჩნიეთ. ეს განსაკუთრებულობა მის პირად აღმზრდელს აღმოუჩენია. თურმე, ბაღის თანამშრომლები ერთმანეთში მომავალი კვირის ხუთშაბათი დღის რიცხვზე კამათობდნენ. ერთი ამბობდა, თექვსმეტს, მეორე - ჩვიდმეტს. ჩემს უმცროს ბიჭს უნებურად რიცხვი დაუსახელებია. რომ შეუმოწმებიათ, მართალი გამომდგარა. თავიდან ყურადღება არ მიუქცევიათ, იქნებ დაემთხვაო. პირადი აღმზრდელი უფრო დაინტერესებულა, კალენდარი აუღია, მასთან მისულა და რამდენიმე კითხვა დაუსვამს, შემდეგ ძველი კალენდარი მოუძებნია და გასული წლიდან მიუცია შეკითხვები. ყველა კითხვისთვის რომ გაუცია პასუხი, გულში ჩაუხუტებია და უთქვამს - „შენ ჩემი ვუნდერკინდი მოსწავლე ხარო“. საღამოს, წამოყვანისას, კიდევ ერთხელ შეუფასებიათ აღმზრდელებს ბავშვების მრავალმხრივი მონაცემები:

- რა შესანიშნავი შვილები გეზრდებათ, ქალბატონო, - შეუქია საბავშვო ბაღის გამგეს, - აფერუმ, თქვენს დედობას!.

- მათ რომ იცოდნენ, - ვუხსნი მეუღლეს, როცა ბაღის გამგის ნაამბობი დაასრულა, - ჯერ კიდევ მათ ჩასახვამდე წინასწარ როგორ ვემზადებოდით, კითხვები აღარ გაუჩნდებოდათ. თქვენთან რა ხდება, ის მითხარი!

- ჩვეულებრივად, ექსპერიმენტი გრძელდება, ბოცვრებს ვაკვირდებით. მათი ზრდის ფაქტორს თვეში ორჯერ ვამოწ-

მებთ. შედეგი მცირეა. დაველოდებით კიდევ ერთ თვეს. თუ ცვლილება არ იქნება, დოზას დავუმატებთ.

- ნუ იჩქარებთ, დაკვირვებები ისევ გააგრძელეთ.

- შენ რა დონეზე მიიყვანე წონის კორექტირების კვლევა-ძიება?

- ფინიშს ვუახლოვდები, ფერმენტის გამომუშავებაში ხელშემწყობი აგენტი მზად არის, მთავარია, დავალების შესრულებას რა ხარისხით შეძლებს.

- რა გაქვს მხედველობაში?

- დავუშვათ, ადამიანი არის 110 კილო, სიმაღლე - 183 სმ, თუ სამკურნალო პრეპარატის მიღებიდან ოთხი კვირის განმავლობაში შვიდი-რვა კილო დაიკლო, ნორმალური მაჩვენებელია. თექვსმეტი კვირის თავზე შესაფერის წონაზე დადგება.

- შემდეგ რა ხდება, ხომ შეიძლება პაციენტმა გააგრძელოს წონის დაკლება და დავიდეს არასასურველ წონამდე?

- მართალი ხარ. მოცემული ვადის გასვლის შემდეგ მისი ფუნქცია იბლოკება, ის რჩება უფუნქციოდ, მანამდე, სანამ სხეულის წონა არ გაიზრდება.

- შესანიშნავი მიგნებაა, პრემია უსათუოდ გეკუთვნის!

- ვისგან, ძვირფასო?

- ჩემგან!

- დაჯილდოება თუ გსურს, დამაჯილდოვეთ ყოველდღიური ღიმილით შენ და ბავშვებმა!

- გპირდები, სხვა რით?

- რით, ჩემო კარგო, და კვლავ ღიმილით. ჩემ გვერდით მყოფი ადამიანი როცა კარგ ხასიათზეა, მეც შესანიშნავად ვგრძნობ თავს. ამაზე მეტი პრემია ჩემთვის არ არსებობს.

- მე ყოველთვის ვეცდები, რომ მუდამ მოხიბლული მყავდე!

- შენ იცი, ესეც წინ დაგხვდება!

შუა საუბარში ვიყავით, როცა ბავშვების კამათის ხმა შემოგვესმა. მეუღლე მათ დასაწყნარებლად გაემართა. მე კი დაწყებული კვლევის გასაგრძელებლად გავედი, ექსპერიმენტი აქტიურ ფორმაში შედიოდა, მხოლოდ დრო იყო საჭირო, რომ ცდებს დასრულების საშუალება მისცემოდა.

მეორე დღეს, როცა ქალაქიდან დავბრუნდი, პირველად გასული კვირის საინფორმაციო წყაროების გადამოწმებას შევუდექი. გადმოცემულ მასალებს სახელდახელოდ კომენტარები გავუკეთე და მაშინვე ავტოქარხნის თვალმიმღები ცენტრებიდან მიღებული ინფორმაციების თვალიერება დავიწყე. გადავხედე შესრულებულ სამუშაოებს, მთავარ ხედს, ინტერიერს, კონვეიერულ სისტემას და დასაქმებულ მუშახელს. დაკვეთების სიმრავლეს ქარხნის ტერიტორიიდან გამუდმებით გამავალი ახალი თაობის ავტომანქანებით დატვირთული გადასაზიდი ტრაილერები ადასტურებდა. დრო იყო, მიმელოცა მისთვის წარმატებული დასაწყისი. კავშირზე შეფის მოადგილემ გამაგონა. მისალმებაც არ მაცალა, სიტყვა ჩამიჭრა და გაოცებული მეკითხებოდა - ეს რა კონსტრუქცია გამოგვიგზავნე, ეს რა მოდელი შეგიქმნია, ყველა ინტერესშია ჩავარდნილი და შენს გამოჩენას ელოდებიანო. სათქმელი რომ დაამთავრა, უმალ შეფთან გადამრთო.

- გამარჯობათ, სერ! - ტრადიციისამებრ მივესალმე მას.

- ოო, ყმაწვილო, გამარჯობა თქვენი, ნამდვილად პროფესიონალი ყოფილხართ. მოვალეობასაც შესანიშნავად ასრულებთ და შეთავსებულ სამუშაოსაც. ამის გამო ჩვენთან აწშლაგია, დიდ-პატარა ინტერესდება, ჟურნალისტებზე ნუ იტყვით, შემოტევებს ვერ ავუდივართ, მათ რომ ვუხსნი ამ პროექტის ავტორს პირადად არ ვიცნობ-მეთქი, არ სჯერათ. კონსტრუქტორებს კი ძრავის სტრუქტურული ფორმა ანცვიფრებთ. მსოფლიოს ყველა კუთხიდან ვიღებთ შეკვეთებს. კონვეიერი დღედაღამ შეუჩერებლად მუშაობს. თქვენთვის, ყმაწვილო, საჩუქარი მზად მაქვს, როცა ინებებთ, მაშინ წაიყვანეთ და მეორე მოგების პროცენტი რომელ ანგარიშზე ჩაგირიცხოთ?

- საჩუქრისთვის გმადლობ, სერ. არ არის ჩემთვის საჭირო. მხოლოდ ერთსა გთხოვთ, დიდად დამავალებთ, თუ მის ეკვივალენტს ბავშვთა სახლს გადაურიცხავთ. ხოლო ანგარიშის ნომერს ელექტროქსელის საშუალებით მოგაწვდით!

- როგორც გნებავთ, ყმაწვილო, თქვენი ნება თქვენს განკარგულებაშია!

- კმაყოფილი თუ ხართ, სერ. შემოსავალმა აჯობა ქიმიური იარაღისთვის ნივთიერებების დამზადების წარმოებას?

- რა შედარებაა, ყმაწვილო, მართალი გითხრათ, თავიდან ვერ ვენდე თქვენს წინადადებას, დავრწმუნდი მაშინ, როცა ავტომანქანის მოდელი და კონსტრუქცია გამომიგზავნეთ.

- თქვენი კომპანიონები, სერ, იარაღის მწარმოებლები მყავს მხედველობაში, ყველა თქვენს კორპორაციაში გაერთიანდა?

- უმეტესი, იარაღის წარმოებას აშკარად აჯობა, ამასვე მიდასტურებენ ისინიც. ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან!

- ბრძანეთ, სერ!

- ვინაიდან ერთი ავტოქარხანა, - დაიწყო ჩვეული სიდინჯით, - უამრავ დამკვეთს ვერ აუდის, გვსურს, ანალოგი მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე ავაგოთ, იქ ჩვენი კორპორაციის ერთ-ერთ შეფს საცხოვრებელი სახლი აქვს. ზედამხედველობასაც თვითონ გაუწევს.

- რასაკვირველია, სერ, რაკი თქვენ მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება შეწყვიტეთ, მეც თქვენ გვერდით ვიქნები. თუ რაიმე დახმარება გსურთ, არ მოგერიდოთ, ისიც მოსალოდნელია, ამ საქმესთან დაკავშირებით უამრავი მოწინააღმდეგე გაგიჩნდეთ, რადგან ბაზარზე თქვენს მოდელს უფრო მეტი მყიდველი გამოუჩნდა, ამან კონკურენტებს მეტი საზრუნავი და თავსატეხი გაუჩინა, არაა გამორიცხული მათი შეტევაზე გადმოვსლაც, ამიტომ სჯობს, იზრუნოთ უსაფრთხოების გაზრდაზე, თუ თქვენ ვერ გაწვდებით, მე უმალ მოგიგვარებთ, რაც შეეხება ავტომანქანის ნაწილებისთვის ყალიბების ჩამოსხმას, მაქსიმუმ ოცდაორ დღეში მზად მექნება.

- უღრმესი მადლობა, ყმაწვილო, ტერიტორიის მოძებნაზე დღესვე ვიზრუნებთ. მშენებლობა კი არ გაგვიჭირდება, ხოლო უსაფრთხოების საკითხში უდავოდ მართალი ხართ, გვქონდა ორი მსუბუქი ინციდენტიც. ჩვენი მოუგვარებელი რა არის, მას რომ ვერ გავმკლავებოდით!

- ერთი ვინმეს გარდა, სერ!

- თქვენს თავს თუ გულისხმობთ, ეს იშვიათი გამონაკლი-

სია, ასე ვთქვათ, განსაკუთრებული მოვლენაა ჩემთვის, ასეთ ფენოტიპს არასდროს შევხვედრივარ და როგორ აგვიყოლიე, პატარა ბიჭუნამ, არ გეწყინოს, სიყვარულით ვამბობ, ამოდენა წონის ხალხი, თუმცა, გამოგიტყდებით, არცთუ ურიგო გამოდგა ჩვენი მომავლისთვის, სხვათა შორის, მომსახურე ტრანსპორტი ყველამ შევცვალეთ ახალი მოდელით!

- კარგად მოქცეულხართ, რაც მეტი სუფთა ავტომანქანა ივლის ქალაქში, მით ნაკლებად დაბინძურდება ჰაერი გამონაბოლქვი აირებისგან, მისი მიზანიც ეს იყო და ბოლოს ნდობისთვის მეც მადლობას გიხდით, კავშირზე ვიქნები.

დავემშვიდობე მას და ექსპერიმენტის შედეგების დათვალიერებას შევუდექი. თავდაპირველად ბოცვრების გალიაში შევიხედე. ერთ ბოცვერს პრეპარატის ნახევარი დოზა ჰქონდა მიღებული, მეორეს - მხოლოდ გენზე სამოქმედო აგენტის. მათი წონა უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ხვალ მორიგი სისხლის ანალიზის დროც დგებოდა. მინდოდა, ერთხელ კიდევ გამერკვია, რომელიმეს სისხლში ხომ არ აღენიშნებოდა ცხიმის მაღალი შემცველობა. თუ აღმოჩნდებოდა, მაშინ ცდის თავიდან ჩატარება მომიწევდა.

ორი დღის შემდეგ სისხლის ანალიზმა ისეთი ორგანული ნივთიერებების მომატება მიჩვენა, რომლებიც სტერინების ჯგუფს მიეკუთვნებიან, ვინაიდან დაშვებულ ნორმას ექვემდებარებოდა, საგანგაშოდ აღარ მივიჩნიე, თუმცა, კვლევას სისტემატურად დაკვირვების ქვეშ ვაგრძელებდი. თვის განმავლობაში წონის თანდათანობითი დაკლება შეიმჩნეოდა. მომდევნო თვეს მდგომარეობა შედარებით მდგრადი გახდა.

სამი თვის თავზე შედეგის მაჩვენებელი ისეთი მტკიცე გახდა, ექსპერიმენტის გამართლებად ჩავთვალე. ამავე დროს, მეუღლის მიერ უნივერსიტეტში წარმოებული კვლევაც დასრულდა. დასრულდა და სწრაფი გამოხმაურებაც მოჰყვა.

ორი დღის თავზე სატელევიზიო გადაცემა „ჩვენმა მედიცინამ" მიიწვია. უამრავი საინტერესო კითხვა დაისვა, კერძოდ, ზრდის ფაქტორის ირგვლივ, ამასთანავე, ყველას აინტერესებდა მისი სააფთიაქო ქსელში გასვლის თარიღიც.

გადაცემის წამყვანმა, მიუხედავად იმისა, რომ მე სიმაღლე არ მაკლია, ზრდის ფაქტორს მაინც შევიძენ, იმის გამო, რომ მაღალი ქუსლიანი ფეხსაცმელი სამუდამო მოვიშოროო.

ამავე არხზე მიწვეულნი არიან ბავშვებიც, უნარ-ჩვევების საჩვენებლად. ერთხელ უარი ვუთხარი, რა დროს მათი ტელევიზია და პოპულარობაა-მეთქი. მის შემდეგ კიდევ მიგვიპატიჟეს. სანამ უარს ვიტყოდი, მეუღლემ შემომთხოვა.

- უხერხულია, რა იქნება, რომ წავიყვანოთ. იქნებ მედიკამენტების შესახებაც დამისვან კითხვები, გთხოვ! - ბოლოს და ბოლოს მეუღლის შევედრებამ გაჭრა.

ერთ დანიშნულ დღეს მთელი ოჯახი სტუდიაში აღმოვჩნდით. ტელეწამყვანმა ბავშვები თავისკენ მიიხმო და დიდი დათუნიების შუაში ჩასხა, ჯერ მოკლე-მოკლე შეკითხვები დაუსვა, შემდგომ რიგრიგობით წინ გაჰყავდა და მათთვის დამახასიათებელ უჩვეულო ნომრებს ასრულებინებდა. პირველი ნომერი, რომელიც დამსწრეებს მოეწონათ, ეს იყო „გამოიცან". ჩამოწერილი ჰქონდათ ათი სხვადასხვა სიტყვა. გამოსული მონაწილე ირჩევდა ათიდან ერთ სიტყვას. გულში სამჯერ იმეორებდა. მერე დაჯდებოდა უმცროსი ბიჭის წინ მდგარ სკამზე და ინტერესით ელოდებოდა პასუხს. ბიჭი შეხედავდა მის თვალებს და ხუთ წამში ეუბნებოდა დამახსოვრებულ სიტყვას. შემდეგ გოგო გამოიყვანეს, თვალები აუხვიეს და ისეთ მაგიდასთან მიიყვანეს, სადაც გადმობრუნებული ფერები ეწყო. მან ზედმიწევნით, ჯერ ხელის დადებით ამოიცნო, რაც კი ფერები ჰქონდათ მაგიდაზე დაწყობილი, მერე - ხელის დაუდებლად.

ამ ხნის განმავლობაში სტუდიაში დამსწრეთა რიგებიდან ოვაციები და ტაშისცემა არ წყდებოდა. შესაბამისად, ნომრების ჩვენებასაც აგრძელებდნენ.

ტელეწამყვანმა ამჯერად უფროსი ბიჭი გამოიყვანა, ორმოცდაათი დასახელების ნივთი თანმიმდევრობით წაუკითხა იმ მიზნით, რომ მერე მას ზეპირად ასეთივე თანმიმდევრობით უნდა ჩამოეთვალა. წაკითხვა რომ დაასრულა,

სტუდია გაისუსა. მან მცირე ხანს დააყოვნა, ფეხზე წამოდგა და ყველა დასახელებული ნივთი უშეცდომოდ ჩამოუთვალა. მასვე შეასრულებინეს ყუთებში წინასწარ დამალული ფიგურების ამოსაცნობი ნომერიც. კვლავ უმცროსი ბიჭის ჯერი დადგა. მასპინძელს ხელში მუდმივი კალენდარი ეჭირა და რიგ-რიგობით თარიღებს უსახელებდა დღეების ამოსაცნობად, ან პირიქით. ბიჭი მშვიდად იჯდა სავარძელში და მის თითოეულ დასმულ შეკითხვაზე, ჯერ თვალებს მაღლა და მარჯვნივ ასწევდა, მერე კი დამაჯერებლად პასუხობდა.

დასასრულს დიდი დათუნიებით დააჯილდოვეს და მომავალ შეხვედრამდე ახალი უნარების გამოვლენა უსურვეს.

ტელევიზიიდან პირდაპირ შინ წამოვედით.

რაც ხელთ მქონდა, მისაღები ოთახის თაროზე დავაწყვე და გახარებულ მეუღლეს ვეკითხები:

- სანამ საოჯახო საქმეს დავიწყებთ, არ აჯობებს, ცოტა ხნით ბუხრის წინ დავისვენოთ?

- არ ვარ წინააღმდეგი, თუ ბავშვებმა გვადროვეს.

- ხომ ხედავ, ისინიც ჩამოსხდნენ თავიანთ სკამებზე. ჩამოჯექი და მითხარი, თავს როგორ გრძნობ გადაცემის შემდეგ?

- ძალიან კარგად!

- ასეც უნდა იყოს. ერთი რამ მინდა გითხრა და გირჩიო კიდევ ერთხელ.

- ცუდს რომ არ მირჩევ, ამაში დარწმუნებული ვარ!

- უდავოდ, შენ ახლა, ძვირფასო, ცნობილი ადამიანი ხარ. წარმატებული დოქტორი და განსაკუთრებული შვილების დედა. შენი გაწევრიანება ნებისმიერ პარტიაში მათი რეიტინგის აწევას ნიშნავს, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ დამოუკიდებელ კავშირს შექმნი. პროგრამის შედგენაში მე დაგეხმარები. მონახაზი ახლავე შეგვიძლია გავაკეთოთ. მისმენ?

- გულისყურით!

- დასაწყისში, შენი სააფთიაქო ქსელიდან, საზოგადოების საკეთილდღეოდ კვირაში ორი დღე ორმოცდაშვიდპროცენტიან ფასდაკლებას დაუშვებ!

- რატომ ჩემი და არა ჩვენი?

- არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, ხოლო სოციალურად დაუცველებს - უფასოდ, ასევე, მათთვის გავხსნით საქველმოქმედო ფონდს და ყოველ თვე გარკვეულ თანხას გადავურიცხავთ, აგრეთვე დავაფინანსებთ წარჩინებულ მოსწავლეებსა და სტუდენტებს უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად და პრაქტიკის მისაღებად.

- კეთილი, შეკითხვის სახით მინდა გითხრა, ამ ყველაფერს ხომ უზარმაზარი თანხა დასჭირდება, სააფთიაქო ქსელიდან შემოსული თანხები მას არ გასწვდება, თუ შენი საბადოს იმედი გაქვს, მის რეალიზაციას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

- შენ ხვალ გაითავისუფლე თავი სამსახურიდან და გაგახსენებ უცებ, როგორ შეიძლება დიდი თანხის მოპოვება.

- გასაგებია!

- სახარჯო ფულად ერთ დღეში ნახევარ მილიონზე მეტ თანხას ვიშოვით. გახსოვს, ახალი წლის დღეებში რამდენი მოვიგეთ, მეორე, მძიმე ინდუსტრიიდან შემოსული წილი წელიწადში ნახევარ მილიარდს გადააჭარბებს. სხვა დანარჩენზე არაფერს ვიტყვი. საარჩევნო ხარჯებისთვისაც საკმარისზე მეტი დაგროვდება. ოღონდ, შენ გიხაროდეს, ჩემო დედოფალავ!

- მაშასადამე, პოლიტიკაში გსურს განმაწესო, არა?

მის ნათქვამში იუმორნარევი ტონი აშკარად იგრძნობოდა, რაც ახალი როლის მორგების სირთულეზე მიმანიშნებდა.

- შენთვის, ძვირფასო, პოლიტიკა არასახარბიელო სექტორია, ეს შენც კარგად უწყი. მე ძალას არ დაგატან, თუმცა, გაქვს არაჩვეულებრივი დიპლომატიური გამომჟღავნების უნარი, შეგიძლია ეს თვისება თავისუფლად გამოიყენო და არც მოღვაწეობა გაგიჭირდება, ასევე, მოგეცემა მეტი კარგი ინიციატივის წამოწყების საშუალება და მისი შესრულებაც კი. ამ მხრივ მოგემადლება კიდევ ერთი კარგი გზა ქვეყნის წინაშე ჯეროვანი ვალის მოსახდელად. მე არ გაძალებ, თუ გადაწყვეტ, მეც შენ გვერდით ვიქნები და არც არაფერს გაგიჭირვებ, შენც კარგად იცი!

- თუ ეს ჩვენი მისიისკენ მიმავალი ერთ-ერთი გზაა, რაღა გაეწყობა, მივყვეთ ზურგის ქარს, აფრებს მომჩვარება არ უხდება!

- გადაწყვეტილება მიღებულია, პირველ რიგში, საჭიროა, შემოიკრიბო შენი თანამოაზრეები, შევქმნათ საორგანიზაციო ჯგუფი. ინტერნეტქსელში გავაშუქოთ შემუშავებული პროგრამა. ტელევიზიით გამოსვლისას დაწვრილებით ახსენი, რა გასათვალისწინებელი მოთხოვნებია საჭირო იმ დარგებისთვის, რომლებიც ჩიხში არიან მოქცეული. გააცანი საზოგადოებას შენ მიერ ახალშექმნილი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ძირითადი დანიშნულება. ისაუბრე ახალი მედიკამენტების შესახებ, მიახარე მათ, ვისაც სიმაღლეში მომატება და წონაში დაკლება სურს. შემდგომ ეტაპზე შეეხე პოლიტ-ეკონომიკის აღორძინების ღონისძიებებს; საწარმოთა გადაიარაღებასა და ინვესტიციების მოზიდვის საკითხს. სხვა რიგი პრობლემები მოვიფიქროთ და ჩავინიშნოთ. ახლა ერთი მოულოდნელობის შესახებ, ახლო მომავალში, როგორც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კვალიფიციურ ხელმძღვანელს, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების საბჭო ფიქრობს მოგანიჭოს სამეცნიერო წოდება და სრულიად მალე მოევლინები როგორც უნივერსიტეტს, ასევე ჩვენც, ახალგაზრდა პროფესორად!

- რას ამბობ? - შემომძახა გაკვირვებულმა, - მე იქ ვარ და არაფერი გამიგია, შენ საიდან გაიგე? მოკლედ, სასწაული ხარ!

- მოულოდნელი საჩუქარი გაგიმზადე, ძვირფასო.

- უღრმესი მადლობა. იქნებ გამარკვიო, თუ გიყვარვარ, რომელი წყაროდან მიიღე ეს ინფორმაცია?

- გეტყვი, გენაცვალე!

- ნუ გამაწვალებ, ახლავე მითხარი!

- უსათუოდ, ისინი იყვნენ კულისებში მოფუსფუსე დეკანატის თანამშრომლები, ინფორმაცია კი თანამგზავრმა მომაწოდა, რაც შეეხება საზეიმო წვეულებას, მასზე მერე ვიზრუნებ.

ბოლო სიტყვებზე თავი დაბლა დახარა და გაფიქრიანდა. აღარც მე შემიშლია ხელი, მანამდე იყო, სანამ თვითონ არ გამოერკვა.

- ფიქრებში წავედი! - გამიღიმა.

- არც მე გაგაწყვეტინე, შორს ხომ არ წასულხარ?

- არა, იცი რა ხდება, ჩემს თავზე ყვეალფერი ერთი მეორეზე ისე აეწყო, ასე ვთქვათ, უჩვეულო საკვირვებანი, უკან რომ მოვიხედო და განცდილი ემოციები სასიამოვნოდ გავიხსენო, წარმოგიდგენია, ვერ ვახერხებ!

- შენ მაშინ ნახე, როცა ზედიზედ ორ მოკვლევას მოაკვარახჭინებ!

- ეგ ბოლო სიტყვა საიდან ამოაცურე?

- არაა ძნელი მისახვედრი!

- კარგი, შენ ის მითხარი, რას უნდა ველოდოთ?

- აბა, გამოიცან!

- სახელმწიფო პრემიას?

- არა!

- დაწინაურებას?

- არც ეგ!

- მაშინ, შენ თქვი, მე ნუღარ გამაწვალებ, შემიცოდე!

- ამოდენა წოდების ადამიანს რა გაქვს შესაცოდებელი!

- არა, რაკი დაიწყე, მითხარი, ხომ იცი, რომ არ მოგეშვები, თქვი, რას უნდა ველოდო?

- ცოტა მოგვიანებით რომ გითხრა?

- ახლა სდექ, ნუ დაიწყებ შენებურ ოინბაზობას, ამოთქვი, თორემ დაგვათენდება.

- კეთილი, მისმინე, იმ ორი უნიკალური აღმოჩენის შემდეგ, მისმენ?

- გულით და სულით!

- მე დარწმუნებული ვარ, რომ უთუოდ აგირჩევენ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. მეცნიერისთვის ეს რა წოდებაა, მიპასუხე?

- აკადემიკოსი!

- ყოჩაღ, გამოიცან და თან სრულიად ახალგაზრდა!

- ისე ოსტატურად ამბობ ხოლმე, ნამდვილად მიჭირს გაგება, სად არის ხუმრობა და სად სერიოზულობა!

- ეს იმიტომ, რომ ამდენმა ხარისხმა და ღირსებებმა თავბრუ დაგახვია. ვეღარც კი წარმოგიდგენია, რა შეიძლება მოჰყვეს იმ პრეპარატს, რომელსაც შეუძლია კაცობრიობა იხსნას მრავალი მოურჩენელი სენისგან.

- შენს ნათქვამში შეიძლება ჭეშმარიტების მარცვლის აღმოჩენა.

- მხოლოდ მარცვლის, თუ მარცვლების?

- რატომ, ერთი ხორბლის მარცვლიდან რამდენი მარცვლის მიღებაა შესაძლებელი?

- არ განმაცვიფრო! - ჩემს სიტყვაზე უნებურად გამეცინა.

- ნურც განცვიფრდები.

- მაშინ, ძვირფასო, ყველა მარცვალი რამდენ თავთავს გაიკეთებს, ამაზე არ დაფიქრებულხარ? იფიქრე, ახლა ბავშვები ცოტა წავახემსოთ და დავისვენოთ...

მეორე დღეს მეუღლემ თავის თანამშრომლებს გაანდო ჩვენი გადაწყვეტილება. გააცნო პროგრამის შინაარსი და აუხსნა, თუ როგორ შეუძლიათ მედიკოსებს გაისარჯონ ყოველი ავადმყოფი ადამიანისა და მშობლიური ქვეყნის სამსახურისთვის.

იდეა ისე მოეწონათ, რომ, ვინც კი გაწევრიანებული იყო სხვა პარტიულ ორგანიზაციებში, ისინიც მათ შეუერთდნენ. ინტერნეტქსელის საშუალებით ყველა მედთანამშრომლებს მოუწოდეს, ახალშექმნილ მედიცინის მუშაკთა გაერთიანებას შეერთებოდნენ.

ორი კვირის თავზე, რეგისტრაციის გავლის შემდეგ პროგრამა „მედიკოსები ქვეყნის თერაპიულ სამსახურში" სოციალურ გვერდებზე გააშუქეს და საორგანიზაციო საბჭომ იმთავითვე დარაზმა ყოველ მხარეს თავისი წევრები.

დღითიდღე იმატებდა პარტიის წევრთა რაოდენობა. თითქმის ყველა სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტებმა გამოთქვეს მათ რიგებში გაწევრიანების სურვილი.

- არ უთხრათ უარი, - ვუხსნი საღამოჟამს მეუღლეს, -

არამედიცინის მუშაკებს. ისინი იქნებიან თქვენი მარჯვენა ხელი, ხოლო, მათი (მარჯვენა ხელის) სახელწოდებით შექმნით ცალკე განყოფილებას, ამ განყოფილებაში მხოლოდ ისინი შევლენ გარკვეული პროგრამებით. რაც შეეხება რაიონებს, იქ უკეთ წარმართვის მიზნით ჩამოაყალიბეთ საინიციატივო ჯგუფი. კომიტეტების სახით, ზემდგომი ორგანოს სახელმძღვანელო მითითების შესასრულებლად. საქმიანობა უფრო გაგიადვილდებათ. ორი წლის შემდეგ არჩევნებია, თქვენი აგიტაციით და გარჯით მინიმუმ ოცდაჩვიდმეტი მანდატი უნდა მიიღოთ. შემდგომ კი, არჩეულთა ოთხმოცი პროცენტი თქვენ უნდა იყოთ.

- რატომ გგონია ასე მოკლე ვადაში წარმატების მიღწევა რეალური?

- ჯერ, გენაცვალე, წონაში დაკლებისა და სიმაღლის მომატების მსურველების მხარდაჭერა ასწევს თქვენს მაჩვენებელს, მათ დაემატება ისეთი ასაკოვანი ადამიანების ხმები, რომლებსაც ნევრორეგულატორი ახალგაზრდულ იერს დაუბრუნებს. სხვა დანარჩენზე აღარაფერს ვამბობ. მთავარია, პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებას მიჰყვეთ ეფექტურად. არჩევნების მერეც მედიკოსებს ამის გამო გექნებათ უპირატესობა.

- რა მაგის პასუხია, ჩვენთანაც შემოუყვანიათ შენი კონსტრუქციის მიხედვით წარმოებული ახალი მოდელის ავტომობილები. გუშინ მის შესახებ მელაპარაკებოდა თანამშრომელი, უხმაურო, გამონაბოლქვის გარეშე. ყველას მოსწონსო.

- რა სახელწოდებით?

- იქს-მედინი!

- სწორედ ეგ არის. შენ შეხსენება არ გჭირდება. ყოველი შემთხვევისთვის მაინც გეტყვი. ნურავის გააგებინებ, რომ ეგ ჩვენი წარმოების მოდელია, ერთსაც რომ უთხრა, უმალ იქ მივა და გავიშიფრებით.

- ცხადია. სახელი რას მიგვანიშნებს?

- უცნობიდან მომდინარეს!

- გასაგებია. ისინი ალბათ კმაყოფილი იქნებიან შედეგით.

- ანალოგის გახსნა რომ მთხოვეს, ესე იგი, ძალზე მოსწონებიათ. შენც გსურს მისი შეძენა?

- მე ადრეც მომწონდა.

- მაშინ, მეორე მოდელი რომ შემოვა, აი, ის შევიძინოთ. აბა, გაიხსენე, გალაქტიკებს შორის მოგზაურობის დროს რომ მფრინავი ხომალდი შევნიშნეთ!

- რა დამავიწყებს?

- ფორმით მას წააგავს. ბაზარზე შემოვა თუ არა, პირველი შენი იქნება. ახლა შენი ნებართვით, ლაბორატორიაში გავალ და ცდის ობიექტებს გადავხედავ. შენ კი ბავშვებს წაეთამაშე.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტი დასრულებული მქონდა, ბოცვრებზე დაკვირვებას მაინც ვაგრძელებდი. მინდოდა, შედეგის სიმართლეში საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი. ვინაიდან ცვლილებები არ შეიმჩნეოდა, გადავწყვიტე, გადავსულიყავი ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი პრეპარატის შექმნის საკვლევ ეტაპზე, საჭირო ნედლეულს ხვალიდან მოვიმზადებ და პირველ მოკვლევასაც დროულად დავიწყებ.

მეორე დღეს ტყის ფერდობზე ბალახოვანი მცენარეების ძებნაში ვიყავი გართული, როცა ჩემმა აპარატმა ნიშანი მომცა. მეუღლის გარდა სხვა ვინ იქნებოდა, მხოლოდ მას ჰქონდა კავშირზე გამოსვლის საიდუმლო კოდი. აპარატს ხმამაღალი სალაპარაკო ჩავურთე და მის ხმის გაგონებას დაველოდე.

- სად ხარ? ქარის კიპ-კიპი და ფოთლების შრიალი მესმის!

- ტყეში ჯაზი და ბლუზი როდის მოგისმენია. ხმაზე გეტყობა, რაღაც კარგი ამბავი გინდა მითხრა, მოსალოცადაა კვლავ საქმე?

- კი, სამეცნიერო საბჭომ უკვე მომანიჭა ხარისხი!

- აი, ყოჩაღ, მომილოცავს, ახლა გჯერა, არა? სანამ შენი ყურით არ მოისმენ, როდის აღვნიშნოთ? შენ ძველ ხელმძღვანელს ან საბჭოს თავმჯდომარეს შეეკითხე, როცა სურთ, მე მზად ვარ, თუ დღეს გადაწყვეტთ, დამიკავშირდი. დანარჩენი საღამოს მითხარი.

მასთან საუბარი რომ დავამთავრე, ზოგიერთი ბალახოვანი მცენარის ბოლქვების ძებნა ჩიგვნარში გავაგრძელე.

არ გასულა ერთი საათიც კი, გზავნილით მატყობინებს უკვე დანიშნულ დროს. ეს იყო მაზეგ, საღამოს ხუთი საათი.

აპარატი ზურგჩანთის ჯიბეში დავაბრუნე და დარჩენილი ორი სახის მცენარის სახეცვლილი ყლორტის ძებნას შევუდექი...

ორი დღის შემდეგ ყველა ნედლეული მოპოვებული მქონდა, გარდა ფუტკრის პროდუქტებისა. დღეს დილით ისიც მოვიმზადე, თან დავიწყე კვლევისთვის საჭირო წინასწარი პირობების მომზადება, ამასობაში ჩემი წასვლის დროც მოახლოვდა. საგარეო სამოსი გადავიცვი, ჯერ სამსახურში მივაკითხე მეუღლეს. სამსახურიდან კი ყველა სტუმარ-მასპინძელი საზეიმოდ მოწყობილ დარბაზისკენ გავემართეთ. სუფრის ხელმძღვანელობა უნივერსიტეტის რექტორს ვთხოვე. ბევრი მსმენოდა მისი ჩინებული თამადობის შესახებ. დღესაც სუფრის წინამძღოლობა რიხიანად დაიწყო.

მეუღლეს, როგორც წინა საზეიმო ნადიმზე, სუფრის თავში მოვუწყვე ამაღლებული ადგილი და მის მიმართ წარმოთქმულ ყოველ მილოცვას სიმაღლიდან მოკრძალებით ისმენდა. როდესაც ყველამ გულითა და სულით დალოცა მისი სამეცნიერო წოდება, მერიქიფემ განსხვავებული სასმისი დაუზარებლად შეავსო და მომაწოდა.

ტრადიციისამებრ, მეც მივულოცე დამსახურებული წოდება და მასთან ერთად, მორიგი წინსვლა სამოღვაწეო სფეროში.

- სულ მალე, - შევამაღლე ხმა. - შენი პირადი სამეცნიერო საბადოდან აღმოგეჩინოს იმგვარი ძვირფსი განძი, რომლის საშუალებით დაგემზადებინოს ისეთი სამკურნალო პრეპარატი, კაცობრიობას რომ მოუხსნის ყოველგვარ პრობლემას სამედიცინო სივრცეში. ცდების, მოკვლევისა და ახლის გამოგონების უნარი რომ ნამდვილად გაქვს, ჩვენ კვლავ დაგვარწმუნე. ცოტა მონდომება და შენ ადამიანთა მოდგმას მოურჩე-

ნელი სენის ჩიხიდან გამოიყვან და ეს იქნება დაუჯერებელის შესაძლო სინამდვილე. აბა, შენ იცი, შენი გამარჯვება იყოს შენი მრავალჟამიერი!

სატუშო მელოდია მანამდე ისმოდა, სანამ განსხვავებული სასმისი ბოლომდე არ დავცალე. წინასწარ გაფრთხილებულ მოდაფდაფეს ხელით ვანიშნე, რაც უნდა დაეწყო და უმალ დარბაზში დაისის უკვდავი ჰანგები გაისმა.

მეუღლეს შეპატიჟების ნიშნად ხელი გავუწოდე. დარბაზის განაპირას დავტოვე, მე კი ხელ-ფეხი გავხსენი, როკვით წრე შევკარი, მისკენ გავემართე და გამოვიწვიე, მხრებგაშლილი ცენტრამდე მივაცილე, შევჩერდი, სვლა უკან გამოვაგრძელე და საგოგმანებლად სივრცე დავუთმე.

აქ სტუმრებისათვის საინტერესო არა მარტო თვით ტრადიციული ცეკვა იყო, არამედ, მასში ჩვენ მიერ ჩანაცვლებული გაშლილი მხრების ტალღისებური და ტერფების რიტმული მოძრაობების შენაკადი, როგორც ეროვნულობას შეეფერებოდა.

ოვაციები და ტაშის ქუხილი არც ცეკვის დამთავრებისას დაცხრა, დარბაზში ისმოდა სხვადასხვა ქებითი შეძახილი.

თამადას ისე მოეწონა ჩვენ მიერ შესრულებული დაისი, მორიგი სადღეგრძელოების შემდეგ საჯაროდ მთხოვა, კიდევ შეგვესრულებინა რომელიმე ქართული ცეკვა.

- თხოვნა მიღებულია. - განვუცხადე თამადას და მედაფდაფეს მივუახლოვდი. სამი საცეკვაო სიმღერის შესრულება ვთხოვე, თანაბარი გადანაწილებით, მერე მეუღლეს ავუხსენი, როდის რა უნდა შეესრულებინა და დაწყების ნიშანი მივეცი. მუსიკის ჰანგებმა ახმაურებული დარბაზი სწრაფად ჩააწყნარა. ჩვენც ფერხული სვლით თავისუფალ სივრცეში როკვით შევცურდით.

ტაშისცემამ და შეძახილებმა უფრო მეტი ხალისი შეგვმატა. ფერხულს განდაგანა ჩავანაცვლეთ და ჩვენეურად ჩავდრიკეთ...

დამლევს განდაგანა დავლურით შევცვალეთ. ფეხი გავშალე, მეუღლის ირგვლივ წრედი შევკარი და ცეკვა-ცეკვით

თამადისკენ გავემართეთ. თამადა ფეხზე ამდგარიყო და ჩახმატკბილებული შესცქეროდა ჩვენს უჩვეულო როკვას.

სიმღერის დასრულებამდე მეუღლე თავის კუთვნილ ადგილამდე მივიყვანე, ის-ის იყო უკანა ნაბიჯის გადმოდგმას ვაპირებდი, რომ მაჯაში ხელი ჩამჭიდა და თავისკენ მიმიზიდა.

- ერთი თხოვნა მაქვს! - სამად სამი სიტყვა მითხრა, თვალებში შემომხედა და ჩემს რეაქციას დაელოდა.

- რაა ისეთი, ძვირფასო, თუგინდ ამ შუაგულ წვეულების დროს რომ ვერ შევძლო, ნუ მალოდინებ, მითხარი, ხომ ხედავ, ყველა ჩვენ გვიყურებს!

- გახსოვს, ფინალში ნამღერი სიმღერა?

- მახსოვს.

- აი, რისი თხოვნა მსურდა!

- კარგი, გენაცვალე, თამადა სადღეგრძელოს იტყვის და შემდეგ ვთხოვ.

როცა სუფრის ხელმძღვანელმა და თანამეინახეებმა მიმოლოცვა მოასრულეს, ნებართვა ვითხოვე.

დასტურად ხელი ჩამომართვა, აბა, შენ იციო.

სცენაზე მიკროფონის წინ დავდექი და სანამ სიმღერას დავიწყებდი, ამ სიმღერის ისტორიას მოვყევი, მერე გიტარა მოვიმარჯვე და დარბაზში საზეიმოდ გაისმა ჩემი საყვარელი სიმღერის მუსიკალური მელოდიის შეხმატკბილებული ჰანგები.

სიმღერას ყველა აჰყვა. უფრო გამხიარულდა დარბაზი, ზოგმაც ცეკვა დაიწყო. მეუღლეს გადავხედე, სიხარულისგან თვალებში ცრემლის ლული უციმციმებდა. ხელის მაღლა აწევით მანიშნებდა, ძალიან კმაყოფილი ვარო.

სიმღერის დასასრულს მადლობა დაგავუხადე მეინახეებს, ჩვენი შემოქმედების დაფასებისთვის და სცენიდან ჩამოვედი.

- ჩვენს პროფესორს, - აცხადებდა თამადა. - რა კარგი მუსიკალური ოჯახი ჰყოლია, როგორც მე ვიცი, მათი ბავშვებიც კი უკვე კარგად მღერიან. აფერუმ, თქვენს ტრადიციას, დღეიდან ჩემს ოჯახში მიღებული საპატიო სტუმრები იქნებით!

წვეულებამ რაც უფრო აიშაბაშა, მით უფრო მეტ იშტაზე მოდიოდნენ სუფრის წევრები და არც გვიანი საღამო უშლიდა ხელს მათ საქეიფო განწყობას, მაგრამ საბანკეტო დარბაზის გამგეობის მიერ განსაზღვრული განაწესი არ გვაძლევდა საშუალებას, მოლხენა კვლავ გაგვეგრძელებინა.

კარგ დასაწყისს, კარგი დაბოლოება მოჰყვა.

მალე აკადემიკოსობაც მოგველოცოს, გვეუბნებოდნენ ღვინით შებრუჟებული და მხიარულ ხასიათზე მყოფი სტუმრები. დიდი ხანია ასე შესანიშნავად არ მოგვილხენიაო. ზოგს მესამედ მოუწია ჩვენს წვეულებაზე მოსვლა. ვინც უკვე ცნობდა ჩვენს ოჯახს, სიხარულით გვეუბნებოდნენ, თქვენ ნამდვილად იმსახურებთ ახალგაზრდა ოჯახის ეტალონის წოდებასო.

როდესაც ყველა სტუმარი გავისტუმრე, პასუხისმგებელ მორიგესთან მივედი, მადლობა გადავუხადე და ბავშვების გამოსაყვანად კურსი მოყვრებისკენ ავიღე.

... შინ ცოტა გვიან მოგვიწია მისვლა. ნელ-თბილი წყალი გადავივლეთ და დასასვენებლად გავედით.

დილით, როცა ჩვეული პროცედურები დავასრულეთ, მე ჩემს სამუშაო განყოფილებაში გავედი და მცენარეებიდან წვენების მიღება დავიწყე.

მესამე დღეს ფუტკრის პროდუქტები დოზების მიხედვით დავახარისხე, ხოლო მეხუთე დღეს საჭირო ხელსაწყოებით წყნარი ოკეანის იმ სანაპიროსკენ გავემგზავრე, სადაც ას წელს გადაცილებული წყალ-ხმელეთა კუები ბინადრობდნენ. მათი გენებიდან სახელდობრ ის გენი გამოვყავი, რომელიც მემკვიდრული ინფორმაციული წყობისა და ასაკობრივი პერიოდებისთვის დამახასიათებელი მორფოფიზიოლოგიური თავისებურებებით ხასიათდებოდა. იმ მიზნით, რომ სამკურნალო პრეპარატის შექმნის პროცესის დასასრულს დამეწყო წოდებული გენის გენირება, რომელიც შემსწორებელი გახდებოდა მემკვიდრეობით განპირობებული ხარვეზებისა. მეორე მხრივ, ხელს შეუწყობდა მემკვიდრული ფაქტორებისა და ორგანიზმის ნიშან-თვისებების ჯანსაღი ფორმის შენარჩუნე-

ბას, ხოლო მათი ერთიანი ნაკრებით ვიმედოვნებდი უნივერსალური სამკურნალო საშუალების მიღებას.

კვირის დასაწყისში, დასარწმუნებლად, ხელმეორედ გამოვიკვლიე მიღებული თითოეული დამზადებული ნაყენის შემადგენლობა, თვისებები და ქმედითობა, თან დავიწყე ამ ნაყენებიდან შენაერთის მიღება. მიღებული ნაერთი მისთვის განკუთვნილ სინჯარაში გადავასხი და ორი საათი დავაყოვნე. ორი საათის შემდგომ, როცა მის სამკურნალო სიძლიერეში დავრწმუნდი, ზემოხსენებულ გენირებას შევუდექი. მომდევნო ეტაპზე გამოვიკვლიე გენირებული ნაერთის სამკურნალო კოეფიციენტი და სარგებელუნარიანობა ძირითად კატეგორიაში.

ბოლო ეტაპზე სინათლის სხივებისგან დაცული ოცი გრადუსი ტემპერატურა შევურჩიე და 25 საათი საგანგებო სინჯარაში ვამყოფე. მეორე დღეს მისთვის შემუშავებული პროგრამა ლაზ-სხივის საშუალებით ჩავტვირთე და შერჩეული დოზებით სხვადასხვა დაავადების მქონე ოთხ ბოცვერს მივაღებინე.

მოკვლევა ერთი კვირის თავზე უნდა დამეწყო. ეს დრო ჩემთვის საკმაოდ შორი იყო. ვერ ვისვენებდი. ბოცვრებს ყოველდღე ვნახულობდი. დაკვირვება მხოლოდ შეუიარაღებელი თვალით მიხდებოდა. ცვლილებებს ვერ ვამჩნევდი, თუმცა იმედს არ ვკარგავდი.

მოკვლევის დრო რომ დადგა, სულმოუთქმელად ველოდი ანალიზების პასუხს. პასუხის მისაღებად დიდი დრო არ დამჭირვებია. წინ მედო თითოეული ბოცვრის ინფექციური აგენტების განვითარების სურათი. როგორც ანალიზირებამ მიჩვენა, ოთხივე ბოცვერს აშკარად ემჩნეოდა დაავადების გამომწვევი პათოგენური მიკროორგანიზმების მკვეთრი შეჩერება. ეს ჩემთვის უკვე წარმატება იყო. და როცა მომდევნო კვირას იგივე გამოკვლევა ჩავატარე, მოულოდნელმა შედეგმა უფრო მეტად გამაოცა. ასე სწრაფად სწორედ რომ არ ველოდი. უბრალოდ დაუჯერებელი სინამდვილის წინაშე აღმოვჩნდი. დაავადების კერები საერთოდ გამქრალიყო და ორგანიზმი იწყებდა დაზიანებული ქსოვილების აღდგენას. პარალელუ-

რად შეიმჩნეოდა უჯრედების გაძლიერებული გამრავლებაც. ბოცვრებს გარეგნულად ცხადლივ ემჩნეოდათ ცვილებები, თუ ნახევარი თვის წინ უძლურად იწვნენ, ახლა მათ საკუნტრუშო სივრცე აღარ ყოფნიდათ, მე კი - გამოხატვის არეალი. რარიგ მინდოდა, ხმამაღლა გამომეთქვა სიხარული, თუნდაც ერთი სიტყვით, როგორც არქიმედემ გამოთქვა თავისი ცნობილი კანონის აღმოჩენის დროს.

მე მოვიკვლიე ის, რაც მსოფლიოს ცივილიზაციის საგანძურს უტოლდება. ეს არის სამკურნალწამლო დისციპლინების აუხდენელი ოცნება, ჯანსაღი კაცობრიობისა და ფარმაციის მუდმივა.

ჯერჯერობით მეუღლისთვის გამხელას არ ვაპირებდი. რიგში ჯერ ბოლო ორი მედიკამენტის პოპულარობა გვქონდა. ისინიც მაღალი ხარისხის სამკურნალო მედიკამენტებს განეკუთვნებოდნენ, რაც მის ცნობად სახეს მეტ ღირსეულ ელფერს შემატებდა, ეს კი მის კავშირს „მედიკოსები ქვეყნის თერაპიულ სამსახურში" დამატებით ხმებს მოუტანდა.

სატელევიზიო გამოსვლისას უამრავი შეკითხვა გაუგზავნეს, უმეტესწილად წონის კორექციის საკითხების ირგვლივ. ერთი გადაცემა თავისთავად საკმარისი არ აღმოჩნდა. შესაბამისად, გადატანილ იქნა შემდგომი გადაცემისთვის, სადაც შედარებით მეტი დრო ახალი საკვლევი თემის მიმოხივლას დაეთმობოდა, პარალელურად პასუხი გაეცემოდა წინა გაუცემელ შეკითხვებსაც.

... ამასობაში თანდათან გვიახლოვდებოდა ბავშვების სკოლაში მიყვანის დრო.

აგვისტოს თვის მეორე ნახევარში უკვე ვიზრუნეთ სასკოლო წიგნებისა და ნივთების შეძენაზე.

ტყუპებმა უკვე იცოდნენ ანბანი, გამრავლების ტაბულა და შეეძლოთ მარტივი მათემატიკური მოქმედებების ამოხსნა. ისინი თავის მხრივ პატარა ძმას ასწავლიდნენ, პირველი კლასის პროგრამის უმეტესი ნაწილი უკვე ნაცნობი იყო მათთვის. ასე რომ, ბავშვები სასწავლო წლის დაწყებას მომზადებულები შეხვდნენ.

პირველ სექტემბერს დამწყებ მოსწავლეებს განსაკუთრებული ზეიმი მოუწყვეს. ყველას დედაენა გადასცეს საჩუქრად; წარჩინებული სწავლა და საშუალო სკოლის ოქროს მედლებზე დამთავრება უსურვეს.

მოსწავლეებთან ერთად მშობლებსაც გვაჩვენეს შეკეთებული სკოლის პირველი სართული, მათი საკლასო ოთახები და თვალსაჩინოებისთვის გამოყოფილი კუთხეები.

სასწავლო ნაწილის გამგემ მეგზურობა რომ დაასრულა, პედაგოგებს ნებართვა მისცა, ჯგუფები თავ-თავიანთ საკლასო ოთახებში წაეყვანათ, ხოლო მშობლებს გამოგვიცხადა, სკოლის ტერიტორია არ დაგვეტოვებინა იმ მიზნით, რომ ვინიცობაა რომელიმე ბავშვს არ მოსწონდებოდა უცხო გარემო და მშობელი მოეკითხა. ჩვენც ვისხედით და ველოდით ჭირვეული მოსწავლის გამოძახილს. ორი გაკვეთილის განმავლობაში, საბედნიეროდ, რაიმე შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. სასწავლო წლის დასაწყისმა კარგი ნიშანი მოგვცა. ვინაიდან პირველი დღე იყო, გაკვეთილების დამთავრებამდე სკოლიდან არ გამოვსულვართ. პატარა ბიჭი მე მახლდა და ჩემთან ერთად უწევდა თავისი და-ძმის გულშემატკივრობა, თან აქედანვე ეჩვეოდა სასკოლო გარემოს.

ეზოში ვიყავით გასულები, როცა უმცროსი კლასელებისთვის გაკვეთილების დამთავრების ზარი გაისმა. ჩვენც მყისვე გამოსასვლელისკენ გავემართეთ, ზოგი მოსწავლე მოწყენილი გამოდიოდა, ზოგი - მხიარული, ჩემებსაც მხიარული ელფერი გადაჰკროდათ სახეზე, რაც პირველი სასწავლო დღის კმაყოფილებაზე მიანიშნებდა.

კარგია, როცა სწავლას თავიდანვე აუღებ ალღოს, ჩემი შვილებიც ამ რანგის ჯგუფს მივაკუთვნე.

განვითარებულმა გონებამ ბავშვებს სწავლა ნამდვილად შეაყვარა. მეცადინეობებიც იმიტომ მოსწონდათ, რომ როგორც გასართობს, ისე აღიქვამდა ორივე. ამიტომ, არ იცოდნენ, რა იყო სიზარმაცე. ყოველ მიცემულ დავალებას უმოკლეს ვადაში ასრულებდნენ. ზოგჯერ გულიც სწყდებოდათ, შესასრულებელი რომ აღარ რჩებოდათ და მე მთხოვდნენ ნე-

ბართვას მომდევნო გაკვეთილის დასასწავლად.

მეცადინეობები ურიგო არ არის, მაგრამ გადატვირთვა არც აქ იძლევა ხეირს. ამის გამო ვამჯობინებდი, უფრო სხვა გასართობი მომეძებნა და გული მასზე გადაეყოლებინათ. ხშირად აუზში გამყავდა სავარჯიშოდ და არცთუ ურიგოდ ეუფლბოდა ერთიც და მეორეც კროლის ხერხით ცურვას, ხან ველოსიპედით დაქროდნენ ოაზისის ბილიკებზე, ზოგჯერ სათევზაოდ ჩამყავდა მდინარის პირას.

ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებს ჯერჯერობით ვარიდებდი, სანამ აუცილებლობა არ მოითხოვდა.

სასწავლო მასალას შესანიშნავად ითვისებდნენ. მათი პედაგოგი ყოველ ჯერზე, როდესაც ბავშვები სკოლიდან გამომყავდა, არ იშურებდა ხოლმე საქებარ სიტყვებს. ერთხელ მეუბნება:

- თქვენი ბავშვები არა მარტო ყოველდღე მოდიან მომზადებულები, არამედ ახალი ახსნილი მასალაც აქვე შეუძლიათ, რომ ჩამაბარონ. საუცხოოდ აქვთ გონება გახსნილი. ზოგჯერ ისეთ კითხვებს მისვამენ, უფროსი კლასის მოსწავლეები ვერ მოიფიქრებენ. ანბანი არაჩვეულებრივად იციან, მარტივ მათემატიკურ მოქმედებებზე ფიქრიც არ სჭირდებათ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მათ ვაცდენთ. შეიძლებოდა ექსტერნად ჩაებარებინათ პირველი კლასის პროგრამა და სწავლა გაეგრძელებინათ მომდევნო კლასში.

- მე იმას ვფიქრობ, ქალბატონო, მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტუალურად თავიანთ ასაკს აღემატებიან, მაინც არ ღირს, ზედმეტად გადავტვირთოთ.

- თუ მათი პოტენციალი ამის საშუალებას იძლევა?

- უსიტყვოდ, ქალბატონო, მაგრამ მათთვის ახლა სწავლის პროცესი გართობაა, ამას თქვენც ამჩნევთ. შემდგომ კი იძულებითი გახდება, რაც ბავშვებში ზედმეტ ემოციურ დაძაბულობას გამოიწვევს. ხანგრძლივი დაძაბულობა კი - მუდმივ გაღიზიანებას, ხვდებით, არა, სად მივყავართ ლოგიკას, ცხადია, ფსიქიკის მთლიანობის დარღვევამდე.

- მშობლების გადასაწყვეტია, ჩემო ბატონო, მე ვერ დაგაძალებთ. მომიკითხეთ ოჯახობა.

- გმადლობთ, აუცილებლად. მომავალ შეხვედრამდე! - დავემშვიდობე და საკლასო ოთახიდან გამოვედი.

სკოლიდან მესამე ბავშვის გამოსაყვანად საბავშვო ბაღში გავიარეთ. ბაღიდან შინ, ოღონდ ქალაქის სახლში მივედით. ბავშვებს სადილი მოვუმზადე, დავაპურე, მერე წინა ოთახში ნახატი ფილმების სერიალი ჩავურთე, მე კი ინფორმაციების შემოწმებას შევუდექი.

ამასობაში მეუღლეც შემოვიდა. მოსვლისთანავე მომახარა კახეთის რეგიონში გასვლა.

- დღეს კახეთის ქალაქებში გვქონდა გამოსვლები, წარმოგიდგენია, ხალხს როგორ გაუხარდა ჩვენი გამოჩენა. დიდი-პატარა გაიძახოდა ჩვენი მკურნალ-გადამრჩენელები ჩამოვიდნენო. რომ გაიგეს ახალი მედიკამენტების ავტორი მე ვიყავი, ოვაციებს ვერ მალავდნენ. მხოლოდ თქვენ - პარლამენტში, ეს უკვე დაიმსახურეთ, ჩვენ გვჯერა თქვენი დაპირებებისა და სხვა მსგავსი შეძახილები მესმოდა. აინტერესებდათ, როდის გამოჩნდებოდა სააფთიაქო ქსელში ახალშექმნილი წონის საკორექციო მედიკამენტი. მაქსიმუმ ორ კვირაში შევპირდი. რას იტყვი, მოვასწრებთ?

- თუ მოვინდომებთ - კი!

- მონდომებისთვის რა არის საჭირო?

- მხოლოდ ერთი რამ, რაც ხშირად დეფიციტია ჩვენს საუკუნეში.

- ისევ ორაზროვანი პასუხი!

- შენც ორივე გამოიცან!

- დრო არ ითმენს.

- არა უშავს, დროის ენერგიის მექანიზმს ავამუშავებ. - შევპირდი აცმუტებულ მეუღლეს.

- მითხარი, რა იქნება, გთხოვ!

- სიყვარული, ძვირფასო.

- და ამისთვის მაწვალებდი?

- შენ კი არა, ადამიანთა მთელ მოდგმას დღემდე არ ასვენებს ზეშთაგონებითი გრძნობის განცდა და მისი უდიდებულესობა.

- ისევ სიყვარულს მიხსნი?

- ხომ გითხარი, ძვირფასო, მრავალჯერ მინდა შეგიყვარო, რათა სასიყვარულო ემოციებმა გამაკეთებინოს ის, რაც სინამდვილეში იდუმალებაა.

- მესმის, არადა, მეც უეცრად შემბოჭავს შენი სიტყვების ძალა, ახალამოყრილი საყვავილე კვირტებივით გამნაზავს და კოკროჭინა გოგონად გადამაქცევს!

- შენი დასტურით, ჩემო ძვირფასო, მიმოვიქცევი, როგორც მთვარის ფაზებს დამორჩილებული უკიდეგანო ოკეანის ძლიერი ნება.

- ოჰ, შენ პროზას პოეზიად გადაქცევას უპირებ, მაშინ შენ ვინღა გაგეჯიბრება?

- როდის ერთხელ მოგისმენია, აღმატებულო ქალბატონო, ჩემი სონეტისთვის!

- მოვკარი ყური, სანამ მღვიმეში აღმოვჩნდებოდით.

- მაშასადამე, ისმენდი, რაც კი სიამეს მოგგვრიდა ჩემგან, ჩემო ლამაზო, კარგი ცნობაა.

- ბავშვები ეკრანს აღარ უყურებენ და ჩვენ გვისმენენ კარგა ხანია.

- ალბათ მოსწონთ ეს დიალოგი, არა ბავშვებო? გულისყურით როგორ გვისმენდით?

- კარგი იყო, მამი, - კომენტარი გაუკეთა თვალხატულა გოგომ, - არ აგრძელებ?

- კი, მამი, როცა მუზა გაჩნდება!

- მუზა რა არის?

- მუზა, შვილო, შემოქმედის შთაგონების წყაროა. შთაგონება კიდევ ისეთი თავისებურებაა, როცა შემოქმედების დროს გაკითხავს. მაგალითად, მე გაძლევ შენს საყვარელ ფანქარს, თან გეუბნები, დახატე, რაც გსურს. შენ მიუჯდები მაგიდას და ფიქრობ, რა უნდა დახატო. ფიქრობ დიდხანს, უცებ რაღაც მოგაფიქრდება და იწყებ ხატვას, ესე იგი, რამაც მოგაფიქრა, აი, ეს დახატეო, სწორედ ის არის შთაგონება.

ახსნა რომ დავამთავრე, მეუღლეს მივუბრუნდი, მშვიდად და გულისყურით უსმენდა მამაშვილურ საუბარს.

- სწორედ განვმარტე, თუ კიდევ რაიმეს დამატებაა საჭირო?

- ბავშვს შეეკითხე, თუ მან გაიგო, მაშინ კარგად აგიხსნია.

- გავიგე, მამი, გავიგე, რაც რაიმეს მომაფიქრებს, ასე არაა?

- აგრეა, შვილო, მერე უფრო გაიგებ. ახლა დედას კითხვას ვუპასუხოთ.

- დედა! - დაუძახა სამზარეულოში მიმავალ დედას.

- ჰო, შვილო, მეც გავიგონე, მოვდივარ, მოიფიქრე? რა გადაწყვიტე?

- ხვალ ადრიან დილით მენეჯერს რეცეპტს და მასალებს ჩავუტან და ხვალვე შევუდგებით მის დამზადებას. პასუხი მოგწონს?

- წინადადება მისაღებია, მე რაში დაგეხმარო?

- სტიმულში!

- რას გულისხმობ?

- რამაც უნდა აღძრას შრომის ხალისი.

- შენს გვერდით მიგულე მუდამ სიყვარულით.

- კარგი დევიზია, მეც დავიმახსოვრებ და შვილებიც. ახლა მთაში გავემგზავროთ, პატარ-პატარა საქმეები მაქვს მოსაგვარებელი.

- იცი, რისი შეკითხვა მინდოდა?

- ჯერ არა.

- მადროვე, ნუ ხარ სულსწრაფი, ხალხთან შეხვედრის დროს ნევრორეგულატორზე ხომ არ ვილაპარაკო!

- შეიძლია, მაგრამ მომავლის პერსპექტივით. ის იქნება პროგრამის ერთ-ერთი შესასრულებელი პარაგრაფი. ხოლო, რაც შეეხება წონის კორექციისთვის განკუთვნილ პრეპარატს, მასზე უკვე უფლება გაქვს, განაცხადო, რომ დღეიდან დაიწყო მისი წარმოება. ილაპარაკე გაბედულად. შენს სიტყვას ახლა უფრო მეტი ფასი დაედო და კიდევ ჰუმანიტარული დახმარების ფონდზე ყოველი მეორე ლაპარაკობს. წაიღე ფონდიდან რამდენიმე შეკვრა და ადგილზე დაურიგე მათ, ვისაც წამლის საყიდელი თანხა არ გააჩნია. ისაუბრე იმაზე, რაც სინამდვი-

ლეში გააკეთე. მის ფონზე კი მომავლისთვის რის შესრულებასაც აპირებ. აბა, შენ იცი. მოვხვიოთ შვილებს ხელი და ჰერიდა! - ხელდახელ მოვემზადეთ და გავედით.

მისვლისთანავე, წინასწარ მოგროვებული ნედლეული დავახარისხე, ყუთებში ჩავაწყვე და წასაღებად გავიმზადე.

როცა ალიონზე ჩემები ქალაქში ჩავიყვანე, მაშინვე ბიზნესპარტნიორისკენ გავემართე. მან წინასწარ იცოდა ჩემი მისვლის მიზანი, მაგრამ მე მაინც დაწვრილებით გავიმეორე ჩვენი მომავალი გეგმა.

- უმჯობესი იქნება, - ვუთითებ მენეჯერს. - დამატებითი სარეზერვო ხაზის დატვირთვა. საწყის ეტაპზე საკმარისი რაოდენობის მასალები ხელზე მაქვს, პარალელურად მათ მოსაპოვებლად თანამშრომლები დაასაქმე, რაც შეეხება დამზადების წესს, ზეპირად დაიმახსოვრებ საიდუმლოდ, ეს შენ კარგად გეხერხება, ხოლო მისთვის გამზადებულ პროგრამას მე თვითონ მივაწვდი, სააფთიაქო ქსელში კი სამი დღის თავზე ჩავუშვათ.

- საიდან დავიწყოთ?

- თავდაპირველად რეგიონები მოვამარაგოთ.

- კარგი. ერთ საკითხს დავამატებ, მხედველობაში მაქვს ზრდის ფაქტორი, უამრავი შეკვეთა მივიღეთ სხვადასხვა ქვეყნიდან.

- ჯერ ადგილობრივი მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ, ამის მიხედვით მათი მოთხოვნილებები დავგეგმოთ.

- გასაგებია!

- პრემიების დარიგებას შესაბამისად ვაგრძელებთ, არა? - ჩავეკითხე ცნობისთვის.

- რა თქმა უნდა, დაუგვიანებლად.

- შემწუხებლების პრობლემა როგორ არის?

- იმის შემდეგ აღარ გამოჩენილან.

- თუ ახალი თანამშრომლის მიღებას დააპირებ, ყოველმხრივ შეამოწმე, მუდამ სათვალთვალო კამერის ქვეშ გყავდეს.

- ასეც არის!

- სხვა შემთხვევებს ხომ არ ჰქონია ადგილი?

- განსაკუთრებული არაფერი, თუ არ ჩავთვლით ხალხის მიერ ახლახან შერქმეულ სახელს!

- თქვი!

- საწარმოს ეროვნული ფარმაციის ინკუბატორიუმი დაარქვეს.

- ჰმ, - ჩამეცინა ირონიულად, - მედიკამენტების დამზადება, მეგობარო, ისეთივე მოსახერხებელი რომ იყოს, როგორც წიწილების გამოჩეკვა, მაშინ მათ საკვებ დანამატად გადავაქცევდით.

- მართალს ამბობ, წარმოგიდგენია, რამდენი თავი სამკურნალო საშუალებაა დღესდღეობით წარმოებული და მერე რა იქნება!

- ყველა რეკორდს გადააჭარბებს!

მენეჯერს დავემშვიდობე და პირდაპირ მთის სახლს მივაშურე. შინ მისულმა პირველ რიგში ყველა სახის ინფორმაცია გადავამოწმე. შენიშვნები შესაბამის გრაფებში ჩავწერე და დავუბრუნდი ჩემი ძველი ნაცნობის ჯერ სამკურნალო დაწესებულების, შემდეგ ოკეანეში განთავსებული ბაზების დათვალიერებას, უწინდებურად ისევ იქ დგანან, ძრავაგათიშული „ლურჯი ვეშაპისა" და ჩემს შესაპყრობად გამოგზავნილი დაქირავებული საბრძოლო წყალქვეშა ნავები. მხოლოდ ოკეთერაპიას განაგრძობენ, შეჩერებული ჰქონდათ იარაღით ვაჭრობა, ქიმიური ნივთიერებებისა და ნარკოტიკების წარმოება.

ასევე გადავამოწმე საზღვრებს გარეთ არსებული გასაიდუმლოებული ფაბრიკა-ქარხნები. ყველგან სიწყნარეა, მხოლოდ მათი ბარონები არიან მოუსვენრად. დამეძებენ გამუდმებით, დღედაღამ, ერთმა ამას წინათ, უკვე ცნობილი ფაქტია, მის კომპანიონთან საუბრის დროს ჩემზე თავდასხმის მიზნით ორი ვერტმფრენი გამოაგზავნა, მაგრამ გეგმა შუა გზაში ჩაეშალა. მას შემდეგ კიდევ სცადა და კვლავ უშედეგოდ. ასევე ცდილობს ტრადიციად ქცეული საქმის ხელოვნურად წამოწყებას. ვინ არ მოჰყავს აგრეგატის შესაკეთებლად, რას არ ჰპირდება, თუმცა ვერაფერი მოუხერხა. მისი გადაიარაღება არც კი უფიქრია.

მათგან ერთი, რომელიც არასანქცირებული საბრძოლო იარაღების წარმოებასა და რეალიზაციას ხელმძღვანელობდა, თანამოსაქმის რეკომენდაციით ავტოინდუსტრიით დაინტერესდა, არც მე მითქვამს უარი, მას პირველი მოდელის ნაცვლად ახალი მოდ-ფორმის დავუმზადე, რომლის გასაგზავნი ყალიბები უკვე მზად მქონდა. ახლა ვფიქრობ, მეორეს რა შევთავაზო. ის ქიმიური გზით ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადებასა და მის საერთაშორისო ბაზარზე გატანას ხელმძღვანელობდა. იქნებ აჯობებს მინიბუფეტის ანუ სამკარიანი მაცივარ-მზარეულის წარმოება ვურჩიო. ეს ის მაცივარია, ოჯახისთვის ახლახან რომ დავამზადე. არჩევანი მასზე შევაჩერე და გადავწყვიტე, დავლაპარაკებოდი. ჯერ არ მპასუხობდა, მეორე ცდაზე მისი მძიმე და ბოხი ხმა გაისმა.

უმალ მიცნო. შორიდან აღარ მომივლია. მივესალმე და დაკავშირების მიზეზი ვუთხარი.

- თქვენი კომპანიონი, სერ, დიდად კმაყოფილია ავტოინდუსტრიით, მეორემ უკვე გამოთქვა მეგობრობის სურვილი, თუ შემოგვიერთდებით არც თქვენ დარჩებით უკმაყოფილო!

- რას შემომთავაზებთ ისეთს, წინანდელ საქმეს რომ აჯობოს?

- ახლავე აგიხსნით, სერ!

მეც ჩემი პროექტის ახსნა დაწვრილებით დავიწყე. მიკროსქემიდან დაწყებული, თავ-კერძამდე დამთავრებული და მის პასუხს დაველოდე.

- მე ასეთი რამ ნამდვილად არ მსმენია. იდეა კარგია, მაგრამ მას ხომ სპეციფიკური პროექტირება დასჭირდება. თუ მისი ნახაზისა და ამწყობის სპეცილისტს ვერსად მოვძებნი, უტოპიად გადაქცეული იდეა ვერაფერში დამეხმარება.

- გეგმას მე შემოგთავაზებთ, თუ მიიღებთ!

- მითხარით, იქნებ მისაღებია!

- კეთილი, საწყის ეტაპზე თქვენ უნდა შეარჩიოთ ტერიტორია ნაგებობის ასაშენებლად. ამასობაში ელექტროფოსტით გამოგიგზავნით მის გარეგნულ სახეს და შინაგან სქემას. გადახედეთ წინასწარ, როგორი იქნება მისი ფორმა და

ნაწილთა ურთიერთგანლაგება. შემდგომ ეტაპზე მოგაწვდით ცალკეული ნაწილებისა და დეტალების შესაქმნელ ფორმებს, მასთან ერთად სქემას მის ასაწყობად. ვიმედოვნებ, ნედლეულის მოპოვება არ გაგიჭირდებათ. რას იტყვით, სერ, მიიღებთ ჩემს წინადადებას?

- თეორიულად კი! - თქვა და ჩაფიქრდა.

- რა გაბრკოლებთ, იქნებ გამბედაობა?

- არა, გაბედულებას არ ვუჩივი, ჭაბუკო! - მითხრა და ისევ დადუმდა.

- გასაგებია თქვენი დუმილი, სერ, მე ხვალვე გამოგიგზავნით კონსტრუქციას, რომ რეალურად დარწმუნდეთ მის სინამდვილეში. თქვენ კი ადგილმდებარეობის შერჩევაზე იზრუნეთ!

- კარგი, ჩემებს მოვეთათბირები სამოქმედო გეგმის შესადგენად.

- კეთილი, სერ, ხვალ კავშირზე გამოვალ.

როცა მას დავემშვიდობე, აღარ დამიყოვნებია, იმთავითვე დავიწყე მინიბუფეტის გრაფიკული გამოსახულების აგება. ჯერ გარეთა ხედი გამოვსახე ეკრანზე, კუთხეებსა და ვერტიკალურ შვეულებს ოვალური ფორმა მივეცი. ვასწორებდი, სადაც ზედმეტად გამოკვეთილ ნიშნებს შევნიშნავდი, დიზაინი რომ მეტად მიმზიდველი ყოფილიყო, მერე მისი სქემის შედგენას შევუდექი. ის დღე და მეორე დღის ნახევრამდე ვმუშაობდი. დამთავრებისას მაშინვე გადავუგზავნე მოდელი და მიკროსქემა, თან კავშირზე გავედი.

- როგორ გრძნობთ თავს, სერ?

- ძალიან კარგად. გუშინ კომპანიონებს ველაპარაკე. იდეა მოეწონათ, მაგრამ ეჭვი გამოთქვეს.

- გამოგზავნილი მასალა აჩვენეთ მათ და ეჭვიც გაუქრებათ!

- სხვათა შორის, ტერიტორია შევათვალიერე. რეესტრში სათანადო დოკუმენტებს მოვაწესრიგებ, მანამდე კიდევ ერთხელ შევკრებ მათ შენ მიერ გამოგზავნილი მასალების გასაცნობად.

- სერ, რაც უფრო მარდად იმოქმედებთ, მით უფრო მალე

მოიხვეჭთ სახელს და ფინანსურ მხარდაჭერასასაც მოიპოვებთ.

- მართალი ხარ, ჭაბუკო, ვისაც ვკითხე, ამგვარი რამ საერთოდ არ სმენიათ, თუ მის წარმოებას შეძლებო, მეუბნებიან თანამოაზრეები, ის გახდება თითოეული ოჯახის მარჯვენა ხელი, შენ კი - მილიარდერიო!

- სიმართლე უთქვამთ, თქვენს წარსულ საქმიანობას ცოტათი მაინც აჯობებს!

- რას ამბობთ, ჭაბუკო, საერთაშორისო ბაზარზე სიახლე, ისიც როგორი, იცით, რას ნიშნავს?!

- რას ადარებთ, სერ!

- საბანკო ანგარიშზე დამჯდარ თანხას n ხარისხში!

- ადვილი შესაძლებელია. მაშინ იმოქმედეთ, მე თქვენ გვერდით ვიქნები. ნაგებობას სანამ დაამთავრებთ, დეტალებისთვის ფორმები მზად მექნება. ნახვამდის!

* * *

მალე სკოლაში საზაფხულო არდადეგები დაიწყო. თავისთავად მომიწია დღის რეჟიმის შეცვლა. ამასთანავე დავიწყე მათთვის შესაფერისი, ყოველდღიური განრიგის შედგენა. ძირითად დროს გასართობ ღონისძიებებს ვუთმობდი. კვირის ბოლო გამოყოფილი მქონდა ქალაქში გასვლის დღედ. მის გეგმაში შედიოდა: თავისუფალი სეირნობა, კარუსელები, ზოოპარკი, საბავშვო კინო-თეატრი, ბავშვთა სახლიდანაც გართობის უამრავი არჩევანი იყო, საცირკო სანახაობები და ა. შ.

განრიგის უპირატესობა ის კი არ იყო, რომ ბავშვებს გართობის მრავალფეროვნება მოსწონდათ, არამედ მათი გონების აქტიურ დასვენებას რომ უწყობდა ხელს.

შესაბამისად, მიწევდა მეუღლის დახმარება და თანადგომა, წინა საარჩევნო ციებ-ცხელების გადასატანად. როცა საღამოს შინ მოდიოდა, მიუხედავად გადაქანცულობისა, მის ნაკვთებზე კმაყოფილების კვალს მაინც ვამჩნევდი. უხაროდა, მათი პოპულარობა თანდათან მაღლა რომ იწევდა. თვის ბო-

ლოს მისი კავშირი და უმრავლესობის პარტიის რეიტინგი თანაბარი ქულებით იქნა შეფასებული, ხოლო ორი თვის თავზე მისმა მაჩვენებელმა ოთხი ერთეულით წინ წაიწია. ეს უკვე ახალშექნილი კავშირისთვის სერიოზული ზეობა იყო...

ამასობაში ზაფხულმა გაინაპირა - მოგვიახლოვდა ახალი სასწავლო წელი და ერთ თვეში არჩევნებში მონაწილეობის დროც. ჩვენი უმცროსი ბიჭიც სკოლაში მივიყვანეთ. ისიც, როგორც თავისი და-ძმა, მომზადებული შეხვდა სასწავლო წლის დაწყებას.

კვლავ წინა რეჟიმს დავუბრუნდი, როგორიც ადრე მქონდა. დღეს დილით ყველა ქალაქში ჩავიყვანე. მეუღლემ ავტომანქანა სადგომიდან გამოიყვანა, ბავშვები თავ-თავიანთ ადგილებზე დასხა და თვალს რომ მიეფარნენ, მე ისევ უკან დავბრუნდი. ბაღჩაში ცოტა წამუშავების შემდეგ კვლევით განყოფილებაში გავედი და ნაწილებისთვის ფორმების დამზადებას შევუდექი. მათმა დამზადებამ ისე გამართო, საათს რომ დავხედე სკოლიდან ბავშვების გამოსაყვანად ოციოდე წუთი მქონდა დარჩენილი. თანაც შიმშილის გრძნობამაც თავი გამახსენა. ხელდახელ ბუტერბროდი გავიმზადე და გარეთ გამოვედი. რამდენიმე წუთში სკოლის წინ ვიდექი. დიდხანს ცდა არ დამჭირვებია, მალე გაისმა გაკვეთილების დამთავრების ზარიც.

- მამი, მამი! - მეძახის უფროსი ბიჭი.

- აქ ვარ, შვილო, რა შორიდან დაიწყე, ალბათ რაღაც უნდა მომახარო!

- დღეს უმაღლესი ქულა მივიღე მათემატიკაში!

- ყოჩაღ, ხომ არ გაგჭირვებია? თუმცა, რას გაიჭირვებ, ორი კლასის მოქმედებები წინასწარ იცი. შენ, ჩემო თვალხატულა გოგონავ?

- მე ხატვის მასწავლებელმა შემაქო და მაღალი ქულაც დამიწერა!

- რა შეასრულე, გვეტყვი?

- თავისუფალი თემა იყო, რაც გვსურდა, ის უნდა დაგვეხატა. მე კი გრაფიკული ნახატი შევასრულე, შტრიხებით.

- არ გვიამბობ, რა დააგრაფიკე?

- გეტყვი, დავხატე პატარა კიკინებიანი გოგო, როგორ უყურის პურის ნამცეცებს მტრედებს.

- აი, ყოჩაღ, შვილო, სად გაქვს დახატული?

- მასწავლებელმა დაიტოვა, სკოლის დაფაზე უნდა გავაკრათ! - მითხრა.

- მაშ, იქ თუ შენმა ნახატმა მოწონება დაიმსახურა, მერე ქალაქის გამოფენისთვის გადაიტანენ. კარგი დასაწყისია, შვილო. შენ რა მიიღე, ჩემო ბუთხუზ?

- მე არფერი, ხვალ უნდა მკითხოს!

- შენ რა იცი, გკითხავს თუ არა?

- არ ვიცი, მამი, მე ასე ვფიქრობ!

- რომელი საგნის მასწავლებელი შეგეკითხება, ისიც იცი?

- კი, ქართულის!

- მაშინ ისიც გვითხარი, რას გკითხავს!

- გამომიყვანს დაფასთან და ასოებს დამაწერინებს, რაც დავალებად მოგვცა.

- კარგი, ვნახოთ, შენი წინასწარმეტყველება რა შედეგს მოიტანს. ახლა ერთი შეკითხვა ყველას - სასპორტო სკოლაში გახსნეს თქვენი ტოლი გოგო-ბიჭების ცურვის ჯგუფი, გსურთ თუ არა, რომ იაროთ სხვა ბავშვებთან ერთად?

- მამი, ჩვენ ხომ ვიცით ცურვა?

- იცით, მაგრამ იქ სხვა სტილის ცურვას ისწავლით, მერე შეჯიბრებებზე წახვალთ, გინდათ არა სხვას რომ გაეჯიბროთ და გაიმარჯვოთ?

- გვინდა! - ერთხმად გამცეს პასუხი.

- რაკი გსურთ, მაშინ კვირის დასაწყისში მივიდეთ და ჩავეწეროთ.

საუბარ-საუბარში სახლის კარსაც მივადექით. ბავშვები ვაბანავე, დავაპურე და სამეცადინო მაგიდასთან დავსხი, მე კი შორიდან ვაკვირდებოდი მათ დამოუკიდებელ მეცადინეობას. სხვათა შორის, არცთუ ურიგოდ ასრულებდნენ საშინაო დავალებებს.

დედამისის მოსვლამდე იმეცადინეს. მერე მთის ბინაში ავიყვანე, მისვლისთანავე საქანელებს მიაკითხეს, ქანაობით

გული რომ იჯერეს, სასპორტო დარბაზში მთხოვეს შესვლა.

- თქვენ ახლა ცოტა დაისვენეთ, მერე მე ერთ საინტერესო თამაშს გასწავლით!

- რას, მამი? - დაინტერესდა პატარა ბიჭი.

- ეს არის ჭადრაკი. შემოუსხედით თქვენს მაგიდას და მეც მალე მოვალ.

ჩემი ოთახიდან ჭადრაკის ყუთი გამოვიტანე, მათ გვერდით დავჯექი და თავდაპირველად ჭადრაკის წარმოშობის ისტორია გავაცანი, მისი ფიგურების რაოდენობა, მათი სახელწოდება და სვლის მიმართულებები.

- აქ შევჩერდეთ, დღეისთვის საკმარისია, დანარჩენი ხვალ.

მომდევნო დღეს ნასწავლის გამეორების შემდგომ ახალი მასალა გავაცანი, ფიგურების მიზანდასახულობა, საწყისი სვლები და მისი განვითარება.

ათვისება არც ერთს არ გასჭირვებია. გადავწყვიტე, ცურვასთან ერთად ჭადრაკის ჯგუფშიც ჩამეწერა, აშკარად ვგრძნობდი, რომ უმოკლეს ვადაში, განსაკუთრებით უმცროსი ბიჭი, ღირსეულ წარმატებებს მიაღწევდა.

ორშაბათ დღეს სასპორტო სკოლაში მივედით. სკოლის ხელმძღვანელს ავუხსენი ბავშვების მონაცემები და ვთხოვე, მათთვის გამოცდილების მქონე მწვრთნელები შეერჩიათ.

- კი, ბატონო, უპირველესად ბავშვებს სპეციალური ტესტების საშუალებით შევამოწმებთ, ამის მიხედვით კი შევურჩევთ ჯგუფებს.

ტესტირების ჩასატარებლად ჯერ საჭადრაკო ოთახში გაიყვანეს, შემდეგ - საცურაო აუზთან.

მონაცემების მიხედვით ბავშვები, როგორც მათმა მომავალმა მწვრთნელებმა მითხრეს, დაწყებითი მომზადების მეორეწლიანებში ჩარიცხეს.

- ვინაიდან მათ საწყის ეტაპზე საკმაოდ კარგი გონებრივი და ფიზიკური მონაცემები აღმოაჩნდათ, - აღნიშნავს სასწავლო ნაწილის გამგე, - ვიმედოვნებ, რომ სასწავლო-საწვრთნელ პერიოდში მათი ფარული შესაძლებლობები უფრო სწრაფად გამოვლინდება, ვიდრე სხვების.

მანვე გადმოგვცა მეცადინეობებზე მისასვლელი გრაფიკი და წარმატებებიც გვისურვა.

სასპორტო სკოლიდან ბავშვები პირდაპირ სავაჭრო ცენტრში წავიყვანე, ახალი საბანაო კოსტიუმები შევუძინე, ნაყინით გავუმასპინძლდი და შინ დავბრუნდით.

საღამოს დედას ანგარიში ჩააბარეს. მისხალ-მისხალ მოუყვნენ, სკოლიდან სად წავიდნენ, ვინ ნახეს, მამამ რა უყიდა და შეუძინა.

დედამ შეაქო ბავშვები ტესტების სანიმუშო ჩაბარებისთვის, თვითონ კი, თავის მხრივ, მოგვიყვა, დასავლეთის რეგიონულ ცენტრებში გამოსვლებისას საზოგადოება როგორ შეხვდა წინასაარჩევნო პროგრამას.

- ხალხს შეჰყვარებიხართ, - ვაქებ მათ მონდომებას, - როგორც ექიმები და მაშველები! ახალი მონაცემებით გამოკითხულთა შორის თქვენი რამდენი მანდატია ნაჩვენები?

- ოცდათოთხმეტი.

- კარგია, არჩევნებამდე ცოტას კიდევ მოიმატებს.

- იცი, რა მინდოდა მეთქვა, - თქვა და შეჩერდა, - არა, არაფერი, გადავიფიქრე.

გადმომხედა და გამიღიმა.

- რატომ არ დააბოლოვე?

- აკი გითხარი, გადავიფიქრე-მეთქი!

- შენ კი, მაგრამ მე ხომ მაინც მივხვდი, რის თქმას აპირებდი.

- ვიცი, რომ მიხვდი, მე უნებურად ამომიტივტივდა სათქმელად, მაპატიე, შენ სხვას აუკრძალე არჩევნებში არაბუნებრივი საშუალებების გამოყენება, ან შენ ამას როგორ გაიაზრებდი!

- ადამიანები ვართ, ძვირფასო, ჩვენც გვაქვს ინსტინქტები. ხანდახან გაუცნობიერებლად შინაგანი ბიძგი იძლევა ამის გააზრების საშუალებას, არადა, ინსტინქტების გარდა გონებაც ხომ გვაქვს, ეს ის იარაღია, რომლის მეშვეობითაც უნდა ვებრძოლოთ ისეთ ვნებებს, რომლებიც უკადრისია. შემდეგი, შენი იმიჯი სრულიად მალე ისეთი ძლიერი გახდება, რომ აზრი მაქინაციების გამოყენებაზე აღარ ამოგი-

ტივტივდება, შენ ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდი, თუ რა შევმატეთ ეროვნულ ფარმაკოლოგიურ საუნჯეს. მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნივთიერებებისგან დავამზადეთ ისეთი სამკურნალო მედიკამენტები, ფარმაცევტიკის ისტორიას ანალოგი არ გააჩნია. ყველა ჩვენ მიერ დამზადებულ მედიკამენტში ჩატვირთულია სპეცპროგრამა, რომელიც დანიშნულებისამებრ მოქმედებს, სხვა ორგანოთა დაუზიანებლად, უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზმმა ვერ მიიღო პრეპარატი, როგორც სამკურნალო საშუალება, უკუჩვენების დაწყებამდე იხსნება პრეპარატის მეორე დანიშნულების ფუნქცია, ანუ მასში შემავალი ყველა სახის ნივთიერება იწყებს თავისი თავის ლიკვიდირებას, ამასთანავე, ვაწარმოებთ კვლევას ახალი სამკურნალო საშუალების შესაქმნელად, რომელიც უკვე აცნობე ამომრჩევლებს. ამავე დროს შესანიშნავად ფუნქციონირებს ჰუმანიტარული დახმარების ფონდი, ისინი, ვისაც ურიგდება ყოველთვიური ფულადი დახმარება, თანაც იციან, გამარჯვების შემთხვევაში დახმარების რაოდენობა გაეზრდებათ, უცხადესია, შენ გვერდით დადგებიან, ეს ხომ დამატებითი ქულებია. აქვე შეიძლება დაგებადოს აზრი - ჩვენ კი ვიქცევით ისე, როგორც მორალს შეეფერება, მაგრამ სხვები?

- დროული შენიშვნაა, იქნებ შენვე უპასუხო! - ისე მეყსეულად მთხოვა, ეტყობოდა, წინასწარ ჰქონდა მომზადებული შესაკითხად.

- გეტყვი, ძვირფასო, ვიმოქმედებ. უშუალოდ ხმის მიცემის და დათვლის პერიოდში ყველა უბანში სათვალთვალო მოძრავი ლაზ-თვალი გააკონტროლებს. ასე რომ, მშვიდად იყავი. შეხვედრებზე ყოჩაღად ილაპარაკე, გაწეული გარჯა უთუოდ დაგიფასდება. ახლა გავალ და ფორმების დამზადებას შევუდგები.

- რა ფორმების?

ამ დრომდე მისთვის არ მქონდა ნათქვამი ძველ ნაცნობთან შემდგარი საუბრის შესახებ. როცა დაწვრილებით მოვუყევი, გაუხარდა.

- კარგად მოგიფიქრებია. შემოსავალს შემოსავალი დაემატება.

- შესაბამისად, გასავალი მოიმატებს. კარგი, დანარჩენი სათქმელი სხვა დროს გავაგრძელოთ. სჯობს ფორმებს მივხედო.

ფორმების დამზადებას არ ვჩქარობდი, რამდენ ერთეულსაც ვასრულებდი, მხოლოდ წინასწარი მომზადების მიზნით, თორემ ნაგებობის დასრულებამდე დრო უამრავი მქონდა. თადარიგს იმისთვის ვიჭერდი, რომ თუ სხვა მნიშვნელოვანი საქმე იჩენდა თავს, მის შესასრულებლად დაბრკოლება არ უნდა გვქონოდა.

მომდევნო დღეს, როცა ქალაქიდან დავბრუნდით, კვლევისთვის განკუთვნილ იმ სექტორს მივაკითხე, სადაც ექსპერიმენტისთვის ბოცვრები მყავდა განთავსებული. მათი ხელახალი ანალიზის განხილვას დიდი ხანი არ დასჭირვებია. სამუშაო კუთხეს დავუბრუნდი და სანამ ფორმების დამზადებას განვაახლებდი, ჩემს ძველ ნაცნობს დავუკავშირდი.

- გამარჯობა, სერ, როგორ განწყობაზე ხართ?

- გმადლობთ, ჭაბუკო, მეც კარგად ვარ და ჩვენი წამოწყებული კომპანიაც. ფორმალური მხარე ათ დღეში უკვე მოგვარებული მქონდა. რაც შეეხება მშენებლობას, ჩვენი ერთ-ერთი წევრი სამშენებლო ბიზნესს აწარმოებს, სწორედ მან მოზიდა საწარმოო საშუალებები, მშენებლობასაც თავად ხელმძღვანელობს. მუშახელი ორცვლიან რეჟიმზე გვყავს გადაყვანილი, მე ვფიქრობ, რომ უმოკლეს ვადაში მზად გვექნება ნაგებობა.

- კარგი ინფორმაციაა. მეც დაწყებული მაქვს ფორმების დამზადება. მაქსიმუმ ნახევარი თვე დამჭირდება მათ დასამთავრებლად. მშენებლობას დაასრულებთ თუ არა, იმ დღესვე სტანდარტული ყუთებით მიიღებთ ტვირთს. სქემის წაკითხვა ხომ არ გასჭირვებიათ?

- თავიდან კი, გაუჭირდათ, მერე და მერე გაერკვნენ, ძალიან მოეწონათ, ავტორი იკითხეს. ვინაიდან ვინაობა არ ვიცოდი, მეტსახელი შეგირჩიეთ და დუბლ-ვერდად მოგნათლეთ, ამ სახელით გავაცანი მათ თქვენი თავი. ორიგინალურ ნამუშევრად შეაფასეს, ყველასათვის სასურველი საოჯახო

ნივთი და დიასახლისის მარჯვენა ხელი გახდებაო. მოკლედ, თქვენი იდეა ვისაც გავაცანი, ყველას მოეწონა, თანაც წინასწარი დაკვეთა მომცეს, პირველი პარტიიდან ჩვენც შეგვახვედრეთო.

- ძალიან კარგი, თუ ჩემგან დახმარება არ გსურთ, ერთი კვირის თავზე დაგიკავშირდებით.

- გმადლობთ, ჭაბუკო. ყველაფერი გარკვეულია. კარგ დღეს გისურვებთ!

- ასევე, სერ!

საუბარი რომ დავასრულე, ისევ ჩემი წამოწყებული საქმე გავაგრძელე. ერთი საათის წამუშავების შემდეგ ბაღჩაში ჩავედი. დღევანდელი დღისთვის საჭირო ბოსტნეული კალათაში ჩავაწყვე და სათევზაოდ მდინარის სანაპიროზე ჩავედი. აპარატის შემწეობით თევზების დაჭერა მალე დავამთავრე, რიყის ქვებზე ჩამოვჯექი და ქვებზე მორბენალი წყლის ტალღებს თვალი გავუსწორე. მისი ხმაურიც მეამა.

ფიქრებში ისე გავერთე, ტყის ველური ძაღლები როგორ მომეპარნენ, ვერც კი გავიგე. რომ არა აპარატის ვიბრაცია, რომელიც პასუხს აგებდა გარემო გამღიზიანებლის რეაქციაზე, სრულ ბლოკადაში აღმოვჩნდებოდი. სანამ ფეხზე წამოვხტებოდი, კომპას-აპარატი საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი უკვე ხელთ მქონდა. მუხლად ორი ნაბიჯით მდინარის მხარეს გადავედი და შემოვბრუნდი. აპარატიდან გამოსხივებულმა სხივებმა ორი დაწინაურებული ადგილს მოსწყვიტა, განმეორებულმა ჯერმა კი - მათი უკანა რიგები.

გარემო შევათვალიერე, კალათებს ხელი მოვკიდე და დაწყნარებულმა მღვიმეს მივაშურე.

საათი ჩემი ქალაქში წასვლის დროს მიჩვენებდა. სასწრაფოდ გადავიცვი და გარეთ გამოვედი.

სკოლიდან გამოყვანილ ბავშვებს თითო-თითო ბანანი დავურიგე და სპორტული მეცადინეობისთვის საცურაო აუზში წავიყვანე...

მომდევნო დღეს იმავე განრიგით ჭადრაკის მეცადინეო-

ბას დავესწარით.

მოცემული გრაფიკი საშუალებას აღარ მაძლევდა, სხვა საქმიანობისთვის მეტი ყურადღება დამეთმო. ძირითადი დრო მათ სწავლა-აღზრდას მიჰქონდა. ახლა ჩემთვის თითოეულ წუთს ფასი დაედო. ყოველი დღე სრულიად განსხვავებული და საინტერესო ხდებოდა. ერთფეროვნება არასოდეს მქონია, მაგრამ ახლა, წარმოდგენას გადააჭარბა. ჩემთვის სპეციალური განრიგი შევიმუშავე, რათა დღის მანძილზე უმთავრესი მოვალეობის გარდა სხვა საყოფაცხოვრებო საქმეც მომეგვარებინა.

სულ მალე არჩევნების თარიღი დგებოდა. მეუღლის რეიტინგი, რაც დრო გადიოდა, უფრო იმატებდა. პროგრამის მიხედვით მედკავშირის საორგანიზაციო კომიტეტი შექმნიდან დღევანდელ დღემდე რაც ხელეწიფებოდათ, პროგრამის ზოგიერთ პარაგრაფს ამომრჩევლებს წინასწარ უსრულებდა. „ჯერ არ მოსულან და ასრულებენ", - ამბობდნენ ამომრჩევლები, - „მერე რას იზამენ, როცა მოვლენო". იყვნენ ისეთებიც, ვინც ეჭვის თვალით უყურებდა მათ თანადგომას.

საორგანიზაციო კომიტეტთან შექმნილი მედ-მაშველთა განყოფილების წევრები ყოველდღე ზრუნადნენ თითოეული მოქალაქის ურყევ სიჯანსაღეზე. ამ მიზნით პროფილაქტიკის ჩასატარებლად მოსახლეობას ისეთი მედიკამენტის მოხმარებას სთავაზობდნენ, რომლებსაც ორგანიზმის დაცვითი ხაზის გაძლიერება ხელეწიფებოდა.

ჰქონდათ წინააღმდეგობებიც, ძირითადად იმ პარტიის წარმომადგენლებთან, რომლებიც პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენდნენ. თანდათან მათთანაც გაწონასწორდა ურთიერთობა.

დღეს ქალაქიდან ადრე დავბრუნდი. პირდაპირ ჩემს სამუშაო ოთახში შევედი და მინი-ბუფეტის, კერძოდ, მექანიზმში შემავალი დეტალების ფორმების დამზადება დავიწყე. პროცედურების შესრულება რთული არ იყო, მხოლოდ უამრავ დროს მოითხოვდა. სათითაოდ უნდა შემექმნა პროგრამა და კომპას-აპარატის შემკვეთი პუნქტისთვის მიმეწოდებინა.

თითქმის ერთი კვირა გაგრძელდა მათი შექმნის პერიოდი. ხანმოკლე შეჩერება არჩევნების დღეს დავამთხვიე. მონიტორის წინ ვიჯექი და ყოველ საარჩევნო უბანს ვადევნებდი თვალს, როცა საეჭვოს შევნიშნავდი, ჩვენს წარმომადგენელს ვუკავშირდებოდი, ის თავისთავად - ცენტრალური კომისიის თავმჯდომარეს. საბოლოოდ ორ საარჩევნო უბანზე აღმოვაჩინეთ ხარვეზები. ვინაიდან უმნიშვნელო იყო, ხელმეორედ ჩატარება მიზანშეწონილად აღარ ჩათვალეს და ადგილზევე ჩაასწორეს.

განსაცვიფრებელი ხმების დათვლის შემდგომი პერიოდი გახდა. არავინ რომ არ ელოდა, ისე განაწილდა ხმათა რაოდენობა. მედიკოსთა პარტიამ 55 მანდატი მიიღო. დანარჩენი ხმები ორმა პარტიამ გაინაწილა.

ზეიმობდა მთელი ქვეყნის მედპერსონალი, ისიც კი, ვისაც მედიცინასთან ოდნავი შეხება ჰქონდა, ცხადია, ამომრჩევლებთან ერთად.

ზეიმი მეორე დღეს, საზეიმო საღამოზე გაგრძელდა. რომელი სახელმწიფოს მედიკოსები აღარ ულოცავდნენ მათ წარმატებას. იყო დიდი სიხარული და აღტაცება.

სუფრასთან მედიკოსებს აღვუნიშნე, რომ დღეიდან დაიწყო მშობლიური ქვეყნის ნამდვილი თერაპიული სამსახური. უხაროდეს ყველას ჯანსაღ სახელმწიფოში ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ გამარჯვებას, - მივმართავდი მათ, - აუცილებლად მოჰყვება საერთაშორისო მედიკოსთა გაერთიანება ერთი მიზნის ქვეშ. აღნიშნულ ინიციატივას ბიძგს მისცემს ჩვენ მიერ ბოლო წლებში შექმნილი სამკურნალო საშუალებები.

დედის გამარჯვება უხაროდა ბავშვებსაც. მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდნენ, რა იყო არჩევნები, მაინც გრძნობდნენ დედის წარმატებას. დაკუნტრუშებდნენ და ფერად-ფერად ფიფქებს სიხარულით აქეთ-იქით ფანტავდნენ.

ოჯახში ცალკე აღვნიშნე მეუღლის გამარჯვება, თან საჩუქარი დავახვედრე - განსხვავებული დედოფალა, მაღალ ქუსლებზე შემდგარი, მუქი კოსტიუმით და ქვედა კაბით, ხელში საქაღალდით.

- გილოცავ გამარჯვებას, ძვირფასო, - ვაგრძელებ მეუღლის ლოცვას, - ახლა შენ ორმაგი ძალისხმევა დაგჭირდება, რომ მოპოვებული გამარჯვება შეინარჩუნო. შენ ეს უნდა შეძლო!

- შევძლებთ, ამიტომ დავიჭირე თადარიგიც.

- რა თადარიგზე გაქვს საუბარი?

- მხოლოდ არ გამიბრაზდე!

- თუ გასაბრაზებელი არ იქნება, იოტისოდენა რეაგირებას არ მოვახდენ.

- შენს დაუკითხავად, სიას როცა ვადგენდი, მეორე ნომრად ჩაგწერე!

- რაო? სიაში, თანაც მეორე ნომრად? - ავუწიე ხმას.

- ხომ გთხოვე, არ გამიბრაზდე-მეთქი!

- ძვირფასო, მე რომ მდომოდა ერთი ან მეორე, შენ კარგად იცი, მათ ასრულებას ადვილად მოვახრხებდი. არადა, მე ხომ ამას ვგრძნობდი, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი.

- მე მინდოდა, ჩემო კარგო, პარლამენტშიც ჩემ გვერდით ყოფილიყავი!

- გავიგე, გენაცვალე, იცი, რაშია საქმე? ენერგეტიკული ბადის წყალობით კი გახდა საზოგადოების ფსიქოლოგია უფრო პოზიტიური, მაგრამ პოლიტიკა, ფართო გაგებით, თითქმის იგივე დარჩა, მასთან მიდგომა შედარებით დაიხვეწა, თუმცა, ის მაინც პოლიტიკაა და არა რომელიმე ჰუმანიტარული დარგი.

- ვიცი, რომ არ ხარ მისთვის მოწოდებული, მესმის შენი გულისწუხილიც, გამოუვალი მდგომარეობა ხომ არ არსებობს. მით უმეტეს, შენ გაქვს გარემოს ადაპტაციის არაჩვეულებრივი უნარი. გთხოვ, ხედავ, ბავშვებიც როგორი თხოვნის თვალებით გიცქერენ, იქნებ იმ გადმოსახედიდან უკეთესი რამ მოიფიქრო ქვეყნის საკეთილდღეოდ. შენ ისეთი ლოგიკური მსჯლელობის ნიჭი გაქვს, უსათუოდ მოგისმენენ და მხარს დაგიჭერენ!

- ვთქვათ, დავთანხმდი, სხვას ყვეალფერს თავი რომ დავანებოთ, ბავშვებს ვინ მიაქცევს ყურადღებას, გასაგებია, ვინმე

გამოჩნდება, მაგრამ მშობლების მაგივრობას ისინი ხომ ვერ გასწევენ.

- დედაჩემს ვეტყვი, საწყის ეტაპზე ის მიხედავს, მერე ხან მე, ხან შენ ჩავენაცვლებით. დასაწყისია ჩვენთვის ძნელი, თორემ შემდგომ მოღვაწეობა გვიჩვენებს, როგორ მოვიქცეთ!

- კარგი, გენაცვალე, ჩემს პასუხს შემოთავაზებულ წინადადებაზე, დედოფალას ხელში დაჭერილ საქაღალდეში ნახავთ.

ბოლო სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, რომ ყველამ ყურები დაცქვიტა.

მეუღლემ ჯერ დედოფალას ხელში დაჭერილ საქაღალდეს გადახედა, მერე მე შემომხედა, ხომ არ ხუმრობსო. არც გახსნას ჩქარობდა. განზრახვას მივუხვდი და სანამ იმავეს გავუმეორებდი, ჩემმა უმცროსმა ბიჭმა დამასწრო.

- დედი, მამა მართალს ამბობს, შიგნით ფირფიტაა და ზედ აწერია!

- შენ რა იცი, შვილო?

- ვხედავ, იქ წერია, რომ...

- არ თქვა, მამი, - შევაჩერე ჩემი ნაბოლარა, - თვითონ წაიკითხოს, შვილო!

მეუღლე მიუჯდა მაგიდას, დედოფალას ხელში დაჭერილ საქაღალდეს დასწვდა და გასახსნელად მოემზადა. პირველ ცდაზე რომ ვერ გახსნა, ისევ მე შემომხედა, მერმედ კვლავ საქაღალდეს მიუბრუნდა. საიდან არ უტრიალა, გარშემო რომ ვერაფერს მიაგნო, ამოატრიალა, იქნებ საიდუმლო გასახსნელი ქვემოდან ჰქონდესო. იქაც რომ ვერ მიაგნო, გაბრაზებულმა შემომჩივლა.

- კარგი, მორჩი ჩემს წვალებას, მითხარი, როგორ იხსნება?

- სულ უბრალოდ, საქაღალდე რომელ ხელშიც უჭირავს, შუა თითზე ბეჭედი უკეთია, მიაჭირე თითი ბეჭდის თვალს, საქაღალდიან ხელს წინ გამოიშვერს და თვალწინ გადაგიშლის!

აღარ დაყოვნებულა. აჩქარებით შეასრულა ჩემი მითითება და წარმოსათქმელი სიტყვა ბაგეებს ვეღარ გადმოაცილა.

შიგნით იდო ძვირფასი ლითონისგან დამზადებული მსხვილად ნაქსოვი ყელსაბამი მედალიონით, ზედ წარწერით, ყოველი ასო ბრილიანტის ქვებით იყო გამოყვანილი - მიგულე შენ გვერდით.

- ვაუ, - როგორც იქნა, ამეტყველდა, - ისე ბრწყინავენ, ვარსკვლავთა ხეივანს მაგონებენ, მშვენიერია, ამას ნამდვილად არ ველოდი, ბედნიერების განცდის კიდევ ერთი საღამო!

- ბევრი განგეცადოს, ძვირფასო!

- გმადლობთ, თან ორმაგი ბედნიერება, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაშასადამე, შენ თანახმა ხარ, ორივე ძვირფასი საჩუქარია!

- სადაა, - შემოვძახე ბავშვებს. - თქვენი საყვარელი ფიფქები მოიტანეთ და ააფრიალეთ დედიკოს თავზე!

ბავშვებს მეტი რა უნდოდათ, უცებ დასტაცეს ხელი ფანტელების სასროლ სათამაშოებს და ერთი ბათქაბუთქი აუყენეს.

მეუღლის გარშემო თოვლის ფიფქებმა ფარფატით დაიწყეს განფენა. ბავშვები კი კუნტრუშ-კუნტრუშით და ყიჟინ-ყიჟინით გასძახოდნენ: გილოცავ, დედი, გილოცავ!

ზეიმი გრძელდებოდა. წითელმა ღვინომ მადა გაგვიძლიერა. შეციებული მჭადი და მწვადები გამოსაცოცხლებლად ნაღვერდალზე დაწყობილ კეცებში ჩავაწყვე, მაგიდასთან დავბრუნდი და ბავშვებს დედის პატივსაცემად ერთი სიმღერის შესრულება ვთხოვე.

არც კი დაფიქრებულან, ერთი-მეორის გვერდით დადგნენ და დედაზე სიმღერა დაიწყეს.

საამოა ბავშვების გულიდან ამოსული სიმღერის მოსმენა. მათი შეხმატკბილებული ხმების ფონზე ჩემი ბავშვობის წლები გამახსენდა, რამდენჯერ გვიმღერია ხოლმე, სტუმრიანობის დროს და-ძმებს მშობლების თხოვნით.

მეუღლეს გადმოვხედე. თვალებზე სიხარულის ცრემლები ჰქონდა მომდგარი. ღაწვზე ჩამოგორებული კურცხალი თმით შეიმშრალა და ნამიანი თვალებით კრძალვით შემომხედა. დუმდა.

- ძვირფასო, გუნება ხომ არ შეგეცვალა? - შევნიშნე მისი გულაჩუყებული ხასიათი.

- არა, აცრემლება სიხარულმაც ხომ იცის!

- ცრემლის ლული, ძვირფასო, ზედმეტმა მგრძნობელობამაც იცის!

- პასუხს, სიმღერას რომ დაამთავრებენ, მაშინ გეტყვი!

წინ ჩამოშლილი თმა მხრებზე გადაიყარა და სმენად გადაიქცა.

ბავშვებმა რომ მოიმღერეს, ჩვენს შექებას აღარ დაელოდნენ, გაბრუნდნენ და თაროებიდან სათამაშოების ჩამოღება დაიწყეს.

მეუღლემ თიხის თასში სასმელი ჩაიმატა, წამიერად ჩაფიქრდა და დაიწყო:

- შენი სადღეგრძელო მინდა რომ ვთქვა, რომც არ დამრთო ნება, მაინც უნდა ვთქვა.

- თუკი დაჟინებული მოთხოვნაა, შენს ნებას წინ ვინ დაუდგება!

- მე არ მინდა, - დაიწყო ჩვეული ხავერდოვანი ტონით, - გაცვეთილი ფორმით ვილაპარაკო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არაერთხელ მითქვამს შენთვის, რომ მე არ მქონია განებივრებული ბავშვობა და საკვირველი სტუდენტობა. მუდამ განვიცდიდი სიხარულისა და აღმაფრენის დეფიციტს. სიხარულს დავეძებდი ყველგან, საკლასო ოთახში თუ აუდიტორიაში. არც გრძნობის მორევს შევუწუხებივარ. არადა, რა ღირსეული და უაღრესად სასიყვარულო ყოფილა, როცა ვინმე გიყვარს და უყვარხარ. აი, სად სულდგმულობს სიყვარული და ხანგრძლივი განცდა სიხარულისა, ამას კი შენ უნდა გიმადლოდე, შენ რომ არა, შემიძლია ვთქვა, თვალის დახამხამებაში წარმატება წარმატებაზე წარმოუდგენლად მიმაჩნდა და ვინ იცის, რა იქნება მომავალში, თუმცა, ვინ უწყის, კიდევ რა სიურპრიზს მოუმზადებ ადამიანს. ერთხელ, მახსოვს, იერარქიაზე მესაუბრებოდი, უტოპიურად ჩავთვალე და გაგაჩერე, შენ კი გამიბრაზდი. ახლა კი ჩემთვის ცხადი გახდა დაუჯერებელი უტოპიის შესაძლო სინამდვილე. კიდევ ერთხელ მი-

ნდა მადლობა გითხრა, უფრო იმისთვის, რომ შეძელი ჩემში მთვლემარე გრძნობის გაღვივება. შენ უნდა გიმადლოდე შტამპგარეშე ცხოვრებას, რომ არაფერი ვთქვა ჩემს მოკრძალებულ რეგალიებზე. განსაკუთრებით მადლიერი ვარ იმისთვის, რომ მე მეექვსე გრძნობა აღმომიჩინე. დავლოცავ შენს რაინდულ ხასიათს, შენი მრავალჟამიერი იყოს, ჩემო მზეჭაბუკო!

თიხის თასიდან სასმელი მოსვა, ამოისუნთქა და თასი მაღლა ასწია. ალავერდის გადმოსვლის ნიშანი მომცა. არც მე დამიყოვნებია. შევსებული თასი მარჯვენა ხელისგულით დავიჭირე და ფეხზე წამოვდექი.

- უღრმეს მადლობას, ტკბილო ჩემო, ფეხზე ადგომით გადაგიხდი. სამადლობელს მოუხდება. დასაწყისში ვიტყოდი, რომ მე ახლა ისეთი წრფელი სიტყვები მოვისმინე, მხოლოდ გულმხურვალე ადამიანს თუ შეეძლო ეთქვა, უფრო მეტიც, ასეთი ადამიანის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო განსაკუთრებული მადლითაა შემოსილი. მე ვგრძნობდი შენი ლოცვის ძალას, ვგრძნობდი, თუ როგორ შემოედინებოდა მისი ენერგია და რარიგად აძლიერებდა ჩემს დასაბამისეულ საწყისებს. ტკბილო ჩემო, ძვირფასი თვლებისაგან რა სამკაულებსაც ვამზადებდი, რარიგადაც ვირჯებოდი, მარტოოდენ შენი წინსვლისა და სიხალისისთვის, მხოლოდ შენი გრძნობის საცავში გამოკეტილი მეექვსე გრძნობის გასათავისუფლებლად და თუ მე ეს შევძელი, უდავოდ შენი თანაგრძნობის დამსახურებაც არის. ახლა ჩემი მოვალეობაა, აბიბინებული ჯეჯილი უწყლოდ არ დავტოვო. ამას როგორ მოვახერხებ, შენც კარგად იცი და კიდევ, ჩვენი სიყვარულის უმთავრესი მხარდამჭერი მეგობრისთვის დამახასიათებელი თვისებაა, ეს ის ნაწილაკია, რომელმაც სამყაროს უხილავი ველის შექმნაში მიიღო მონაწილეობა. მიხარია და ვამაყობ, შენ რომ ამ ფენომენის მატარებელი ხარ და სწორედ რომ ეს ორივე სუბსტანცია მმართველობს ჩვენს ხალას ბედნიერებას. მადლობელი ვარ დალოცვისთვის, ჩემო პატარა აკადემიკოსო!

- ენამ ხომ არ გიყივლა? ბოდიში, რომ ჩავერთვე, შესვი და მერე შეგეკითხები.

მე თასიდან ღვინის სმა აუჩქარებლად დავიწყე, თვითონ სავარძლის ზურგს მიეყრდნო, მოკიაფე ნაკვერჩხლებს გადახედა და გაფიქრიანდა.

შესმულ სასმელს ლუკმა მივატანე და შეკითხვას დაველოდე.

- კითხვას აღარ მისვამ? - ვეკითხები ფიქრებში წასულ მეუღლეს, - გელოდები, რის თქმას აპირებდი, თუ შეგიშალე ხელი, იქნებ მეცხრე ცაზე იყავი ასული!

მან ჯერ თმა უკან გადაიწია, შემდეგ სავარძლიდან წამოიმართა და ღიმილით მეკითხება:

- ხუმრობდი, თუ უჩემოდ რაიმე გაიგე?

- მე მგონი, ხუმრობის უფლება მაქვს!

- რა თქმა უნდა, გაქვს, მაგრამ ხუმრობის ნახევარი მართალი მაინტერესებს.

- მოძებნე არა გამოსავალი? ხალხში გასული შენ ხარ, ინფორმაციებს აქეთ უნდა მაწვდიდე, შენ კი ჩემგან ითხოვ ნახევარ სიმართლესაც კი!

- მაინტერესებს, კულისებში რას ლაპარაკობენ.

- მერე, რას ამბობენ, იქ არა ხარ, თუ არ გიმხელენ სათქმელს?

- რამე რომ ყოფილიყო, უსათუოდ მეტყოდნენ!

- ესე იგი ჯერ კულისებამდე არ მიუღწევია.

- არც იქ და არც ცენტრალურ განყოფილებებში!

- მაშინ, უნდა დაელოდო, თუ გზაშია, სადაცაა თქვენთან გაჩნდება.

- მე შენგან მინდა გავიგო!

- რომელი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვარ, ცნობები რომ მქონდეს?

- მე გეტყვი, დედი! - წამოიძახა პატარა ბიჭმა, როცა ყური მოჰკრა ჩვენს საუბარს.

- რა უნდა მითხრა, შვილო! - ახლა მას მიუბრუნდა.

- რაც მამამ უნდა გითხრას, მაგრამ მამას არ უნდა, რომ ვთქვა.

- მამა რომ არაფერს ამბობს? თუ აზრებს გადასცემთ ერთმანეთს, დედამ რომ არაფერი გაიგოსო, აბა, მიპასუხე!

- ძვირფასო, - ჩავერიე მათ საუბარში. - ხომ ხედავ, რომ ბავშვი წვალობს!

- ბავშვი კი არ წვალობს, ორივე მამა-შვილი მე მაწვალებთ, აიყოლიე არა პატარაც?

- კარგი, თუ ასე გსურს, გაუმეორე შეკითხვა და გეტყვის.

- არა, მან უნდა იმეცადინოს, შენ მითხარი! - დაიჟინა მეუღლემ.

- გეტყვი, უკეთესს ვის ვეტყვი, გენაცვალე, ერთი სიტყვით, გაიგებ მის შემდეგ, როცა ნევრორეგულატორზე მონაცემებს დასკვნითი სახით წარადგენ.

- უკვე წარდგენილი მაქვს.

- რაკი წარდგენილია, მაშინ ის მითხარი, სამეცნიერო საბჭოს როდის გააქვს?

- სამშაბათს!

- შენ ხომ უკვე პარლამენტში იქნები?

- დილას მას დავესწრები, მერე სხდომას დავუბრუნდები!

- თქვენს საბჭოს უმაღლესი სამეცნიერო სახელმწიფო უწყებიდან სტუმარი ეყოლება, აი, სწორედ ის მოგიმზადებთ სიურპრიზს!

- შენ რისი თქმა გინდოდა, შვილო? - დააინტერესა მისმა აზრმაც.

- სამსახურში ვინმე გეტყვის სასიხარულო ამბავს! - დაუფიქრებლად უპასუხა უმცროსმა ბიჭმაც.

- რას ამბობ, შვილო და რას მეტყვის?

- ეგ უკვე მამამ გითხრა, მე იმას დავამატებ, რომ შემდეგ იზეიმებთ, თუ ბავშვებიც იქნებიან, ჩვენც წაგვიყვანე, კარგი, დედი?

- აუცილებლად, შვილო, ნუთუ შენ არ იცი, იქნებიან თუ არა?

- მე კი ვიცი, მაგრამ შენი პასუხი მაინტერესებდა.

- უსმენ? - მომიბრუნდა მეუღლე, - შენი ბიჭი როგორ მცდის, თანდათან მამას ემსგავსება!

- რატომ მამას და არა დედას?

- შენი გენები ჭარბობენ!

- შენმა რა დააშავა, როცა 290 დღე შენს გარემოში იყო ნაყოფი, გენეტიკურ ინფორმაციასაც მეტს მიიღებდა და მემკიდრულ თვისებებსაც.

- ოჰ, რას მელაპარაკები, მამის როლი საერთოდ გამორიცხე?

- რატომ გამოვრიცხავდი? მემკვიდრული მასალა, რასაკვირველია, ჩემიც არის, რომ არა მე, აბა, საიდან ასეთი კარგი შვილები?

- შეიქე თავი როგორმე! - მომცა დამსახურებული შენიშვნა.

- ხუმრობა იქით იყოს, შენც კარგად იცი, რომ ჩვენი მემკვიდრული ფაქტორების ერთობლიობა მათში ერთდროულად მოქმედებს, ცოტა პლუს-მინუს!

- ვითომ გამოაკეთე, კარგები იყვნენ და შენი ექნებათ მეტი თუ ჩემი, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

- ნუღარ ვკამათობთ, ხედავ, ბავშვებს ცალი ყური აქეთ აქვთ. ცოტა ხნით შევისვენოთ. მანამდე გავალ ჩემს სამუშაო ოთახში და წამოწყებულ საქმეს გავაგრძელებ, შენ კი ბავშვებს მომზადებული საგნები გაუკონტროლე.

თავდაპირველად დღის განმავლობაში მომხდარი ახალი ამბები გადავამოწმე. ბოცვრებს გადავხედე, მერე აპარატს დავწვდი და ძირითადი საქმიანობა განვაახლე.

მეორე დღიდან დეპუტატის ამპლუა მოვირგე. რა გაეწყობოდა, მეც დროებით გონება პოლიტიკურ არხზე გადავრთე. არ იყო ჩემთვის სასურველი ნაბიჯი, მაგრამ თუ საერთო მიზნებს წაადგებოდა, შემეძლო მისაღებად ჩამეთვალა.

მედიკოსებისა და მესამე პარტიის გაერთიანებამ ერთიანი კავშირი შექმნა, ხოლო ყოფილი მოქმედი პარტია ოპოზიციაში გადავიდა.

მესამე დღიდან ერთიანმა კავშირმა მთავრობის ჩამოყალიბება დაიწყო.

დაინიშნა პრემიერ-მინისტრი. თავად პრემიერმა მინისტრთა კაბინეტი. მეუღლეს, უკვე სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრს, ჯანდაცვის მინისტრის, მე კი ჩემი შესაფე-

რისი გარემოს დაცვის მინისტრის პორტფელები გაგვინაწილა. მასთან ერთად დამაკისრეს პარლამენტში ამავე სფეროში შექმნილი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება. არადა, მე ხომ ისედაც ვასრულებდი ამ მოვალეობას ოფიციალურობის გარეშეც. ვინაიდან ჩემს სამინისტროში თითქმის მოწესრიგებული იყო ყველა საჭირბოროტო პრობლემა, უფრო დაწვრილებით განვიხილავდი ჩვენი ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებისა და განახლების საკითხებს. ამ მხრივ კი უზარმაზარი სამუშაოები იყო ჩასატარებელი. შევიმუშავე, მხოლოდ მათთვის, საგანგებო გეგმა და ამის მიხედვით დავიწყე თავმინებებული პრობლემების მოგვარება. ამასთან ერთად, მეუღლეს ვუწევდი დახმარებას ჯანდაცვის მოდერნიზებული სისტემის შესაქმნელად.

რაც შეეხება ბავშვების მეთვალყურეობას, დილით ისევ მე ვითავსებდი მათ სკოლაში წაყვანას. ჩავულაგებდი თითოეულ ბავშვს სპეც-კოლოფში რამდენიმე ცალ ხილს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მიეღოთ და ისე წასულიყვნენ სასპორტო სკოლის მეცადინეობებზე. ხოლო გამოყვანის პასუხისმგებლობა სიდედრმა აიღო საკუთარ თავზე. ეს წელს, გაისად თვითონ ბავშვები მოახერხებდნენ დამოუკიდებლად შინ მისვლას.

ჯერჯერობით იმავე გრაფიკით მიწევდა საყოფაცხოვრებო თუ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება.

დღეს, როგორც იქნა, ტრანსპორტის მინისტრს შევუთანხმდი პერიოდულად გაგვეყიდა მხოლოდ გამონაბოლქვის გარეშე წარმოებული ახალი მოდელის ავტომანქანები. პირველ ეტაპს დედაქალაქიდან ვიწყებდით. მინიმუმ ნახევარ წელიწადში ყველას უნდა მოეხერხებინა საკუთარი სატრანსპორტო საშუალების შეცვლა ახალი მოდელით.

მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე ბევრმა იმის გამო შეიკავა თავი, რომ ძვირად ღირებული ავტომანქანის შეძენას ყველა ვერ შესწვდებოდა და მეორე, მილიონობით უმოქმედო ტრანსპორტი თუ ჩვენთან აღარ გაიყიდებოდა, სად უნდა წაეყვანათ.

- პირველი პრობლემის მოწესრიგებას, - ვუხსნი კოლეგებს, - შეღავათიანი ფასებით მათ შემოყვანას მე ვითავებ და ვისაც არც მისი სრული გადახდის საშუალება ექნება, ჩაერთვება საბანკო სისტემა, სესხი ეტაპობრივი გადახდით. ხოლო, რაც შეეხება ჩამოწერილ ავტომანქანებს, შეისყიდიან თვით ავტოქარხნის მეპატრონეები, არადა, ჩვენც მარტივად შეგვიძლია მისი გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა. ესეც დამატებით შემოსავლის წყარო გახდებოდა ქვეყნისათვის.

- ამ ავტომანქანებს, - ჩამერთო ტრანსპორტის მინისტრი, - მალე ახალი მოდელი დაემატება. რამდენიმე ქალაქის გზებზე უკვე შევნიშნე, თუ პროცესს დავაჩქარებთ, დედაქალაქი თავისუფლად ისუნთქებს.

საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა. დადგენილების ერთ მუხლში მე დამავალეს, ორგანიზაცია გამეწია სახელმწიფოში სუფთა სატრანსპორტო საშუალებების შემოყვანისთვის.

ეს ჩემთვის რთული გადასაწყვეტი საკითხი არ იყო. მეორე დღესვე დავუკავშირდი ორივე ავტოქარხნის შეფს შეღავათიანი საცალო ღირებულებისა და ბითუმად შეძენის დასაზუსტებლად.

მოლაპარაკება მშვიდ ატმოსფეროში წარიმართა. საკამათო სიტყვაც არ წამოჭრილა. შევთანხმდით. მადლობა გადავუხადე მათ და დავემშვიდობე.

მესამე დღეს რომ გაიგეს, დადგენილებაში მოცემული პარაგრაფი უკვე შესრულებული მქონდა, გაკვირვებულები მეკითხებოდნენ, ქვეყნიდან არ გასულხარ და მორიგება როგორ მოახერხეო.

კავშირგაბმულობის მეოხებით. ხანდახან მისი გამოყენებაც საჭირო ხდება ხოლმე! -ვპასუხობდი ცნობისმოყვარეებს.

ახალი ავტომოდელები საზოგადოებას ისე მოეწონა, ერთ კვირაში მასობრივად დაიწყეს მათი შეძენა. საინტერესო ის გახდა, რომ მთავრობის არც ერთი წევრი არ ელოდა ხალხის ასეთ სწრაფ გამოხმაურებას.

დილით, სხდომის დამთავრების შემდეგ, ტრანსპორტის მინისტრი მეუბნება:

- სამწუხაროა, მთავრობისთვის სპეცმოდელს რომ არ აწარმოებენ.

- დაუკავშირდით, იქნებ მიიღონ შეკვეთა!

- ველაპარაკე მათ მენეჯერს.

- რა გიპასუხათ?

- უარი თქვეს, ავტოქარხნის გეგმაში არ გვიზისო.

- მე დაველაპარაკები, იქნებ გამოვნახო საერთო ენა. კიდევ რა არის?

- ავტობუსების პრობლემას წელს თუ ვერ მოვაგვარებთ, მომავალი წლისთვის იქნებ შევძლოთ!

- თანდათან ყველაფერს მოვაგვარებთ, ბატონო მინისტრო, წინასწარ ნუ განიცდით, - დავამშვიდე კოლეგა და მეუღლე, რომელიც ჩემი საუბრის დამთავრებას ელოდებოდა, გვერდზე გავიხმე.

- რის თქმას აპირებდი?

- როგორ მოვიქცეთ, დღეს ბავშვებს ჭადრაკში შიდა სასკოლო პირველობა ეწყებათ. ეს მათი პირველი შეჯიბრებაა, დედაჩემი კი იქნება, მაგრამ ჩვენგან ერთ-ერთი მაინც ხომ უნდა იყოს იქ!

- ვიქნებით, გენაცვალე, შენ თუ უამრავი სამუშაო გაქვს, მე ვთხოვ პრემიერს და ადრე წავალ.

- კარგი, ხვალ მე დავესწრები, ნეტავ როგორ ითამაშებენ, ჯერ სავსებით პატარები და გამოუცდელები არიან!

- პატარები კი არიან, მაგრამ თანდაყოლილი გამოცდილება აქვთ.

- რას არ იტყვი, გამოცდილება და ისიც თანდაყოლილი!

- უცნაურად ჟღერს არა? მათ აქვთ, უფრო მეტად პატარა ბიჭს, წინასწარი მიხვედრის, ანუ კომბინაციების განჭვრეტის განსაკუთრებული უნარი. გამოცდილებაც ხომ სწორი აზროვნების საფუძველს წარმოადგენს!

- შენ გინდა თქვა, რომ მათ მიხვედრისა და მიგნების გამორჩეული გრძნობაც აქვთ?

- შეიძლება ასეც ითქვას, თუ ამ შეჯიბრებაზე საპრიზო ადგილები დაიკავეს, სკოლის ნაკრები საქალაქო პირველობისთვის მოემზადება, ეს კი თითქმის ქვეყნის პირველობას უდრის. მე მაქვს იმედი და შენც იქონიე!

- უსათუოდ, მეც ვიმედოვნებ, კარგი, ახლა წავალ საქმეს მივხედავ.

როცა მეუღლე დამშორდა, სხდომის ჩასატარებლად მცირე სათათბირო დარბაზში შევედი, იქ შეკრებილი გარემოს დაცვის საპარლამენტო კომისიის თითოეული წევრისაგან ანგარიში მოვისმინე. გაანალიზების შემდგომ ახალი სამუშაო გეგმა, მომავალი შეკრების თარიღი და დრო გავაცანი და სამინისტროში დავბრუნდი.

მდივანმა, მოსაცდელ ოთახში შეშფოთებული ხალხის ჯგუფი დიდი ხანია გელოდებათო:

- რა საკითხმა შეაწუხათ! - ვეკითხები მათი წუხილით დადარდიანებულ მდივანს.

- უკანონო ასწლოვანი ხეების გაჩეხამ, ბატონო მინისტრო!

- მოსწრებული ხალხი ყოფილა, ადგილზე ალბათ ვერ ნახეს სამართალი!

- როგორც თვითონ თქვეს, ყველა ინსტანციაში ყოფილან, თქვენ დარჩით და პრემიერი!

- უნდა დავეხმაროთ, ყველა იხმეთ ჩემთან! - მივუგე მდივანს და კაბინეტის კარი გამოვაღე.

კიბინეტში გულდამწუხრებული მოსახლეობა შემოვიდა. უსამართლობას უჩიოდნენ, სადაც ისინი ცხოვრობენ, ხის მჭრელებს, რაც მათ ირგვლივ ოც წელს გადაცილებული ხეები ხარობდნენ, არც ერთი არ დაუტოვებიათ. ახლა ტყეს მისდგომიან და უმოწყალოდ ჩეხენო. როგორც მათთან საუბარში გაირკვა, მფარველები ხის მჭრელ მოსაქმეებს მმართველ ორგანოებშიც ჰყოლიათ. გაირკვა ისიც, ვინც იყო. მათგან შეწუხებული მოსახლეობა პირველ რიგში დავაწყნარე, შემდეგ კი გულწრფელად აღვუთქვი პრობლემის მოგვარება.

როცა კარში გადიოდნენ, ერთმანეთს დაუწყეს გადალაპარაკება:

- ეჰ, შეპირებით ყველა გვპირდება, ბოლოს კი შედეგი მაინც ნულის ტოლია!

- ეგრეა, ვაითუ ისევ სულ ტყუილად ჩამოვხეტიალდით! - წუხდა მეორე.

- ერთი წუთით, - შევაჩერე ყველა კარებთან, - დღეს რა რიცხვია! - დაიმახსოვრეთ, ორი დღის შემდეგ, ხერხის ხმას თუ გაიგონებთ, თავად მე გეახლებით ადგილზე, მაშინ შეგიძლიათ საყვედურის კორიანტელი დამაყაროთ!

ისინი რომ გავისტუმრე, რეგიონის გარემოს დაცვის ხელმძღვანელს დავუკავშირდი და იქ შექმნილი ვითარება ავახსნევინე. შეშინებული ჩანდა. ჩემთვის უკვე გასაგები იყო თავიდათავი მიზეზი. მე მაინც მოვთხოვე ხე-ტყის გაჩეხის შეჩერება.

თხოვნის პატივსაცემად ის დღე აღარ უმუშავიათ. მეორე დღეს კი ისევ გაკაფვას დაუბრუნდნენ. მათთან კამათი ზედმეტად ჩავთვალე, ამიტომ კომპას-აპარატის გამოყენება გადავწყვიტე. დილით ადრე ჩემი უჩინარი მფრინავი ლაინერით შემთხვევის ადგილს ვესტუმრე. ყველა საწარმოო იარაღი და მოწყობილობა დავბლოკე, დაწყებული ხერხიდან, გადასაზიდი მანქანით დამთავრებული, იქვე მეთვალყურე ლაზთვალი დავაყენე. იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა ახალი ტექნიკის შემოყვანას დააპირებდნენ, არც მათთვის უნდა მიმეცა მოქმედების საშუალება. უკან დავბრუნდი და ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელე მოვალეობის შესრულება.

არ გასულა დღე, ელვისებურად გავრცელდა ტყის მკაფავებზე ხმები, რაც მოსახლეობის მიერ წარგზავნილი ჯგუფი დედაქალაქიდან ჩამოვიდა, ვეღარც მჩეხავები მუშაობენ, ვეღარც მათი იარაღებიო.

რა არ იღონეს, ვინ სპეციალისტი არ მოიყვანეს, შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს. მერე სხვა ტექნიკა შემოიყვანეს. ისინიც რომ ხმა ამოუღებლად იდგნენ, ბევრს ფერი ეცვალა და იმ ტერიტორიას საერთოდ განერიდა. ზოგი ამბობდა, უზენაესმა დაგვსაჯაო, ზოგიც ადგილობრივ მცხოვრებთა მოჯადოებას აბრალებდა. თვით მოსახლეობაც გონს ვერ მოსულიყო,

ფიქრობდნენ, ნეტავ რას უნდა გამოეწვია ეს უცნაური შემთხვევაო.

- მთავარია, - მიმართავდა შეკრებილ ხალხს აგიტაციის გამწევი, - ჩვენ შევძელით ჩვენი დედაბუნების დაცვა. იმედი მაქვს, ანალოგი აღარ განმეორდება. ახლა ჩვენი მიზანია, რასაც მივაღწიეთ, იმის გაფრთხილება და შენარჩუნება.

ხალხიც დაეთანხმა მის მოწოდებას და რაც მნიშვნელოვანი გახდა ყველასთვის, ეს იყო იმედისა და რწმენის დაბრუნება.

* * *

იმ დღეს, როცა რეგიონის გარემოს დაცვის ხელმძღვანელს ველაპარაკე, სამინისტროდან გამოსული ბავშვების შეჯიბრების სანახავად წავედი.

საკალათბურთო დარბაზში მდგარ მაგიდებზე გაშლილ ჭადრაკის დაფებთან ერთმანეთის პირისპირ მსხდარი მოთამაშეები მსაჯის დაწყების ნიშანს ელოდნენ.

ჩემებს შესვლისთანავე მოვკარი თვალი. მაშინვე მივუახლოვდი, სათითაოდ გავამხნევე და საასპარეზოდ განვაწყვე.

შემდგომ სიდედრი მოვძებნე, ჩვენთვის განკუთვნილი სკამები მოვნახეთ და მოთამაშე ბავშვებს გავაცქერდით.

არ გასულა ათი წუთი, რომ ვიღაც ადგა შუაგულ დარბაზში. გავიხედეთ, ჩემი უმცროსი ბიჭი. ხელით ვანიშნე, ჩემკენ წამოსულიყო. სიხარულით წამოვიდა, სახეზე გამარჯვების იერი ეტყობოდა.

- რა იყო, შვილო, ბლიცი ითამაშე? - შევეხუმრე ჩემს ბიჭს და გულში ჩავიკარი, მერმედ ბებომ მოულოცა, ჩაიხუტა და კალთაში ჩაისვა.

ტყუპებმაც ადვილად შეძლეს გამარჯვების მოპოვება.

მეორე ეტაპზე იგივე განმეორდა.

მომდევნო ეტაპებზეც გამარჯვება გამარჯვებას მოჰყვა.

საფინალო დღეს ისე მოხდა, გადამწყვეტ მატჩში ძმებს მოუწიათ პაექრობა. დიდხანს არ უთამაშიათ, ყაიმზე შეთანხმდნენ, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ფეხზე წამოდგნენ.

გოგომ გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ბიჭებში მთავარმა მსაჯმა უმცროს ბიჭს მისცა მეტი უპირატესობა და ჩემპიონის ტიტულიც მას მიაკუთვნა.

დედამისს რომ შევატყობინეთ, მისმა შვილებმა ყველას აჯობეს, ჯერ ხუმრობად ჩაგვითვალა, მერე სავარაუდოდ დაიჯერა, როცა შინ მოსულმა სიგელები ნახა, სამივეს ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა.

- ყოჩაღ, ბავშვებო, ისე გამახარეთ, ძალიან მინდა, შეგაქოთ. აბა, თქვენ იცით, მომავალი შეჯიბრისთვის როგორ კარგად მოემზადებით და იყოჩაღებთ. ალბათ, ქალაქის პირველობაც მალე გექნებათ!

- არდადეგებისას, დედი! - დაასწრო პასუხი და-ძმას უმცროსმა.

- ახლა უფრო მეტ გამოცდილ მოთამაშეებს შეხვდებიან, არა? - შემომკითხა მე.

- რაღა თქმა უნდა.

- შენ თუ ეთამაშე ამ ბოლო დროს?

- ჩემთან ტური მაშინ ექნებათ, როცა ქალაქის ჩემპიონები გახდებიან.

- რა გაეწყობა, დაველოდოთ ქალაქის ტურნირს.

- დედა-შვილებმა ისიყვარულეთ, მე გავალ და მთავრობის ავტომანქანის მოდელირებაზე ვიფიქრებ, რომელს რომელი ფორმა აჯობებს, ჯიპის ფორმატით, თუ ზღვრულ მოხაზულობაზე მეტი.

- ჩვენც გვითხარი, რომელი ფორმის არჩევა გსურს.

- მე ვფიქრობ, რომ მისი სიგრძე-სიგანე შედარებით მეტი, თავისთავად სიმაღლეც. ოდნავ ტალღოვანი, შუქფარები სიღრმისეული, დაახლოებით, როგორც ბიზონს, სალონი უფრო მოხერხებული, ჩამოსვლისას თავისუფლად რომ შეგეძლოს გადმოსვლა, სავარძელი ღილაკის საშუალებით შეგიძლია კარებისკენ შემოატრიალო. ასევე, ჩასხდომის დროსაც, მონახაზს მალე გაჩვენებ.

- გეტყობა, ძალიან ჩქარობ.

- ვჩქარობ იმიტომ, რომ მთავრობის ყველა სატრანსპო-

რტო საშუალება ამ მარკით უნდა შეიცვალოს. თქვენს სამინისტროს თეთრ ჯიპ-პოიტს გადავცემ, რამდენიც საჭირო გახდება. მეთანხმები?

- ნამდვილად. კარგი, მაშინ დაიწყე, აღარ დაგაყოვნებ!

თერმოსიდან მინერალური წყალი ჩამოვისხი და ჩემს სამუშაო გარემოს მივაკითხე.

მეორე დღისთვის მისი გარეგანი სახე, სალონი და კონსტრუქცია მზად მქონდა. იმავე დროს, ჯიპ-პოიტის ნახაზები ორივე ავტოსამრეწველო შეფს გადავუგზავნე და თან დავუკავშირდი მდგომარეობის ასახსნელად...

დიდი სიხარულით მიიღეს წინადადება და უმოკლეს ვადაში აღმითქვეს შეთავაზებული დაკვეთის რეალიზება.

დღეს დილით, სანამ სახლიდან გავიდოდით, მეუღლეს ვეკითხებოდი:

- არ აჯობებს, არდადეგებზე ბავშვების სახლში ყოფნას, რომელიმე საზაფხულო რაზმში გაგვეშვა?

- კარგი აზრია. ჩემს ბალღობაში უამრავი საზაფხულო ბანაკი იყო. ერთი-ორჯერ მეც მქონდა ბედნიერება, ბანაკის წევრი ვყოფილიყავი. ყოველდღე საინტერესო გასართობებს გვთავაზობდნენ აღმზრდელები. დღევანდელი სისტემა უფრო დახვეწილი და საინტერესოა.

- გეთანხმები, ჩვენ მაინც მათთვის შესაფერისი ბანაკი შევარჩიოთ და სამივე ერთ რაზმში ჩავარიცხვინოთ.

- თუ არ ვცდები, წინა საჩემპიონო შეკრებაც აქვთ გეგმაში ჩასმული, არა?

- კი, დირექციამ დამატებითი საწვრთნელი მეცადინეობები გამოუყო.

- რაკი არის, უკეთესადაც მოემზადებიან. შენ რას ფიქრობ, რა შედეგს აჩვენებენ?

- თუ მათი მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, საუკეთესო შედეგებს უნდა ველოდოთ, ხომ ხედავდი, სვლებს დიდხანს არ უფიქრდებოდნენ. მოცემული პოზიციიდან სწრაფად ანგარიშობენ და სტრატეგიული სვლაც მზად აქვთ!

- შეცდომას რატომ გამორიცხავ?

- შეცდომა მოსდის მას, ვისაც დაზეპირებული აქვს ესა თუ ის კომბინაცია, დებიუტიდან ენდშპილამდე. ჩვენებს კი ტაქტიკური შორსმჭვრეტელობის უნარი აქვთ, თანაც თანდაყოლილი. აი, მაგალითად, მითხარი, როგორ იცნობს უმცროსი ბიჭი უშეცდომოდ წარსულის თუ მომავლის კალენდარულ რიცხვებს ან დღეებს?

- ოი, კარგი მაგალითია, შენ ფიქრობ, რომ ისიც ამ პრინციპზეა აგებული?

- არ გამოვრიცხავ. ჯერჯერობით ამგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს.

- ნამდვილად როდის გავიგებთ?

- მისი ტვინის ხვეულები უნდა დავათვალიეროთ!

- ნუ ხომრობ!

- მაშინ, როცა მსოფლიო ჩემპიონი გახდება. აი, ეს ორი ოფცია გვაქვს.

- რატომ, ხომ შეიძლება ერთ-ერთი საჭადრაკო ამოცანის დროს ვკითხოთ, მაგალითად ხუთი სვლის შემდეგ რა პოზიცია დაფიქსირდება დაფაზე, თუ გამოიცნო, ესე იგი ზემოთქმული თვისება ჰქონია!

- სამსახურიდან რომ დაბრუნდები, მაშინ გამოცადე.

- შენ რატომ არა?

- მე ვიცი, ახლა შენ რომ დარწმუნდე, ეს ტესტი უნდა ჩაატარო.

- თუკი უკვე იცი, რაღა საჭიროა დამატებითი გამოცდა?

- მე ვარაუდზე დაყრდნობილი მოსაზრება მაქვს, რაც იმას გულისხმობს, რომ მჭირდება მეტი ფაქტები, - კამათი გზაშიც გავაგრძელეთ, - შენ გინდა აქამდე ამოუცნობი, არაჩვეულებრივი მოვლენა დღეს ამოხსნა? - ვეკითხები ინტერესში ჩავარდნილ მეუღლეს.

- ვცადოთ, იქნებ არიადნეს ძაფის თავს მივაგნოთ.

- კი, გენაცვალე, თუ არ ცდი, ისე შედეგს როგორ ნახავ?

- რაღაც მონდომებას ვერ გამჩნევ!

- რა შეკითხვას მისვამ?

- შორიდან ასე ჩანს.

- იქნებ, ძვირფასო, საერთოდ გონება არაფერ შუაში იყოს.

- ამით რისი თქმა გინდა?

- შესაძლოა, ეს იყოს გონებისა და ენერგიის ინფორმაციული ქსელის ერთობლივი ინტელექტი.

საუბარში ისე გავერთეთ, ლამის სკოლას გავცდით. ბავშვები სკოლის შესასვლელში ჩამოვსვით, ჩვენ კი სამინისტროებში გავნაწილდით.

... დღეს ქალაქის გამწვანების თაობაზე ქალაქის მერთან მქონდა შეხვედრა.

- ყოველ სეზონზე, - ვეუბნები მას, - უნდა შევძლოთ გაზონების აყვავებული სახით შენარჩუნება, ყველგან, ქუჩებსა თუ სკვერებში. რაც მთავარია, უკვე დროა დავიწყოთ ისეთი ხე-მცენარეებით ჩანაცვლება, რომლებიც აირის გაწმენდას უწყობს ხელს, სახელდობრ, ნეკერჩხალი, ნაძვი, მუხა, საერთოდ წიწვოვანი მცენარეები. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ თანდათანობით ქალაქის ცენტრალურ ტერიტორიაზე არსებულ ფაბრიკა-ქარხნებს საწარმო ზონაში გადავიტანთ.

ბოლო საკითხმა კამათი გამოიწვია, მაგრამ საბოლოოდ მივიღეთ დადგენილება, მისი ეტაპობრივად შესრულების თაობაზე.

დღის მეორე ნახევარში შემოსულ ინფორმაციებს გავეცანი, სასწრაფო გამოხმაურება იყო საჭირო. შესასრულებლად შესაბამის განყოფილებებს გადავუგზავნე, ხოლო დანარჩენ შეტყობინებებს სათანადო კომენტარი დავურთე, ვებგვერდი დავხურე, შენობიდან გამოვედი და მძღოლს ჯანდაცვის სამინისტროსკენ წასვლა ვთხოვე.

მეუღლე ის-ის იყო სამსახურიდან გამოდიოდა, სანამ შინ წავიდოდით, იქვე ახალგახსნილ მინიმარკეტში შევიარეთ, სადაც ეკოლოგიურად სუფთა სურსათი იყიდებოდა. დედამისს სხვადასხვა სახის სუნელი შევუძინეთ და გარეთ გამოვედით.

მძღოლები გავათავისუფლეთ, ჩვენ კი ფეხით გავლა ვამჯობინეთ.

საუბარ-საუბარში სახლს მივუახლოვდით. უცებ მან დილის საკამათო თემა გაიხსენა.

- ერთი შესაკითხი მაქვს.

- თქვი!

- დილით წამოწყებულ კამათს ეხება.

- კერძოდ?

- შენს ვარაუდს. დასაშვებია გონება არაფერ შუაში იყოს გონებრივი განვითარების დონესთან!

- კარგად მახსოვს, ვარაუდს შემიძლია ისიც დავუმატო, რომ შესაძლებელია ის იყოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვეცნობიერების დისტილატი. მაგალითად, თუ ნავთობის დისტილატებია - ნავთი, ბენზინი და სხვა, ბავშვების გამორჩეული უნარი ხომ შეიძლება ცნობიერების მიღმისეული პროდუქტი იყოს?

- ეს იმას ნიშნავს, რომ შემეცნების ფორმა გამორიცხო?

- შემეცნება თავისთავადია. მას ახასიათებს რეალობის ასახვა, აღქმა, მე არ ვლაპარაკობ ცნების უმაღლესი დონის შესახებ. მე ვგულისხმობ ნორმიდან გადახვეულ იმ მოვლენას, რომელიც ზებუნებრივია და არ ექვემდებარება ამქვეყნიურს.

- არ აჯობებს ჩვენს კამათს, სახლში როცა მივალთ, დავუძახოთ ჩემპიონს ჭადრაკის დაფასთან და პატარა ცდა ჩავატაროთ?

- აჯობებს, აგერ მივედით კიდეც!

კარში სიდედრი შეგვეგება. ძალიან მოიწონა ჩვენ მიერ ნაყიდი სუნელები. ბავშვებს, როგორც ჩანდა, მეცადინეობა დასრულებული ჰქონდათ და თავისთვის ერთობოდნენ. ჩვენ საქაღალდეები თაროზე შემოვდეთ, საშინაოდ გამოვეწყვეთ და საექსპერიმენტოდ უმცროს ბიჭს დავუძახეთ.

სათამაშოდ ახალი საჭადრაკო ამოცანა ავარჩიე, რომელიც ცოტა რთული იყო. როცა რამდენიმე სვლა შევასრულე, თამაში შევაჩერე.

- აბა, შვილო, დაფიქრდი და აღმიწერე ოთხი სვლის შემდგომი პოზიცია.

არც დაფიქრებულა, ავტოკალამი მოიმარჯვა და თეთრებისა და შავების წინასწარი შესაძლო განლაგების ჩამოწერა დაიწყო. ჩამოწერა რომ დაამთავრა, თამაში კვლავ განვაახლეთ.

არ გასულა წუთი, მის მიერ ჩამოწერილმა გაანგარიშებამ გაამართლა. ახლა ჩვეულებრივი თამაში დავიწყეთ. დებიუტს რომ გადავცილდით, პაექრობა შევწყვიტე იმ მიზნით, რომ წინასწარ კიდევ ერთხელ ჩამომეწერებინა გათამაშებული სვლების შემდგომი კომბინაცია, მერე ისევ თამაში განვაგრძეთ.

მეუღლე იქვე იჯდა, თავი ხელისგულებში ჩაერგო და მდუმარედ უცქერდა უჩვეულო ექსპერიმენტს, თან ფიქრობდა, თუ ანალოგი განმეორდებოდა, საბოლოოდ ირწმუნებდა შვილის განსაკუთრებულ ნიჭს.

მითითებული სვლების შემდეგ თამაში შევაჩერე და მეუღლეს ვანიშნე, ეს პოზიცია შეედარებინა ჩამონაწერში აღწერილ პოზიციისათვის.

მან უმალ შეადარა ერთმანეთს პოზიციები, სიხარულით თავი მაღლა ასწია, შვილს ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა.

- აი, ჩვენი კამათისა და მსჯელობის შედეგი, იხილე, არა?

- ვიხილე და დავიჯერე. ახლა ის თქვი, ბოლომდე რატომ არ ეთამაშე?

- ეს მერე, როცა ქალაქისა და ქვეყნის ჩემპიონები გახდებიან!

- შენ რა, ეჭვი გეპარება?

- ოფიციალურად, გენაცვალე, ტიტული საჭირო ატრიბუტია. კარგი, შენ მითხარი, ჯანდაცვის სიახლე საზოგადოებამ როგორ მიიღო?

- მოსწონთ, უმრავლესობა კმაყოფილი არის. შენთან რა ისმის?

- თუ სადმე ტყე უნებართვოდ იჩეხებოდა, ყველგან შეჩერებულია. ახლა მიმდინარეობს გლობალური გამწვანება და ინცუხტი, ანუ ახლომონათესავე მცენარეთა შეჯვარება. კონტროლზეა აყვანილი როგორც მსუბუქი, ისე მძიმე მრეწველობა. ატმოსფეროში მათ მიერ გამოყოფილი აირები მინიმუმამდეა დაყვანილი. მათი ნარჩენების მეორადი გადამუშავებისთვის ქარხნის მშენებლობა დავიწყეთ, ასევე, მასობრივად დავიწყეთ უგამონაბოლქვო ავტომობილების შემოყვანაც.

- კარგია. ახლა, შენი ნებართვით, ცოტას გადავუხვევ სალაპარაკო თემას. კვლევის პროცესი მაინტერესებს, თუ იცლი მისთვის?

- ისე არა, როგორც ადრე, რა გაინტერესებდა?

- საზოგადოებას რასაც შეჰპირდი, ხომ უნდა აუსრულო?!

- ავუსრულებთ, ძვირფასო, და ეს აღმოჩენა მომავალ არჩევნებში ორმაგ გამარჯვებას მოგვიტანს, ცოტაც მოითმინე!

- რა გაეწყობა, მივყვეთ ჩვენი მოვალეობის შესრულებას, თან ყოვლის შემოქმედი ვახსენოთ, იცი, რა მინდოდა მეკითხა?

- ვიცი რომ გითხრა, დაიჯერებ?

- მადროვე, დამასრულებინე სათქმელი. მე მინდა, რომ გითხრა!

- გელოდები.

- ხანდახან ადამიანს არ ამოასუნთქებ, რა გჭირს!

- არაფერი, უბრალოდ გისმენ.

- გამოჩნდა ქვეყნები, რომელთა დეპარტამენტები გთხოვენ ჩვენი მედიკამენტების დაპატენტებას, როგორ მოვიქცეთ?

- ჯერჯერობით თავი შევიკავოთ, შემდეგ ერთი მედიკამენტის დაპატენტება დავუშვათ და ასე, თანდათან გავზარდოთ!

- კარგი, გენაცვალე!

- თუ რაიმე შეკითხვა არ გაქვს, დროა ახალ საქმეს მივხედო.

- გადი, მანამდე მე ვახშამს გავამზადებ.

ფეხზე წამოვდექი, მინერალური წყალი ჩამოვისხი და სამუშაოდ გასულმა წამოწყებული საქმე განვაახლე.

* * *

დროის უქონლობის მიუხედავად მაინც შევძელი უმოკლეს დროში ჯიპ-პოიტის ნაწილებისთვის ყველა ჩამოსასხმელი ფორმის დამზადება, თან გადაგზავნაც.

ორშაბათ დღეს კი დედაქალაქის ჩემპიონატის გახსნას და თამაშებს დავესწარი.

შეჯიბრი საინტერესოდ დაიწყო. მეოთხე დღეს ლიდერები გამოიკვეთა. უფროს ბიჭს მხოლოდ ერთი ყაიმი ჰქონდა ნათამაშევი, დანარჩენი - მოგებები; უმცროსს - ყველა მოგება. ფინალურ ტურში კიდევ ერთად მოხვდნენ, მათთან ერთად იყვნენ რეიტინგის მქონე მოჭადრაკეებიც. ძმები ისევ ყაიმზე შეთანხმდნენ.

ბოლო დღეს უმცროს ბიჭს გადამწყვეტი თამაში ჰქონდა შარშანდელ ჩემპიონთან.

- შვილო, - ვუხსნი თამაშინ წინ, - შენ უკვე იცი, რომ კარგი შეტევა კარგი თავდაცვაა, როგორი სტრატეგია უნდა შესთავაზო მოწინააღმდეგეს, თვითონ დაფაზე შექმნილი კომბინაციები გიკარნახებს, რაშიც შენ ბადალი არ გყავს, მხოლოდ გამარჯვება. აბა, შენ იცი!

- გავიგე, მამი! - მიპასუხა და სათამაშო მაგიდას მიაშურა.

მე, მეუღლე და სიდედრი წინა რიგში, მის მოპირდაპირედ მდებარე სკამებზე დაგვსხეს.

- როგორ ითამაშებენ! - ხმაში აღელვება შევამჩნიე მეუღლეს.

- ნუ განიცდი, დედის განცდას შვილი ადვილად იღებს, ამიტომ მას ხელი რომ არ შეუშალო, ნუ ღელავ. დამშვიდდი, ის ისე ითამაშებს, როგორც მოგებას შეეფერება.

- არ მინდა, მაგრამ თავისით მენერვიულება.

- მაშინ თავი ჩემკენ შემოაბრუნე და გამიღიმე, - ვეცადე მეუღლის დამშვიდებას.

- გავიღიმე, თუმცაღა ამაოდ!

- კიდევ გაიმეორე და მერე მომისმინე.

- გისმენ!

- მოკლე იუმორს მოგიყვები, ოღონდ ხმამაღლა არ გაგეცინოს.

- უკვე მეცინება!

მე მაინც დავიწყე მისი მოყოლა. ორი სიტყვა არ მქონდა ნათქვამი, რომ სიცილი წასკდა. უმალ ადგა და დარბაზიდან გავიდა.

უკან მალე დაბრუნდა, მაჯაზე ნაზი თითების შეხებამ მისი დამშვიდება მაგრძნობინა.

- რა ისმის? - ჩამჩურჩულა, ძლივს გასაგონი ხმით.

- აი! - ვანიშნებ ეკრანზე ნაჩვენებ მორიგი ფიგურების განლაგებას.

- მწვრთნელი სად არის?

- მწვრთნელი წყნარად ზის. ისე გამოიყურება, თითქოს მის მოსწავლეს უკვე მოეგოს.

- შენც ხომ ასე ფიქრობ?

პასუხად თავი დავუქნიე და ეკრაზე შესრულებულ სვლებს გავხედე. ორივეს მოგების თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდა. არ გასულა ორი წუთი, უცებ არაორდინარული შეტევა წამოიწყო, ფიგურის შეწირვით, რამაც რამდენიმე სვლაში მოგება და ჩემპიონობა მოუტანა.

უფროსი ბიჭი კი ქულების მიხედვით ისევ მეორე ადგილზე გავიდა.

ყველა გვილოცავდა გამარჯვებას. ეს რა შვილები გყოლიათო. ზოგმა - ჩვენ ტელევიზიიდან ვიცით თქვენი ბავშვების გამორჩეული ნიჭიო.

დაჯილდოება ოვაციების თანხლებით წარიმართა. ღირსეული ჯილდოები გადასცეს და ქვეყნის ჩემპიონობაც უსურვეს.

შეხვედრა გოგონებს შორის ორი დღის შემდეგ წარიმართა. ჩვენმა გოგომ საუკეთესოდ განვლო საშეჯიბრო საფეხურები, თუმცა, საბოლოო საფინალო ეტაპზე ორი ყაიმის გამო მსაჯ-კოლეგიამ შედეგების შესატყვისად მეორე ადგილი მიაკუთვნა.

ბრაზობდა. უბრალო შეცდომამ ჩემპიონობა დამაკარგვინაო.

- არა უშავს, შვილო, წინ ქვეყნის პირველობაა, კარგად მოემზადები და გამარჯვებაც შენი იქნება. მოდი, ახლა ჩვენ ასე მოვიქცეთ, სანამ სხვა შეჯიბრებისთვის მოემზადებით, მანამდე საზაფხულო ბანაკში გაერთეთ და დაისვენეთ, კარგი?

- კი, მამი!

რაკი სამივე ბავშვმა სურვილი გამოთქვა, აღარ დავყოვნებულვართ. სასწრაფოდ შევურჩიეთ შესაფერისი ბანაკი, რაც ნივთები და სამოსი იყო საჭირო, სპორტულ ჩანთებში ჩავუწყვეთ, მეორე დილით მე და ბავშვები შერჩეული ბანაკისკენ გავემგზავრეთ.

- ნაკადი გუშინ დავიწყეთ! - გამოგვიცხადა ბანაკის ხელმძღვანელმა.

- უკან ხომ არ გაგვიშვებთ, იქნებ გამონაკლისი დაუშვათ!

- რასაკვირველია!

ხელმძღვანელმა სიხარულით მიიღო ბავშვები და რაზმეულის მეთაურს საგულდაგულოდ ჩააბარა. მეთაურმა მათ უნიფორმა ჩააცვა, რაზმელები გააცნო და საპარადო მოედანზე გაიყვანა.

მე მეორე სართულზე შევჩერდი, ეზოში გამავალ ფანჯარას მივუახლოვდი და მათ გავაცქერდი.

- რაზმელებო, - მიმართავს მეთაური - ჩვენს ახალ წევრებს შევასწავლოთ ბანაკის ჰიმნი, მერე კი ვიქტორინა დავიწყოთ.

... ბავშვებმა ადვილად შეისწავლეს ტექსტი, კიდევაც იმღერეს. სიმღერის დასასრულს მეთაურს ძალიან მოეწონა და-ძმების მელოდიური ხმა და სთხოვა, მხოლოდ მათ ემღერათ.

ჰიმნის დამთავრებისას რაზმეულის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ შეაქო ბავშვები და ყველას გასაგონად აცხადებს:

- ამიერიდან, ჰიმნს თქვენი შესრულებით ყოველ დილით მოისმენს მთელი ბანაკი და ბანაკის სხვა ნაკადებიც: ფირზე ამ საღამოს ჩავიწერთ, ახლა ვიქტორინა ვითამაშოთ.

თამაშის დაწყებამდე ქვემოთ ჩავედი და უფროს ბიჭს დავუძახე:

- მამი, მე ახლა უკან უნდა დავბრუნდე, შენ, როგორც გონიერი ბიჭი, ყურადღება მიაქციე შენს და-ძმას, ისე ნუ მოიქცევით, საყვედური რომ მიიღოთ. მქონდეს არა იმედი?

- კი, მამი, ჭკვიანად ვიქნებით, შენ არ იჯავრო!

- კარგი, შვილო, მე წავალ და საღამოს მოგაკითხავთ, - მხრებზე დადებული ხელი მომიჭირა. აბა, შენ იციო და გაბრუნდა.

როცა მამა წავიდა, სულ მალე თამაში, კითხვებზე პასუხების გაცემა დავიწყეთ; მას მოძრავი თამაშები ჩაენაცვლა. კარგად რომ გავერთეთ და დავიღალეთ, დასასვენებლად მეთაურმა დიდი ხის ძირში დაგვსხა. არ გასული ათი წუთი, ბანაკში სადილის მაცნე მელოდია გაისმა. სწრაფად ავიშალეთ, ორ რიგად მოვეწყვეთ და მხიარული ყიჟინით სასადილო შენობისკენ გავემართეთ.

სადილი ყველას მოგვეწონა. დედას დამზადებულს არ შეედრებოდა, თუმცა, კარგად მივირთვით. ნასადილევს, დანაყრებული რაზმელები ბანაკის ორგანიზატორმა საბავშვო ფილმის საყურებლად შეგვიპატიჟა. ფილმი კომედიური აღმოჩნდა, რადგანაც კომედიური იყო, მის დაწყებიდან დამთავრებამდე დარბაზში სიცილ-ხარხარი არ შემწყდარა.

გარეთ მხიარულ გუნებაზე გამოვედით. მეთაურმა ისევ ეზოში დაგვაბრუნა, თან გამოგვიცხადა:

- ახლა ჩვენ მოვაწყობთ მოკლე მანძილზე ლაშქრობას, ოთხი საუკუნის წინ აგებული ციხესიმაგრის მიმართულებით, დანარჩენს გზაში გეტყვით.

ბანაკიდან გასულ რაზმეულს წინ ორგანიზატორი მიგვიძღვოდა. მეთაური გვერდით მოგვყვებოდა, თან გზადაგზა გვაცნობდა ციხესიმაგრის ისტორიას.

- იცი, რა მინდა გითხრა, - ვეუბნები ჩემს დას, - მოდი, წარმოდგენით ვიმოგზაუროთ!

- ეს როგორ?

- როგორც ჩვენი მეთაური აღწერს, წარმოვიდგინოთ გალავნის შიგნით ქამარ-ხანჯლიანი მეომრები, მომსახურე ქალები და კაცები, მათი შვილები, როცა დავისვენებთ, მაშინ გვექნება ამის დრო.

- ეგ რა გართობაა?

- ფიქრით გავერთობით, ვცადოთ, ჯერ კიდევ მოვუსმინოთ, იქნებ საინტერესო რამ თქვან!

- აი, ისიც გამოჩნდა. რა სიმაღლის კედელი აქვს შემოვლებული გარშემო.

- იქ ვინ გადავიდოდა, რამდენი მეტრი სიგრძის კიბე დასჭირდებოდა მტერს, არა?

- ალბათ, მაგასაც მოახერხებდნენ!

დანიშნულ ადგილს რომ მივუახლოვდით, ცოტა ხნით დასვენების საშუალება მოგვცეს, მინდორიც მიგვითითეს, სადაც უნდა დავმსხდარიყავით.

- მოუსმინე? - ვეკითხები ისევ დაიაჩემს, როცა მინდორზე წამოვჯექით, როგორი დაუნდობელი მტერი ჰყოლია ჩვენს ქვეყანას?

- გავიგონე!

- საინტერესოა, არა? შიგნიდან თავს როგორ იცავდნენ. გინდა მე სიზმრად ვიმოგზაურო და მერე მოგიყვე?

- როცა იმოგზაურებ, მაშინ მომიყევი.

- კარგი, ხვალ ყველაფერს შენც გეტყვი და მეთაურსაც.

- რა ხუმარა ხარ!

საუბარი მეთაურის შეძახილმა გაგვაწყვეტინა.

- დროა ავდგეთ, მოვეწყოთ და ბანაკს დავუბრუნდეთ. გალავნის შიგნითა ნაწილს შემდგომში დავათვალიერებთ.

ორგანიზატორი კვლავ რაზმეულს ჩაუდგა სათავეში. მეთაურმა კი ჩამკეტის როლი ითავა.

როცა ბანაკს მივუახლოვდით, შესასვლელში ჩვენს წასაყვანად მამა შეგვეგება. მე და ჩემმა დამ უარი გამოვთქვით. უმცროსი ორჭოფობდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გადაწყვიტა, მამას წაჰყოლოდა.

... დილით ადგომის მაუწყებელ სიგნალზე უფრო ადრე გამომეღვიძა. აქეთ-იქით მიმოვიხედე და თავი ისევ ბალიშზე დავდე.

ვფიქრობდი, ცხადი იყო, თუ სიზმარი. სიზმარი ხშირად მინახავს, მაგრამ დღევანდელი ნათლად განსხვავებული იყო. ნამდვილად გალავანზე ვიდექი და ზემოდან ვათვალიერებდი, ქვემოთ რა ხდებოდა, ვინ რას აკეთებდა. დავინახე, წელზე შემორტყმული ხმლიანი მამაკაცი რარიგ მონდომე-

ბით წვრთნიდა პატარა ბიჭებს ფარიკაობაში, ხოლო უკვე გაწაფულებს, ხისგან გაკეთებულ ცხენებზე ამხედრებდა და ასე ამხედრებულებს ერთი მეორის შორის ბრძოლას ასწავლიდა. ვხედავდი, კედელთან ახლოს ცეცხლი ენთო და ზედ, დიდ ქვაბში რაღაცას ათუხთუხებდნენ. წვეროსანი კაცი მაღალ, ნახევრად ღია შენობაში, გავარვარებულ რკინას დიდ ჩაქუჩს გამუდმებით ურტყამდა. მთავარ შემოსასვლელში დატვირთული ურმები შემოდიოდნენ, რა შემოჰქონდათ, ვერ დავინახე, ზემოდან ფარდაგი ჰქონდათ გადაფარებული. ასევე გამალებით მუშაობდნენ გალავნის შიდა კედლებზე შემოვლებული ხარაჩოს შემკეთებელი ხის ხელოსნებიც. ყველა საქმით იყო დაკავებული.

ამ დღეს არავისთვის მითქვამს, სანამ არ დავრწმუნდებოდი მის სინამდვილეში.

ღამით იგივე რომ განმეორდა, გადავწყვიტე, მამასთვის გამემხილა. საღამოს, როცა ჩემი ძმის წასაყვანად მოვიდა, ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. მას გაეღიმა და მითითება მომცა:

- აბა, ჩემო კარგო, შუადღეს სცადე, როცა დასასვენებლად წახვალთ, მოდუნდი, თვალები დახუჭე და სადაც შენ ძალიან გსურს, იქ იმოგზაურე. თუ ნამდვილად იგრძნობ, რომ იმ სინამდვილეში ხარ, ეს უკვე ერთ-ერთი სახეცვლილებაა, ანუ შენ მოგზაურობ აზრ-ფორმით. ესე იგი, სურვილი იძენს ფორმას, სხეულს სცილდება და სურვილისამებრ გადის იმ განზომილებაში, საითკენაც მიმართულია. რადგან დაინტერესდი, ოთხი საუკუნის წინ მომხდარი შემთხვევებით, შენც სიზმრის შემწეობით აღმოჩნდი იქ.

- მართალს ამბობ, მამი? - ჩავეკითხე გაკვირვებული.

- კი, შვილო, ისე სხვაც შეგეძლება ამოგზაურო, ოღონდ ფრთხილად!

- რატომ ფრთხილად?

- მეც რომ არ გითხრა, აზრი თვითონ მოგივიდოდა, რომ სხვასთან ერთად გემოგზაურა. ამისთვის საჭიროა განცალკევება, ხელი რომ არავინ შეგიშალოთ, თუ ვინიცობაა, ხელი ვინ-

მემ მოგკიდათ, გამოსაღვიძებლად, არ არის გამორიცხული, თქვენი ეთერული სხეულის იქ დარჩენა, ანუ არაფიზიკურის. თავიდან სიფრთხილე გმართებს, შვილო, მერე და მერე აღარ არის საშიში!

- კარგი, მამი, მეცოდინება!

მე ბანაკში დავბრუნდი, ვახშმის დრო ახლოვდებოდა. აფორიაქებული ვიყავი. მინდოდა, ვინმესთვის მეთქვა, ჯერ-ჯერობით თავს ვიკავებდი, კიდევ ერთხელ მინდოდა თავი გამომეცადა.

დილის საათებში ამის საშუალება არ მომეცა. მხოლოდ შუადღისას, დასვენების დროს მოვახერხე ათწუთიანი გამოცდა. ვარაუდმა გაამართლა, გამიხარდა. დღე იმდენად არ მქონდა ამის საშუალება, ღამე კი ხელს არავინ მიშლიდა. გადავწყვიტე, ამხანაგისთვის მეთქვა, ვისთანაც კარგად ვიყავი და მასთან ერთად გავსულიყავი, მაგრამ უსაფრთხოების გამო ვერ ვბედავდი. მესამე დღეს ჯერ მოყოლა დავიწყე. ვუყვებოდი მას, კერძოდ, მეთექვსმეტე საუკუნის სხვადასხვა თავგადასავალს, რა თქმა უნდა, არ სჯეროდა ჩემი ნაამბობის, თუცმა, ინტერესით მისმენდა და ისიც ფიქრობდა ასეთ მოგზაურობაზე.

ჩემი ამხანაგი ცოტა ცქმუტი ბიჭი იყო, ამიტომ ვამჯობინე, წინასწარ ამეხსნა და გამეფრთხილებინა, რომ მკაცრად დაეცვა ჩვენი პირობები და საიდუმლოება.

მისგან თანხმობა რომ მივიღე, მაშინვე გავაცანი საჭირო წესები, რა უნდა შეესრულებინა აქ და გადასვლის მერე.

მისი საძილე საწოლი რიგში პირველი იდგა, მერე ჩემი და ასე რიგად მიჰყვებოდა ჩვენი ამხანაგების საძილეები ოთახის მეორე კედლამდე. როცა ძილისპირული გაისმოდა, იმ წუთში შევყავდით ბავშვები დასაძინებლად. ნახევარი საათის შემდეგ კი კონტროლზე ორგანიზატორი შემოდიოდა, გვამოწმებდა, ვისაც არ ეძინებოდა, ყველას ტუქსავდა.

დანიშნულ დღეს, საღამოს, როცა მოგზაურობა გადავწყვიტეთ, ჩვენ გარდა, ყველას ეძინა. კონტროლის შემოვლის ჯერიც დადგა. მან გადახედა მძინარე ბავშვებს, როდესაც

დარწმუნდა, არავის ეღვიძა, კარი ფრთხილად გაიხურა და მეორე ოთახს მიაშურა. კარის დახურვისთანავე, ჯერ მას მივანიშნე, რომ მომზადებულიყო, მერე მე განვეწყვე გასასვლელად.

ერთი წუთის შემდეგ ორივე ციხესიმაგრის გალავანზე ვიდექით. მივიხედ-მოვიხედეთ, გალავნის საგუშაგოზე ცვლა იცვლებოდა. ზემოთ კი ხალხი ისევ ფაციფუცობდა. უცებ მისგან კითხვითი შეტყობინება მივიღე. ვინაიდან ჩვენ აზრის გადაცემა სიტყვებით არ შეგვეძლო, სიტყვების მაგივრად მხოლოდ აზრს გადავცემდით ერთმანეთს.

- ხედავ? - გაიოცა მან. - რაც შენ აღწერე, ყველაფერი მართალი ყოფილა, შენი აზრით, ისინი ბრძოლისთვის ემზადებიან?

- ბრძოლისთვის არა, უფრო თავდაცვისთვის.

- ჩვენ როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ?

- სწორედ მაგას ვფიქრობ. მოდი სხვა ციხეებიც დავათვალიეროთ. იქაც გავიგოთ, რა ხდება. მერე მოვიფიქროთ. ახლა მაღლა ავიწიოთ, ზემოდან ადვილად შევამჩნევთ, სად რა არის.

- შევძლებთ კი, ან არავინ შეგვნიშნავს?

- მარტივად. ჩვენ ხომ სხეული არა გვაქვს, თანაც უჩინარები ვართ. ხოლო ჩვენი გადაადგილების საშუალება კი სურვილია. მოემზადე!

- მზად ვარ!

- გაიფიქრე, რომ მაღლა გინდა ასვლა და წავედით.

- უჰ, რა ადვილი ყოფილა. რომელ მხარეს ვირჩევთ?

- აი, იქით, საიდანაც საურმე გზა გადის.

ვინაცვლებდით წინ, თან გაფაციცებით ვაკვირდებოდით მთაბარიან ადგილებს.

- აგერ, ისიც! - მიმანიშნა მის მიერ შენიშნული ადგილისკენ.

- ყოჩაღ, მას რომ არა ჰგავს?

- მაშ, რა უნდა იყოს?

- ეს ხომ ტაძარია, მივუახლოვდეთ, იქაც უნდა ჰქონდეთ სამზადისი, მცველები აუცილებლად ეყოლებათ!

- გარეთ თხრილს რატომ ჭრიან?

- მტერს რომ ხელი შეუშალონ შემოტევის დროს. მცველები ქამარ-ხანჯლით რომ დადიან, ისინი არიან. მათ, ვისაც განივი და გრძელი სამოსელი აცვია - ბერ-მონაზვნები!

- იქ ნახე! - მიმახედა ყრუ კუთხესთან მომუშავე ხალხისკენ, რომლებსაც ჭიდან წყლის მაგივრად მიწა ამოჰქონდათ.

- ალბათ, სამალავს ან საიდუმლო გასასვლელს იმზადებენ. იმ შემთხვევაში, თუ მტერი შიგნით შეიჭრა, მას მიაშურებენ! - ვუხსნიდი შეძლებისდაგვარად, რასაც წარმოდგენა მკარნახობდა.

ტაძრის დათვალიერება რომ დავამთავრეთ, კიდევ ერთი მაღალგალავნიანი ციხესიმაგრე მოვინახულეთ და უკან დავბრუნდით.

დილას, ნანახით აღტაცებული ამხანაგი დღევანდელ და წარსულ ცხოვრებას ერთმანეთს ადარებდა. იქ რა იყო და რა არა მოსაწონი, ჩვენი საუკუნე როგორი უპირატესობით გამოირჩეოდა მათი საუკუნისგან.

- რა იქნება, კიდევ რომ ვიმოგზაუროთ, - ახლა მან შემომაპარა თხოვნა, - მოდი, ახლა მეფის სასახლეს ვეწვიოთ, იქ ვნახოთ, როგორი ცხოვრებაა!

არც მე მითქვამს უარი, რადგან მეც დამაინტერესა მეფურმა ყოფა-ცხოვრებამ.

- კარგი, - მივეცი თანხმობა, - წესი და პირობები იგივეა, დღესვე შეგვიძლია გავიდეთ.

გაუხარდა. ერთი-ორჯერ შეხტა და ეზოში გავარდა. სადილამდე წარამარა მეკითხებოდა:

- ნეტავ, როდის მოვა ჩვენი გასვლის დრო?

- მალე მოვა, მხოლოდ დაწყნარდი, - ვამშვიდებდი მას, - ხშირად ნუ მეკითხები, ეჭვი არავინ აიღოს!

- არ გესმით? - შემოგვძახა მორაზმემ, - მეთაური რომ გვეძახის?

- მოვდივართ! - ვუპასუხეთ თანარაზმელს და მეთაურისკენ გავწიეთ.

... საღამო აგერ-აგერ მოგვიახლოვდა. ძილისპირულიც

მალე გაისმა. ნახევარ საათში კონტროლმა უხმაუროდ რომ მიხურა კარი, მაშინვე მოვემზადეთ და ფორმა ვიცვლეთ. ჯერ ნანახი ადგილები მოვინახულეთ, მერე სამეფო კარის ძებნა დავიწყეთ. დიდხანს არ გვიძებნია.

ეს იყო ნამდვილი სასახლე, რომელსაც გარშემო სარტყელივით ერტყა მაღალი დამცავი კედელი. კედლის ზედაპირზე ყოველ თანაბარ მანძილზე დაშენებული კოშკურების გვერდით ანაგები ჰქონდათ ცეცხლის ჩასანთები გვადრაკები.

- როგორც ისტორიიდან ვიცით, - ვუხსნი მას, - სწორედ რომ ცეცხლის დანთებით აცნობებდნენ ერთმანეთს მტრის შემოსევას. ამ მინიშნებით კი დიდი-პატარა თავდაცვისთვის ემზადებოდა. ამჩნევ არა, დიდ ქვებს რომ ეზიდებიან ზედა ხარაჩოზე?

- კი, მეც მინდოდა მეთქვა, ალბათ სასროლად!

- მართალი ხარ. თივის შეკვრები რომ უწყვიათ ადგილადგილ, მასაც ხომ ხვდები, რისთვის აქვთ?

- მე მგონი, ცეცხლის წასაკიდებლად და სასროლად.

- გცოდნია და ეგ არის, მოდი, ახლა დარბაზებში შევიხედოთ, ბავშვები ვნახოთ, რით ერთობიან, მერე თავად მეფეს ვეახლოთ!

- რომელი მხრიდან დავიწყოთ?

- მარჯვენა განაპირა ავანზალიდან, მომყევი!

იქ რომ გადავინაცვლეთ, ვინმე ხუცესი სამეფო შთამომავალთა შვილებს საღმრთო რჯულის წიგნიდან ამონაკრეფს გულმოდგინედ უკითხავდა. მეორე დარბაზში შედარებით უფროსი ასაკის თაობას ახოვანი მამაკაცი საბრძოლო ხელოვნებას ასწავლიდა, მესამეში ხალიჩების ქსოვის მეცადინეობა უტარდებოდათ 15 - 16 წლის გოგონებს.

დერეფანში რომ გამოვედით, როგორც იქნა, თვალი მოვკარით ეზოში თავისუფლად მოთამაშე თანატოლ ბავშვებს, ერთმანეთს დასდევდნენ, ეტყობოდათ, დაჭერობანას თამაშით იყვნენ გართულნი.

- არ გინდა, - ვეკითხები ამხანაგს, - რაიმე ჩვენებური ვასწავლოთ?

- მაინც რა, ან რა საშუალებით?

- ჯერ მოვიფიქრებ, რა უნდა ვასწავლოთ, შემდეგ, აზრის სახით შევალ მათ გონებაში და შევუდგები სწავლებას.

- ვერ გავიგე, აბა, კიდევ ახსენი?

- რა ვერ გაიგე, ჩემს ჩანაფიქრს მივცემ მიზნის ასრულების სურვილს.

- ეგ არის ახსნილი? ჰო, კარგი, ვთქვათ შეხვედი, მერე?

- ავიღოთ, მაგალითად, კლასობანას თამაში. ამ აზრ-ფორმით შევალ მასში, ჯერ ავახსნევინებ სხვების გასაგონად თამაშის შესასრულებელ წესებს, შემდგომ თავისივე ხელით დავახაზინებ კვადრატებს და ნახტომებს შევასრულებინებ!

- გავიგე, ვის გააკეთებინებ?

- ხედავ წითელჯუბიან გოგონას?

- ვხედავ.

- მე ახლა მასში შევალ, შენ კი ყურადღებით დაუკვირდი, მზად ხარ?

- კი!

- დავიწყე!

წითელჯუბიანმა მოულოდნელად მიატოვა თამაში, შემობზრიალდა და მოთამაშეებს შესძახა:

- მოდით, ახლა კლასობანა ვითამაშოთ.

უცებ თამაშს ყველამ თავი დაანება და მას მიაჩერდნენ.

- რა თქვი? - გაკვირვებული ეკითხება მათ შორის ყველაზე უფროსი.

- კლასობანა! - გაუმეორა ღიმილით მან.

- ეგ რა თამაშია? პირველად მესმის!

- ახლა მომაფიქრდა!

- რატომ ცრუობ? - მიუგო მის გვერდზე მდგომმა ტალიკმა ბიჭმა.

- არ ვცრუობ, ახლავე აგიხსნით! - თქვა და ცქვიტად გამოეყო ამხანაგების ჯგუფს, ხეს ტოტი შეატეხა, ფოთლები შეაცალა, უბალახო მიწა მონახა და თანწყობით კვადრატები დახაზა, მერე თამაშის შესასრულებელი წესი წახტომებით აჩვენა, როგორც თვალახელილმა, ისე თვალდახუჭულმა.

- ხედავთ, რა მარტივი თამაშია? - უთხრა მათ, როცა ჩვენება დაასრულა.

- მე შევასრულებ! - გამოეყო ჯგუფს კიკინებიანი გოგონა.

მან ზედიზედ ორჯერ გაიმეორა ნახტომები. ისე მოეწონა, კიდევ აპირებდა განმეორებას, მაგრამ სხვებმა შეაჩერეს.

- ახლა ჩვენც გვადროვე, - განაწყენდა ტალიკა ბიჭი. - მიმიშვი, მეც მინდა, რომ ვითამაშო!

როცა ყველამ სათითაოდ კვადრატებზე წაითამაშა, მერე სამ ჯგუფად გაიყვნენ, თავისუფალი ადგილი მონახეს და ერთმანეთში გაჯიბრება დაიწყეს. ჩვენ კი ზემოდან ვუყურებდით მათ ჟივილ-ხივილს.

- მე თუ შემეძლება ამ ფორმით მათში შესვლა? - დაინტერესდა თანარაზმელი.

- შეგეძლება, თუ ისწავლი!

- როდის მასწავლი?

- სულ მალე, ჯერ ცენტრალური დარბაზი დავათვალიეროთ, იქნებ გავიგოთ, ვის შემოსევას ელიან?

რა დროსაც შევედით, მეფეც შემოვიდა. იქ შეკრებილებს მიესალმა და სამეფო ტახტზე ავიდა.

მოსალოდნელი ბრძოლის თაობაზე დარბაზში ბჭობა დაიწყო. თითოეული საკუთარ აზრს გამოთქვამდა, თუ რით შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება.

უხუცესი ამბობდა:

- ბრძოლას ავიცილებთ თავიდან, თუ ხარკის გადახდას განვაახლებთ და მეფის ასულს მის ვაჟს მივათხოვებთ, ვადა კი, იცით, უკვე მიიწურა. ჩვენ მზად ვართ, დავიცვათ მეფისა და სამშობლოს ღირსება. მხედრობა მზად არის თავისი ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად. დღე დღეზე ველოდებით სამხრეთით მათ გამოჩენას. შიკრიკთა ჯგუფიც მზად არის, რომ წინასწარ გვაცნობონ საზღვართან ურდოს მოახლოება.

შეკრების დასრულებამდე საბოლოო სიტყვა მეფემ წარმოთქვა. შეკრებილებს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა და საყოველთაო სამზადისი გამოაცხადა. ლაშქრობის წინამძღოლობა კი თავად ითავა.

- ყველაფერს კარგად მოუსმინე? - ჩავეკიტხე თანარაზმელს.

- სამწუხაროდ კი, ცოდვაა ამოდენი ხალხის გაწირვა, რაც მე ფილმებში ნანახი მაქვს,

თუ ისე უნდა მოხდეს, საშინელება ელოდებათ!

- მაშინ მოვიფიქროთ, როგორ დავეხმაროთ!

- დავეხმაროთ? - გაიკვირვა მან.

- რამ გაგაკვირვა?

- შენმა აზრმა, იქნებ ამიხსნა, რას გულისხმობ?

- ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილებას!

- ანუ ისინი ერთმანეთს არ უნდა შევაბრძოლოთ?

- სწორად მიხვდი!

- კი, მაგრამ, რა ძალა გაგვაჩნია ჩვენ, რომ მათ ავაცილოთ ეს საშინელება!

- ვიფიქროთ, ჯერ გავიდეთ, საკუთარი თვალით ვნახოთ, რა ხდება საზღვარზე, მერე რამე ვიღონოთ!

ქვეყნის მიჯნას რომ მივუახლოვდით, ჩამიჩუმი არ ისმოდა. საზღვარს დაახლოებით რვა კილომეტრით რომ გადავცილ-დით, ნათლად დავინახეთ მრავალრიცხოვანი ურდოს ბანაკი.

- ალბათ ღამეს გაათევენ და საომრად წამოვლენ.

- ასე ჩანს.

- ჩვენ ახლა უკან დავბრუნდეთ და ვიფიქროთ, როგორ აჯობებს, ხვალ კი პირდაპირ აქ მოვიდეთ.

მეორე დღეს მე და თანარაზმელმა მთელი დღე ფიქრში გავატარეთ, მე ერთი ვარიანტი ავარჩიე. სხვები თადარიგში დავტოვე. საღამო ჟამი რომ მოახლოვდა, მან გვერდზე გა-მიხმო და მეკითხება.

- რა მოიფიქრე?

- ხერხი მარტივია. შენ მითხარი, საზღვართან კლდის პირი თუ შენიშნე?

- კი, დავინახე.

- მე მათ წინამძღოლში შევალ, როგორც იმ ბავშვში და ვა-იძულებ, თავის ცხენიანად იმ ხევისკენ წავიდეს. ჯარიც მას წაჰყვება, ჯარის მეორე ნაწილის წინამძღოლის დაყოლიება შენ მოგიწევს, ხომ გახსოვს ნასწავლი?

- მახსოვს, არც მე გამიჭირდება, ერთგვარი გართობაც კი იქნება, თუ კიდევ ვინმე გამოჩნდება წინამძღოლობის მოთავე, მაშინ?

- მერე მათკენ გადავინაცვლებთ. ბოლოს და ბოლოს დარჩენილებს იძულებულს გავხდით, უკან დაბრუნდნენ!

- აბა, ხვალ დიდ სეირს ვნახავთ!

- ვნახოთ, რა მოხდება!

დაწოლის წინ კიდევ ერთხელ გავუმეორე ნასწავლი ხერხი და ძილად მისვლის გამოცხადების ნიშანს მივაყურადეთ. მალე ისიც გაისმა. ნახევარ საათში, ჩვენ გარდა, ყველას ეძინა. შემომვლელ კონტროლს დაველოდეთ, ხუთ წუთში ისიც გამოჩნდა. გადაგვამოწმა და ისევ წყნარად, ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

როცა მან კარი მიიხურა, ჩემს ამხანაგს გარდასახვისთვის მომზადებაზე მივანიშნე. მაშინვე მოვემზადეთ და უმალ ადგილს მივაკითხეთ. იმავ დროს მე მისი ზედაპირის დათვალიერება დავიწყე.

- რას ათვალიერებ ასე გულმოდგინედ?

- მაინტერესებს, ცეცხლის ასანთებად ხომ არ ემზადებიან.

- არც მე შემინიშნავს!

- დანარჩენებიც მოვინახულოთ, მერე საზღვარს მივუახლოვდეთ.

- მოსახლეობა ხომ არ მოგვენახულებინა, რა გასაჭირი აქვთ, გავიგებდით.

- თუ დრო საკმარისი გვექნება, გავიდეთ. პირველ რიგში გავიგოთ, სადამდე არიან მოსულები.

ნაცნობი ადგილების შემოვლა რომ დავამთავრეთ, ქვეყნის საზღვრის ტერიტორიას გადავხედეთ. ახლომახლო ჭაჭანება არ ისმოდა, უფრო წინ გადავინაცვლეთ. აი, აქ კი დარაზმულან და ტაატით მოიწევდნენ საომრად.

- ხედავ, რამდენი არიან, სათვალავი არ აქვთ! - შემომჩივლა გულდამწუხრებულმა.

- სამწუხაროა, ძალზე ბევრნი არიან, თანაც კარგად აღჭურვილები!

- ჩვენი გეგმა უნდა ავამოქმედოთ!

- ასეც იქნება, ჯერ ადრეა, ხევს რომ მიუახლოვდებიან, მაშინ დავიწყებთ. მანამდე, ახლო დასახლებები დავათვალიეროთ.

- ვიჩქაროთ!

- ისე იჩქარე, ფეხი რომ არაფერს წამოჰკრა!

- რატომ მეუბნები, ვერ გავიგე!

- ხომ ხედავ, ჩვენთვის წინაღობები არ არსებობს, სისწრაფე ჩვენს ფიქრსა და სურვილზეა დამოკიდებული!

- თვალზე უფრო სწრაფად?

- რა თქმა უნდა, ახლა მაღლა ავიწიოთ და ჩრდილო-აღმოსავლეთით გადავინაცვლოთ, იქ შედარებით მჭიდრო დასახლება იქნება, მომყევი!

დასახლება მართლაც მჭიდრო აღმოჩნდა. ძირითადად ბავშვებს, ქალებსა და ბერიკაცებს ვხედავდით. ახალგაზრდები სალაშქროდ იყვნენ გაწვეულები. ვინც შინ იყო, ზოგი - ყანაში, ზოგიც ვაზს დასტრიალებდა გარშემო. ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც საერთოდ აღარ ეკარებოდნენ თავიანთ ადგილ-მამულს დასამუშავებლად. თუკი ნამუშევარს გამიოხრებენ, ყვეალფერი, ნაწვალები ხომ წყალში ჩამეყრებაო. ასეთი იყო მათი ფიქრი. ზოგიერთი მთაში გასახიზნად ემზადებოდა. რა გაეწყობოდა, ომის მოლოდინში შიშით იყო ხალხი შეპყრობილი.

დასახლების დათვალიერება რომ მოვასრულეთ, ახლო მდებარე მთას გავხედეთ. უკვე რამდენიმე ოჯახს შეკრული საოჯახო ნივთები ურმებზე დაეწყო და მძიმე-მძიმედ მიჰყვებოდნენ მთის საურმე გზას. ნაწილს კიდევაც მოუსწრია სამალავის გაკეთება.

- როგორი ტანჯვა ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს. ალბათ ისინი, ვინც წინა შემოსევის დროს ტყვეებად წაიყვანეს, რა დღეში ეყოლებათ, არა?

- წარმომიდგენია, რა მოხდება, ტყვედ წაყვანილებიც რომ გავათავისუფლოთ?

- ნამდვილად უნდა დავიხსნათ. ამ ბრძოლას რომ ჩავ-

შლით, მერე ტყვეების განთავისუფლების ჩვენებური გეგმა შევიმუშაოთ!

- კარგი, წინ წავიწიოთ, თუ დავბრუნდეთ? არ დავიგვიანოთ!

- გვერდითი მთა მოვინახულოთ და შემდეგ!

მეზობელ მთასაც უკვე ჰყავდა ხიზნები. მათ წინასწარ უგრძნიათ საშიშროება და თავშესაფრის გაკეთებაც წინდაწინ მოუხერხებიათ.

დიდხანს აღარ გავჩერებულვართ, გადავავლეთ თვალი მთასა და ბარს და უკან დავბრუნდით.

ურდო ქვეყნის საზღვარს უახლოვდებოდა. უკვე შეიძლებოდა ჩვენი მოქმედების დაწყება. ზემოდან უახლოეს ციხე-სიმაგრეებს რომ გადავხედეთ, მტრის მოახლოების ნიშანი ყველას ანთებული ჰქონდა. ჩვენი ჯაროსნებიც მზად იყვნენ მტრის დასახვედრად. დედაქალაქიდან მეფე თავის რჩეულ მხედრობას წინ მიუძღვოდა. უშიშრად და მხნე სიმღერით მოიწევდნენ საბრძოლო ველისკენ.

- დროა, დაწყებისთვის მოვემზადოთ. დავალება კარგად გახსოვს?

- ზეპირად!

- მაშ, ასე. ცხენზე ამხედრებული, ამაყად ყველაზე წინ რომ მოიწევს, სარდალია. მეორე, ვინც ურდოს მოუძღვება - მათი წინამძღოლი. მე სარდლის გონებაში შევალ და ვაიძულებ, კლდის პირის მიმართულებით წავიდეს. შენ კი მეორეზე იმოქმედე. მზად ხარ?

- მზად ვარ, დავიცვა ჩემი ქვეყანა!

- აი, ყოჩაღ. აბა , ჰე! - შევძახე თანამზრახველს და დავალებების შესრულება დავიწყეთ.

სარდალი ჩემს მითითებებს ადვილად დაემორჩილა. მან გეზი მყისვე იცვალა, მას მიჰყვა წინამძღოლიც, მათ კი - ურდოს წინა შემადგენლობა. ხრამამდე რომ მივაცილეთ, მაშინ დაიწყო სანახაობაც. ჯერ ერთი მოსწყდა ადგილიდან, მერე - მეორე, მესამე და ასე მიჰყვნენ ერთი მეორეს.

- ახლა ქვეჯგუფებს მივუბრუნდეთ. მე პირველს მივხე-

დავ, შენ მომდევნოში შედი. მერე ცხენებსაც მივუთითოთ, ისინი უფრო მარდად შეასრულებენ. აბა, ვნახოთ!

ჯგუფების მეთაურებმა გეზი როგორც კი იცვალეს, მაშინვე მათ ცხენებზეც ვიმოქმედეთ, უცებ აჭიხვიდნენ და ჭიხვინ-ჭიხვინით კლდის კიდისკენ გაქანდნენ.

ჩვენ ზემოდან მივჩერებოდით, თუ როგორ პანტაპუნტით ცვიოდნენ ხრამში მტრის გულადი მეომრები.

- ვიდეო რომ გადაგვაღებინა, მოგონებად დაგვრჩებოდა!

- ჩემო მეგობარო, ვიდეო-აპარატის სახეცვლილებას გამოგონება უნდა. შეიძლება შენ შეგიძლია.

- მე საიდან, ეგ შენ უნდა შეძლო!

- მე რა ჯადოსნური ჯოხი მაქვს, თუ ნატვრის ამსრულებელი თვალი?

- ასეთი რამ მოგიხერხებია და ეგ რაღა სირთულეს წარმოადგენს?

- ჰმ, რა მარტივად ფიქრობ.

- შენც სცადე, იქნებ კიდევაც მოახერხო!

- კარგი, შენ თუ გიფიქრია, ჩვენი ლაშქარი რომ მტერს ამ დღეში დაინახავს, რას იტყვიან, არ გაინტერესებს?

- ძალიან! დაველოდოთ, სადაცაა გამოჩნდებიან. ალბათ, ზემოთ აიხედავენ და უზენაესს მადლობას გადაუხდიან!

- ნამდვილად ეგრე იქნება!

- აბა, იქით გაიხედე! - მივახედე შორიდან მომავალი მტრის ქვეითი ჯარისკენ.

- წინა ჯგუფი ხარებით ქვის სატყორცნ შურდულებს მოაგორებდა, ხოლო ურმებით - მისთვის საჭირო ჭურვებს!

- ვაჰ, ესენი საიდან გამოჩნდნენ. მესაზღვრეები უკვე აქ არიან. შეხედე, ყველანი განცვიფრებულნი იყურებიან აქეთ. ვერც კი გამოხატავენ სიხარულს!

- რასაც არ ელოდა ლაშქარი, მოულოდნელად მას წააწყდა, ამიტომ, ვერ გარკვეულან, რა ხდება მათ თავს.

- ჩვენ რა ვიღონოთ, ისინი რომ თვალს მოჰკრავენ, აქ არეულობაა, მაშინვე საბრძოლველად გაამზადებენ სატყორცნებს. ეს კი სწორედ რომ არ გვაწყობს!

- რაიმეს მოვიფიქრებთ, თუნდაც მათ ვაიძულებ თავიანთი შურდულები შეაბრუნონ საპირისპირო მხარეს, რომ არევდარევა შეიტანონ საკუთარ ქვედანაყოფში. ნაწილს კი ხრამისკენ მივაშვერინებ, სადაც უკვე ზედახორაა გამართული!

- მომწონს, კარგი აზრია, მეც მიმაღებინე მონაწილეობა!

- მაშინ, მე მარჯვენა ფრთას მივხედავ, შენ - მარცხენას. შესრულების ხერხი იგივეა. მზად იყავი, ნიშანს რომ მოგცემ, ერთდროულად დავიწყოთ.

უკან მომავალმა ქვედანაყოფების მეთაურებმა რა წამსაც შეამჩნიეს უწესრიგობა, შეჩერდნენ და სასწრაფოდ გასცეს სატყორცნი იარაღის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანის ბრძანება.

ჩვენც იმავე დროს მოვემზადეთ და ოპერაცია შეთანხმებით დავიწყეთ.

პირველივე გასროლას მათ რიგებში არეულობა მოჰყვა. ვერ გარკვეულიყვნენ, უკან რატომ ისროდნენ. უცებ, რიგს ორი ხანჯალშემართული აბჯრიანი გამოეყო, მისცვივდნენ მსროლელებს, შესძახეს - შენ გიაურო! - და იქვე განგმირეს. მერე თვითონ სცადეს შურდულის შემობრუნება ჩვენი მიმართულებით, თუმცა ამაოდ. ახლა ისინი ვაიძულე, შეეჩერებინათ სატყორცნი იარაღის შემობრუნება და იმავე მიმართულებით ესროლათ ერთი გასროლა და მათაც ისეთივე ბედი ეწიათ, როგორიც წინა ორს. ამ აურზაურში ყველა უკლებლივ ერთმანეთს წაეკიდა.

ჩვენი მესაზღვრეები ადგილზე იდგნენ და მტრის ჯარში შექმნილ ქაოსს გაოცებულები გასცქეროდნენ. ერთი გაფიქრება გაიფიქრა ჩვენმა წინამძღოლმა, საბრძოლველად გაეყვანა ლაშქარი, მაგრამ შეჩერდა, ვაითუ ეს უმართავი ბრბო უეცრად მოწესრიგდეს და შემოგვიტიოსო. არც ამის ეშინოდა მრავალნაცად მხედართმთავარს, უფრო თითოეული მებრძოლის სიცოცხლეს უფრთხილდებოდა, რადგან დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოუწევდა სხვა სამტროდ ქცეულ ქვეყანასთან შერკინება, ამიტომ ხმაამოუღებლად იჯდა თავის მერანზე და თავისთვის აანალიზებდა ეგზომ უხიაკ მდგომარეობას.

საზღვართან კი უცნაური სანახაობა კვლავ გრძელდებოდა. სანამ იქ ვიყავით, სულ ნაწილ-ნაწილ დალეწეს ჭურვის სატყორცნი ხელსაწყოები. ბევრი გარბოდა, მაგრამ გაბორტებულები სად გარბოდნენ, თვითონაც არ იცოდნენ.

ჩვენები სისხლის ღვრას ავარიდეთ, ჩვენთვის კი კარგი გართობა აღმოჩნდა.

მეორე დღეს მორიგი გართობისთვის ვფიქრობდით, რომელი აჯობებდა, რომ აგვერჩია, საბოლოოდ, ტყვეების გამოხსნაზე შევჩერდით, მაგრამ ერთი დაბრკოლება გვიშლიდა ხელს, ამ ოპერაციისთვის გოგონაც იყო საჭირო. ისეთი ვინმე უნდა აგვერჩია, რომელიც დროებით მაინც შეინახავდა საიდუმლოს. მე რაზმში ერთი გოგონა მომეწონა, ლამაზიც იყო და თავის თანატოლებში აზროვნების უნარითაც გამოირჩეოდა. ისიც ჩუმად აპარებდა ჩემკენ თვალს. ორი დღის წინ საუბარში ჩვენი ისტორიისადმი სიყვარული შევნიშნე, კარგი კანდიდატურა იყო, რაღა თქმა უნდა, თუ წაყენებულ მოთხოვნებს შეასრულებდა, ვცდი. ვნახავ, რა ნაყოფს გამოიღებს. ამ ფიქრში ვიყავი გართული, რომ უცებ მისი ხმა შემომესმა.

- არ გინდა ჩვენთან ერთად თამაში?

- მინდა, - ვუპასუხე სიხარულით, - ერთი პირობის შემდეგ!

- რა პირობა, თქვი!

- ესეც თამაშია, ხსნი ორივე ხელის გულს და ჩემკენ გამოიშვერ!

- ზემოთ თუ ქვემოთ?

- შენ ამოატრიალე. მე კი ჩემს ხელისგულებს ზემოდან დავაწყობ, თუ მოასწრებ და ხელის ზურგზე დარტყმას მოახერხებ, სამი ცდით, მაშინ მე წამოვალ შენთან სათამაშოდ, თუ ვერა, შენ მოგიწევს ჩემთან თამაში. თანახმა ხარ?

- კარგი, ვცადოთ!

ხელისგულები ერთმანეთზე დავაწყვეთ და დაწყების ნიშანი მივეცი.

პირველ ცდაზე წავეხუმრე და მისი ხელის მტევნები დავიჭირე.

- აბა, ეგეთები არ იყოს!

- ბოდიში, ვიხუმრე, თავიდან, მოვემზადოთ და დავიწყოთ!

პირველ ჯერზე მონდომებით მომიქნია ორივე ხელი, მაგრამ უშედეგოდ.

- ოჰ, შენ ძალიან ჩაუქი ყოფილხარ! - შევაქე ჩემი რჩეული.

- არც შენ ყოფილხარ ნაკლები! - გამოიდო მანაც თავი.

მეორე ცდაზე უფრო მოინდომა, თუმცა აქაც შედეგის გარეშე. ვერც მესამემ გაუმართლა.

- მე მოვიგე, - გამოვუცხადე გამარჯვება.

- შემდეგ ჯერზე ვეცდები, რომ მოგიგო!

- ცოტა წავარჯიშება მოგიწევს!

- უბრალოდ, მოვინდომებ და დაგამარცხებ. ახლა ის მითხარი, რა თამაშს მთავაზობ?

- მასაც აგიხსნი, მხოლოდ უნდა დამპირდე, რომ თამაშის პირობებს ნამდვილად დაიცავ!

- გპირდები!

- შენთვის შეიძლება უცნაურიც იყოს, მაგრამ, როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიის მოყვარული, კმაყოფილი უნდა დარჩე. მე და მან უკვე ერთხელ ვცადეთ და კარგად გავერთეთ!

- ის ვინ არის?

- აი ის, ჩვენ პირდაპირ ზის!

- ყველაზე მოძრავი და ენერგიული ბიჭი რომ არის? - ამით მან მის ზედმეტ წონას გაუსვა ხაზი.

- ეგ არის, ერთად მოგზაურობის დროს უცნაური თავგადასავალი გადაგვხდა თავს, გასართობად კი ნამდვილად საინტერესო იყო. შემდგომი გასვლისთვის მესამე მონაწილე გვჭირდებოდა, ისიც გოგო. მე კი შენ აგირჩიე, თუ თანახმა იქნები, ერთად გავერთობით. ჯერ უჩვეულო თავგადასავალს მოგიყვები, კარგად მომისმინე, მოწონების შემთხვევაში შენც შეგიძლია მონაწილეობა მიიღო.

მოკლე შესავალი რომ დავასრულე, თან დავიწყე თავს გადახდენილი შემთხვევის მოყოლა.

ერთი სიტყვით, ვრცლად მოვუყევი ჩვენი თავგადასა-

ვლის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში ის მონუსხულივით იჯდა და გულისყურით ისმენდა ყოველ ეპიზოდს. თხრობის პერიოდში ერთი კითხვაც არ დაუსვამს. დასასრულს გაკვირვებული მეკითხება:

- საიდან ასეთი იშვიათი უნარი?

- ეგ არც მე ვიცი, თანდაყოლილი უნარის ახსნა ძნელია!

- კარგი, პირველ-მეორე გასვლაზე რატომ არ წამიყვანეთ, ვერ დაგეხმარებოდით?

- არც კი გვქონდა გათვალისწინებული, ბრძოლის ველზე რომ აღმოვჩნდებოდით!

- გასაგებია, ამჟამად რას აპირებთ?

- მათ ჩვენი ხალხი ტყვეებად ჰყავთ წაყვანილი და მათი გამოხსნა გვინდა. როგორმე უნდა ვეცადოთ, ისინი სამშობლოში დავაბრუნოთ.

- რაიმე მონახაზი გაქვთ? წინასწარ ხომ უნდა ვიცოდეთ, სად უნდა მივიდეთ!

- ასეთ ინფორმაციას აქ არავინ იძლევა.

- წიგნებში ვნახოთ!

- ოთხი საუკუნის წინ მოხსენიებული დასახლებების სახელები ახლა შეცვლილია, მე ის ვიცი, რომ ისინი სატახტო ქალაქის გარეუბნის ჯურღმულებში ჰყავთ გამოკეტილი. ვინც მათ დაემორჩილება, მომსახურეებად, ან საბრძოლველად ამზადებენ. მშვენიერი ქალები კი ცოლებად მიჰყავთ. ჩემი აზრია, გავემგზავროთ მათი სატახტო ქალაქისკენ. სამეფო კარზე მოვძებნოთ ისეთი მომსახურე პერსონალი, რომელიც ტყვედ ყოფილია. მასში შევალ იმ მიზნით, რომ შეკითხვებით გავიგო მისგან, სად იმყოფებიან დანარჩენი ტყვეები. მოკლედ, ყველა საკითხს გავარკვევთ და მერე ვიმოქმედებთ. რას იტყვი?

- მე რას ვასრულებ?

- მდგომარეობის მიხედვით ვიმოქმედებთ!

- ჩემს ოთახში როგორ შემოხვალ?

- ჯერ მასთან ერთად გავალ, მერე დავბრუნდები და შენ გაგიყვან, არ დაგავიწყდეს, ფხიზლად უნდა იყო.

- პირობებს აუცილებლად შევასრულებ.

- ამ საღამოსთვის მოემზადე.

- მეცოდინება, ახლა წავიდეთ და ცოტა წავითამაშოთ, - თქვა და ხელი ჩამჭიდა, - წავიდეთ, გავერთოთ, საღამომდე ბევრი დრო გვაქვს.

მეც დავმორჩილდი მის თხოვნას და მოთამაშე გოგო-ბიჭებს შევუერთდით.

გართობით გული რომ ვიჯერეთ, მაღალი ხის ძირში ჩამოვსხედით და წავმუსაიფდით. მალე რაზმელი მეგობარიც შემოგვიერთდა და ღამის გეგმა ერთობლივად განვიხილეთ.

ამასობაში კულტ-მასობრივი ღონისძიების დროც დადგა. ჩვენც სიხარულით ჩავერთეთ, რაზმისთვის განკუთვნილ შემეცნებით თუ მოძრავ თამაშებში მონაწილების მისაღებად. კარგად ვერთობოდით. ღონისძიების დასკვნით ნაწილში საბავშვო გადაცემებიც გვაჩვენეს.

გასართობი პროგრამით ჩვენც და თანარაზმელებიც კმაყოფილები ვიყავით.

დღის განმავლობაში თავი მშვენივრად შევიქციეთ. უკვე საღამოს ჯერი დგებოდა. ვნახოთ, როგორი გართობა გველოდება წინ.

შემმოწმებლის მოსვლამდე ფიქრმა ჩემი რაზმელი გოგონასკენ გაიწია. ვფიქრობდი, ნეტავ რა გუნებით შეხვდებოდა გარდასახვით სახესხვაობას. რატომღაც ვიჯერებდი მის გულად სიტყვებს, შემართებას და დასახულ მიზანსაც, რომ ადვილად გაართმევდა თავს.

მიუხედავად ჩვენი მოკრძალებული ასაკისა, გულმაც იქით გაიწია. სწორედ რომ სილამაზემ გააღვიძა თანდაყოლილი მიდრეკილება უნებლიე ლტოლვისკენ. თვითნებურად განმაცდევინა ის, რაც ხშირად ჩვენს ქცევაზე ახდენს ხოლმე გავლენას და მეც ძალაუნებურად მათ რიცხვში აღმოვჩნდი.

ამ ფიქრში ვიყავი, როცა კარის გაღების ხმა შემომესმა. თავი მოვიმძინარე და გავიტრუნე, გამკონტროლებლის გასვლა ოთახიდან და ჩვენც მაშინვე გავედით. ის გალავანზე დავტოვე. მე კი მეორე თანარაზმელის წამოსაყვანად მივბრუ-

ნდი. მოვძებნე მისი საწოლი და ვაგრძნობინე, რომ მე მასთან ვიყავი. დაველოდე მანამ, სანამ გარსისგან არ გათავისუფ-ლდა, მერე მისი ხელის მტევანს შევეხე და ჩვენც უმალ გალა-ვნის თავზე აღმოვჩნდით.

- სად ვართ? - იკითხა მან.

- წარსულში, ოთხი საუკუნის უკან!

- ვაუ, ესენი? - მიმანიშნა ქვემოთ მოფუსფუსე ხალხზე, - ჩვენი წინაპრები არიან?

- ჩათვალე, რომ არიან!

- მათთან გასაუბრება თუ შეიძლება?

- სიტყვიერად ვერ მოახერხებ, მხოლოდ აზრების გადაცე-მით. რის გაგებას ცდილობ?

- მაინტერესებს, ვინ იყვნენ ჩემი წინაპრები!

- ჯერ უნდა გაიგო, ვინც ადვილი ხელმისაწვდომია, მა-გალითად, თუ შენმა ბაბუამ იცის, მისი პაპა სად დაიბადა, მაშინ შენს ძირძველ წინაპრებს ადვილად მივაკვლევთ. შენი ინტერესი რომ დავაკმაყოფილო, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მათი წარმომავლობა გავიგოთ, თუ ნიშნები დაემთხვა, ესე იგი, შენს წინა თაობასთან შესაძლო კავშირში არიან. გაწყობს ეს ვარიანტი?

- ვნახოთ, იქნებ დაემთხვეს!

- მაშინ გადავხედოთ ქვემოთ მოსაქმე ხალხს, მათ შორის ვინც შედარებით უხუცესი იქნება, მას გავესაუბროთ!

- აგერ, მე ვხედავ, ჭასთან ახლოს ბერიკაცი თუნგს რეცხავს.

- ჩავინაცვლოთ ქვემოთ და მივუახლოვდეთ.

ბერიკაცთან შორიახლოს შევჩერდით და ჩვენი კომუნიკა-ციის საშუალებით დავიწყეთ მასთან გასაუბრება.

მივესალმეთ, მისალმებაზე მოხუცი დაიბნა. აქეთ-იქით იყურებოდა, ხომ არ შემომესმაო, რომ ვერავინ შენიშნა, საქმე-სთან ერთად ფიქრიც გააგრძელა. ჩვენც ამ ფიქრში ჩავერთეთ.

მან კითხვების დასმა წამოიწყო. ისიც პასუხობდა მის თი-თოეულ კითხვას. ისე ჩანდა, თითქოს მოხუცი თავის თავს ელაპარაკებოდა.

როდესაც ვერანაირი კავშირი მოძებნა, საუბარი აღარ გა-

უგრძელებია. უკან გამოვბრუნდით, ისევ გალავნის თავზე გადავინაცვლეთ და ჩვენი დღევანდელი გეგმის შესრულებას შევუდექით.

- ამჯერად, - ვუხსნი მათ, - რომ დავაზუსტოთ, სად ჰყავთ ტყვეები გამომწყვდეული, სატახტო ქალაქს უნდა ვეწვიოთ, მოემზადეთ და გავედით.

- მზად ვართ!

- მაშ, მომყევით! - მივმართე რაზმელებს და მაღლა ავიწიეთ.

სამხრეთ მხარეს როცა საზღვარი გადავკვეთეთ, დასახლებამდე არმისულები, ბილიკზე მიმავალ მგზავრს დავეკითხეთ, მგზავრმა ისე მარტივად გაგვიმარტა, მისი აღწერით აღარ გაგვჭირვებია სატახტო ქალაქის მიგნება. სასახლეც შორიდან შევნიშნეთ, პირდაპირ მას მივაშურეთ და შესასვლელში შევჩერდით.

- პირველად სასახლის სადარბაზოები დავათვალიეროთ, - ვაწვდი ჩემ აზრს, - იქნებ რაიმე ხელჩასაჭიდს წავაწყდეთ!

სადარბაზოების დათვალიერებამ რომ არანაირი ნაყოფი გამოიღო, აშპაშხანას მივაკითხეთ, ეგებ ქონდაქრებში ვინმე ჩვენგვარი მოგვეძებნა.

- აი, მას შეხედეთ, - მივანიშნე ახოვან ჭაბუკზე, - თავს რომ დასტრიალებს მათ, წარმომავლობით ჩვენებურს ჰგავს. დავეკითხოთ, იქნებ ჩვენთვის საჭირო რამ გვითხრას. შენ კი, როგორც ყოჩაღმა გოგონამ, ერთი დავალება შეგვისრულე, გაიხედე მარჯვნივ, თუ ხედავ, სეფილაზე კერძების დამწყობ ახალგაზრდა ქალს?

- კი!

- ალბათ, სეფექალისთვის ამზადებს. მას გაჰყევი და გაიგე, ვისთვის მიაქვს, უკან მალე დაბრუნდი. ძებნას ნუ დაგვაწყებინებ. აბა, შენ იცი!

აქ კი ჩემმა ვარაუდმა გაამართლა. ის ჭაბუკი ქონდაქართა შეფი აღმოჩნდა. როგორც მან მითხრა, არც ახსოვს, იქ როგორ მოხვდა. ძალიან პატარა იყო, სასახლის კარზე რომ მოუყვანიათ. როგორც მარჯვე ახალგაზრდა, სხვადასხვა საპასუხის-

მგებლო ადგილზე დაუნიშნავთ ხელმძღვანელად, ახლა კი აშპაშხანა ჩაუბარებიათ.

ჩვენ მისგან ვერაფერი გავიგეთ, სამაგიეროდ, სეფექალისგან შევიტყვეთ, ის ერთ-ერთი ბეგის მეუღლე აღმოჩნდა, ჩვენი წარმომავლობის. მას დაწვრილებით აღუწერია ტყვეთა ბანაკების ადგილმდებარეობა, ასევე უთქვამს მისთვის, თუ რამდენი თანამოძმე ემსახურებოდა სასახლეს მომსახურე პერსონალად და რამდენს ხვდა წილად საპასუხისმგებლო წოდება. მას ისიც კი გაუმჟღავნებია, თუ როგორ სულმოუთქმელად ელიან ვინმე მხსნელს, რომელიც მოახერხებდა მათ სამშობლოში დაბრუნებას.

ჩვენი საგანგებო მიზანი მას არ გამოჰპარვია. თავიდან გახარებია. მერე დაეჭვებულა, სამ ბავშვს რა საშუალებით შეეძლებოდა თითქმის შეუძლებელი მისიის ასრულება, თვით დესპანებს უჭირთ ამ მოვალეობის შესრულება. ბავშვებმა კი როგორ უნდა მოახერხონო, მაგრამ მაინც შეუთხოვია, მასზეც გვეზრუნა.

რაღა თქმა უნდა, პირობა მიუცია, თან გაუფრთხილებია, ჯერჯერობით არავისთან წამოსცდენოდა და საიდუმლოდ შეენახა.

სასახლიდან გამოსულებმა კურსი გარეუბნისკენ ავიღეთ. სატუსაღოს მალე მივაგენით. სამწუხაროდ, იქ რომ მივედით, დარაჯის გარდა, სხვა არავინ დაგვხვედრია, ყველა სამუშაო კარიერზე ჰყავდათ გაყვანილები.

- მე დარაჯში შევალ, ვეუბნები მეგობრებს. - ზუსტი მიმართულების გასაგებად. თქვენ აქ დამელოდეთ!

დარაჯთან საუბარს ბევრი დრო არ წაუღია, მალევე დავბრუნდი.

- გაიგე რამე? - მივიღე ერთდროული შეკითხვა.

- მე ის გავიგე, რომ ამ ტერიტორიაზე ორი კარიერი არსებობს. ორივე ჩრდილოეთით, ერთმანეთისგან არც ისე შორს, მისგან სპეციალური ჯურღმულების არსებობაც შევიტყვე.

- ეგ რისთვისღა უნდათ? - უმალ შემომკითხა ჩემმა რჩეულმა.

- ურჩი ტუსაღები ჰყოლიათ გამოკეტილი.

- რისთვის?

- მორჯულების მიზნით.

- რაღაც უნდა ვიღონოთ! - გულმოწყალედ შემომთხოვა და თავი ჩაღუნა.

- მაშინ კარიერზე ნუღარ წავალთ, ესენი მოვძებნოთ, როგორც შევძლებთ, ისე დავეხმაროთ. თქვენ რას იტყვით?

- თანახმა ვართ!

- ჯერ გარეთ დავათვალიეროთ, გავარკვიოთ, საიდან უფრო შევძლებთ მათ გამოპარებას, ხომ ხედავთ, რა სიმაღლის კედელი აქვთ შემოვლებული, თავისი საგუშაგოებით, მხოლოდ ერთი ალაყაფითაა შესასვლელი და გამოსასვლელიც. ცენტრში კი ყაზარმის მსგავსი საცხოვრებელი შენობაა, თან შიგნით გადავინაცვლოთ.

შენობაში რამდენიმე მოსაქმე ადამიანი შევნიშნეთ.

- ესენი უსათუოდ მორიგეები იქნებიან! - მითხრა თავის თავში დარწმუნებულმა მეგობარმა - ხომ არ გამოვეცნაუროთ? გავიგოთ, რა ხდება მათ სარდაფებში, ან იქნებ კიდევაც იციან, სად არის ჯურღმულების ადგილ-სამყოფელი?

- აბა, სცადე, თუ რაიმე საინტერესო მოგვაწოდა, კონტაქტში მეც შემოვალ!

თავიდან ტყვე შეშინდა, როცა აუხსნა, ვინც იყო. აქ რისთვის მოვიდა და რა აინტერესებდა. მერე კი საფუძვლიანად უამბო, როგორ ჩავარდნენ ტყვედ, სად დაჰყავთ სამუშაოდ, რას ასმევენ და აჭმევენ. „ხოლო ურჩებს, - ამბობდა ტყვე, - დაუნდობლად სცემენ და ჯურღმულებში მანამდე ჰყავთ, სანამ არ მორჯულდებიან".

ბოლოს ისიც შემოგვეხვეწა.

- იქნებ თქვენმა უნარმა მაინც გაამართლოს, გაგვიხსნას და გაგვათავისუფლოს მტარვალის მარწუხებისგან. თუ ვინიცობაა, გადაადგილების საშუალება დაგჭირდეთ, საჯინიბოებს მიგასწავლით. გაქცევის დროს გამოიყენებთ, მით უმეტეს, თუ ქალებმაც უნდა მიიღონ გაქცევაში მონაწილეობა.

მადლობა გადავუხადეთ და ვთხოვეთ, ჯერჯერობით ჩვენი ჩანაფიქრი საიდუმლოდ შეენახა.

შენობიდან გამოვედი და იმ მიმართულებით წავედი, საითკენაც მიგვითითა. მალე ხრიოკ ადგილზე აღმოვჩნდით, სადაც დაუმორჩილებელი ტუსაღებისთვის ციხე ჰქონდათ. შენობის შიგნით უმეტესი ტუსაღი თითო-თითოდ ჰყავდათ საკნებში გამოკეტილი. საერთო საკნებში განკუთვნილზე მეტი რაოდენობის გამო სივიწროვე, არეულობა და ზედახორა ჰქონდათ, ამიტომ, ზოგს კუთვნილი ადგილი არ გააჩნდა და იატაკზე უხდებოდა ღამის გათევა.

უეცრად, რაღაც ცუდი მენიშნა. ჩემი გულისთქმას მივაყურადე. ციხის ჯურღმულებიდან მოთქმისა და კვნესის ხმა შევიგრძენი. ჩემებს ვანიშნე, სასწრაფოდ ქვემოთ ჩაგვენაცვლა.

საშინელი სურათის მოსმწრე გავხდით.

დაოსებული და დასახიჩრებული, მთელ ტანზე სისხლშემხმარი და სიცოცხლემილეული ტყვეებით გრგვინავდა ქვესკნელის შავბნელი კუნჭულები.

საზარელი ხმების შეგრძნებამ ძალზე იმოქმედა. უცნაურმა ძრწოლამ აიტანა ჩვენი ეფირული სხეული, ასე დიდხანს გაგრძელება არ შეიძლებოდა.

- აბა, გამაგრდით, - ვამხნევებ მეგობრებს, - ასეთ ყოფაში ვერაფერსაც ვერ მოვახერხებთ. შენ კი, ჩემო კარგო, რადგან ამ საშინელებას შენი ნაზი გრძნობა ვერ გაუძლებს, ამიტომ ზემოთ დაგველოდე.

- რას ამბობ, მეც თქვენ გვერდით ვიქნები!

- იქნები იმ შემთხვევაში, თუ შენს განცდებს გააკონტროლებ! - ვურჩიე მათი საცოდაობით შეღონებულს.

- კარგი, შენც დაწყნარდი.

- ნუ იდარდებ, უკვე მშვიდად ვარ. ახლა მომისმინეთ, მათ ჯერ მოსულიერება სჭირდებათ, გონზე რომ მოვლენ, მერე ჩვენი განზრახვა ვუთხრათ.

- ექიმის გარდა სხვა ვინ მოასულიერებს?

- ექიმი არა, უფრო სასწრაფო დახმარება. ექიმის მოსვლამდე თითო-ოროლა თუ გაუძლებს ამ ტანჯვა-წამებას!

- მაშ, სხვა რა გზა გვაქვს?

- ენერგომასაჟს ჩავუტარებ, იქნებ ამ თერაპიით მოვასულიერო. თქვენც დაუკვირდით, თუ გაამართლა, მერე ერთად დავიწყოთ, იქნებ სამივე დროულად გავწვდეთ. მე აგერ მასთან მივალ! - მივუთითე მიწაზე უძრავად მწოლიარეზე.

მივუახლოვდი მას და მაშინვე დავიწყე ენერგიის გადაცემა ქვემო კიდურებიდან ზემო მიმართულებით. ენერგიას ვაწვდიდი ვიბრირებით, ერთი წუთის განმავლობაში. შემდეგ ჩავანაცვლე ზიგზაგისებური, მერე მონაცვლეობითი.

წამებულმა თანდათან მოიხედა. გონს მოვიდა. თავი ასწია და აქეთ-იქით მიმოიხედა. განმკურნავი რომ ვერსად შენიშნა, მაღლა აიხედა, უზენაესს მადლობა გადაუხადა და ფეხზე წამოდგომას შეეცადა. როგორც იქნა, ადგა. კედელთან მწოლიარე ტანჯულს მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა, პულსი გაუსინჯა. მან ძლივძლივობით გაახილა თვალები, თანაგრძობით შეხედა და ისევ მილულა.

- დრო არ ითმენს, - ვუთხარი ჩემებს, - გავნაწილდეთ და ვინც უფრო ტრაგიკულ მდგომარეობაში არის, მათით დავიწყოთ!

მეგობრებმა ადვილად აუღეს ალღო ენერგოთერაპიას. ოცდაათი წუთის განმავლობაში იქ მყოფი ყველა მოვასულდგმულეთ, ხოლო მათ შორის ვინც უფრო კარგად გამოიყურებოდა, მას ავუხსენით ვინ ვიყავით და რა დავალების შესრულებას ვაპირებდით.

- ნუთუ თქვენ მოგვასულიერეთ? - განცვიფრებული იყო ჩვენი მოხერხებულობით, - და თქვენ გსურთ ჩვენი გათავისუფლება?

- გვინდა, თუ გვენდობით. თქვენს მეზობელ ციხეში ჯერჯერობით მხოლოდ ერთმა იცის, სასახლეში - მარტოდენ სეფექალმა. ორივე ჩვენს ნიშანს ელოდება, ხვალ ღამით მოვემზადებით და დილით ადრე გავალთ.

- დარაჯები, ისინი ხომ ყოველ ნაბიჯზე არიან?

- მსგავს წინააღმდეგობას ჩვენ გავანეიტრალებთ. ცოტა

რთული იქნება საჯინიბოებიდან ბედაურების გამოყვანა, მაგრამ ვეცდებით, რომ ეს პრობლემაც უმტკივნეულოდ მოვაგვაროთ. ახლა კი დროა, სატახტო ქალაქში დავბრუნდეთ. ჩვენი სეფექალები გვინდა ცალ-ცალკე გავაფრთხილოთ. ცალკეულად იმიტომ, რომ ვინიცობაა მათ შორის ვინმე გამთქმელი გამოერია, მას ეცოდინება, რომ მის გარდა ჯერჯერობით არავინ იცის, ამიტომ იძულებული იქნება, საიდუმლო შეინახოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ აღმოჩნდება ბადეში გაბმული. თქვენ კი ამასობაში ერთმანეთი გაამხნევეთ, დროებით!

ზემოთ რომ ავინაცვლეთ, შვება ვიგრძენით.

- რა საშინელებაა იქ ყოფნა!

- მით უმეტეს, შენისთანა ნაზი გოგონასთვის!

- შენ ხომ მყავხარ ვაჟკაცი, მამაცი!

- არც მათ ჩამოუვარდები!

- გაბედულობით, ნამდვილად გავხარ!

- კარგი, ნუღა ვიკამათებთ, შენ ახლა კიდევ ერთი კარგი დავალება უნდა შეასრულო. იქ რომ მივალთ, ყველა ჩვენიან ქალს სათითაოდ და საიდუმლოდ აუხსნი მდგომარეობას, რომ ზეგ დილით ელოდონ გასასვლელ ნიშანს. ჩვენ მამაკაცებს გავაფრთხილებთ, ამასთან ერთად ვეცდებით, გავიგოთ, ვის აქვს საჯინიბოები მიბარებული, თუ მათ შორის ვინმე აღმოჩნდა, უკეთესს რას ვინატრებთ, ასევე, მას დავავალებთ ხალხის გადაყვანას, სამგზავრო ეტლების ორგანიზებასაც.

- მეც დავეხმარები!

- თავისთავად, უჩვენოდ ამ შემთხვევაში ნებისმიერი არა მარტო საქმე, არამედ გადაადგილებაც გაუჭირდებათ, ამიტომ მათ გვერდით უნდა ვიყოთ!

- შენ რას დაამატებდი?

- საკვების პრობლემას როგორ გადავწყვეტთ?

- დროული შენიშვნაა, ყოჩაღ, მე ვფიქრობ, რომ ვინც სამგზავრო ეტლების საკითხს მოაგვარებს, სურსათ-სანოვაგესაც ზედ დავალაგებინებთ. მასთან ერთად გასაფრთხილებელი

გვეყოლება აშპაშხანაში მომუშავეებიც, სამგზავრო საკვებზე რომ იზრუნონ და მეეტლეებთან კავშირი ჰქონდეთ. თუ სხვა კითხვა არ არის, დროა მონარქის რეზიდენციას ვეახლოთ, წავედით!

სასახლეში მისულებმა მაშინვე დავიწყეთ დავალებების შესრულება. დარბაზ-დარბაზ მივყვებოდით. ჩვენს წინაპარს გუმანი გვაგრძნობინებდა. გადაწყვეტილებას ვუხსნიდით და ვპირდებოდით მონობის მარწუხების მოხსნას და სამშობლოში დაბრუნებას. უარის მთქმელი არავინ შეგვხვედრია. ყოველ მათგანს სურდა ნოსტალგიით შეპყრობილი გული როგორმე დაეშოშმინებინა. ბევრი დღესვე იყო გასვლაზე თანახმა.

მათ რიგებში ასევე აღმოჩნდა მეჯინიბეების ზედამხედველი. ჩვენი მიზანი რომ გაიგო, გაუხარდა და თავის მხრივ ყველანაირი დახმარება აღგვითქვა.

ბოლოს ჩვენი ნაცნობი ქონდაქარი გავაფრთხილეთ სურსათ-სანოვაგის მოგვარების თაობაზე და ბანაკს დავუბრუნდით.

მეორე დღეს ჩემთვის ვფიქრობდი, ნეტავ რა უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ ჩვენთვის ხელი შეეშალა. წინააღმდეგობები რომ შეგვხვდებოდა, ეს ვიცოდით, მაგრამ ისინი წინასწარ გავითვალისწინეთ და დავაზღვიეთ. იმგვარ დაბრკოლებას ვეძებდი, რომელიც სირთულის გამო გეგმას ჩაგვიშლიდა. ასეთს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიე.

საღამო ახლოვდებოდა, როცა ამ საკითხის ირგვლივ ფიქრი ერთად დავიწყეთ.

- ერთ აზრს თავიდან მე გეტყვით, მერე თქვენ თქვით.

- გისმენთ!

- სამაგიეროს გადასახდელად, მე დარწმუნებული ვარ ამაში, უეჭველად დიდ არმიას გამოალაშქრებს და ქვას ქვაზე არ დატოვებს. აუცილებელია ამის გათვალისწინება და მისთვის დასაზღვევი საშუალების მოფიქრება. დრო გვაქვს, მაგრამ რაც მალე მოვიფიქრებთ, მით უკეთესი. სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევასაც გავაანალიზებთ.

- თუ წამოვლენ, ჩვენც წინანდელი ხერხი გამოვიყენოთ!

- ეგ უკიდურესი ღონისძიებაა. ჩვენ ისინი საზღვრამდე არ უნდა მოვუშვათ. შენ რას იტყვი, როგორც გონებაგახსნილი გოგონა?

- აზრად ჯერ არაფერი მომსვლია, მხოლოდ ერთი უცნაური მოსაზრება მაქვს.

- თქვი, იქნებ წაგვადგეს!

- ოღონდ, არ გაგეცინოთ!

- თუ სასაცილოა, გაგვეცინება, აბა რა!

- ჩემი დაცინვა თუ გინდათ, მაშინ არ გეტყვით.

- რას ამბობ, შენ ხომ ჩვენი რაზმელი ხარ, უფრო სწორად - რაზმელინა. ხვდები, არა? ბოლოში ასოები ნ და ა რატომ დავუმატე, არ გაგვიბრაზდე. გვითხარი, რაკი ერთად ვართ, ოპერაციის შესასრულებლად ნებისმიერი ვარიანტი უნდა განვიხილოთ.

- დავიწყებ, თუ ბოლომდე მომისმენთ.

- გისმენთ, როგორმე დაგვაღირსე!

- მე ვიტყოდი, რომ სანამ გამოლაშქრებას დაიწყებდა, შუამავალი მოგვეძებნა!

- შერიგებისთვის? - ჩაუჭრა სიტყვა თანარაზმელმა.

- მადროვე, იმ მიზნით, თუ საბრძოლველად არ გამოაგზავნიდა არმიას, სამაგიეროდ დახმარებას გავუწევდით სხვა ქვეყნის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში, რარიგად - ეს მერე გადავწყვიტოთ!

- აზრი ურიგო არ არის, მაგრამ ჩვენ გვინდა მშვიდობიანი გზით მოგვარება.

- ან რას გვესარჩლება? - აუწია ხმას თანამზრახველმა, - ჩვენ ჩვენი ხალხი მიგვყავს და არა მათი!

- შენს განცხადებაზე საერთოდ არ დაფიქრდება. ჩემი შენი მან არ იცის, თვალის დახამხამებაში შეკრებს არმიას და გამოგიგზავნის.

- გამოაგზავნის და კუდით ქვას ვასროლინებთ!

- ო, შენი მუქარის ნამდვილად შეეშინდება. კარგი, ხუმრობა შემდეგ, ამ საკითხზე ვიფიქროთ, იქნებ საღ აზრს წავაწყდეთ. ერთ მოსაზრებას მეც გეტყვით.

- გისმენთ!

- ჩვენ შეგვიძლია თავისსავე ვეზირს ვათქმევინოთ, რომ ჩვენ გვყავს ყოვლისმძლეველი არმია და არ ღირს მათთან გაომება და ახლახან დამარცხების მაგალითს შეახსენებს, თუ არ გადაიფიქრებს და მაინც გამოალაშქრებს, დაე, გამოაგზავნოს!

- მერე, რას ვიზამთ? - ერთდროულად შემომკითხა ორივემ.

- რას და შუა გზიდან დავაბრუნებთ, ეს კი მის სიმხდალეზე მიუთითებს, რაც მეომარი კაცისთვის არასასურველია.

- მე მომეწონა ეს აზრი!

- მეც მხარს ვუჭერ!

- კარგია, რომ მოგეწონათ, მაგრამ მხოლოდ ამ ვარიანტზე ნუ შევჩერდებით, დრო გვაქვს, უკეთესის მოფიქრებაც შეიძლება. ახლა უშუალოდ ძირითად გეგმას დავუბრუნდეთ. პირველ რიგში გადავწყვიტოთ, მოქმედებას საიდან ვიწყებთ. სჯობს, ჩემი აზრით, თავდაპირველად გავაფრთხილოთ ციხისა და მის ჯურღმულებში გამომწყვდეული ტყვეები, რომ მზადყოფნაში იყვნენ. მერე სასახლეს ვეწვევით, ყველას სათითაოდ შევატყობინებთ სასახლიდან სასწრაფოდ გასვლას საჯინიბოს მიმართულებით. საჯინიბოს ეზოდან წამოვაყვანინებთ ორ ეტლს სურსათის წასაღებად. დარაჯებს მივაძინებთ. ვინც მათ ორომტრიალში გაიღვიძებს, ისევ ძილში გავუშვებთ. როცა გზას ციხისკენ გავუდგებით, ორი მათ უკან დავრჩებით, ერთი კი წინ წაუძღვება. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე დაგვედევნა, გეზს შევაცვლევინებთ, ან ჩავაძინებთ. ბუნებრივი დრო ამის კარგ საშუალებას მოგვცემს, ამიტომ ჩვენ მიერ გაგზავნილ მოთხოვნებს ადვილად დაემორჩილებიან. ციხეს რომ მივუახლოვდებით, დარაჯების განეიტრალების შემდეგ ჯერ ქვესკნელიდან ამოვიყვანთ წამებით დაოსებულ ტყვეებს, მერე ციხეში მყოფთ შევატყობინებთ, რომ უკვე მოვიდა მათი გათავისუფლების ჯერიც. შეიძლება ყველასთვის არ მოიძებნოს სამგზავრო საშუალება, ამიტომ უნდა ვთხოვოთ, უადგილოებისთვის ხელდახელ შეკრან ხისაგან მარხილები.

- ოპერაციას როდის ვიწყებთ?

- ძალიან ადრე, მეგობარო, ცისკრამდე, ღამის მეორე ნახევარში. ადგომის დრო როცა მოაღწევს, სამივე აქ უნდა ვიყოთ.

- რას მოვასწრებთ ასეთ მცირე მონაკვეთში?

- ნასაუზმევს, თავისუფალი დროის მონაკვეთში, კვლავ გავალთ და მათ გვერდით ვიქნებით. უკვე ჩვენი დასვენების დროც დგება, წავიდეთ, თან მათზე ვიფიქროთ.

ფეხზე ჩვენი წამოდგომა და ძილისპირულიც გაისმა...

... ოპერაცია გეგმის მიხედვით დავიწყეთ. მეციხოვნეების განეიტრალების შემდეგ ტყვეები გავაფრთხილეთ, თან ვთხოვეთ, ჯურღმულებიდან წამებულები ამოეყვანათ და ჩვენს მორიგ მოსვლას დალოდებოდნენ. მერე სასახლეს ვეწვიეთ, მცველები მივაძინეთ და გრძელ დერეფანს გავუყევით. ჩვენს ნაცნობ კარს მიღმა მომლოდინე სეფექალებსა და მომსახურე პერსონალს ნიშანი მივეცით, გარეთ გამოსულიყვნენ და გეზი საჯინიბოს მიმართულებით აეღოთ.

სიჩქარეში ბავშვის დედამ შემთხვევით შეკრული ფუთა სასანთლეს წამოჰკრა. მისი ხმა მდუმარე დერეფანში ქუხილივით გაისმა. იქვე ახლოს მთვლემარე მცველმა თვალები დააჭყიტა, თავი მაღლა ასწია და სანამ გონს მოვიდოდა, ისევ მივაძინე და დედა-შვილს უკან გავყევი.

ყველანი რომ გარეთ დავიგულეთ, მეჯინიბეების ზედამხედველთან მივედი და გეგმის მომდევნო ნაწილი ავუხსენი. მან მიიღო ჩემი წინადადება და თითოეულ მეჯინიბეს დავალება გაუნაწილა. მე ეტლებს სურსათის საწყობისკენ გავყევი, ჩემები - მათ.

საწყობს ორი დარაჯი დარაჯობდა. ერთი კარების წინ მოძრაობდა, მეორე ერთ ადგილზე იდგა. დავწინაურდი, ჯერ აქეთ-იქით მოსიარულე დარაჯი მივაძინე, მერე - მდგომი. მალე მეეტლეებიც მოვიდნენ.

სამი ვაჟკაცი გამალებული აწყობდა ეტლებზე სამგზავრო სანოვაგეს, რაც ვერ მოათავსეს, ცხენებზე ხურჯინივით გადაკიდეს. საწყობის კარი ისევ ურდულით ჩარაზეს და საჯინიბოსკენ წამოვედით, სადაც ხალხი გველოდებოდა.

როგორც კი მივედით, ქალები და ბავშვები ეტლებში ჩავსხით და გზაზე დავაყენეთ. თვითონ მამაკაცები ბედაურებზე შესხდნენ, თავისუფლებს თავი ერთად მოუყარეს და წინ გაიდევნეს.

მე და რაზმელა ჩამკეტები ვიყავით. ის კი წინ მიუძღოდა. ჯერჯერობით საშიშროებას ვერ ვგრძნობდით. მშვიდად მივიწევდით წინ. გზას სავსე მთვარე გვინათებდა.

ციხეებს რომ მივუახლოვდით, ყველა მომზადებული დაგვხვდა. თავისუფალ ბედაურებზე უწინარესად ისინი დავსხით, ვინც სუსტად გრძნობდა თავს. დანარჩენები კი ქვეითად გაუდგნენ მშობლიური ქვეყნისკენ მიმავალ გზას.

დაახლოებით ორმოცდახუთი წუთი იყო გასული, მეჯინიბეების ზედამხედველს ჩვენი გასვლის დრო რომ ვაცნობე.

- განთიადამდე საშიშროება არ გელით, - ვეუბნები მას, - მშვიდად იარეთ, მერე ჩვენც დაგიბრუნდებით!

ბანაკში იმ დროს დავბრუნდით, ცოტა წაძინებაც მოვასწარით, რაც საკმარისი აღმოჩნდა დილის პროცედურების სრულყოფილად ჩატარებისთვის.

... განრიგით გათვალისწინებული თავისუფალი დროის მონაკვეთიც მალე დადგა. ჩვეულებისამებრ, კვლავ დანიშნულ ადგილზე შევიკრიბეთ.

- საკუჭნაოში წავიდეთ და იქ ჩავიკეტოთ, - ვაწვდი ჩემს იდეას, - ამ დროს იქ არავინ შედის.

მათი თანხმობა რომ მივიღე, მალულად საკუჭნაოში შევიპარეთ. ჩვენთვის ხელსაყრელი ადგილი მოვძებნეთ და გავედით.

წინამძღოლს შევატყობინეთ ჩვენი იქ მისვლა.

- სიმშვიდეა, ჯერხანად მდევარი არ ჩანს! - მომიგო მან და გზა განაგრძო.

- ჩვენ მაინც გადავამოწმეთ ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა და შემოგარენი. რომ დავრწმუნდით, ყველგან ყველაფერი რიგზე იყო, წინამძღოლთან დავბრუნდით.

- შესვენებას როდის გეგმავთ, იქნებ დასვენებისას ხეების მსხვილი ტოტებით სახელდახელო მარხილი შეგვეკრა?

- გავივაკებთ და მერე, თანაც წავისაუზმებთ.

- მშვიდად ისაუზმეთ, დამცავი ძალები აქ ვართ.

- საკვირველია, ასე პატარებს რამდენი შეგძლებიათ, ან როგორ ახერხებთ?

- მე ბუნებით დამყვა, ჩემს მეგობრებს კი მე ვასწავლე.

- თქვენი ვალიდან ჩვენ ვერც ერთი ამოვალთ!

- რას ამბობთ, არც გაიფიქროთ, რა ვალზე მელაპარაკებით, ეს ჩემი მისია არის და ვასრულებ. თქვენ თუ უხერხულად გრძნობთ თავს, უხერხულობა ერთმანეთის თანადგომით შეგიძლიათ მოიხსნათ.

- კარგი ბიჭი ხარ, უღრმესი მადლობა შენ და შენს მეგობრებს!

- არაფრის, აგერ გამოჩნდა ვაკე ადგილიც, თავისუფლად მოისვენეთ. ჩვენ კი კვლავ ადგილმდებარეობას და თქვენ მიერ განვლილ გზას გადავამოწმებთ.

სამივე მაშინვე გავნაწილდით და დავიწყეთ განვლილი მონაკვეთის და მათ გარშემო ხეობის დათვალეირება. შემოწმებას არანაირი ეჭვი არ გამოუწვევია. არემარეს მხოლოდ ფრინველთა ჟივჟივი და ჭიკჭიკი ახმიანებდა. სხვა მხრივ, ჩამიჩუმი არ ისმოდა. სიჩუმე მათთვის საუკეთესო ხმარდამჭერი იყო, თუ ასე გაგრძელდა ქვეყნის მიჯნამდე, დიდ წყალობად ჩავთვლიდით.

ვნახოთ, სადამდე გასტანდა ანაზდად გაჩენილი ფუფუნება.

საუზმე რომ მოიმთავრეს, მიწაზე სასრიალო საზიდების შეკვრა დაიწყეს. ჩვენ კი გასავლელი მანძილის დათვალიერება დავიწყეთ. ნათლად ვხედავდით, რა წინაღობების გადალახვა ელოდათ ტყვედყოფილებს. ყველაზე სახიფათო და საფათერაკო მდინარის დაბრკოლების დაძლევა ექნებოდათ. ფონის მონახვის გარეშე ნამდვილად ვერ შეძლებდნენ მის გადალახვას.

როცა უკან დავბრუნდით, წინამძღოლს გზის ყოველი მონაკვეთი აღვუწერეთ.

- ჩვენ ხომ სხვა არჩევანი არ გვაქვს, ნებისმიერი წინაღობის დაძლევა უნდა შევძლოთ. საჭიროა სიჩქარეც. სასახლეში

ჩვენს გაქცევას რომ შეიტყობენ, მდევრებს შესაპყრობად სხვადასხვა მხარეს დაგზავნიან, როგორმე ხელში რომ ჩაგვიგდონ!

- თქვენ მშვიდად იარეთ, დარდი ნუ გექნებათ, ჩვენ მათ ახლოსაც არ მოგაკარებთ. ახლა ცოტა ხანს დაგტოვებთ და კვლავ გეახლებით!

დავაიმედეთ წინამძღოლი და დასაბრუნებლად მოვემზადეთ.

ვხედავთ, საკუჭნაოს გაღებას სამნეო ნაწილი ცდილობს.

რა ვქნათ? - შემომკითხა შიშნეულად ორივემ.

- რა და მივათვლემინოთ თავისივე საკუჭნაოსთან, ეგ არის და ეგ!

- ჩვენც მხარს გიჭერთ!

ის იქვე, კართან მივაძინეთ. ჩვენ კი შიგნიდან ჩარაზული კარი გავაღეთ და ბავშვებს შევუერთდით.

- იქ სიტუაციის შეცვლა ყოველ წუთს არის მოსალოდნელი, - ვეუბნები მათ, - სასახლეში ვინც დილას დანიშნულ თანამდებობებზე არ გამოჩნდება, უსათუოდ მოიკითხავენ, მოიკითხავენ ქალებსა და ბავშვებსაც, ვერსად რომ ვერ ნახავენ, შინ და გარეთ ძებნას დაუწყებენ. თუ მონარქს ციხეებიდან ტყვეების გაქცევას აცნობებენ, განრისხდება, გაავკაცდება, საჩქაროდ შეკრებს ურდოს და მათ მოსაძებნად გამოაგზავნის!

- რა ვიღონოთ? - შემომკითხა მოსმენილით შემკრთალმა და კულულებს წვალება დაუწყო.

- ჯერ დრო გვაქვს, ნასალიდევს თავისუფალ დროს უნდა გავიდეთ და ვიმოქმედოთ ისე, როგორც შექმნილი მდგომარეობა გვიკარნახებს. მანამდე გავერთოთ, დავიშალოთ, ხშირად ერთად რომ დაგვინახავენ, ეჭვს აიღებენ!

- მგონი, მეთაურს რაღაც ღონისძიება აქვს დაგეგმილი!

- დაველოდოთ, თვითონ დაგვიძახებს. აგერ, გვიხმობს კიდეც. ჩვენც ფეხმარდად მივუახლოვდით შეკრებილ თანარაზმელებს... მეთაურმა ღონისძიება მხიარულ აკორდზე წარმართა. კარგად გვამხიარულა. დამთავრებისას მოგვაწყო და სასადილოს დიდი ოთახისკენ მარშით წაგვიყვანა.

ნასადილევს ჩვენი გასვლის დრო მალე მოვიდა. ამჯერად გადასასვლელად საწყობში განვმარტოვდით. ჩვენდა ბედად, მისი კარი ღია დაგვიხვდა.

წინამძღოლს ჩვენი მისვლა დიდად გაუხარდა. გადარჩენის ერთადერთ იმედად გვთვლიდა.

- ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე გვაქვს. რაც შეგვიძლია, ვჩქარობთ. აღმართზე ასვლა ბევრ დროს გვაკარგვინებს. ალბათ მდინარის გადალახვას დიდი ხანი დასჭირდება, არა?

- თუ ფონს მოვნახავთ, ნახევარი საათი თავისუფლად იკმარებს. თქვენ სვლა გააგრძელეთ, ჩვენ კი არემარეს გადავხედავთ, გავიგებთ, რა ხდება!

მასთან საუბარი რომ დავამთავრე, ჩემებს გარემოს დათვალიერება ვთხოვე. მე განვლილი გზის შემოწმება ვითავე. გავნაწილდით და დავალების შესრულება დავიწყეთ.

სატახტო ქალაქამდე სიწყნარე იყო. სასახლეში რომ შევედი, მრისხანე მმართველი გააფთრებული უყვიროდა თავის ქვეშევრდომებს.

- მისი მოთავეები აქ მომიყვანეთ, მე თვითონ გამოვუტან განაჩენს. არ მომიყვანთ და თქვენ თვითონ აგებთ პასუხს, გადით და იმოქმედეთ!

რაღას იზამდნენ, თავი დაუკრეს, დარბაზიდან მძიმე ნაბიჯებით გამოვიდნენ და უმალ ყოველ მხარეს მალემსრბოლები გაგზავნეს. სპეციალური რაზმი კი ციხეების მიმართულებით აფრინეს.

მონარქს ამგავრი რამ არ ახსოვდა. შეთქმულებას ყოველთვის წინასწარ ატყობინებდნენ. მოთავეებს კი მკაცრად სჯიდა. ახლა მისი განრისხება ზღვარს მიღმა გასულიყო. ბრაზობდა. ეს როგორ გამოეპარათ ჩემს გუშაგებს, მათი შეთქმულებაო. წარამარა იმეორებდა და გაიძახოდა - „არმიას შევკრებ, არმიას და თავად გავუძღვები წინ!" საჩქაროდ სარდალი იხმო.

- შენთვის, - აუწია უფრო ხმას, - ძალების თავმოყრა მიბრძანებია, რაც შეიძლება ჩაუქად!

გასცა ბრძანება, ტახტს ზურგით მიეყრდნო, თავი უკან გადასწია, ზემოთ აიხედა და ორიოდე სიტყვა თავისთვის წაიბუტბუტა.

მე აღარ გავჩერებულვარ, სასახლიდან გამოვედი და სანამ ჩემებს შევატყობინებდი, ჯერ გამოგზავნილ სპეცრაზმს მივყევი.

რაზმი ციხეს მიუახლოვდა. შესასვლელში მიძინებული დარაჯების გონზე მოსაყვანად თვით ხელმძღვანელი და ორი მებრძოლი მივიდა, ორიც შიგნით გააგზავნა.

გონს მოსული დარაჯებისგან ვერაფერი გაიგეს, ვერც ციხიდან გამოსულებმა გამოიტანეს ჯეროვანი პასუხი. ვერ გარკვეულიყვნენ, ასე უცებ რა მოხდა.

რაზმის ხელმძღვანელმა მიწას დახედა. ნაკვალევს დაუკვირდა. რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა, შეჩერდა და ხელი იქით გაიშვირა, საითკენაც ოტებულთა ბანაკი მშობლიურ ქვეყნისკენ მიემართებოდა.

საჭირო ხდებოდა საგანგებო გადაწყვეტილების მიღება. მაშინვე ჩემებთან დავბრუნდი და იქ შექმნილი ვითარება ავუხსენი.

- გაიგეთ არა, რა ხდება? ოპერატიულად უნდა ვიმოქმედოთ. შენ რას იტყვი? - ვკითხე მეგობარს.

- მე ერთ აზრს მოგაწვდით, ჩემგან მარცხენა მხარეს მჩქეფარე მდინარეა, არ აჯობებს, გეზი იმ მდინარისკენ შევაცვლევინოთ?

დროებით მის აზრს ორივე დავეთანხმეთ.

- კარგი, არმიას რა მოვუხერხოთ? ძველი მოსაზრება ხომ არ ვარჩიოთ?

- რომელი?

- მის ვეზირს რომ ვათქმევინოთ, უფრო სწორად, გავახსენებინოთ უწინდელი თავზარდამცემი და უჩვეულო მარცხი. იქნებ, გონს მოეგოს და გადაიფიქროს!

- თუ ამ ხერხმა არ გაჭრა?

- თვით მონარქი რომ ვაიძულოთ, უარი თქვას ლაშქრობაზე?

- იდეა კარგია, მაგრამ ხალხი აუჯანყდება. მათი მართვა კი ძნელია. არადა, დაჟინებით ითხოვენ მძევლებად წაყვანილი ხალხის გამოხსნას. ისიც ჰპირდება. რაკი ახლა მიეცა საშუალება, უკან აღარ დაიხევს. აჯობებს, საკადრისი პასუხი გავცეთ!

- ასეთ ოპერაციას კარგი მოფიქრება, მობილიზება და სწრაფი მოქმედების უნარი სჭირდება. სპეცრაზმი უკვე გზაშია, უნდა ვიმოქმედოთ. მე ერთ აზრს გეტყვით.

- თქვი!

- მე ვფიქრობ, რომ ეს რაზმი უახლოეს ტყეში შევიყვანოთ და ვახეტიალოთ ან დავაბანაკოთ მანამ, სანამ მათ მიერ შეკრებული ურდო არ გამოჩნდება. დანიშნულ ადგილს რომ მოუახლოვდებიან, საგანგებოდ გაწვრთნილ რაზმს ტყიდან გამოვიყვანთ და მათ შევაბრძოლებთ. ბრძოლას ვინც გადაურჩება, ყველას მდინარისკენ ვაქნევინებთ პირს. რას იტყვით?

- კარგი ჩანაფიქრია!

- მეც გეთანხმებით!

- რაკი მოგეწონათ, ვიმოქმედოთ. მე წინამძღოლს ავიყვან, თქვენ წინა რიგში, შუაში ამხედრებულ მეომრებში შედით. როცა მათ კურსის შეცვლას ვაიძულებთ, ტყის სიღრმეში რომ შევლენ, იქ დავასვენოთ. მერე მე გავალ და შევამოწმებ, იქნებ ურდოს თავმოყრამდე სახელდახელოდ შეკრებილი მხედრიონი გამოაგზავნონ, ან არაა გამორიცხული, უკვე გზაში იყვნენ. დროა დაწყების, მომყევით!

საგანგებო რაზმი ტყის სიღრმეში შევიყვანეთ და დავაბანაკეთ. პირობის თანახმად, ისინი იქ დარჩნენ, მე კი სატახტო ქალაქისკენ გავემართე. არმისულს ციხემდე თქარათქურის ხმა შემომესმა. ეტყობოდათ, ესენიც ნაკვალევს გამოჰყოლოდნენ. უმალ გადავხედე მათ შემადგენლობას. არცთუ მრავალრიცხოვანი მხედრიონი გამოეგზავნათ. ალბათ, იჩქითად შეკრებილი მხედრები არიან, გავიფიქრე და უკან გამოვბრუნდი. სასწრაფოდ ვაცნობე ჩემებს კიდევ ერთი რაზმის გამოჩენა და გეგმის მეორე ნაწილის შესასრულებლად მოვემზადეთ. მეგობრები ადგილზე დავტოვე, მე ისევ მათ შესახვედრად გავემართე.

ისე აჩქარებით მოიწევდნენ, არც დამიყოვნებია. მათ მხედართმთავარში შევედი და მიმართულება ტყისკენ ავაღებინე.

ამასობაში მეგობრებმა ააბანაკეს რაზმი და მხედრიონის შესახვედრად წამოიყვანეს, თანაც გააფრთხილეს, საბრძოლველად მომზადებულიყვნენ.

მხედართმთავარმა ტყის სიღრმეში შენიშნა თუ არა საგანგებო რაზმის მეთაური, ბედაური მისკენ გააჭენა.

- ოჰ, გიაურო! - წამოიძახა და სატევარი მოუქნია.

მან მოქნეულ ორლესულ იარაღს თავისი ნაცადი ხმალი შეაგება. ხელი არც კი დაუშვია, მაჯა იქვე შეატრიალა და ელვის სისწრაფით ხმალი მუზარადსა და მხრის აბჯარს შუა გაუტარა. უცებ მეორე ხმალაღმართული მოეჭრა, მანამ იარაღს მოუქნევდა, მისი აღმართული ჯავშნიანი ხელის ქვეშ თავისი ბასრი იარაღი გამოუსვა და მესამეს მიუბრუნდა. მძაფრი დაუნდობელი ბრძოლა გაიმართა.

- ხედავთ, როგორი საგანგებოდ გაწვრთნილი რაზმი ჰყოლიათ? - ვეუბნებოდი ჩემებს მათი ოსტატობით გაკვირვებული.

- ნამდვილად ერთ ჯარს უდრის, არა?

- არც მათი გამკლავება გაუჭირდებათ. სანამ ესენი იბრძვიან, მე გადავალ და საკონტროლო შემოწმებას ჩავატარებ. სასახლეშიც მივალ და დაწვრილებით გავიგებ, რას აპირებენ. თქვენ შორიახლოდან უყურეთ და სიტუაციის მიხედვით იმოქმედეთ!

- არ დააგვიანო!

- არა, მზისადარო, თუ რაიმე მოხდება, გზავნილს გამოგიგზავნით, გავედი!

დათვალიერება ხეობიდან დავიწყე, მერმედ ციხის მიმდებარე ტერიტორიის შემოწმებას მივყევი. შემდგომ იმ შარაზე გადავედი, სასახლიდან გამოქცეულებმა რომ გამოიარეს. არავინ ჩანდა, სიმშვიდე კი იყო, მაგრამ დამუხტული. სასახლის კარიბჭის მიღმა კი მონარქი გრგვინავდა. მას გაქცეულებზე პასუხი არ ჰქონდა მიღებული და ქუხილის მიზეზიც ეს იყო.

სასახლის ზედამხედველი ხელმეორედ დაიბარა.

- თვალსა და ხელს შუა როგორ გაგეპარნენ, ბრბო იყო, ქვეწარმავლები ხომ არა. ისინი აქ რომ არ დააბრუნო, იცოდე, პასუხს აგებ!

- მომეცი უფლება, - ამოიღო ხმა ზედამხედველმა, - რომ მეომრები შევკრიბო და მე თვითონ წავუძღვე მხედრობას წინ!

- ისინი სად არიან, ვინც მათ დაედევნა, რა შეიტყვე, ნუთუ აქამდე ვერ მიაგნეს, დღე იწურება, პასუხი იგვიანებს, გამაგებინე, რა ხდება!

- მე დამრთეთ ნება, უტყუარ სიტყვას მე მოგიტანთ, თქვენო უმაღლესობავ!

- კარგი, ახლა სად წახვალ. დილით ადრე წადი, ვნახოთ, როგორ გამოისყიდი დანაშაულს!

მეც მასთან ერთად დავტოვე დარბაზი და მეგობრებს დავუბრუნდი.

- აქ რა ხდება, ბრძოლას ბოლო არ უჩანს?

- არა, მაგრამ საღამო ჟამს უთუოდ დაზავდებიან.

- ბნელში, აბა, მტერ-მოყვარეს ვინ გაარჩევს! - ვუპასუხე მის ხუმრობანარევ პასუხს, - ხუმრობა იქით იყოს. გასვლის დრო დადგა. ჩვენს დაბრუნებამდე ბრძოლასაც დაამთავრებენ, გავემზადოთ. დანარჩენს იქ გეტყვით.

წესისამებრ წინამძღოლი გავაფრთხილეთ და გამოვედით.

საწყობი მალულად დავტოვეთ და ტოლ-ამხანაგებს შევერიეთ.

- სად იყავი, - მეკითხება თანარაზმელი, - შენს ძებნაში ვარ, ფეხბურთის თამაში გვინდა, არ ითამაშებ?

- რატომაც არა, ისევ იმ გუნდს ხვდებით?

- ისევ ისინი არიან, ოღონდ, განახლებული შემადგენლობით. ახალი მოთამაშე მოიყვანეს.

- ვნახოთ, პირველი ტაიმი რა ანგარიშით დამთავრდება, თუ დავმარცხდით, მეორე ნახევარში, მის განეიტრალებას მე ვითავებ. წავიდეთ და ვეთამაშოთ!

მათი ახალი მოთამაშე სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა ჯგუფის წევრი აღმოჩნდა, რაც პირველი ნახევრის ანგარიშმაც, სამწუხაროდ, დაადასტურა.

- რაღაც უნდა ვიღონოთ, - მეუბნება შეწუხებული თანაგუნდელი. - წაგება არ გვაწყობს!

- შენ თუ მეტყვი, წაგება ვის აწყობს, მაშინ მოვიგებთ!

- ისე ვთქვი, სიტყვის მასალად, რა მოვუხერხოთ მას, სამით ერთს ვაგებთ!

- მე ავიღებ ჩემს თავზე, ფეხსაც არ გავანძრევინებ, თქვენც მოინდომეთ და მოვიგებთ.

- ხომ არ დაიღალე?

- მოცურავე ბიჭს რა დამღლის!

- ცურვას სწავლობ?

- არა, უკვე ვისწავლე. ცოტა წყალი მოვსვათ და წავიდეთ.

მეორე ნახევარში ტაქტიკა შევცვალეთ. მათი ფორვარდი პერსონალურად ავიყვანე, მასთან ვიყავი დაცვაში და თავდასხმაშიც. ამასობაში ჩვენებმა იმარჯვეს და ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს, ერთი კი - თამაშის დასასრულს. მსაჯმა საბოლოოდ საერთო ანგარიში - 4 : 3 ჩვენს სასარგებლოდ დაფიქსირა.

- შენ რომ არ გამოჩენილიყავი, ამ თამაშს ვერაფრით მოვიგებდით! - აღნიშნა მოგებით გახარებულმა თანაგუნდელმა.

- ახლა ხომ გვეკუთვნის საკადრისი ვახშამი?

- რაღა თქმა უნდა, გადავიბანოთ, ამასობაში ვახშმის დროც მოვა! - დამაიმედა გამარჯვებით გულმეოხებულმა.

წყლის გადავლება რომ დავამთავრეთ, პირდაპირ სასადილო ოთახს მივაშურეთ.

... ვახშმით დანაყრებული, ჩემს მეგობრებს შევეხმიანე. ათი წუთი ვილაპარაკეთ და დასასვენებელ ოთახში შევედით.

ჩავწექი და თვალები მივნაბე. ვფიქრობ, თან მეკონტროლის შემოსვლას ველოდები.

- რატომღაც დღეს აგვიანებს, რა მიზეზია? - წავჩურჩულე მოლოდინით დაღლილ მეგობარს.

- არ ვიცი!

- მაშ, როდემდე უნდა ველოდოთ? იქ კი, როგორც იტყვიან, მარცხი ერთ წამში შეიძლება მოხდეს!

- რაღაც მოვიაზროთ.

- დაველოდოთ კიდევ ხუთი წუთი, მერე, რაიმეს მოვიფიქრებ.

- რა მოხდება, რომ გავიდეთ?

- ჩვენი გასვლის დროს სხეული ფერს იცვლის. ის როცა შემოდის, ყველა მათგანს აკვირდება, მძინარეა, თუ არა, რომ დაგვინახავს ფერშეცვლილს, იფიქრებს, იქნებ ცუდად არიანო, მოგვიახლოვდება და შეგვეხება, ეს კი ჩვენთვის ცუდია.

- რომ ვაგვიანებთ?

- მაშინ მე გავალ და შევამოწმებ, შესაძლებელია პურმარილობენ და უფრო გვიან აპირებს შემოვლას.

- შენ გინდა, რომ აიძულო, ბარემ შეგვამოწმოს?

- სწორედ მიმიხვდი!

- კარგია, იმოქმედე!

მე გავედი და პირდაპირ სასადილო ოთახში მივაკითხე. ჩემი ვარაუდი გამართლდა. ისხდნენ მაგიდასთან ბანაკის თანამშრომლები და თავს ქეიფით იქცევდნენ.

სასწრაფოდ ავამოქმედე ჩემი ფსიქომექანიზმი. ორგანიზატორი ვაიძულე ამდგარიყო და თავისი მოვალეობა შეესრულებინა. მე ჩემს საწოლს მივაშურე. თავი მოვიმძინაროთ, ვანიშნე მეგობარს, თვალები მივლულეთ და მის შემოსვლას დაველოდეთ.

მან კარი წყნარად გააღო, სათითაოდ დაგვათვალიერა. დათვალიერება რომ დაამთავრა, დაბალ ხმაზე იკითხა:

- ვის არ სძინავს?

ხმა არავინ გასცა. კიდევ გაიმეორა. ამჯერადაც რომ არავინ უპასუხა, კარი ფრთხილად გაიხურა და დაგვტოვა.

მისი წასვლა და ჩვენი გასვლა ერთი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ არემარეს ბინდბუნდი ჯერ კიდევ შერჩენოდა, მაინც დაზავებულიყვნენ. ერთი რაზმი ტყეში დაბანაკებული დაგვხვდა, მეორე - მდინარის პირას და დაჭრილებს პირველად დახმარებას უწევდა.

- ახლა ჩვენები მოვინახულოთ, ზედაც ახალი ამბებიც გადავცეთ.

მათ საკმაოდ გრძელი მანძილი გაევლოთ. ბევრს მგზა-

ვრობით გამოწვეული დაქანცულობა ძალიან დასტყობოდა. რადგან საღამო ახლოვდებოდა, აღარ გაჩერებულან, პატარას კიდევ გავივლით, ფიქრობდნენ, მერე მოხერხებულ ღამის გასათევს მოვნახავთ, თან ვივახშმებთ და დავისვენებთო.

ჩემს მეგობრებთან ერთად გავაკებული ადგილის ძებნა დავიწყე, ვეძებდით მდინარის პირად გაშლილ მდელოს, ისეთს, როგორიც მათ წაადგებოდათ. ცოტა მოშორებით მივაკვლიეთ.

- არცთუ შორს, - ვაწვდი ინფორმაციას მოწინავეებს, - თქვენი დასასვენებელი ადგილი ვნახეთ. მე ვფიქრობ, დაისის ბოლომდე იქ მისვლას ნამდვილად მოასწრებთ.

- შევეცდებით, თუ წამებულთა ჯგუფი გაუძლებს, ვიჩქარებთ. თქვენ ის მითხარით, - დაინტერესდა წინამძღოლი, - მდევრები ხომ არ გვიახლოვდებიან?

- მდევრები უკვე აქ იქნებოდნენ, ჩვენი სტრატეგია რომ არ გამოგვეყენებინა!

- გაგვაგებინეთ, თუ საიდუმლოდ არ ინახავთ.

- გეტყვით, ჯერ სპეცრაზმი გამოაგზავნეს, სასწრაფოდ რომ მოეძებნეთ!

საგანგებო რაზმის ხსენებაზე შეცბა და გაფითრდა.

- რას ამბობ, ესენი ხომ განსაკუთრებული მებრძოლები არიან, მათ ყოველთვის საგანგებო შემთხვევის დროს იყენებენ. მაშინ არ ყოფილა ჩვენი საშველი. ეგ რაზმი, რომ იცოდე, ერთ ლაშქარს უდრის!

- ნუღარ განიცდით.

- როგორ არ განვიცადო, სათქმელი აღარ მემორჩილება, თუ ნამდვილად ისინი არიან, ყასაბივით აგვქნიან უკლებლივ ყველას!

- არ მაცლით, რომ დავაბოლოვო. საფრთხე ჯერ არ გემუქრებათ. მათ შემდეგ, დამატებით კიდევ გამოაგზავნეს არცთუ მრავალრიცხოვანი მხედრობა. ისინიც თქვენს ნაკვალევს წამოჰყვნენ. თუ ვინიცობაა, საზღვარს გადაასწრებდით, ქვეყნის მიჯნაზე მდებარე სოფლებს ააწიოკებდნენ, რომელსაც ზურგს გაუმაგრებს ხვალ დილით წამომავალი ურდო.

- მათ რა ბედი ეწიათ, ვინც უკვე გამოაგზავნეს?

- ისინი მე და ჩემმა მეგობრებმა ერთმანეთს წავაბრძოლეთ. ახლახან დაზავდნენ. ხვალისთვის კვლავ განაახლებენ. ვინც მათ შორის გაიმარჯვებს, მომავალ ურდოს დავუპირისპირებთ. აი, ჩვენი გეგმა!

- ყოჩაღ თქვენ. ოპერაციას ჩინებულად ატარებთ. გამიხარდა. სახელიც ხომ არ შეგირჩევიათ?

- ფლეში შევარჩიეთ!

- ძალიან კარგი, თქვენი ოპერაციის ფლეშის გაგრძელებას წარმატებას ვუსურვებთ!

- გმადლობ. შეკითხვა მაქვს.

- თქვი!

- რამდენ დღეში ფიქრობთ საზღვრის გადალახვას?

- თუ მგზავრობა არ ჩაგვივარდა, სამი დღის თავზე ქვეყნის მიჯნას უნდა ვიყოთ, რატომ შემეკითხე?

- იქ ვინმე ხომ უნდა გავაფრთხილო დასახვედრად?

- რასაკვირველია!

- თქვენ ვინ გსურთ, თვით მეფე თუ უხუცესები?

- ჩვენს რიგებში მეფის შთამომავლობაც არის, სჯობს, ბოქაულთუხუცესს ათქმევინოთ!

- კარგით, ხვალ გავაფრთხილებ. ახლა ბრძოლის ველზე გავალთ, გავიგებთ, რა ხდება!

- აბა, თქვენ იცით!

საბრძოლო ადგილზე იგივე მდგომარეობა დაგვხვდა. დაჭრილებს დახმარებას უწევდნენ, ერთმანეთს კი ამხნევებდნენ.

- მე უნდა გავიდე და შარაგზას ავყვე სასახლემდე, რომელიმე მხარემ მაცნე ხომ არ გაგზავნა სასახლეში ამბის მისატანად, თქვენ მეორე რაზმი დაზვერეთ და მიმდებარე ტერიტორიაც შეამოწმეთ.

- ვთქვათ, შიკრიკებს წააწყდი, მაშინ?

- მაშინ ვაიძულებ, უკან დაბრუნებას.

- ჩვენ რა დავალებას გვაძლევ?

- თქვენ ერთიც და მეორეც კვლავ საბრძოლო ხასიათზე მოიყვანეთ.

- სხვა?

- რომ მოვალ, დავბრუნდეთ, კარგად გამოვიძინოთ, თორემ შეიძლება ზედიზედ ორი ღამე გადატვირთვა მოგვიწიოს!

სათქმელი დავაბოლოვე და დავალებების შესასრულებლად გავედით...

დასრულებისას ჩვენებს გადავხედეთ. წინამძღოლი დავამშვიდეთ, რომ ყველაფერი რიგზე იყო და გადავედით.

დილას პირსაბანიდან მოვდიოდი, როცა ამხანაგმა სამნეო ნაწილზე მიმდინარე შიდა გამოძიებაზე შემატყობინა. რატომ ეძინა მას საკუჭნაოს კართან და რატომ ვერ გააღო კარი.

პირსახოცი და კბილის ჯაგრისი ოთახში შევიტანე, მეორე სართულზე ავედი და დირექტორის ოთახს მივაყურადე.

- რას ამბობთ, ნასვამი არ ვიყავი, - უმტკიცებდა სამნეო ნაწილის თანამშრომელი, - კარებს ყოველთვის თავისუფლად ვაღებდი, გუშინ კი ვერაფრით ვერ გავაღე, ანუ შიგნიდან იყო დაკეტილი.

- შიგნით ვინ შევიდოდა, თუ მარტო შენ გაქვს მისი გასაღები?

- არ ვიცი, - ამოიოხრა მნემ, - წაღებული არაფერია, ნამყოფი რომ არიან, ცხადია!

- იქნებ კარის დაკეტვა დაგავიწყდა, ვინც უკვე შიგნით იყო შესული, შენი ნაბიჯის ხმა რომ გაიგონეს, კარი შიგნიდან ჩაგიკეტეს.

- ვთქვათ, ასეც იყო, მაგრამ მე რამ ჩამაძინა, დღისით, მზისით!

- ეგ შენ უნდა იცოდე!

- რომ მცოდნოდა, ვიტყოდი. მე იმის მეშინია, კიდევ არ განმეორდეს.

- განმეორდება მაშინ, თუ კიდევ დასჭირდებათ საკუჭნაო, ამიტომ, ფხიზლად უნდა იყოთ არა მარტო შენ, არამედ მთელი კოლექტივი.

მე აღარ გავჩერებულვარ, უკვე გასაგები იყო ჩემთვის, რაც უნდა მომხდარიყო, შემოვტრიალდი, კიბეები ჩამოვირბინე და ოთახში შევედი.

ბანაკის პედაგოგიურმა კოლექტივმა იმავ წუთიდან დაიწყო ყოველი კუთხე-კუნჭულისა და განსაკუთრებით უფროსი რაზმელების გაკონტროლება.

არადა, ჩვენ კიდევ გვჭირდებოდა საკუჭნაოსა და საწყობის გამოყენება. სხვა საშუალება უნდა მომეძებნა. დილით მაინც, მინიმუმ ნახევარსაათიანი გასვლა რომ მომეხერხებინა. ფრთხილად დავიწყე თითოეული ოთახის შემოწმება. ვეძებდი განმარტოებისთვის ხელსაყრელ პირობებს. უცებ ერთი ოთახის წინ მნე შემეფეთა.

- სად მიიჩქარი, ბიჭუნი? - შემეკითხა და ხელი მაჯაში მაგრად ჩამჭიდა.

- ფეხბურთის ბურთი უნდა მეთხოვა მასწავლებლისთვის.

- მერე, აქ რა უნდა მასწავლებელს? - შემომცინა და თან მაჯაზე ხელი მომიჭირა.

- ხელს ნუ მიჭერთ, მტკივა!

- მეც იმიტომ გიჭერ, რომ გეტკინოს, შენ ცუღლუტო, საკუჭნაოში ხომ არ მიდიოდი?

- გამიშვით ხელი, მე ბურთი მინდა, ბავშვებმა ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ.

- მე არ მათამაშებთ ფეხბურთს?

- კი, გათამაშებთ, ოღონდ ხელი მიშვით!

- ხელი რომ გიშვა, გაიქცევი!

- რა გინდა ჩემთან, რა დაგიშავე!

- იქნებ, შენ იცი, ვინ იყო საკუჭნაოში?

- თუ არაფერი დაკარგულა, არც არავინ იქნებოდა!

- ოჰ, უყურე შენ, რა მოქნილი პასუხი გამცა! დაკარგვით არაფერი დაკარგულა, მაგრამ ვიღაცა მაინც იყო დასათვალიერებლად შესული!

- რა უნდა დაეთვალიერებინა? საკუჭნაოა, მუზეუმი ხომ არა!

- ხედავთ, სასაცილოდაც კი მიგდებს, ახლავე წაგიყვან დირექტორთან!

- რისთვის მიგყავარ, მე ჩემთვის მივდიოდი, შენ ხელი

მტაცე და ტყუილუბრალოდ დამიჭირე. ამიტომ წასაყვანი შენ უფრო ხარ!

- შეხედეთ ამ ლაწირაკს, აქეთ არ მემუქრება?

უეცრად, უკნიდან ვიღაცამ ბოხი ხმით დაუძახა:

- გაუშვი მაგ ბიჭს ხელი!

მან თავი ისე ხაფად შეატრიალა, თავს მთელი სხეულიც თან მიჰყვა. მეც ვიხელთე დრო, მაჯა გამოვსტაცე და გავიქეცი. მარჯვნივ გავუხვიე, კუთხის ოთახში შევედი, კარი მივხურე და გავისუსე. ნაბიჯების ხმამ რომ ჩაიარა, მივიხედ-მოვიხედე, ალბათ ეს ის ოთახია, რომელსაც ვეძებდი. ეს იყო სპორტული ინვენტარების შესანახი ოთახი. ამ საათებში საშიში არ იყო, ეს იქიდან ვიცოდი, რომ სპორტულ მოედნებზე ინვენტარი დილის ან საღამოს საათებში გამოჰქონდათ ხოლმე, ამიტომ გადავწყვიტე, აქ დავრჩენილიყავი და ჩემი მორიგი გეგმა შემესრულებინა.

გასვლისთვის რიტუალის შესრულება უნდა დამეწყო, რომ ფეხის ხმა შემომესმა. ვიღაც კარს მიუახლოვდა. ფეხზე წამოვხტი და დაკეცილი სპორტული ლეიბების უკან დავიმალე. კარი გამოაღო, ოთახში შემოიხედა, ისევ ღიად დამრჩენია - თავისთვის ჩაილაპარაკა, გასაღები საკეტს მოარგო, ორჯერ გადაატრიალა და შესამოწმებლად სახელური ჩამოსწია, რომ დარწმუნდა, კარგად იყო ჩაკეტილი, ჩქარი ნაბიჯებით გასცილდა ოთახს.

ხათაბალაში გავეხვიე. ეს რომ მნემ გაიგოს, განგაშს ატეხს, აი, თურმე ვინ დაძვრება ოთახებშიო, კუდს გამოაბამს და ვინ იცის, ამ ამბავს რა მოჰყვება.

სამალავიდან გამოვედი, გაშლილ სპორტულ ლეიბზე წამოვჯექი და თავი ფიქრს მივეცი. ვფიქრობდი, თუ რა ხერხით შემეძლო ჩემი ძალებით, რაც შეიძლება უხმაუროდ ოთახიდან თავის დაღწევა.

მივიხედ-მოვიხედე, მხოლოდ ორი პატარა სარკმელი ჰქონდა, ისიც გისოსებით. საკეტს შიგნიდან ვერაფერს მოვუხერხებდი, არადა, გასვლას ვაგვიანებდი. მაშინ ასე მოვიქცეთ, ვეუბნები საკუთარ თავს, მივიღოთ ზუსტი და დაუყოვნებელი

გადაწყვეტილება; გავიდეთ და თან გზადაგზა ვიფიქროთ თავდასაღწევ საშუალებებზე.

ასეც მოვიქეცი. სპორტულ ლეიბზე წამოვწექი და ტრანსფორმირებისთვის საჭირო რიტუალის შესრულება დავიწყე. ნახევარ წუთში მათთან ვიყავი. თავდაპირველად ჩვენებს დავხედე. იქ დაბანაკებულან, სადაც ჩვენ ვურჩიეთ. ახალგაზრდები მგზავრობით გადაქანცულებს დახმარებას უწევდნენ. ქალები ძირითადად კერძების დამზადებით იყვნენ დაკავებული. მათი ბავშვები მდინარის პირას ჩასულან და მიუხედავად იმისა, რომ ადრიანი დილა იყო, მაინც მხიარულად ერთობოდნენ. შემდეგ ორ დაპირისპირებულ მხარეს ვეწვიე. ვხედავდი დაქსაქსულ მეომრებს, ყოველი მათგანი გაფაციცებით სასმელ-საჭმელს დაეძებდა. სულ ერთი იყო, რას წააწყდებოდნენ, უმწიფარ ნაყოფსაც კარგად მიირთმევდნენ. ზოგიც მდინარის პირს მისდგომოდა, ხელის ცეცებით ჯილეებიდან კიბორჩხალები ამოჰქონდათ და იქვე უმად აკნატუნებდნენ. მე შემოვბრუნდი და დაყურსებულ შარაგზას ავყევი. არავინ შემინიშნავს. შარაზე დროებითი სიმშიდე ისევ გრძელდებოდა. რაკი ირგვლივ სიწყნარე იყო, ბანაკში დაბრუნებისთვის ვემზადებოდი, რომ უცებ გამახსენდა, ბოქაულთუხუცესი რომ მყავდა გასაფრთხილებელი. კურსი შევცვალე და ჩვენს სასახლეს მივაშურე. მისი მოძებნა არ გამჭირვებია, ის-ის იყო დარბაზობიდან გამოდიოდა, უმალ მასში შევედი, წარვუდექი, ვინ ვიყავი და დაწვრილებით დავიწყე გზაში მომავალი თანამემამულეების მდგომარეობის ახსნა. თავიდან განცვიფრებული მისმენდა, მერე და მერე სინამდვილედ აღიქვა და ყურადღებით დაიწყო მოსმენა.

- მე რა გვარად გავიგო, რომ ეს სიმართლეა, ან მეფეს რით დავუმტკიცო?

- უთხარით, რომ მე ვიყავი, მაცნე, მათგან გამოგზავნილი. ეახელით მას და მოახსენეთ, მეც დაგეხმარებით, მეფეს სიმართლე რომ დააჯეროთ!

- მეეჭვება, მეფემ გზირის გარეშე ჩემი მონათხრობი იწამოს!

- იწამებს, მოახსენეთ ისიც, რომ სამი დღის თავზე საზღვარს გადმოკვეთენ. ეახელით, მე თქვენ გვერდით ვიქნები!

უხუცესმა, როგორც იქნა, გაბედა. დერეფანი დინჯად გაიარა, დარბაზის წინ შეჩერდა. მეფის პირად მოახლეს აუხნა შესვლის მიზეზი და პასუხს დაელოდა.

მეფემ მოახლის მოხსენება რომ მოისმინა, გაკვირვებული დარჩა, თუმცა, მაინც მისცა შესვლის თანხმობა.

ბოქაულთუხუცესი მოკრძალებული შევიდა დარბაზში, თავის დაკვრით მიესალმა მეფეს და რაც მე გადავეცი, თანმიმდევრულად წამოიწყო მისი გადაცემა. თხრობა უჭირდა, უჭირდა იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევა მეფის სამსახურში არასოდეს ჰქონია. საუბრის ბოლოს გაოცებული მეფის თვალებს წააწყდა. მან თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა და გაირინდა.

- ამ დღეებში, - წამოიწყო გულდინჯად მეფემ - ორი საკვირველი და უცნაური ამბის მომსწრე გავხდი. პირველი შენც კარგად იცი, მათ მიერ გამოცხადებულ ომში ჩვენი მესაზღვრეების უომრად გამარჯვება და მეორე, შენ მიერ ნაამბობი. დავუშვათ, ვერ გაიგეს იმ ღამეს მათი გამოპარვა. დილას რომ თვალს ვერ მოჰკრავდნენ თავიანთ სახლობას, რას იტყოდნენ? მასთან ერთად ტყვეების გაქცევა. სასწრაფოდ შეკრიბავდა სულთანი ნაცად მეომართა სპას და დაადევნებდა. სად გაექცეოდნენ? მიპასუხე.

- თქვენო უდიდებულესობავ, თუ უომრად გამარჯვება საოცრებად მივიღეთ, ხომ შეიძლება მათი გამოქცევა და მიმალვაც საკვირველად ჩავთვალოთ.

- შენ ჩემს დაჯერებას ცდილობ, მეც მინდა დავიჯერო, მაგრამ მტკიცებულობის გარეშე ძალიან მიჭირს, თუმცა, არ გამოვრიცხავ. მაშინ ომისთვის უნდა ვემზადოთ.

მეფე წუთიერად ჩაფიქრდა, მერე აქეთ-იქით მიმოიხედა და ფიქრი გააგრძელა.

მე მის შორსმჭვრეტელობას ჯეროვანი აზრი მივაწოდე, რათა გაეხსნა მეფური განჭვრეტის განსაკუთრებული უნარი,

სწორედ რომ მისი დაფიქრება მიწოდებული აზრის დაჯერება იყო.

- შენც დამეთანხმები, - გააგრძელა მასთან საუბარი, - ამჯერად ქუდზე კაცის ბრძანება არ დამჭირდება. აჯობებს, ჩვენებს მოკრძალებული ლაშქრით შევეგებოთ, ხოლო თუ მტერმა გაბედა ჩვენ წინააღმდეგ ურდოს შეკრება, მაშინ მათ დასახვედრად ყოველმხრივ მზად უნდა ვიყოთ!

- ასეც იქნება, მეფეო, საკადრისი პასუხის გაცემას უთუოდ მოვახერხებთ.

- ხვალიდან მოამზადე ლაშქარი მათ შესახვედრად.

- როგორც მიბრძანებთ. - მიუგო მეფეს, თავი დაუკრა და დარბაზიდან აჩქარებული ნაბიჯით გამოვიდა.

მე მისთვის აღარაფერი მითქვამს. შემოვტრიალდი და ბანაკს დავუბრუნდი, მაგრამ ოი, საოცრებავ, ოთახის წინ, სადაც მე ვიმყოფებოდი, სპორტული ღონისძიებების ხელმძღვანელი და სამნეო ნაწილის გამგე იდგნენ და გულმოდგინედ ცდილობდნენ დაკეტილი კარის გაღებას. შიგნიდან ისე კარგად მქონდა ჩარაზული, სპეციალისტსაც კი გაუჭირდებოდათ მისი გაღება. საჩქაროდ რაღაც უნდა ვიღონო, თორემ ესენი მთელ ადმინისტრაციას შეყრიან.

- კარი შევამტვრიოთ, - გამოთქვა აზრი მნემ.

- კარების შემტვრევას ყოველთვის მოვასწრებთ. კიდევ ვეცადოთ, გასაღებით იქნებ გავაღოთ!

- რას გააღებ, თუ შიგნიდან არის დაკეტილი? გააღე კარი, - ხმას აუწია მნემ, - ვიცი, რომ შიგნით ხარ!

ყვირის, თან გასაღებს უჩხაკუნებს საკლიტურში.

დრო აღარ ითმენდა. მარდი მოქმედება იყო საჭირო. უეცრად ერთი იდეა მომაფიქრდა და თანვე დავიწყე მისი შესრულება. ორგანიზატორს ინფორმაცია მივაწოდე, რომ მას მიკროფონის საშუალებით გამოეცხადებინა სამნეოსა და სპორტ-ღონისძიების ხელმძღვანელის სასწრაფო მისვლა ბანაკის ადმინისტრაციულ ცენტრში.

მისი გამოცხადება და მათი გაქცევა ერთი იყო. ამასობაში სხეულს დავუბრუნდი. ჩემი ჩარაზული კარი ნელ-ნელა გა-

მოვაღე, მივიხედ-მოვიხედე, დერეფანში არავინ ჩანდა, ვხედავ კარში ჩარჩენილ გასაღებს, ისე სწრაფად გაქცეულან, სიჩქარეში გასაღების წაღება დავიწყებიათ. კარი გადავკეტე, გასაღები იატაკზე დავტოვე და ეზოში გამოსულ მოთამაშე ბავშვებს შევუერთდი. გარეთ რომ გამოვედი, მეგობრებმა მაშინვე მომკრეს თვალი. დაძახებას ახლოს მოსვლა ამჯობინეს.

- როგორა ხარ. - მეკითხება ჩემი თავგადასავლით შეწუხებული ჩემი რჩეული და გაწითლებულ მაჯას თეთრი, ნაზი თითებით ეხება.

- ახლა კარგად, მანამდე დაძაბული ვიყავი. მნემ დამიჭირა, აღარ მიშვებდა, იქნებ შენ იყავიო საკუჭნაოში. მითხარი, თორემ დირექტორთან აგიყვანო. ამ დროს ვიღაცამ ბოხი ხმით დაუძახა, ბიჭს ხელი უშვიო. ის შენ იყავი, არა? - ვეკითხები მეგობარს.

- კი, მე ვიყავი, როგორც კი დავინახე, შენი მაჯა მის ხელში, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე.

- რატომ, კარგად მოგიფიქრებია, ყოჩაღ, როცა მას დავუსხლტი, გავიქეცი და კუთხის ოთახში შევვარდი. საბედნიეროდ, ღია დამხვდა. გავიყურსე, არ გასულა ორი წუთი, რომ კარი გარედან ვიღაცამ ჩამიკეტა. გარეთ გამოსვლისთვის ხომ რაღაც უნდა მეღონა, მაგრამ ჯერ გადავედი, ჩვენები მოვინახულე. იქიდან სასახლეში გადავინაცვლე. ერთი სიტყვით, მეფემ უკვე გასცა ბრძანება, საზღვართან შეაგებოს ლაშქარი. ოთახში რომ დავბრუნდი, კარის გაღებას მნე და სპორტორგი ცდილობდნენ; რას გააღებდნენ, შიგნიდან მქონდა ჩარაზული, მერე ის მოვიფიქრე, რომ ორივე ორგანიზატორს გამოვაძახებინე მეორე სართულზე. ამასობაში დრო ვიხელთე და გამოვედი.

- გაიხედე, ისინი იქ დგანან, - მუჯლუგუნი მკრა მეგობარმა, - საიდანაც შენ გამოხვედი, უთუოდ, შენ დაგეძებენ. დაიმალე, თურემ დაგიჭერენ და უფრო გაგაწვალებენ!

- კიდევ რა უნდათ, სანამ თავისას არ დავმართებ, არ მოისვენებენ.

მათ უკან ორგანიზატორიც მოჰყვა. ხელში გასაღები ეჭირა. გასაღებიანი ხელი მაღლა ასწია და ორივეს ხმამაღლა გასძახა.

- მოდით აქ. ეს გასაღები კართან ეგდო, თქვენ სად დაეძებთ? გამომართვით და გააღეთ.

- სად? - გაკვირვებული ეკითხება სპორტორგი.

- ხომ გითხარი, ალბათ სიჩქარეში ძირს დაგივარდათ!

- შეიძლება, შენი დიდი მადლობელი ვარ, ბავშვების გართობის ჯერი დგებოდა, მე კი ვაგვიანებდი!

- შენ ამბობდი, კარს ვერ ვაღებდიო, წავიდეთ, კიდევ ვცადოთ!

ისინი შენობაში შევიდნენ, გასაღები საკეტს მოარგეს, სახელური ჩამოსწიეს, მაგრამ კარი მაინც არ გაიღო.

- ისევ სცადე! - გაუმეორა ორგანიზატორმა.

მან კიდევ ერთხელ მოსინჯა, თუმცა ამაოდ.

- ხომ გითხარი, კარს ვერ ვაღებდი-მეთქი.

- მაშინ, ამდენი ტრიალით მწყობრიდან გამოგიყვანია. იქნებ გასაღების რომელიღაც კბილანაა დაზიანებული, მისი მეორე ცალი სად არის?

- ზემოთ, კარადაში, სადაც ყველა გასაღები ინახება.

- ჩამოიტანე, მოვსინჯოთ, თუ შიგნით ბუდე არ იქნა ჩაშლილი, უნდა გააღოს!

- კარგი, ახლავე აქ გავჩნდები. სიტყვა დაბოლოებული არ ჰქონდა, რომ კიბეზე არბოდა.

ორ წუთში უკვე კართან იდგა და საკეტს მეორე ცალს უსინჯავდა. ერთი გადატრიალებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ კარი გაღებულიყო. გააღეს და ისე შეცვივდნენ, თითქოს შიგნით ვიღაც ეგულებოდათ.

- ყველაფერი რიგზეა? - შეეკითხა უმალ მნე, - თან ოთახს მიმოავლო თვალი.

- კი, წესრიგშია!

- ჩემი დახმარება თუ არ გინდა, გავალ და ჩემს საქმეს მივხედავ.

- არა, გმადლობ!

მნე ეზოში მაშინ გამოვიდა, როცა მე და ჩემი ამხანაგები სათამაშოდ ვემზადებოდით. ის იდგა შუაგულ ეზოში და ბავშვებს აკვირდებოდა, უფრო სწორად, ჩემი ძებნა განაახლა. მე რაზმელს ამოვეფარე, თან ჩემთვის ვფიქრობდი, ნეტავი ახლა ჩემი შეძლება მოდუნების გარეშე მომცა, მას ვაჩვენებდი, როგორ უნდა პატარას დაბრიყვება. უცებ მოედნისკენ მომავალი ბადეში ჩაწყობილი ბურთებით ხელში სპორტორგი შევნიშნე. იცი, რას ვიზამდი? ვაგრძელებდი ფიქრს, ახლა ამოიღებდეს ბადიდან ბურთს და რაც ძალი და ღონე აქვს, მის კოკროჭინა თავს ესროდეს!

მის მოძრაობას და ბურთებს თვალს არ ვაშორებდი. „აბა, შეასრულე ჩემი თხოვნა“, - ვთხოვე და ხელახლა გავაგზავნე აზრი, მოთხოვნით - იმოქმედე.

სპორტორგი მოულოდნელად მისკენ შეტრიალდა, ბადე გახსნა, ბურთი ამოიღო და როგორც ხელბურთელმა, რაც კი ძალა გააჩნდა, ხელი მოიქნია და ესროლა. აი, საოცრება! ნასროლი ბურთი პირდაპირ ზედ კვინიხზე მოარტყა.

სიმწრისგან დაიყვირა და ორივე ხელი თავზე წაივლო.

- შენთვის ნამდვილად არ მინდოდა, - მივარდა შეშინებული სპორტორგი. - ბოდიში, ძამია, ბოდიში, ეს რა გავაკეთე, ან როგორ მომივიდა, აზრზე არ ვარ!

დაზარალებული კალათბურთის ძელს მიეყრდნო და გაშტერებული მიაჩერდა კოლეგას. მეც შემეცოდა, უფრო ჩემი ბრალი იყო. გულში ბოდიში მოვუხადე. აბა, რა ვიცოდი, ჩემი განზრახვა ასერიგად ასრულდებოდა. ეს უკვე დასაფიქრებელი გამიხდა.

აღარ დავმალულვარ. ამხანაგებმა ბადიდან ბურთი ამოაცურეს, მოედანზე გავედით და მეორე რაზმთან მორიგი შეხვედრა გავმართეთ.

თამაშის პერიოდში და მის შემდეგაც მომხდარზე ფიქრი არ მასვენებდა. ჯერ არავისთვის მინდოდა მეთქვა. თავიდან და-ძმისთვის გადავწყიტე, რომ გამემჟღავნებინა, ბოლოს თავი შევიკავე, იქნებ შემთხვევით მოხდა და მე არაფერ შუაში ვარ, თუ მეორე ცდამ შედეგი აჩვენა, მაშინ მისი დანიშ-

ნულება ჩემს საპასუხისმგებლო როლს საგანგებო დავალებად გადააქცევს.

რასაც ოთხი საუკუნის წინ მე ვთავობ, ჩემი მეგობრების დახმარებით, შესაბამისად, მომიწევს რეალურ ცხოვრებაში მსგავსი თაოსნობის წამოწყება, მხოლოდ, ჯერ უნდა დავრწმუნდე, ჩემში ეს უნარი ნამდვილად არის თუ არა. ამისთვის ცდის ჩატარება მომიწევს. ამ ფიქრში მომისაღამოვდა, ცდისთვის რაღაც უნდა მომეაზრებინა.

- არ გესმის, - ჩამძახის ჩემი და... - ვახშმად გვეძახიან.

- ჰო, წავიდეთ.

აი, სასადილო, გამცრა აზრმა, აქ შეიძლება მოსინჯვა. გავიფიქრე და მზარეულს წინასწარ გავუგზავნე ინფორმაცია, ვინც მაგიდასთან ერთად ვსხედვართ, თეფშზე ერთით მეტი კატლეტი დაგვიდეთ, შევხედავ, რა მოხდება.

სასადილოში შესულებმა სათითაოდ ლანგარი ავიღეთ და რიგში თანმიმდევრობით ჩავდექით. ჩვენი რიგი რომ მოახლოვდა, მზარეულს სურვილს ვუმეორებ, ჩვენ ერთად ვსხედვართ. თხოვნას უსიტყვოდ ვეუბნები მას, თან თვალს არ ვაცილებ. - ის მზარეულური მარიფათით ჯამტაბაკიდან იღებს თითო-თითო ზედმეტ კატლეტს და თეფშზე გვიწყობს. ჩემები შეიშმუშნენ, მე რომ არ მენიშნებინა, თქმას აპირებდნენ. მზარეულს უთქმელად მადლობა გადავუხადე და ჩვენს მაგიდას მივაკითხეთ. მისვლისთანავე სამივე გავაფრთხილე, რომ არავისთვის ეთქვათ.

- უბრალოდ, ჩემი თხოვნით მზარეულმა პატივი გვცა.

- მაშინ, მადლობა შენ გეკუთვნის. - მეუბნება ჩემი ძმა.

- არ არის საჭირო, მე ვიცოდი, რომ გიყვარდათ და სიურპრიზი მოგიწყვეთ!

- კარგი ბიჭი ხარ! - შემაქო დაიაჩემმა.

- გაამოთ!

ჩვენი საყვარელი კერძით კარგად დანაყრებულებმა ზედაც ხილის წვენი დავაყოლეთ. გარეთ გამოვედით და კინო-თეატრის დარბაზისკენ გავემართეთ, სადაც თითქმის ყოველ დღე, ბანაკის დირექცია საბავშვო გასართობი გადაცემე-

ბით გვანებივრებდა.

მე ფორმალურად ვიჯექი ეკრანის წინ. ჩემი ინტერესი ახლა გადართული იყო, როგორმე ამომეხსნა ამ უნარის საიდუმლოება, დანიშნულება და მისი გამოყენება რეალობაში, სად აჯობებდა.

ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად ჩემი ინტელექტი მზად არ იყო. შინაგანი ხმისთვისაც რომ მომესმინა, მისი შიფრის გამოცნობაც გაჭირდებოდა, მხოლოდ ერთი რამ შემეძლო მეთქვა, ისიც საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე. ეს იყო ახალაღმოჩენილი უნარის გამოყენება ჩემთვის აუტანელი არამართალი სიტყვისა და ქცევის წინააღმდეგ, რაზეც ხშირად მქონია კამათი სკოლაში ამხანაგებთან და აქ, რაზმელებთან.

სადღეისოდ მეფობის ხანა არ არის, რომ ეს შესაძლებლობა ტყვეების გამოხსნაში გამოვიყენო, სამაგიეროდ, ყოფილა შემთხვევები და მეც არაერთხელ მსმენია უსამართლო დაპატიმრებებზე, ვისიმე ინტერესის გამო. აი, აქ კი ნამდვილად შეიძლება მათი შველა, როგორც ჟურნალისტები ამბობენ ხოლმე, ადამიანის უფლებების დაცვა.

ერთი მაგალითი გამახსენდა, გუშინწინ მეგობარი თავის ნათესავზე მელაპარაკებოდა, თურმე მისი ახლობელი ქუჩაში ჯგუფურ ჩხუბს წასწყდომია, იმ განუკითხაობაში კარის მეზობელი შეუმჩნევია და მაშინვე მის დასაზავებლად გაქცეულა. ამ შეხლა-შემოხლის დროს ვიღაცას განყოფილებაში დაურეკავს. განყოფილებიდან გამოგზავნილმა ოპერატიულმა ჯგუფმა დამნაშავე და არადამნაშავეც ერთად დააკავა. ერთი სიტყვით, ეს გამშველებელი ნათესავიც, როგორც იტყვიან „გაუსროკავთ”.

გამშველებელი ბევრს ყვიროდა, უხსნიდა და უმტკიცებდა, მე მხოლოდ ვაზავებდი და არ ვჩხუბობდი, მაგრამ ვინ დაუჯერა, არც სიმართლემ უშველა, არც რაინდობამ.

რა განსხვავებაა მაშინდელ ტყვეებსა და ახლანდელ უდანაშაულო დატყვევებულებს შორის - დრო და ფაქტორი.

როცა კინო-თეატრის დარბაზიდან გამოვედით, მეგობარს ორი დღის წინანდელი მონაყოლი გავახსენე.

- ქალაქის რომელი რაიონი განიხილავდა მის საკითხს?

- სადაც ჩხუბი მოხდა? რატომ მეკითხები?

- ჩვენ მივიდეთ რაიონის პროკურატურაში.

- რაა, მეხუმრები?

- სრული სერიოზულობით ვამბობ, ვნახოთ პროკურორი და ვთხოვოთ, ხელმეორედ მოიკვლიოს მისი საქმე და უდანაშაულობა.

- ჩვენ ვინ მოგვისმენს, ვინც ჩაერია მის საქმეში, მათ არ მოუსმინეს, მე და შენ ვინ ვართ?

- მივიდეთ, ვცადოთ, იქნებ მომავალ თაობას უფრო მოგვისმინონ.

- მომავალი კი ვართ, მაგრამ ჩვენს სიტყვას წონა არ ექნება!

- მე დავადებ ფასს, შენ ხომ არ გეშინია?

- ვისი?

- იქ მისვლის, შეიძლება ფიქრობ, იქიდან ყურის აწევით არ გამოგვისტუმრონ, როგორც ბავშვები!

- არც ეგ არის გამორიცხული. გვეტყვიან, მისამართი შეგეშალათ, ჩემო პატარებო, საბავშვო ბაღი ჩვენს მოპირდაპირე მხარეს არის და იქ მიბრძანდითო.

- სიტუაციას შენი საზომით ზომავ, კარგად დაფიქრდი ჩემს წინადადებაზე!

- კარგი, ვთქვათ წავედით, შიგნით როგორ შეხვალ, ან ვინ შეგიშვებს უფროსების გარეშე, რაღაც დაუჯერებელია.

- უნდა დამიჯერო, დაჯერება დაგეხმარება, დამაჯერებლად გადადგა ნაბიჯი.

- ოხ, რა ჯიუტი ხარ, თუ ვერაფერი გავაკეთეთ, იცოდე, პასუხს შენ აგებ!

- რა თქმა უნდა, ნაკადს რომ დავამთავრებთ. გავიგოთ, როდის აქვს მიღების საათები და მაშინ ვეახლოთ. ახლა წავიდეთ და გასასვლელად მოვემზადოთ, სადაცაა ძილის პირულს გამოგვიცხადებენ. ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი ამოცანაა მათი მშვიდობიანი მგზავრობა.

- რა შეგვიშლის ხელს?

- საომარი ვითარება.

- მათ იომონ, ჩვენ დავაზღვიოთ. - წამექილიკა.

- ნუ ქილიკობ. გაუთვალისწინებელი ფათერაკებისთვის მზადყოფნა საჭიროა.

- ჰოდა, ვიქნებით, არ ინერვიულო!

- ვარაუდით მაინც უნდა ვიცოდეთ მოსალოდნელი წინააღმდეგობები. ხვალისთვის სულთანი აუცილებლად გამოალაშქრებს მრავალრიცხოვან ურდოს, ამისთვისაც მზად უნდა ვიყოთ.

- გადავიდეთ იქ და ხელთავიდან გადავამოწმოთ მათი მდგომარეობა, ცოტა მოითმინე, აგერ გაისმა ძილად მისვლის სიმღერაც. წავიდეთ, დავისვენოთ!

ოცდაათ წუთში სამივე მეგობარი მძიმედ-მძიმედ მიმავალ, თავდაღწეულთა გვერდით ვიყავით.

- თქვენ აქ დარჩით, მე მათ მოვინახულებ, პროგრამას გავუმეორებ, რომ არ დაგვეფანტონ. ისინი ხვალისთვის აუცილებლად დაგვჭირდებიან.

- არ დაიგვიანო!

- მისული არ გეგონებით, რომ მოსული ვიქნები! - ვთქვი და გავედი.

მათ ადგილსამყოფელს და მეომრებს გადავხედე, მხედართმთავრებს პროგრამა გავუმეორე და გამოვლილ გზას სატახტო ქალაქამდე ავყევი. იქიდან ხეობას ჩამოვყევი. არც მიმავალი შემიმჩნევია და არც მომავალი. ჯერჯერობით გეგმის მიხედვით სრულდება დღის თითოეული საათი.

- ყველგან სიწყნარეა, - ვეუბნები მეგობრებს, - აქ რა ისმის?

- აქაც რიგზე იქნება ყველაფერი, რომ...

- რა, მოხდა რამე?

- მადროვე, ვიტყვი და მერე განიცხადე, ჯურღმულებში წამებულებს გაუჭირდათ მგზავრობა. ცოტა ხანს შეჩერდნენ. ამათ რომ ვერაფერი მოუხერხეს, ჩვენ შენი ნასწავლი ენერგომასაჟით გამოვიყვანეთ მდგომარეობიდან. ახლა კარგად არიან. გზას დაღამებამდე გავაგრძელებთო; თუ არაფერმა შეუშალათ ხელი, ზეგ დილით ვარაუდობენ საზღვრის გადაკვეთას.

- ძალიან კარგი. მოდით, ასე გავაკეთოთ, მდინარის პირას მდელო მოვძებნოთ და იქ განვაახლოთ საუბარი.

შესაფერისი ადგილის მოძებნა არ გაგვჭირვებია, ჩვენი უხილავი სხეულებით მწვანე მდელოზე დავეფინეთ და ჩემი სათქმელი გავაგრძელე.

- ხვალ ყველაზე დაძაბული დღე გველის, დაახლოებით სატახტო ქალაქიდან გამოგზავნილი ურდო დღის მეორე ნახევარში მიუახლოვდება მათ.

- ჩვენც აქ არა ვართ? ნაცადი შთაგონებით მკვირცხლად ვიმოქმედებთ და კუდით ქვას ვასროლინებთ.

- ასეც უნდა იყოს, თუ ჩვენ მობილიზებულნი შევხვდებით მათ გამოჩენას.

- შევხვდებით, შენ მაგის დარდი ნუ გექნება.

- ბიჭებო!

- რა არის, ისე დაგვიძახე, თითქოს მართლა რაღაც ხდება.

- მადროვე და ვიტყვი, რა მაგის პასუხია, მაგრამ მაინც მინდა შემოგჩივლოთ.

- წერილობით თუ სიტყვიერად, - ისევ ჩავუჭერი სიტყვა.

- ამომასუნთქე, არ მაცლი სათქმელს, გამეცით პასუხი, რატომ არ ჩავყავართ რაზმის მეთაურს მდინარის პირას, არადა, ორი ფეხის ნაბიჯზეა.

- იმიტომ, რომ მდინარეში ჩასვლას მოსთხოვთ, ის იმ მიზნით არ ჩაგიშვებთ, რომ ბავშვები არ გამიცივდნენო, გვიფრთხილდებიან.

- მოიცა, მოიცა, ესე იგი გაციების შიშით მდინარეში არავინ ჩასულა?

- როგორ არ ჩადიან, ისინი სხვანაირად ფიქრობენ. ზედმეტად თავის შეწუხება არ უნდათ.

- რომ გავიპაროთ? - შემომაპარა იდეა.

- ორმეტრიან მესერს შენ გადაევლები?

- აბა, რა ვქნათ, მე რომ მინდა?

- ეს რატომ არ გაკმაყოფილებს, აგერ შენ და აგერ მდინარე.

- თავდაპირველად შენ შედი, გაიჭყუმპალავე, შემდეგ ჩვენ შევალთ. - დაუკონკრეტა მეგობარმა.

- თქვენ ხართ ახლა რაინდები, წინ გოგოს უშვებთ.

- მე რომ შევიდე, ჩემო კარგო, ვერაფერს ვერ ვიგრძნობ, ვერც ვერაფერს შეგატყობინებ, წყალი ცივია თუ თბილი? იქნებ შენ, სხვა სქესის წარმომადგენელმა იგრძნო მისი ტემპერატურა?

- ოხ, შენ რა ხარ. რა შუაშია აქ სქესი?

- მე ვამბობ სიმართლეს.

- როგორმე დამდე პატივი და შენს სიმართლეში გამარკვიე.

- რატომაც არა. მთავარი ის არის, რომ ჩემი გრძნობის ორგანოები თან არ მაქვს. მხოლოდ წარმოდგენით თუ მოვახერხებ წყლის ტემპერატურის შეგრძნებას.

- თუ ყველა სხეულში დატოვე, აბა, მითხარი, რა საშუალებით ხედავ?

- როგორც შენ, მეც იმ საშუალებით, გხედავ შენ, ბუჩქს, მდინარის დინებას, ხოლო ხელი რომ წყალში ჩავყო, ან ყვავილს დავყნოსო, რა თქმა უნდა, ვერ შევიგრძნობ.

- მე რატომ მეპატიჟებოდი, თუ ვერ შევიგრძნობდი?

- უბრალოდ, გაილაღებდი.

- გალაღება ასე ადვილია?

- უნდა სცადო წარმოდგენით მაინც.

- წარმოდგენა რაში დამეხმარება? - პასუხს უფრო იმიტომ ჩაეძია, რომ სურდა, რასაც წარმოიდგენდა, უკლებლივ ფიზიკურად განეცადა.

- გაიხსენე, რომელი წყლის ტემპერატურა გსიამოვნებდა, მის ქვეშ თავს როგორ გრძნობდი, ხოლო, როცა მდინარეში შეხვალ, ის საამო განცდები წარმოდგენით შეიგრძენი. ესაა და ეს.

- რა მარტივად ახსენი!

- გეგონოს, რაა მარტივი, გიცდია როდისმე?

- ნუ მაქეზებ, შენ გინდა, რომ მე შევიდე პირველი?

- კარგი, ვთქვათ, ჩაგვიყვანა რაზმის მეთაურმა მდინარის პირას, მაშინ რას იზამ?

- რა უნდა ვქნა, ვიბანავებ!

- საბანაო კოსტიუმი თუ გაქვს?

- მაქვს!

- მაშ, გიბანავია და ეგ არის. ხვალ მე მივალ რაზმის მეთაურთან და ვთხოვ.

- რას მელაპარაკები. მხოლოდ შენი თხოვნა აკლია, შენ კი არა, ვინ არ სთხოვს, ვერა და ვერ გადააწყვეტინეს, დირექტორის ნებართვის გარეშე შეუძლებელიაო. ის კი ნებას არ რთავს.

- მივალ და პირდაპირ ბანაკის უფროსს ვთხოვ.

- რას გამოიდე თავი?

- შენი გულისთვის, არ გინდა ბანაობა?

- მინდა, არ ვმალავ!

- მეც ვზრუნავ, როგორმე გაბანაო!

- კარგია, რომ ხუმრობის ნიჭი გაქვს!

- ვნახოთ, როგორ ასრულდება ჩემი დაპირება. ახლა მტერ-მოყვარეს თვალი გადავავლოთ და ბანაკში დავბრუნდეთ. ხვალ მე დილით წესისამებრ გადმოვალ და გადავამოწმებ, ცვლილებებს კი დაუყოვნებლივ გეტყვით ორივეს...

... როდესაც დილით განაწესის პროცედურები დავასრულეთ, განმარტოებისთვის ოთახს ვეძებდი. სამივე ოთახი დაკეტილი დამხვდა. გადავწყვიტე, სხვენით მესარგებლა. ჩემები გავაფრთხილე და სხვენში ავედი. შევჩერდი. სიბნელეს თვალი შევაჩვიე, მივიხედ-მოვიხედე, ძველი ჟურნალ-გაზეთების გროვა შევნიშნე, მისკენ წავედი. ვფრთხილობდი, ფეხი არაფრისთვის წამომეკრა. როგორც იქნა, მივუახლოვდი. რომელიც შედარებით ახლად გამოიყურებოდა, მათ დავწვდი. ჩემი შეხება და გროვის ქვემოდან შეშინებული თაგვები გამოვარდნენ, ფეხებს შუა გამიძვრნენ და მიიმალნენ. ზედ წამოწოლა არასასიამოვნო კი იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა, სხვა გზა არ მქონდა. გროვაზე რამდენიმე ჟურნალი გავშალე, წამოვწექი და გასასვლელად მოვემზადე. ნახევარ წუთში იქ ვიყავი.

ჩვენები ადრიანად აბარგებულან და საკმაოდ გრძელი მანძილიც გაევლოთ.

აქეთ რომ გადმოვედი, სულ სხვაგვარი მდგომარეობა და-

მხვდა. სპეცრაზმი ადგილზე იყო, ხოლო მეორე - აბანაკებულა და უკან გზას დასდგომია. წინდაწინ შიკრიკი გაუგზავნიათ ცნობის გადასაცემად. უმალ მიმავალი მხედრიონი შევაჩერე, მერე მალემსრბოლს დავეწიე, აზრი შევაცვლევინე, სულთნისთვის გადაეცა დანაბარები - „ვეძიეთ და ვერ მივაკვლიეთ, ჩვენი ძებნა უშედეგოა, ვაპირებთ უკან დაბრუნებას". - მე კი სატახტო ქალაქს მივაშურე. არმისულმა კარიბჭესთან დავინახე, ბრაზმორეული მონარქის მიერ იჩქითად შეკრებილი ურდო უკვე აქეთ მოემართებოდა. მაშინვე შემოვტრიალდი და გზაში შეჩერებული მხედრიონის დამუშავება დავიწყე. ახალარჩეულ წინამძღოლს და წინა რიგებისთვის განწესებულ მეომრებს ჩემთვის საჭირო ინფორმაცია მივაწოდე და ქვემოთ ჩამოვინაცვლე. სპეცრაზმის მეთაურსა და მებრძოლებს საბრძოლო მზადყოფნის აზრი გავუგზავნე, შემდეგ მომავალი ურდოს ბელადი და მოწინავეები საომრად განვაწყვე და ბანაკს დავუბრუნდი.

სხვენიდან ფრთხილად ჩამოვედი. სართულები ჩამოვირბინე და ეზოს იმ მხარეს გავედი, სადაც მეგობრები მეგულებოდა. ორივე იქ იყო. თანარაზმელებთან ერთად დროშობანას თამაშით ერთობოდნენ. მივუახლოვდი.

- თამაშში არ ჩამრთავთ? - შევძახე მოთამაშეებს.

- უკვე ვამთავრებთ! - მიპასუხა შუა ხაზზე მდგომმა.

ამ დროს მეგობარმაც მოირბინა, ოფლიან შუბლზე ხელი გადაისვა და დაბალი ხმით მეკითხება:

- რა ისმის, სიმშვიდეა?

- კი, ოღონდ დაძაბული სიმშვიდე!

- რა ხდება?

- დაასრულე თამაში და მერე გეტყვი.

ხის ძირში მდგარ მერხზე ჩამოვჯექი და მათი თამაშის დამთავრებას დაველოდე.

ხუთ წუთში სამივე ერთად ვისხედით და იქ შექმნილ საომარ ვითარებას განვიხილავდით.

- მინიმუმ ორ საათში ურდო მათთან იქნება, თავისთავად ჩვენც იქ უნდა ვიყოთ, ამიტომ ახლავე ვიზრუნოთ გასას-

ვლელი ოთახისთვის. თუ ვერ ვნახავთ, თქვენც სხვენში მოგიწევთ თაგუნიებთან ასვლა.

- რაა, ვისთან ერთად?

- ხო, შენი ნაზი გული მათ დანახვას როგორ გაუძლებს?

- რატომ, პირველ სართულზე ნუთუ ვერაფერი მოიძებნა?

- ინვენტარებისთვის შესანახი საწყობი დაკეტილი ჰქონდათ.

- რაღაც მოვიფიქროთ, მე გამიძნელდება სხვენში ყოფნა.

- მაშინ დარჩი და ჩვენ გავალთ!

- არა, არა და არა, მეც მინდა თქვენ გვერდით ვიყო!

- მერე ხომ ხარ!

- კარგი ახლა, არ მეხუმრება, მოიფიქრეთ რამე! - მის სიტყვებში ბავშვური გულუბრყვილობა აშკარა იყო.

- შენ რა გიშლის ხელს?

- თქვენ ბიჭები ხართ, მეტი უნდა შეძლოთ!

- კამათში დრო მიდის. მე მაქვს ერთი იდეა, მომისმინეთ, თუ მოიწონებთ, მივიღოთ. მაშ, ასე, მე შევალ სპორტორგში და ვაიძულებ, დანიშნულ დროს კარის გაღებას. ჩვენ შიგნით შესულები ჩავრაზავთ კარს და ვიქნებით მანამ, სანამ სპორტული ინვენტარის გატანის დრო არ დაგდგება. ეს მონაკვეთი ჩვენი დავალების შესასრულებლად საკმარისი იქნება.

- არ არის ცუდი აზრი.

- მეც მხარს ვუჭერ.

- მაშასადამე, ერთხმად მივიღეთ, კეთილი. საათ-ნახევარში გავდივართ, ახლა დავიშალოთ.

დრომ დაუზარებლად გაირბინა. ნასადილევს კვლავ შევხვდით ერთმანეთს და ახალი იდეის მიხედვით დავიწყეთ გასვლის ორგანიზება.

სპორტორგმა კარი მითითებულ დროს გააღო. გასაღები გამოიღო და ეზოში გავიდა. ოთახში მალულად შევედით, კარი გულმოდგინედ ჩავკეტეთ და რიტუალის შესრულებას შევუდექით. წუთი და სამივე მთაგრეხილის თავზე ვიყავით. ჩვენები ახლა შუაგულ მთის ღრმა და ვიწრო ხეობის საურმე გზაზე გასულიყვნენ. უჭირდათ მოძრაობა, განსაკუთრებით ეტლებს, მათ გამო ტაატით მიიწევდნენ წინ.

მოწინავეებს ჩვენი მისვლა შევატყობინეთ. აღარ გავჩერებულვართ. გამოვბრუნდით და სამივემ საომრად დამუხტულ ბრძოლის ველს მივაკითხეთ.

ხელდახელ შეკრებილ ურდოს ზემოდან გადავხედეთ. მხოლოდ ორიოდე კილომეტრი აცილებდათ ერთმანეთს.

- რადგან ესენი რაოდენობრივად მეტნი არიან, მხედრიონს მოულოდნელი თავდასხმა მოვაწყობინოთ, არა პირდაპირ, არამედ მარცხენა ფლანგიდან. - გავაცანი მეგობრებს ჩემი ჩანაფიქრი.

- სწორი მითითებაა, რაღას დაველოდოთ, ხომ ხედავთ, როგორ მარდად მოიჩქარიან!

- ჯერ მხედრიონს მივაკითხოთ.

მხედრიონელთა წინამძღოლს საბრძოლო ოპერაციის ახალი სტრატეგია გავაცანით. გზიდან გადავიყვანეთ და მთის ძირში ჩავასაფრეთ.

ამ ხნის განმავლობაში ისინიც მოახლოვდნენ, როდესაც წინა ქვეგანაყოფმა ჩაგვიარა, მაშინ მივაცემინეთ იერიშზე გადასვლის ნიშანი.

შეტევა მშვილდოსნებმა დაიწყეს... როდესაც მშვილდი ბოლო ისრამდე მოზიდეს, შემდეგ მოლახვრენი ჩაერივნენ, მერმედ ყველამ ხმლები იშიშვლა და ელვისებურად გაშლილებმა ყოველი მხრიდან წამოიწყეს შეტევა.

დაბნეული ურდოს მეომრები გონზე ვერ მოდიოდნენ, ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა, ვისთან ჰქონდათ ბრძოლა და რატომ.

თავგზააბნეულები ბრძოლას ვერც ერთი ახერხებდა. ზოგი გაქცევით შველოდა თავს. ვინც შემორჩა, დაცალკავებულებს თავდაცვაც კი უჭირდათ.

ამასობაში მესამე ქვეგანაყოფი ჩაერია. ესენი უფრო მობილურები აღმოჩნდნენ.

დაღლილი მხედრიონთა რაზმი უკან იხევდა. ტყემდე ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ტყეში შევიდნენ თუ არა, იმ წამსვე დაიქსაქსნენ.

ურდოს ბელადმა ხმალი მაღლა ასწია და შესძახა:

- შეჩერდით!

ვინც მასთან შორი-ახლოს იმყოფებოდა, ბელადის ხმალა-წვდენილი ხელის დანახვაზე დევნა შეწყვიტა. ერთი მეორეს გადასძახეს შეჯარების მიზნით, წინა პოზიცია დაიკავეს და გზა გამოაგრძელეს.

- ახლა სპეცნაწილის ჯერი დგება, - მივმართე მეგობრებს, - დანაკლისი საკმაოდ დიდია, თითქმის ერთი ქვეგანაყოფი გამოაკლდათ, თან დაღლილები არიან!

- ხომ არ აჯობებს, დაქსაქსული მხედრიონელები კვლავ შევკრიბოთ. ისრები რაც შეიძლება მეტი გამოვათლევინოთ და ზურგიდან შეტევის ნიშანი მივცეთ?

- უდავო აზრია, მეგობარო.

წინამძღოლი დავაპროგრამეთ და ქვემოთ ჩავინაცვლეთ!

სპეცრაზმის მეომრები უკვე მზად იყვნენ საომრად.

გეგმის მიხედვით, მათაც ფლანგიდან მოუწიათ შეტევის დაწყება. ცენტრალურ ნაწილში, ელვისებურად შეჭრილები არც შეჩერებულან, გულმარდად, კაფვით მეორე მხარეს გასულები, იმავე სტრატეგიით, წინა ქვედანაყოფს შემოუტრიალ-დნენ.

ზურგიდან ამოსუნთქულმა მხედრიონმა მოულოდნელი იერიში წამოიწყო, უფრო დაუნდობელი, შორიდან ისრე-ბის სეტყვა გეგონებოდათ. მათმა მოულოდნელობამ ურდოს ბოლო დანაყოფი საერთოდ მოშალა.

სპეცრაზმმა კი დარჩენილი მეომრები ტყეში შეიტყუა. იქ მათ შიგადაშიგ ხაფანგად, მახვილ-ჭიგოები ჰქონდათ დაგე-ბული, როგორც ცხენისთვის, ისე მეომრებისთვის.

დაინახეს რა უკანა რიგებმა ჭიგოებზე წამოცმული მეო-მრები, ცხენები მოიაღვირეს და ტყის პირისკენ გაქუსლეს. ტყის პირამდე არმისულებს, მშვილდოსნებმა ისრები დაა-წიეს. ვინც ბედად გადაურჩა, უგზო-უკვლოდ მოკურცხლა.

- მოგწონთ მათი სტრატეგია? - ვეკითხები ჩემს რჩეულს.

- ჩვენგან რა აქვთ დასაწუნი. შეხედე, უკლებლივ ყველა გარბის!

- დაე, გაიქცნენ. ჩვენი გეგმის მიხედვით სპეცნაწილი ცი-ხეში დავაბანაკოთ, თუ დღეს და ხვალ ვინმემ გაბედა გამო-

ლაშქრება, მათ დავახვედრებთ. ამასობაში ჩვენებიც ფონს გავლენ.

- არც მაშინ იქნება სახარბიელო, საზღვარს რომ საომრად გამზადებული ურდო მიადგეს!

- მეც გეთანხმები, რაღაც უნდა ვიღონოთ, ჩვენ ხომ ყოველთვის აქ არ ვიქნებით!

- ცხადია. თქვენ რა იდეას მთავაზობთ? მასთან ერთად გასვლაზეც ვიფიქროთ. დრო იწურება.

- ყველამ ერთად მოვიფიქროთ, ერთ იდეას მე მოგაწვდით. ამ დაძაბულობის პერიოდში ყოველ ორ დღეში ერთხელ შეგვემოწმებინა.

- კეთილი, შენ რა აზრს გვთავაზობთ, მზისადარო?

- მან მართალი თქვა, გაკონტროლება აუცილებელია, რომ ახალ ომს ავარიდოთ ქვეყანა. ხომ არ ვათქმევინოთ რომელიმე ქვეშევრდომს სულთანისთვის ამ ეტაპზე არ ღირს ომის წამოწყება-თქო?

- რატომ, ამ ეტაპისთვის და არა საერთოდ? ეს პრობლემაც მოგვეხსნებოდა.

- ასეც იყოს, არ ვარ წინააღმდეგი! - დაეთანხმა ჩემს მოსაზრებას.

- ამ საკითხის გადაწყვეტამდე, დაცვითი ფუნქციის შესრულება, როგორც ვთქვით, სპეცნაწილს დავაკისროთ, რას იტყვით?

- ვიტყოდი, რომ ორივე შესანიშნავი გადაწყვეტილებაა, სანერვიულოც აღარ გვექნება.

წინადადება ერთხმად მივიღეთ. პირველ რიგში სათანადო პროგრამა სპეცრაზმის მეთაურს მივაწოდეთ, შემდეგ მონარქის სასახლეში გადავინაცვლეთ, მოვნახეთ მისი სანდო პირი, ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია გადავეცით, მონარქი კი მის მისაღებად განვაწყვეთ.

ბანაკში დაბრუნებამდე ჩვენებს შევეხმიანეთ, გაგვეგო, რა უჭირდათ და რა ულხინდათ. ვხედავთ, მთელი შემადგენლობა გაჩერებულა და რამდენიმე ადამიანს თავს დასტრიალებენ, მივუახლოვდით. ორი დედაკაცი რაღაც სითხეს ასმევდა მათ. ისინი ისევ ის ტყვედყოფილები აღმოჩნდნენ, ციხის

ჯურღმულებში რომ ჰყავდათ გამოკეტილი. ეტყობოდათ, მგზავრობამ იარები გაუმიზეზა.

- იქნებ ენერგომასაჟით, ამჯერადაც შევძლოთ მათი მდგომარეობიდან გამოყვანა?

- არ არის გამორიცხული! - დაუმოწმა მეგობარმაც.

- ორივე სწორად ფიქრობთ. ახლა მე მათ ვთხოვ, ჩვენვე მიგვიშვან დავრდომილებთან, ვიმედოვნებ, რომ უკლებლივ ყველა გახსოვთ.

- ზედმიწევნით!

- მეც, მხოლოდ ერთი შეკითხვა მაქვს.

- გისმენ!

- თანმიმდევრობა იგივეა თუ შევცვალოთ?

- დროული შეკითხვაა, ჯერ ენერგია უვიბრაციოდ გადავცეთ, მერე იმ სისტემით, რაც ვიცით.

ჩვენი თხოვნით ვინც თავს დასტრიალებდა, მიიწ-მოიწიენ, ჩვენთვის რომ მკურნალობის საშუალება მოეცათ, ვინაიდან მათთვის უჩინარნი ვიყავით, ახლოს დასხდნენ და დავრდომილებს დაუწყეს ყურება.

პირველი პროცედურის დამთავრებისას, უმრალესობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მეორის დასასრულს ყველა წამოიწია და მინდორზე წამოსხდნენ, შემდეგ ჩვენი ენერგეტიკით წყალი დავმუხტეთ და შევასმევინეთ. წყლის დალევამ ბუნებრივი ფერი დაუბრუნათ. ერთბაშად დაეტყოთ გაუმჯობესება. იქ მყოფი მეთვალყურეები ვერ მალავდნენ გაოცებას, მათ შორის ხნიერი მამაკაცი ამბობდა:

- ცუგრუმელა ბავშვებმა, თანაც უჩინარებმა, ასე უეცრად როგორ შეძლეს მათი გამოჯანმრთელება. ყოჩაღები და უნარიანები არიან! - თქვა და დავრდომილები შეათვალიერა.

არ გასულა ხუთი წუთი, რომ ტყვედმყოფნი ფეხზე წამოდგნენ და გაიარ-გამოიარეს.

წინამძღოლმა მაშინვე გასცა გასვლის ბრძანება. ყველამ თავ-თავისი ადგილი დაიკავა და გაშმაგებული მდინარის ნაპირს გაუყვნენ. ჩვენ კი ჩვენს ბანაკს დავუბრუნდით.

სპორტინვენტარის ოთახი სასწრაფოდ დავტოვეთ და

სხვადასხვა მიმართულებით წავედით. ეზოში კი ისევ ერთად შევიკრიბეთ. რაზმის ხელმძღვანელიც მალე გამოჩნდა მორიგი გასართობი პროგრამის ჩასატარებლად და არც ურიგოდ ჰქონდა დაგეგმილი. კარგად ვმხიარულობდით, უკმაყოფილო არავინ ჩანდა. მე პირადად დღევანდელი დღის კმაყოფილი ვიყავი. წარმატებული იყო, როგორც აქ, ისე იქ. ღამე ძილიც მოსვენებული მქონდა.

დილას, საუზმიდან ნახევარი საათის შემდეგ, რაზმეულის მეთაურმა მოწყობა გამოგვიცხადა. მოწყობამდე, ვიღაც უკნიდან მომეპარა და უცნაური ხმით მომაძახა:

- მნე მოდის, გაიქეცი!

მას ბოლო სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ უკვე მისკენ ვიყავი შებრუნებული. ხელთ ჩემი რჩეული შემრჩა.

- ოჰ, როგორ შემაშინე, არა? სად მოვკარი თვალი შენს ძმაკაცს?

- ჩემი თუ შენი ძმაკაცია, ყოველდღე შენს მოკითხვაშია. კარგი, ამისთვის არ შეგხმიანებივარ, სად არის კავშირის მესამე წევრი?

- მალე მოვა, რის თქმას აპირებდი?

- არ გახსოვს, რას შემპირდი?

- მახსოვს!

- მერე, სად არის დანაპირები?

- შევასრულებ, ახლავე თუ გსურს, შენ თვალწინ მივალ და ვთხოვ.

- მიდი. ერთბაშად თანხმობა არ გითხრას, ხომ გითხარი, შენამდე ბევრს უთქვამს-მეთქი.

სანამ მებუზღუნებოდა, მის ბუზღუნში რაზმეულის მეთაურს ინფორმაცია გავუგზავნე, სურვილის ასრულების მიზნით. როცა ვიგრძენი, ჩემი სურვილი მიიღო, მისვლა გადავწყვიტე.

- მივდივარ, შენც წამოდი, თან მოისმენ, რა პასუხს გამცემს.

- წავიდეთ, უარს არ ვამბობ!

როცა მასთან ახლოს მივედით, მოვუბოდიშეთ.

- თუ შეიძლება, ერთი რამ რომ გთხოვოთ, - მორიდებით მივმართავ რაზმმეთაურს, - ისეთი თხოვნაა, თქვენთვის რომ ნამდვილად ადვილი შესასრულებელია.

- თქვი, იოლი თხოვნის ასრულება პრობლემა არ არის.

- მე ცურვაში ქალაქის ჩემპიონი ვარ, თანრიგიც მაქვს, იქნებ ერთი დღე მდინარის პირას ჩაგვიყვანოთ?

- აი, თურმე, რა გდომებია და ამ თხოვნას თვლი ადვილად შესასრულებლად?

- რა არის აქ ძნელი, პატივცემულო?

- უარს იმიტომ ვამბობ, რომ შარშან პირველ ნაკადზე თქვენზე უფროსი ასაკის მოსწავლე კინაღამ დაგვეხრჩო!

- თქვენც, ვინც ცურვა იცის, ის ჩაუშვით მდინარეში!

- შენ ჩახვალ, სხვას გული დასწყდება!

- არ დასწყდებათ, მხოლოდ ფეხებს დაისველებენ, ეგაა და ეგ!

- დავუშვათ, მე თანხმობა მოგეცით, მაგრამ თუ დირექტორმა ნება არ მოგვცა, ჩემს თანხმობას ძალა არ ექნება.

- მე მივალ და ვთხოვ!

- წადი, იქნებ გაგიმართლოს, თუმცა, არა მგონია. კაბინეტი იცი, სად არის?

- ვიცი, მეორე სართულზე, აგერ მისი ფანჯარა, აქეთ იყურება!

- გცოდნია, მიდი, წარმატებას გისურვებ!

მეორე სართულზე რომ ავედი, დირექტორი დერეფანში ორგანიზატორს რაღაცას უხსნიდა. მე დრო ვიხელთე, ჩემთვის სასურველი ინფორმაცია გავუზავნე და წინ წავიწიე, მას რომ ადვილად შევემჩნიე.

- აქ რატომ ხარ? - მის შეკითხვას უფრო ბრძანებითი კილო გადაჰკროდა, ისეთი არ იყო, ამ ხნის ადამიანი ბავშვთან ურთიერთობის დროს რომ იყენებს.

- თქვენთან ვარ, შეკითხვა და თხოვნა მაქვს, თუ შეიძლება!

- პირველი მერცხალი, ასე პატარა ასაკის ბავშვი თხოვნით, - ეუბნება ორგანიზატორს. - ჩემს პრაქტიკაში სავსებით პირველია. საინტერესოა, რა თხოვნა გაქვს. გისმენ!

მეც დავიწყე ჩემი სათხოვარის ახსნა.

დირექტორი მხოლოდ მისმენდა. ერთი-ორჯერ გადახედა თანამშრომელს. ხმა არ ამოუღია მანამ, სანამ მე სათქმელი არ დავამთავრე. ბოლოს თხოვნა გავუმეორე:

- გთხოვთ, - ვუმეორებ უსიტყვოდ მყოფ დირექტორს, - უარი არ მითხრათ!

მიყურა, მიყურა და მერე მას მიუბრუნდა.

- თუ პასუხისმგებლობას ორგანიზატორი აიღებს, მე თანახმა ვიქნები!

ორგანიზატორი დუმდა. მისი დუმილი ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენე. სასწრაფოდ გავუგზავნე ჩემი სურვილი, თანხმობის მისაღებად.

მან უთქმელად გადმომხედა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მერე დირექტორს შეხედა და თავი დაუკრა.

- მე თავად ჩავყვები მდინარის პირას! - როგორც იქნა, სიტყვა მისცა.

- იქ რომ ჩახვალთ, მდინარეში შესული ბავშვებისკენ გეჭიროთ თვალი. ვინც ცურვის სექციაში არ არის გაწევრიანებული, ისინი ნაპირზე დასხი. მათი ხელმძღვანელიც გააფრთხილე.

უღრმესი მადლობა გადავუხადე და ეზოში ჩამოვედი.

ჩემს რაზმში უკვე ნახევარზე მეტს გაეგო, სად ვიყავი და რისთვის. სერიოზული სახე მივიღე და მათ მივუახლოვდი. რაზმეულის მეთაური არხეინად გამოიყურებოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ მე ბანაკის უფროსი უარს მეტყოდა.

დინჯი ნაბიჯებით მივუახლოვდი თანარაზმელებს. არაფერს ვიმჩნევდი და არც არაფერს ვამბობდი. პირველად ჩემს რჩეულს გავხედე, რომ გამეგო, მისი მეტყველი თვალები რა პასუხს ელოდნენ ჩემგან... თვითონ მოუსვენრად ცქმუტავდა, სერიოზული სახით რომ დამინახა, მომიახლოვდა და კი არ მკითხა, მომახალა:

- ეგ არისო, მაგარი ბიჭი ვარო? რას ამბობდი, გაიმეორე, ვთხოვ და წაგვიყვანსო, ტრაბახა!

დაბოლოება ნამდვილად არ მესიამოვნა, მან უფრო დამასერიოზულა და დინჯად მივუგე:

- რატომ ილანძღები? - ხმაში გაბრაზება დამეტყო. უკმეხად მინდოდა რაღაც მეთქვა, რატომღაც გადავიფიქრე და დიალოგი შევცვალე, - ენამ გონებას არ უნდა გაუსწროს. ალბათ არ იცი, თავი რომ ნაწილებად დავყოთ, ტვინს ზედა ნაწილი უკავია, ენას - ქვედა, ანუ ჯერ გონებაა, მერე - ამოსათქმელი, ამიტომ, სანამ რამეს იტყოდე, აუცილებელია დაეკითხო ზემდგომს!

- რა საჭირო იყო ახლა დამრიგებლური ფრაზების თქმა!

- შენმა სიტყვებმა მაიძულეს!

- რა გითხარი ისეთი, რაც არ დაიმსახურე?

- თუგინდ სიტყვა ტრაბახა!

- მერე ტყუილი ვთქვი? - ისევ შეტევაზე გადმოვიდა.

ღონისძიებისთვის შეკრებილი მთელი რაზმეული და მათ შორის ხელმძღვანელიც ჩვენს კამათს ისმენდა. ისინიც დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ რასაც ის მეუბნებოდა, სიმართლეს შეეფერებოდა, რამაც უფრო გამაცეცხლა. რა მაქვს უკან დასახევი, გავიფიქრე და შეტევისთვის მოვემზადე, რომ ამ დროს ორგანაზატორი გამოვიდა და რაზმეულის მეთაურს შორიდან გამოსძახა.

- ალბათ უკვე იცი! - თან ჩვენკენ მოიწევდა.

- რა უნდა ვიცოდე? - კითხულობს გაკვირვებული.

- ეს პატარა ბიჭი, - მიუთითა ჩემზე - დირექტორთან თხოვნით იყო მოსული, მდინარის სანაპიროზე გასეირნება და ბანაობა სთხოვა!

- მერე? - აღარ დააბოლოვებინა სიტყვა.

- მერე და თანხმობა მიიღო, პასუხისმგებლობა მე და შენ დაგვეკისრა!

პასუხის გაცემა დაამთავრა თუ არა, დიდ-პატარას ყველას პირი ღია დარჩა.

- რას ამბობ, - ენის ბორძიკით ეკითხება მას, - ხუმრობ?

- რა არის აქ სახუმარო?

- მიკვირს.

- მეც გამიკვირდა, უდავო ფაქტია. მოამზადე რაზმეული და მდინარეზე ჩავიყვანოთ.

მე მხრებში გავიმართე და ყველას გასაგონად ვთქვი.

- ერთი შეპირების გულისთვის როგორ თავისუფლად შეიძლება ამხანაგის გაწირვა, ჯერ გაიგე მისი სიტყვის სიმართლე და მერე განსაჯე. ახლა იზეიმეთ!

ყველა აჟრიამულდა, გარდა მთავარი მოქმედი პირისა, ხმა არ ამოუღია. თავი ჩაქინდრა და გაისუსა. მე ისევ მის წინ ვიდექი და მის უხასიათობას ვაკვირდებოდი. მინდოდა კიდევ რაღაც მეთქვა, სათქმელის მეტი რა მქონდა, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებდი. ნაბიჯიც ვერ გადავდგი. ალბათ ადამიანს, ვფიქრობდი ჩემთვის, გონების გარდა, სხვა იდუმალი დანამატი აქვს, რომელიც პასუხს აგებს მის აზროვნებასა თუ ქცევაზე. თუ ასე არ არის, მაშინ ახლა რატომ ვერაფერს ვეუბნები?!

ბუნდოვანი აზრებისგან მეგობარმა გამომიყვანა.

- რა გაბუტული ბალღებივით დგახართ, თუმცა შენ ამის საბაბი გაქვს, მთელი რაზმის წინაშე კინაღამ შეგარცხვინა. შეიძლება არ უნდოდა ამის თქმა და რაღაც გრძნობამ უკუღმა წამოაცდევინა!

- შენ იმის თქმა გინდა, რომ სიჩქარეში სიტყვები ვერ შეარჩია?

- კი, ხანდახან ხდება, როცა პირდაპირ თქმას ვერ ახერხებენ, - თვალით მანიშნა, - გოგონები გრძნობას ჩქმეტით, თმაში წავლებით, უკმეხი სიტყვებით გამოხატავენ ხოლმე, სწორი ვარ თუ არა?

- მართალი ხარ, ერთი რამ მაინც უნდა გაეთვალსიწინებინა.

- რა?

- შეიძლება ეთქვა შენი თანდასწრებით, ან ვიწრო წრეში, მან კი მთელი რაზმის წინაშე გამომიყვანა მდგომარეობიდან!

- ეგ მართალია. ახლა რას ფიქრობ?

- ჯერჯერობით ვერაფერს, წყენა გაივლის და შემდეგ ვნახოთ.

- შენ ის მითხარი, დირექტორი როგორ დაითანხმე, ყველა გაკვირვებულია. არავისთვის მიუცია მას ნებართვა და ამ პატარა ბიჭმა რა უთხრა ასეთი, რომ თანხმობა მისცაო.

- უბრალოდ კაცურად ვთხოვე, ეს არის და ეს!

- კარგი, რაზმი ეწყობა წასასვლელად, წავიდეთ ჩვენც, შევუერთდეთ!

ბანაკის ტერიტორიიდან გამოსულებმა ტყისკენ ვიბრუნეთ პირი. ვიწრო ბილიკს ორ რიგად მიყვებოდით. მივდიოდი, თან უცნაური აზრები არ მასვენებდა, ერთის ამოხსნას რომ ვიწყებდი, მეორე ჩაენაცვლებოდა, თავს ვერ ვუყრიდი, ფიქრს საერთოდ შევეშვი და ტყის დათვალიერება დავიწყე.

დიდხანს არ გვივლია, როცა მდინარის ნაპირს მივუახლოვდით, ხელმძღვანელმა შეგვაჩერა და გამოგვიცხადა:

- ვინც ცურვა იცის, აი, იქ შეუძლია იბანაოს, - მიგვითითა, სადაც მდორედ მიედინებოდა. - სხვებმა ნაპირზე იჭყუმპალაონ!

ჩქარ-ჩქარა გაიხადეს მოცურავეებმა და მდინარეში დგაფადგუფით შეცვივდნენ. დანარჩენნი ნაპირზე დარჩნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც საერთოდ არ ისურვეს წყლით ფეხის დასველებაც კი, მათ შორის მეც ვიყავი. რიყის ქვაზე ჩამოვჯექი და მოჟრიამულე თანარაზმელებს დავუწყე ცქერა.

- შენ რატომ არ ჩადიხარ? - მეკითხება ორგანიზატორი.

- არ მინდა! - ახსნას მოკლე პასუხი ვამჯობინე.

- შენი ინიციატივით მოხდა აქ ჩამოსვლა და შენ უარს რატომ ამბობ? თუმცაღა, მეც მოვკარი ყური, რატომაც არ გსურს, შენ მისვლისთანავე რომ გეთქვა დირექტორმა ნება დამრთოო, აღარც იმ სიტყვას გეტყოდა!

- იმ სიტყვას მაინც იტყოდა, ოღონდ სხვა ბრუნვაში!

- ვერ გავიგე?

- მე რომ გამომეცხადებინა, დირექტორმა ბანაობის თანხმობა მომცა-მეთქი, იცი, რას იტყოდა?

- რას?

- რატომ გვეტრაბახები, მაგას ჩვენც კი შევძლებდითო!

- არა, არა მგონია!

- იმიტომ იტყოდა, რომ თავი გამოეჩინა.

- რაა, მოსწონხარ, რა დროს თქვენი თავმოწონებაა?

- ინსტინქტურ სურვილს ვერ დაემალები, პატივცემულო, ის ხანდახან ანგარიშმიუცემლად გვამოქმედებს, ბიძგს გვაძლევს, გვათქმევინოს ან გვამოქმედოს, როგორც მას სურს!

- უყურე შენ ამას, საიდან ეს ცოდნა, კარგი, დავუშვათ ასე არის, თუკი იცი მისი ნათქვამი სიტყვა გაუცნობიერებელი იყო, მაშინ მიუტევე, აპატიე. ის ვერ ბედავს მოსვლას, გოგონაა, ნაზი არსება. შენ ბიჭი ხარ, თანაც ვაჟკაცი. მიდი და დაელაპარაკე!

- დავფიქრდები.

- რაც მეტს იფიქრებ, მით მეტ უკიდურესობაში აღმოჩნდები. წადი და მის გვერდზე დაჯექი, მერე თვითონ მოვა სიტყვები.

მანამდე მელაპარაკებოდა, სანამ ძალით ფეხზე არ წამომაყენა. რაღას ვიზამდი. წავედი და მის გვერდით, ლოდზე ჩამოვჯექი. არ განძრეულა. თვალმა უმალ მის ღაწვზე მოციმციმე ცრემლის გორგალი შენიშნა. შემეცოდა.

პირდაპირ სათქმელის თქმას მოვერიდე. გადავწყვიტე, შორიდან დამეწყო.

- რატომ არ ჩადიხარ? - პასუხის მოლოდინში მისკენ შევტრიალდი.

ის ისევ დუმილს ამჯობინებდა.

- მე ხომ შენი გულისთვის ვთხოვე დირექტორს მდინარეში ჩასვლა?

- არ მსურს! - მივიღე მწყრალი პასუხი.

- ერთი საათის წინ ძალიან გინდოდა, ახლა რა მოხდა?

უეცრად შემომიტრიალდა, თავი მაღლა ასწია და შემომყვირა:

- რით ვერ გაიგე, არ მინდა და მორჩა!

- გავიგე, რომ არ გინდა. მიზეზი მითხარი, თუ ვინმეა დამნაშავე, ისიც გამაგებინე!

- არც არავინ, მე თვითონ ვარ!

- შენ რატომ?

- იმიტომ!

- სიტყვის გამო?

- ჰო, თავი ვერ გავაკონტროლე! - სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა, რომ ისევ ცრემლები წასკდა.

- კარგი, თვალებს ტირილით ნუღარ დაიოსებ, აუგი მე ხომ არაფერი მითქვამს!

- რომ გეთქვა, უკეთესი იქნებოდა! - შემომწყრა გულაჩუყებულმა.

- რომ არ ვთქვი, ესე იგი არ ყოფილა საჭირო, და თუ შენ შენი ნათქვამი გაწუხებს, შემიძლია დაგეხმარო!

- განსაცდელს შენ რით შეამსუბუქებ?

- არის ძალა, რომელსაც შეუძლია მძიმე ტვირთი გაამსუბუქოს. განაწყენებული ადამიანები შეარიგოს და მეგობრობა აღადგინოს.

- რა ძალაა ასეთი?

- მიტევების!

- რა გსურს ამით, რომ მითხრა?

- დაივიწყე, თითქოს არ გითქვამს, რაც პატიებას ნიშნავს!

- შენ გინდა, რომ მაპატიო, მაგრამ მე ხომ გულში ხინჯად ჩამრჩება, როგორც უნდა მაპატიო, ან მოგიბოდიშო, მაინც ვერ გავაქარწყლებ!

- მერწმუნე, ორ დღეში წყენა საერთოდ აღარ გემახსოვრება, ახლა ადექი და იბანავე!

- შენ რატომ არ ბანაობ?

- მე არ მენატრება, ვისაც ენატრებოდა, იმისთვის ვარ ჩამოსული, ის კი ლოდზე ზის და ტირილის მანიას შეუბოჭავს!

- ვინ ტირის?

- სხვა აქ არავინ არის, შენ გარდა!

- მე არ ვტირი, მეტირება, არ ვიცი, თავს ვერ ვიკავებ.

- უბრალოდ განცდა გაიძულებს, რომ ცრემლები ღვარო.

- სწორედაც რომ განცდილი მაიძულებს და არა ჩემი სურვილი!

- მიდი, ფეხები მაინც ჩაყავი წყალში, ცრემლვას შეგიწყვეტს და ცოტას დაგაწყნარებს, მთელი ტანით თუ ჩაწვები, საერთოდ დაგამშვიდებს!

- მეც ეგ მინდა!

- მაშინ დამიჯერე.

- წავალ, - თქვა და ფეხზე წამოდგა. ქოშები ლოდთან მიაწყო, ვიწრო შარვლის ტოტები მუხლამდე აიკეცა და ნელი ნაბიჯებით ნაპირს მიუახლოვდა. შეჩერდა, ჯერ მე შემომხედა, მერე მკვირცხლად შეტრიალდა და მუხლებამდე მდინარეში შევიდა.

- ყოჩაღ შენ, - შემომესმა ორგანიზატორის ხმა. ამ სახის საუბარი დიდსაც კი გაუჭირდებოდა, აფერუმ შენს მშობლებს, კარგი შვილის გაზრდისთვის!

- მათ კიდევ ორი შვილი ჰყავთ, პატივცემულო, გო-გო-ბიჭი, ჩემზე უფრო კარგები!

- ამას დამიხედეთ, თავმდაბლობაც რა გვარიანი ჰქონია. ისე, რომ იცოდე, ჩემო კარგო, მეტად საჭირო თვისებაა, თუ არ დაკარგავ, კეთილი და წარმატებული ბიჭი გახდები, კაცობაში უფრო დიდებული. დღეს რა მადლი მოისხი. შეხედე, როგორ გაახარე შენი ამხანაგები. ლამაზი პერიოდია ბავშვობა!

- რატომ, შეგიძლიათ ამიხსნათ?

- რატომ, იცი, გენაცვალე, მეტად თამამი ხარ, თავისუფალი, უფლება გაქვს, მოითხოვო, რაც გსურს, თუ წყენას მოგაყენებენ, მეორე დღეს აღარ გახსოვს. თამაშისა და სიხარულის განცდის ხალასი უნარი გაქვს. ალაღება შეგიძლია. განუკითხაობისა და ყოფითი პრობლემების მარწუხებს ვერ გრძნობ. ყოველივე ამას, როცა დავაჟკაცდები, მაშინ იგრძნობ!

- გმადლობთ, პატივცემულო!

- არაფრის, შენ რატომ არ ბანაობ?

- ვისაც ენატრებოდა, მე მათთვის გთხოვეთ, თორემ, მე ყოველთვის მაქვს ბანაობის საშუალება, ახლა უბრალოდ არ მინდა.

- რატომ, წყენამ ჯერ არ გაგიარა?

- გამიარა, ჩემთვის ამჯერად მათი სიხარულის ცქერა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემი მდინარეში შეცურება!

- პროზაული შედარებაა. სკოლაში რა შეფასებები გაქვს?

- ჩემთვის საჭირო, თქვენთვის მოსაწონი!

- მაშასადამე, უმაღლესი!

- დიახ!

- საუკეთესო დასაწყისი გქონია. აღებულ კურსს არ გადაუხვიო. დროებით დაგტოვებ, მოცურავეებს გავძახებ, უკვე დროა, ბანაობა დაამთავრონ!

ორგანიზატორი ნაპირთან მივიდა და ვინც მდინარის სიღრმეში ცურვით თავს ირთობდა, ყველანი თავისკენ იხმო.

- ცოტაც რა, მასწ! ცოტა ხანს ვიქნებით კიდევ! - შემოეხვეწნენ ბანაობის ექსტაზში შესულნი.

- რას ამბობთ, უკვე დროს გადასცილდა, ახლავე გამოცურეთ!

მოცურავეთა ჯგუფს ორი გამოეყო, მასთან მივიდნენ და თხოვნა დაუწყეს.

- გთხოვთ, მასწ! მხოლოდ ათი წუთით!

- ვიცი, თქვენი ათი წუთი რამდენია, არა-მეთქი, საკმარისია! - გაამკაცრა ბოლო სიტყვები.

ყველა იმედდაკარგული მოსცილდა ორგანიზატორს და ჩემთან მოვიდნენ.

- იქნებ, შენ სთხოვო! - ერთდროულად შემომთხოვეს ექსტაზში შესულებმა.

- მეე? - გავიკვირვე.

- კი, შენ არ სთხოვე მათ, რომ ნება დაერთოთ?

- მერე, ხომ იბანავეთ?

- კიდევ გვინდა, სთხოვე, რა იქნება! - მემუდარებოდნენ ცურვით აღტაცებული ბიჭები.

მათ სხვებიც შემოურთდნენ და ერთხმად თხოვნა დაიწყეს.

- რომელი ბანაკის დირექტორი მე ვარ, რომ ჩემი ნათქვამი მან შეისმინოს?

- ამ ერთხელ რა მოხდება, გთხოვთ! - განაგრძობდნენ

ხვეწნა-მუდარას.

- აგერ, ხელმძღვანელი და მას უთხარით!

- ისიც კატეგორიულ უარზეა! - შემომჩივლეს და თხოვნა გააგრძელეს.

ჩემი მეგობარი (გოგონა) განზე იდგა და სეირს უყურებდა. არც უცდია მათ დემოსტრაციას შეერთებოდა, მაგრამ გულისყური აქეთ ჰქონდა, აინტერესებდა, როგორ დამთავრდებოდა უჩვეულო ვითარება.

ორგანიზატორი ისევ ნაპირთან იდგა და ორ დარჩენილ რაზმელს ელოდებოდა. უმრავლესობა პასუხის მოლოდიში ჩემ წინ ცმუკავდა.

- კარგი, მადროვეთ, ვცდი, დაწყნარდით და მივალ! - მივეცი თანხმობა.

ორგანიზატორისკენ ნელი ნაბიჯით წავედი, რათა გზაში მისთვის ჩემი სურვილი გამეგზავნა; პირველი გზავნილის იმპულსმა თავი ჩემკენ შემოატრიალებინა, სანამ მასთან მივიდოდი, გზავნილის ფორმა ისევ გავიმეორე, როცა მას მივუახლოვდი, თითქმის მზად იყო, მხოლოდ ჩემი თქმა ხდებოდა საჭირო, რომ გადაცემულ ინფორმაციას ემოქმედა.

- თუ არ ვცდები, - მომმართავს ორგანიზატორი, - ჩემთან გამოგზავნეს შუამავლად?

- მართალს ბრძანებთ, მე შემომეხვეწნენ, თქვენთვის მეთხოვა, მეც მოვედი და მინდა გთხოვოთ, ათიოდე წუთი დამატებით რომ მისცეთ საშუალება, პასუხისმგებელი მე ვიქნები!

მან გამიღიმა და მათ გახედა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ეტყობოდა, საწყის აზრებს თავი ვერ მოუყარა, მერე მხარზე ხელი დამადო, რაზმელებისკენ შეტრიალდა და მათ გასაგონად დაიწყო:

- ამის მადლობელი უნდა იყოთ, რომ თქვენ მდინარეში საბანაოდ ჩამოხვედით. ორი სეზონია აქ არავინ ჩამოსულა, თქვენ ეს იცით!

- ვიცით! - დაუდასტურეს ერთპირად.

- ახლა კი იმას არ დასჯერდით, რაც დაუშვებელი იყო და ჩვენ დავუშვით და კიდევ დამატებით გსურთ განებივრება. თუკი თქვენ ისევ წყალში ჩახვალთ, ესეც მისი დამსახურება იქნება, გასაგებია?

- დიახ, მასწ! დიახ, მასს! - დასჭექეს „დემონსტრანტებმა“.

- მხოლოდ ათი წუთი, დრო ჩართულია!

- ვაშაა! - ერთბაშად იყვირეს და მდინარეში ყიჟინით შეცვივდნენ.

ჩემი მეგობარი გოგონა ფინალის დასრულებამდე სადაც იდგა, იმ ადგილს არ მოშორებია. როცა გადაწყვეტილება მოისმინა, თავი დაბლა დახარა, გვერდზე შეტრიალდა და ნაპირზე მოთამაშე ტალღებს დააცქერდა.

მისი ეს მანერა კვლავ არასასურველი ურთიერთობის განახლებაზე მიმანიშნებდა. ორგანიზატორს მადლობა გადავუხადე და მისკენ გავემართე. ჩემი მიახლოება იგრძნო, ოღონდ უპასუხოდ, რეაგირების გარეშე. ის ისევ იდგა და სიპ ქვებზე მორბენალ ტალღებს თვალს არ აშორებდა. ცდილობდა, ზედმეტ დაძაბულობას გაქცეოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მე ის არ შემემჩნია, თუმცა მისმა ემოციამ თავი მაინც ვერ დამალა. უნებურად, ფეხის თითებით კენჭების წვალება დაიწყო. უნდოდა მთელი ყურადღება მისკენ გადაეტანა და მღელვარება ამ ხერხით დაეფარა.

- რატომ არ ბანაობ, - შევეკითხე მდგომარეობის განსამუხტად, - აგერ შეხედე გოგონებს, ზოგი შარვლით, ზოგიც კაბით ცურაობს, მიდი, შენც შეუერთდი!

- არ მინდა!

- თუ იბანავებ, გპირდები, ხასიათი მყისვე გამოგიკეთდება. აბა, სცადე და ენდე ჩემს სიტყვებს.

შემომხედა. მის სახეზე ღიმილის ნაკვთი შევნიშნე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყინულმა ლღობა დაიწყო, საჭირო იყო მისი დაჩქარება, სულ ათიოდე წუთი რჩებოდა, ამიტომ სასწრაფოდ რაღაც უნდა მომეგონებინა.

- თუ არ შეხვალ, იცოდე, გაგწუწავ! - ვთქვი და ქვემოთ დავიხარე, ორივე პეშვში წყალი დავიგუბე და მისკენ გავიქნიე.

- რას მიკეთებ?

- იბანავე, თორემ კიდევ გაგლუმპავ!

- არ მინდა, ხომ გითხარი!

მე კვლავ დავიხარე და ახლა უფრო და უფრო მოვუმატე, ის კი გაჰკიოდა.

- კმარა, შეჩერდი, ნუ დამასველე! - მუდარით რომ ვერაფერს გახდა, მერე თვითონაც წამოიწყო, მეორედ რომ დაიპირა, უეცრად ფეხი მოლიპულ ქვაზე დაუცურდა და შიგ მდინარეში მოადინა დგაფანი.

- რა არის ახლა ეს! - შემომყვირა და ხელის გულები წყალზე აადგაფუნა. წამოდგომა სცადა, ნახევრად რომ წამოიწია, იმ ხელით, რომელიც მოლიპულ ქვას ეყრდნობოდა, თავი ვერ მოიმაგრა, დაუცურდა და ისევ მდინარეში ამოყო თავი.

- აა, - ამოიყვირა, სველი თმა უკან გადაიწია და შემომთხოვა - მოდი, მომეხმარე, რას უდგეხარ, როგორც წამაქციე, ისე ამაყენე!

- მე რატომ მაბრალებ, შენ თვითონ არ წაიქეცი?

- მოდი, ხომ ხედავ, რომ ვერ ვდგები, მომეშველე! - ორივე ხელს წინ იშვერდა და მევედრებოდა.

შემეცოდა, წამოსაყენებლად მარჯვენა გავუწოდე. მან ორივე ხელი მკლავზე მომხვია და თავისკენ მიმიზიდა. განზრახვას გვიან მივუხვდი, წავიბორძიკე, თავის შესაკავებლად ფეხი წინ გადავდგი, სანამ მეორეს მივაშველებდი, მეც მის გვერდით მოვადინე ბათქანი.

- ეგეც შენ, კარგია, არა?

- აბა, ნახე, თუ არ არის კარგი! - და დავიწყე გამალებული წყლის შხეფება.

- დაიცა, გაჩერდი ერთ წამს, ამომასუნთქე, რა იქნება!

- აჰა, გავჩერდი, არ მოგწონს?

- რომ მომაყარე ავტომატის ჯერივით, ვერც თვალები გავახილე, ვეღარც ამოვისუნთქე!

- რამდენ ხანს გელოდო, დამშვიდდი?

- დამელოდე, ახლა მე დავიწყებ!

- რას დაიწყებ?

- რასაც შენ აკეთებდი.

- აბა, მოდი, გელოდები.

სცადა ერთხელ, ორჯერ, რომ ვერ მოიხერხა, მერე სხვანაირად მოსინჯა, ამჯერადაც უშედეგოდ.

- ეგ ხარ სულ?

- მასწავლე, რა მოხდება! - შემომთხოვა ინტერესში ჩავარდნილი მოსწავლესავით.

- რომ გასწავლო, შენ ვინღა გაჯობებს მერე?

- რანაირი ხარ, ცოტა მაინც, გეხვეწები!

- ჰო, კარგი, გასწავლი. მისმინე, ხელის გული გაშალე, თითები შეაერთე, - ვუხსნი, თანაც ვაჩვენებ, როგორ უნდა შეასრულოს მოძრაობა - ამჯერად შენ გაიმეორე!

- აი, ეგ არის სულ, ხომ ადვილი ყოფილა?

- კი!

- შევეჯიბროთ ერთმანეთს?

- შენ სპეცი ხარ, ვერ გაჯობებ!

- ფორას მოგცემ, შენ დაიწყე, მერე მე აგყვები!

- მხოლოდ ერთი პირობით, მე ორი ხელით ვიქნები, შენ ერთით!

- თანახმა ვარ, დაიწყე!

ისე მონდომებით აიღო სტარტი, ნამდვილად შეჯიბრების მონაწილე გეგონებოდათ, თან უხაროდა ახალ ნასწავლს ადვილად რომ დაეუფლა.

ჩემი ჯერიც დადგა. ვანიშნე.

- აბა, გაუძელი!

პირველი ორი წყლის ჩქეფა მსუბუქად გავუშვი, მერე ნელ-ნელა მოვუმატე, მომატებულ ტემპს ვეღარ გაუძლო და შემომძახა.

- გაჩერდი!

- შენ რატომ შეჩერდი?

- დავიღალე!

- ასე მალე რამ დაგღალა?

- მომეხმარე, რომ წამოვდგე, ნაპირზე გავიდეთ. დროც მოვიდა, ხელმძღვანელმა უკვე გასცა ბრძანება!

- ნუ ჩქარობ, ნელა ადექი, თორემ ისევ მდინარეში მოადენ დგაფანს და მეც გადამიყოლებ!

ვაი-ვაგლახით ფეხზე წამოვაყენე, ხელი ჩავჭიდე, მე წინ მივდიოდი, ის კი შიშის ფეთებით, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით უკან მომყვებოდა. ნაპირზე რომ გამოვიყვანე, ხელი გამაშვებინა და ტანსაცმლის გასაწურად გოგონებისკენ გაიქცა. მე ლოდზე ჩამოვჯექი და ჩემი გალუმპული ტანისამოსის გაწურვას შევუდექი. რაზმელები გამოსულები დამხვდნენ, ნაწილს უკვე გაეწურა, ნაწილი კი ახლა ემზადებოდა.

... ათ წუთში უკვე მოწყობილები ბანაკისკენ მიმავალ ბილიკს მივუყვებოდით. ეზოში რომ შევედით, ყველა რაზმეული საკუთარ ხაზებზე მოწყობილები დაგვხვდა. მათ წინ დირექციის წარმომადგენლობა იდგა. მოადგილე რაღაც თემაზე ესაუბრებოდა. ჩვენ რომ დაგვინახა, საუბარი შეწყვიტა. დაგველოდა. კუთვნილ ხაზზე რომ გავმწკრივდით, დირექტორმა ჩვენკენ გამოიშვირა ხელი და მათ მიმართა:

- ეს რაზმი სანიმუშო ყოფაქცევით რომ გამოირჩეოდა, ამიტომ დავრთეთ ნება, მდინარეში ჩასულიყვნენ. თქვენც გამოიჩინეთ თავი, დაიცავით ბანაკის შიდა განაწესი და მიიღებთ ჩვენგან ნებართვას! - დაჰპირდა ბანაკის დირექტორი.

თურმე ჩვენ რომ წავსულვართ, გაუგიათ სხვა რაზმეულის წევრებს და საჩივრით მისულან ბანაკის ხელმძღვანელებთან. მათ კი ცალ-ცალკე ახსნას ამჯობინეს მოედანზე ერთად შეეკრიბათ და იქ განემარტათ გაშვების მიზეზი. ჩვენს გამოჩენამდე კი შეგონებებს უკითხავდნენ.

რადგანაც სველი სამოსი გვეცვა, დაგვდეს პატივი და მალე გაგვათავისუფლეს.

გამოცვლა რომ დავამთავრე, ოთახიდან აღარ გამოვსულვარ. საწოლზე წამოვწექი და გავფიქრიანდი. ორგანიზატორის სიტყვები გამახსენდა: „ბავშვური ასაკი ძალიან ლამაზი პერიოდია". ეს სიტყვები სადღაც სიღრმიდან რამდენჯერმე მიმეორდებოდა. ისე ამეკვიატა, სხვა ფიქრზე ვერც კი გადავდიოდი. რა იყო ჩემთვის ლამაზი, ვფიქრობდი და თან პარა-

ლელს ჩემს თავგადასავლებს შორის ვავლებდი. სად მქონდა სასიამოვნო და არასასიამოვნო მოგონებები. მე უფრო მისი გამოთქმის მნიშვნელობას ჩემთვის საინტერესო გართობაში ვხედავდი, ალბათ ის თავის გადასახედიდან მეტს გრძნობდა და ამჩნევდა. შეიძლება, წუხდა კიდეც, რომ ბუნდოვნად ახსენდებოდა მეხსიერებაში აღდგენილი წარსულის ცალკეული შემთხვევები და უეცრად, მოჟრიამულე ბავშვების შემხედვარეს უნებლიედ ამოუცურდა საამურად გატარებული დღეები და მოულოდნელად იგრძნო ის, რასაც მაშინ ჩვეულებრივად აღიქვამდა, ამჯერად სასურველი გრძნობით განიცდიდა.

ფიქრებიდან მეგობარმა გამომიყვანა.

- ისე ხარ ფიქრებში გართული, ჩემი ძახილი არც გესმის!

- მოხდა რამე?

- არაფერი, არ გამოხვალ?

- სად მეპატიჟები?

- ეზოში!

- ჩვენი მესამე წევრი ხომ არ გამოსულა?

- არა, გოგონების უმრავლესობა ჯერ არ ჩანს. რა მაგის პასუხია, ღამის გეგმაზე არ დავილაპარაკოთ?

- რა თქმა უნდა!

- მაშინ, მითხარი, ხვალ ისინი საზღვარს გადაკვეთენ?

- უდავოდ!

- მათი დახვედრის საქმე როგორ იქნება? - გაფრთხილებული კი გვყავს, მაგრამ კიდევ მოგვიწევს შეხმიანება. მეორე, შესამოწმებელი გვექნება განვლილი გზა მონარქის სასახლემდე.

- ტურფას არ შევატყობინოთ?

- ვის?

- რა იუცხოვე, იწყინე, თუ?

- უბრალოდ, გამიკვირდა, არასოდეს გითქვამს და საიდან მოიტანე?

რატომღაც ვთქვი.

- რომ არ წავიყვანოთ, იფიქრებს, ჩემზე გულმოსულებმა სამთა კავშირიდან გამთიშესო და ისევ ცრემლებად დაიღვრება.

- როდის შევატყობინოთ?

- ვახშმის შემდეგ!

- გასაგებია, დროა ეზოში გავიდეთ!

საღამო, ჩვეულებრივ, შიდა განაწესით წარიმართა. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, გარდა ერთი სხვაობისა, ეს იყო სხვა რაზმელების გამოხედვასა და ქცევაში შესამჩნევი მოშურნეობის ნიშნები, რაც ჩემში ტკივილის შეგრძნებას იწვევდა. თავისთავად მაწუხებს კითხვა, რატომ დასჭირდა დირექციას მათ წინაშე თავის მართლება, რომელი თითით საჩვენებელი რაზმი ჩვენ ვიყავით, შესაძლოა, სხვა არგუმენტი ვერ მოძებნეს და ეს ხიმანკლობა ამჯობინეს, რადგან რაზმეულებს დაჟინებით არ მოეთხოვათ მათთვის მდინარის პირას ჩასვლა და ბანაობა.

დირექციის მიერ მოგონილი ხრიკი, ვაგრძელებდი ფიქრს, ჩვენი შუღლისა და ურთიერთობის გამწვავების წინაპირობა გახდება, მერე ვინ უწყის, როგორ გაგრძელდება. ამ შურის მიზეზი, ცხადია, მე ვიქნები, ან რად მინდოდა მის წინაშე თავის გამოჩენა, თუ ასეთი შედეგი მოჰყვებოდა. ერთის გულისთვის უამრავი ბანაკის ამხანაგების შუღლის სამიზნე გავხდი. ხელმძღვანელობამ კი გამიაქტიურა ჩემი ძალაუნებური თავგამოდება. რაღაც უნდა ვიღონო. დასაწყისში ჯობია წამონთებული შუღლის განეიტრალება, თორემ მერე, როცა აელვარდება, შეუძლებელი გახდება მისი ჩანელება. რაგვარად მოვაწესრიგო, ჩემი გონება ახლა ამ წინააღმდეგობის მოგვარებაზეა გადართული, ჯერჯერობით ვერ გადამიწყვეტია, რა აჯობებდა.

ღამეც სახეცვლილებამდე ვაგრძელებდი მასზე ფიქრს, რაიმე საშუალების გამოსაძებნად.

- მგონი, მოდის! - შემომესმა მეგობრის ხმა.

თვალები დავხუჭეთ და თავი მოვიმძინარეთ.

შემმოწმებელმა აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა, კარი უხმაუროდ მიიხურა და მეორე ოთახს მიაშურა. ჩვენ მაშინვე მოვემზადეთ და სახე ვიცვალეთ.

ჩვენები ჩვეული შემართებით წინ მიიწევდნენ. წინამძღოლს ვაგრძნობინეთ, რომ კვლავ მათ გვერდით ვიყავით.

მოვიკითხეთ, პასუხი რომ დამაკმაყოფილებელი მივიღეთ, აღარ გავჩერებულვართ, გამოვბრუნდით და ხეობას ავუყევით. ვათვალიერებდით ყოველ ალაგს, ნაომარ ველებს, ტყეში შევიარეთ, მოვინახულეთ სპეცრაზმის ჯერ ძველი და მერე ახალი ადგილ-სამყოფელი. არც აქ შევჩერებულვართ, გარეთ გამოსულები შარაგზას სატახტო ქალაქის მიმართულებით გავყევით. გამალებით მივიწევდით წინ. მე საგულდაგულოდ ვათვალიერებდი ჩვენ ქვემოთ გადაშლილ ხედებს. საეჭვო არაფერი შემინიშნავს. როდესაც დავრწმუნდით, საშიშროება არ გვემუქრებოდა, უკან გამობრუნებულებმა გზიური მდინარის პირას ნაცნობი მინდორი მოვნახეთ და მცირე ხნით შევისვენეთ.

- აი, აქ ჩაისახა, ჩემო კარგო, შენი მდინარეში ჩასვლის სურვილი! - გავახსენე ახლო წარსული.

- მართალი ხარ, - მხარი დამიჭირა მეგობარმა - აქ ჩაისახა, იქ კი დაიბადა!

- ნეტავ, არ დამცდენოდა, დაცინვასაც ავცდებოდი და დავიდარაბასაც. - შემოგვჩივლა თავის თავს გადახდენილი დავიდარებით შეწუხებულმა.

- შენც და მთელი ბანაკიც!

- ბანაკი რა შუაშია?

- ნუთუ არ შეგიმჩნევია მათ ხასიათში ცვლილებები?

- ბრალი მეც ხომ არ მიმიძღვის?

- მთელ ჩვენს რაზმეულს, რეალურად მე!

- შენ რატომ?

- ორგანიზაცია რომ გავუკეთე შენს სურვილს!

- ესე იგი, ჩემიდან იწყება! რა შეამჩნიე ასეთი მათ?

- ბოღმა გაუჩნდათ. ნება რომ დაგვრთეს, შეშურდათ. შესამჩნევად აგრესიულები გახდნენ ჩვენ მიმართ.

- რაზმმა რა უნდა ქნას?

- რაზმმა კი არა, ჩვენ უნდა ვიღონოთ რამე.

- რას ამბობ, მათი აგრესიის შესაჩერებელი რა ძალა და ენერგია გვაქვს?

- როგორმე უნდა გამოვიმუშაოთ ისეთი აზრ-ფორმა, რო-

მელიც შეძლებს ბოღმანარევი ნიაღვრის წარმოქმნის შეჩერებას.

- მე არაფერი მომდის აზრად.

- მეც ვცდილობ, - მეუბნება მეგობარი, - რაღაც ხერხს მივაგნო, შენ რა იდეა გაქვს?

- მე მინდა ისევ დირექცია ჩავრთო.

- დირექცია? - გაიკვირვა ერთმაც და მეორემაც.

- დიახ, ხელმძღვანელობამ უნდა შეძლოს დაშოშმინება.

- კი, მაგრამ რით? - ჩამეკითხა ჩემი რჩეული.

- მარტივად და ეფექტურად.

- გვცანი ღირსად და გაგვიმხილე!

- გაგიმხელთ, დავიწყოთ იქიდან, გახსოვთ, დირექტორმა რომ თქვა ყველას გასაგონად, სანიმუშო ყოფაქცევით გამორჩეული რაზმეული რომ იყო, ამის გამო დაიმსახურეს მდინარეში ბანაობაო!

- გვახსოვს!

- მიპასუხეთ, რით გამოვირჩევით სხვებისგან?

- არაფრით!

- თუ არაფრით, მაშასადამე, ეს იყო მათი თავდაცვითი ხერხი, ვინაიდან სხვებმაც მოსთხოვეს ბანაობის ნებართვა, უარი ამ მეთოდით უთხრეს.

- გასაგებია, შემდგომი სვლა?

- ხვალ, როცა რაზმეულის მოწყობის მორიგი ჯერი დადგება, ისევ დირექტორს უნდა ვათქმევინოთ, რომ თქვენ შორის ვინც პირველი დაიმსახურებს მაღალ შეფასებას, მას მომავალ კვირაში ჯილდოდ გადაეცემა ბანაობის ნებართვა. ეს განცხადება დააფიქრებთ მათ, გააკონტროლონ თავიანთი ქცევა, ანუ ყურადღებას გადაიტანენ საკუთარი თავის კონტროლზე, რაც, შესაბამისად, გავლენას მოახდენს მათი გულისთქმაზე, ხოლო გადამისამართებული გულისთქმა კი თავისთავად მოუხსნის აგრესიას ჩვენ მიმართაც. თქვენ რას იტყვით?

- ლოგიკური მსჯელობაა, თუ სხვა გამოსავალს ვერ ვიპოვით, შენი იდეით ვიმოქმედოთ.

- მეც ვიტყოდი ერთს.

- რაც მეტი, მით უკეთესი!

- მადროვე, ნუ მეჩრები ხოლმე!

- კარგი, აღარ ჩაგეჩრები!

- კი ნუ გაბრაზდები, მისმინე, მინდოდა მეთქვა, თუ მაშინ შენმა თხოვნამ გაჭრა, იქნებ სხვების მრავალჯერადმა თხოვნამაც გამოიღოს შედეგი!

- ისინი, გენაცვალე, როგორც ადრე გითხარი, ერიდებიან ზედმეტ თავის ტკივილს, ამის გამოა, რომ არ სურთ, დათანხმდნენ მათ მოთხოვნას. რაზმეულებმაც კი იციან, კარგად რომ უნდა მოიქცნენ, მაგრამ, ამ კარგ ქცევას ვერ ახერხებენ. ჩვენი არაორდინარული გართობა უფროსებს ცელქობად მიაჩნიათ და მოურიდებლად ტუქსვაზე გადადიან.

- დასჯა იოლი ხერხია, არა?

- მართალი ხარ, ვინმეს რომ ცელქობა აუკრძალონ, შედარებით ვითომ აღზრდის ადვილი მეთოდია, ახსნა-განმარტება კი - რთული, არადა, დასჯას უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სიკეთე. როგორც მე ვიცი, ხშირად მოზრდილ ასაკში ტრაგიკომედიად ან სულიერ ტრავმად გადაექცევათ ხოლმე!

- მაშ, ისინი დასჯილები არიან?

- არა, უფრო დატუქსულები, მსუბუქი ფორმით, თუმცა, მაინც ჯავრობენ. ჯავრსაც შეუძლია გარკვეული ზიანის მოტანა. ამიტომ, მისი განეიტრალება რომ მოვახერხოთ, დროულად უნდა ვიმოქმედოთ.

- ვინ მივა და სთხოვს დირექტორს, რაც შენ თქვი? - დაინტერესდა მეგობარი.

- აგერ, ჩვენი დარბაისელი გოგონა!

- მეე? - გაიკვირვა მან, - მე ვინ მომისმენს?

- დირექტორი!

- მასხრობ, არა?

- არა, მე რომ მივედი, მაშინ რა იყო, თავიდან შენ ხუმრობად ჩათვალე, მერე სერიოზულად.

- შენ ბიჭი ხარ!

- სხვათა შორის, უფროსები გოგონებს უფრო უსმენენ!

- ვითომ, რატომაო?

- მათ ჰგონიათ, რომ გოგონები უფრო გამჭრიახები არიან ამ ასაკში.

- ვთქვათ, მივედი და ვთხოვე, სხვებისთვისაც რომ მიეცა მდინარეში ჩასვლის უფლება. რას მეტყვის, რა კარგი გოგო ხარ, რომ შემახსენეო?

- ეგრე არა, კონკურსის სახით, მათ თავიანთი მოთხოვნები და განაწესი აქვთ, თუ მათი ნორმები არ დააკმაყოფილე, არავინ გაგიშვებს, ამიტომ, მან შესასრულებელი პირობები რაზმეულების წინაშე უნდა განაცხადოს, რომ მათი შესრულებული შედეგების მიხედვით დამსახურებულად გაუშვას მდინარეში საბანაოდ.

- და ეს ყველაფერი მას უნდა ავუხსნა?

- რასაკვირველია!

- არ იტყვის ჩემზე, მოგზავნილი ხომ არ არისო?

- ამით რა გინდა, რომ მითხრა, გეძნელება, თუ ვერ მოახერხებ?

- გამიჭირდება!

- აბა, ვინ მივაგზავნოთ?

- ჩვენი რაზმის მეთაური!

- ის მე მეტყვის, შენ თვითონ სჯობს, რომ უთხრა, როგორც წინა შემთხვევის დროსო.

- მერე, შენც მიდი!

- შენ რას იტყვი? - მივმართე სმენად გადაქცეულ მეგობარს.

- მე ნამდვილად არ გამიმართლებს, ნაცადი გზა ჯობია. ისევ შენი მისვლა აჯობებს!

- მეც ეგ ვუთხარი, თანაც გამჭრიახი გონება აქვს და ბედიც სწყალობს!

- რა გაეწყობა, რაკი ასეა, მე შევაბამ კატას ეჟვანს. ჩვენ ისე შევყევით საუბარს, აქ რისთვის ვართ, აღარ გვახსოვს. წავიდეთ სასახლეში, ბოქაულთუხუცესს ვეახლოთ და თავი შევახსენოთ!

- გეთანხმები, აქამდე უნდა გაგვხსენებოდა!

- არც ახლაა გვიანი, ჩვენც საათობით არ მოგვიწიოს მგზა-

ვრობა. განეწყვეთ მგზავრობისთვის და მომყევით! - შევძახე მოსამზადებლად მეგობრებს.

... სასახლეში მისულებს უხუცესის მოძებნა არ გაგვჭირვებია. მივესალმეთ.

- ცისკრისას გელოდით, როგორ გრძნობენ თავს ჩვენი გამოქცეული ტყვეები?

- სუსტად, მგზავრობა უჭირთ. ხვალ დილით საზღვარს გადმოკვეთენ!

- ჩვენ მათ დასახვედრად უკვე გავგზავნეთ მცირე ლაშქარი. ქვეყნის მიჯნამდე მივლენ და დაბანაკდებიან იქ, სადაც მდინარე საზღვარს კვეთს. მარჯვენა სანაპიროს მახლობლად. სხვა საშიშროება ხომ არ გველის?

- არა, სურვილი ჰქონდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. - მივუგე ბოქაულთუხუცესს და თან დაწვრილებით მოვუყევი, რაც თავს გადაგვხდა.

მან მოიწონა ჩვენი გამჭრიახობა და სათითაოდ შეგვაქო.

- სამეფო ორდენი ნამდვილად გეკუთვნით, თქვენ გმირობას მის უმაღლესობას უსათუოდ მოვახსენებ!

- არა, არაა სავალდებულო, ნუ შეაწუხებთ, მეფე ისედაც უამრავი საზრუნავითაა გადატვირთული, ჩვენ, როგორც უჩინარები, ორდენსაც ვერ მივიღებთ. ჩვენთვის საკმარისია თქვენი თანაგრძნობა, ეს კი ღირსების ორდენის ტოლფასია. ახლა უკან გავბრუნდებით და მათ შეხვედრის ადგილს შევატყობინებთ.

- უღრმესი მადლობა, ჩემო პატარა მეგობრებო. მომავალ შეხვედრამდე!

- ნახვამდის!

სასახლიდან გამოსულები იმ მხარეს გავემართეთ, რომელ მხარესაც ლაშქარი დაიძრა. მალევე შევნიშნეთ მქროლავ ბედაურებზე მსხდომი გამორჩეული მხედრები. აღარ შევჩერებულვართ, ჩავუარეთ და მიმართულება ჩვენებისკენ ავიღეთ.

როცა მათ მივუახლოვდით, აშკარად შევატყვეთ დაქანცულობა.

- თუ დაღლას გრძნობთ, - მივმართავ წინამძღოლს. - შეგი-

ძლიათ დაისვენოთ, ცოტა წაიპურეთ და გზა მერე განაგრძეთ. დამხვდურები გზაში არიან. განსაცდელი არაფერი გაქვთ. ცოტაც უნდა გაუძლოთ, თავისუფლება კარზეა მომდგარი. აბა, თქვენ იცით, ჩვენ გავალთ და ხელახლა გადავამოწმებთ, ვნახავთ, ზემოთ რა ხდება!

არ ვჩქარობდით, გულდინჯად მივიწევდით წინ, თან ჩვენ ქვემოთ გადაშლილ მთა-ველებს ვათვალიერებდით, ასე ავყევით გზას მონარქის რეზიდენციამდე, გარეთ საეჭვო არაფერი შეგვინიშნავს, შიგნით კი გაცხარებული სჯა-ბაასი ჰქონდა მონარქთა საკრებულოს.

ერთნი ამობდნენ, ომი გარდაუვალია, მეორენი მათ კვირის წინანდელ, უომრად დამარცხებას ახსენებდნენ. მესამე დაჯგუფება გაქცეულებს დადევნებულ სპათა ბედზე უამბობდა.

- ჩვენ კი გვინდა განმეორებითი ბრძოლა, - განმარტავდა თეთრწვერა ხანი, - დამარცხებისთვის სამაგიეროს გადახდის მიზნით, მაგრამ სად გვაქვს გარანტია იმისა, რომ გავიმარჯვებთ და იგივე არ განმეორდება. ამაზეც უნდა ვიფიქროთ!

- თუ ყველაფერს გავითვალსიწინებთ, - შენიშნავს მონარქი, - სამაგიეროს ვერასოდეს მივუზღვავთ, ან ვინ გვირჩევს, ამა და ამ დროს შეიძლება ბრძოლის დაწყებაო. რა თქმა უნდა, არავინ მოვა და გვეტყვის, თუცმა სადღეისოდ, რომც გვინდოდეს, ვერ შევძლებთ. მარცხმა ჩვენი სამხედრო ძალა ძალიან შეგვისუსტა, ამიტომ, ჯერ მოვძლიერდეთ და მერე მივუზღავთ საკადრისს, ეს ნაბიჯი უფრო გამართლებული იქნება!

- დასტური მითქვამს, დასტური! - გაისმა შეკრებილთა რიგებიდან.

შეკრება დასასრულს რომ მიუახლოვდა, საკრებულოს დაშლამდე, მეგობრებს გადავხედე.

- მოისმინეთ არა, თავისას მაინც არ იშლიან. ახლო მომავლისთვის სამზადისი გამოაცხადეს!

- იქნებ ჯობდეს, ჩვენებს შევატყობინოთ, დაასწრონ და აქეთ გამოილაშქრონ?

- არა, ჩვენები სისხლის ღვრას ერიდებიან, ამიტომ უკეთესი იქნება, გადავაფიქრებინოთ ჩვენი ხერხის საშუალებით.

- რა გეგმა გაქვს?

- შენ შეხვალ და მთავრსარდალს ათქმევინებ, როცა ერთი ერთში დარჩებიან. ბრძანებელო, ვინაიდან მათ განსაკუთრებული ძალა მფარველობს, არ ღირს, უმოწყალოდ გავწიროთ ჩვენი მეომრები, ჩემი რჩევაა, თავის შეკავება ყოველგვარი ბრძოლისაგან. დაიმახსოვრებ?

- უეჭველად!

- მე კი თანხმობას ვათქმევინებ თავად მონარქს. თუკი დარწმუნებული ხარ, კიდევ დამარცხებას ვიწვნევთ, რა გაეწყობა, თავშეკავება კარგი არჩევანია. როგორია? მე მგონი, ურიგო არ არის!

- საუკეთესო ჩანაფიქრია!

- მე როგორ დაგეხმაროთ?

- შენ, როცა ყველა დარბაზიდან გავა, მათ მიაქციე ყურადღება, თუ რაიმე საინტერესო თქვეს, დაიმახსოვრე.

- გასაგებია.

- მზად იყავით, უკვე ფეხზე ადგნენ!

შვიდიოდე წუთში ჩვენ-ჩვენი დავალებები უზადოდ შევასრულეთ. შენობიდან გამოვედით და გეზი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ ავიღეთ. გზად, ციხეში დაბანაკებული საგანგებო დავალების შემსრულებელი რაზმის მეთაურს დამატებითი პროგრამა მივაწოდეთ და ბანაკში დავბრუნდით.

მომდევნო დღეს, მიუხედავად იმისა, რომ იქ წინააღმდეგობები მოგვარებული გვქონდა, დილით ნასაუზმევს, მაინც გადავედით, მანამდე დავრჩით, სანამ საზღვარი არ გადაკვეთეს და ერთმანეთს არ შეხვდნენ. მათი შეხვედრა იყო ძლიერ ემოციური, ყველას ცრემლი ჰქონდა თვალზე მომდგარი. ულოცავდნენ სამშობლოში მშვიდობიან დაბრუნებას, ტანჯვა-წამებით გათანგულ ტყვედყოფილებს. უმალ ცეცხლი აგიზგიზეს, საკლავი წამოაქციეს, ბადეებმომარჯვებული მებადურები უკვე მდინარისკენ გარბოდნენ.

- ჩვენი წავლის დროა! - ვეუბნებოდი გულაჩუყებულ მე-

გობრებს.

წინამძღოლს მივუახლოვდით, მშვიდობიანი თანაცხორვება ვუსურვეთ და დავემშვიდობეთ.

ბანაკში რომ დავბრუნდით, ჩვენი მეორე გეგმის დასაწყებად დირექტორი მოვიკითხეთ, სამწუხაროდ, ქალაქის ცენტრში გამგზავრებულიყო ადმინისტრაციული საკითხების მოსაგვარებლად.

- დაველოდოთ, საღამომდე აუცილებლად დაბრუნდება. თქვენ თუ აქამდე უკეთესი რამ მოიფიქრეთ, მითხარით!

- მე შენი მომწონს! - თქვა ერთი ამოსუნთქვით და თან მოსალოდნელი პასუხის მოლოდინში, გულ-მკერდზე დაფენილ თმის კულულებს მოუსვენრად აწვალებდა.

- ვინც გამოთქვა, თვითონ ის?

- რა კითხვას მისვამ? - იუხერხულა შეკითხვა, თვალი მომარიდა და დაიმორცხვა.

- რა, რთული იყო საპასუხოდ? თუ გინდა, დაგეხმარები, - ის ხმას არ იღებდა. - თავი ასწიე და შეხედე, მაგალითად, ნაძვის ხის ხასხასა სიმწვანეს და სარივით გაჭიმულ ტანს, შეაფასე, კარგია თუ ცუდი. კარგს თუ იტყვი, მაშასადამე მოგეწონა, ესაა და ეს ჩემი კითხვის პასუხი. რა ადვილი ყოფილა, არა? შენ ისევ დუმხარ, ალბათ მორცხვობა გიშლის ხელს, თორემ წყალობად ერთ სიტყვას მაინც გაიმეტებდი.

- მორჩი ახლა, რა გემართება, საქმეზე ვილაპარაკოთ!

- რა, ეს მეორეხარისხოვანია?

- არ ვიცი!

- მე რომ ვიცოდი, იმიტომ დავიწყე, კარგი, ძველ მოსაზრებას თუ არაფერს ვამატებთ, ტოლ-ამხანაგებში ცოტა გავერთოთ! - ისიც უმალ დამეთახმა და გავედით.

საღამომდე ისე ვერთობოდით, ვერც კი გავიგეთ, ბანაკის ხელმძღვანელი როდის მოვიდა. რაზმეულების ხაზზე მოწყობის ჯერიც დგებოდა. ყველანი გარეთ იყვნენ გამოსულები და მოსაწყობად ემზადებოდნენ. მოწყობამდე, რომ იტყვიან, დრო ვიხელთე და დირექტორს ჩემი სურვილი მივაწოდე, როცა გამოჩნდა, კვლავ გავუმეორე და დაველოდე მოქმედებას.

მან საკუთარი სიტყვის თქმა რომ დაამთავრა, დასასრულს საჯაროდ გამოაცხადა, რა საშუალებით შეეძლებოდათ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილება.

- გამოიჩინეთ თავი და თქვენც მოგეცემათ მდინარეში ცურვის შესაძლებლობა. რაზმეულის მეთაურები დამატებით კიდევ გაგიმეორებენ, რა პირობები გექნებათ დასაცავი.

დირექტორმა დაასრულა გამოსვლა და მეც გულზე მომეშვა. იმიტომ, რომ მათ მიზნის განხორციელების შესაძლებლობა მიეცათ, რაც ჩვენ მიმართ გაჩენილ შურს გაუბათილებდათ.

შეკრების დამთავრებისას, ვიღაც გოგონას ხმა შემომესმა, გარშემო ისეთი ყიჟინა იყო, მისი ხმა ვერ გავარჩიე, მხოლოდ ვიგრძენი, ვინ უნდა ყოფილიყო. მივიხედე, სწორედ ის, ჩვენი კავშირის მესამე წევრი.

- რა ხდება? - ვეკითხები მხიარულ გუნებაზე მყოფს.

- მე უნდა გკითხო და შენ მეკითხები? სულ ერთად ვიყავით და დირექტორის ნახვა როდის მოასწარი?

- ვიმარჯვე!

არც მისთვის და არც მეორე წევრისთვის ჯერ კიდევ არაფერი მითქვამს ჩემი ახალი უნარის შეძლების თაობაზე. არ მინდოდა, რომ რაიმე გაუგებრობის მიზეზი გამხდარიყო. სწორედ ამის გამო ვერიდებოდი თქმას.

- ყოჩაღ, რა მოხერხებულად გითხოვია მისთვის!

- აგერ მეც, - შემოგვიერთდა მეორე წევრიც, - ხაზზე მოწყობამდე მოგისწრია თხოვნა, მაგრამ როგორ, საინტერესოა!

- მეც ეგ ვკითხე!

- რომ დამეგვიანებინა თქმა, ბარემ გეთქვაო - არ მეტყოდით? ახლა მთავარი შედეგია!

- მართალი ხარ. მისი განცხადება სწრაფად მოხსნის ჩვენ შორის დაძაბულობას. ისე ბევრი დრო არ დარჩენიათ, ერთ კვირაზე ცოტა მეტი!

- დირექცია ეცდება, გაწელოს მათი შეფასების პერიოდი. უკიდურეს შემთხვევაში, დასაშვებია, ერთ რაზმს მისცეს მდინარეში ჩასვლის უფლება, ისიც მოკლე დროით. რაც ნაკლებად სავარაუდოა.

- დაველოდოთ, შევხედოთ, რას გადაწყვეტენ! - მითხრა მეგობარმა და ვახშმად მიწვევის სიმღერაც გაისმა.

მომდევნო დღეს გრაფიკით გათვალისწინებული ილუზიონისტი გვესტუმრა. დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე გამოგვიცხადეს - „ოც წუთში უკლებლივ ყველა კინო-თეატრის დარბაზში, გთხოვთ, მივცეთ ჩვენს სტუმარს დანიშნულ დროს სეანსის დაწყების საშუალება".

აბა, ვინ დააკლდებოდა საცირკო სანახაობას, დროზე ადრე მივედით და ჩვენთვის განკუთვნილი ადგილები დავიკავეთ.

ილუზიონისტმა გამოსვლა საინტერესო ნომრების ჩვენებით დაიწყო. მეორე ნაწილში დარბაზიდან ერთი გოგონა აიყვანა.

- აბა, შენ ამოდი სცენაზე, - დაუძახა წინ მჯდომ მაყურებელს, - ეს ისეთი ბეჯითი ბავშვი ჩანს, უსიტყოდ შეასრულებს ჩემს მითითებებს!

ვინაიდან ის გოგონა ჩვენთვის უცხო იყო, მე მის საიდუმლო ასისტენტად ჩავთვალე, ილუზიონისტის შორიახლოს იდგა და მას მისჩერებოდა. სცენაზე ასული კი საგნებს უჩვეულოდ გადააადგილებდა.

- თქვენ რომ უფრო გაიგოთ, ის მე როგორ მიჯერებს, თვალსაჩინოებისთვის დადგება სცენის წინ, თქვენ პირისპირ. მე უკან, მისგან მოშორებით, რასაც მე შევასრულებ, ისიც მას გაიმეორებს.

ილუზიონისტი გაიშვერდა მარჯვენა ხელს, ისიც მას ასრულებდა. ორივე ხელს - ისიც იმავეს იმეორებდა და სხვა სახის მოქმედებებსაც. დარბაზში კი ტაშის ცემა და შეძახილები გაისმოდა.

- ეგ ხომ ჩვენც შეგვიძლია! - შევყვირე ანგარიშმიუცემლად, ჩემდა გასაოცრად.

- აბა, რომელს შეუძლია? - იკითხა ილუზიონისტმა, - მოვიწვიოთ სცენაზე!

- რა გაყვირებდა, - მეუბნება მეგობარი. - მიდი, ნახე, როგორი გასაკეთებელია!

- შენ რომ ახვიდე, რა მოხდება? - აქეთ შევიპატიჟე ჭკუის დამრიგებელი.

- მე ვერ შევძლებ!

- შენ თუ არ შეგიძლია, მე საიდან შემეძლება? - შევაცოდე თავი.

- გელოდებით, - კვლავ გაისმა ილუზიონისტის შეპატიჟება, - ვის სურდა, ამოვიდეს სცენაზე!

- მიდი, მიდი, სირცხვილია! - მაძალებენ თანარაზმელები.

ჩემი მოთავეობით ასვლა, აშკარად ეჭვს გამოიწვევდა, დაძალება კი არ მაწყობდა, ერთი სიტყვით ,ავდექი და სცენისკენ წავედი.

- სად მიდიხარ? - გაკვირვეით მეკითხება ჩემი მოკავშირე გოგონა, - მათ რას უჯერებ, რომ ვერაფერი მოახერხო, სიცილით აგიკლებენ!

- რაკიღა ავდექი, უნდა წავიდე კიდეც!

სცენისკენ რომ მივდიოდი, უფრო მეტი სტვენა და დამცინავი შეძახილები მესმოდა.

- ყოჩაღ, რომ გაბედე და ამოხვედი, სიჩუმე! - გასძახა მან დარბაზში მსხდომთ, - რისი შესრულება გსურს, ჩემო კარგო?

- რაც თქვენ შეასრულეთ!

- კეთილი, იმ ნომერს, - უხსნის მაყურებელს, - რომელიც სამი წუთის წინ გაჩვენეთ, თქვენი ამხანაგი გაგიმეორებთ. გთხოვთ, ნუ იხმაურებთ!

მე მისი ადგილი დავიკავე, ხოლო ჩემ პირდაპირ, ზურგშექცევით ის გოგონა დააყენა, რომელიც მაყურებლებიდან ამოიყვანა.

თავდაპირველად თვალი კეფას გავუსწორე, მერე ჩემი უნარი ჩავრთე და აზრის გადაწოდება დავიწყე. შთავაგონებდი, შეესრულებინა არა მარტო ხელით, არამედ ფეხთან ერთად, უფრო გავართულე მისი ნომრები, ჯერ მარჯვენა ხელი და ფეხი გავაწევინე წინ და განზე, მერე მეორე ხელი და ფეხი, წამით ილუზიონისკენ გავაპარე თვალი. ის იდგა და პირდაფჩენილი მომჩერებოდა. დასასრულს, მის ასისტენტს ორი თითის მაღლა აწევა გადავეცი და თავის უკან გავაჩერებინე, კურდღლის ყურების მსგავსად, უმალ დარბაზში სიცილ-ხარხარმა იფეთქა, ის გოგონა კი იდგა შეშინებული ბა-

ჭიასავით, ადგილიდან ვერ იძრვოდა, თითები კი ისევ თავზე ჰქონდა შემოწყობილი.

სცენაზე აღარ გავჩერებულვარ, შემოვბრუნდი და ჩემი ადგილისაკენ ჩქარი ნაბიჯით წამოვედი. რიგებიდან ბრავოს შეძახილები და სხვადასხვა წამოძახილი მესმოდა: „ეს ნახე, ეს ვინ ყოფილა, თურმე". ჩემს ადგილს რომ მივუახლოვდი, ვინც ჩემ გვერდით იჯდა და სცენზე ასვლისაკენ მაქეზებდა, ენაჩავარდნილები მიყურებდნენ. ჩემი რჩეული რაღაცას ხვდებოდა, მაგრამ ბუნდოვნად.

გარეთ რომ გამოვედით, სხვათა შორის მეკითხება.

- ნამდვილი იყო, თუ წინასწარ დადგმული სცენარი?

- შენ რომელსაც დაიჯერებ, ჩემო მზისადარო, ის ჩათვალე, კარგი?

სანამ პასუხს გამცემდა, ამ დროს მეორე მოკავშირე ჩაგვერთო, მომიახლოვდა და აღტაცებით შეაფასა ჩემი გამოსვლა. რა კარგად და ოსტატურად ასრულებინებდი მას მოძრაობებსო.

თანდათან სხვებიც შემოგვეხვივნენ.

- მართლაც რომ მშვენივრად აცეკვე ის გოგონა, - მეუბნება წამქეზებელი თანარაზმელი.

- არა, უფრო მაგარი დამამთავრებელი ნაწილი იყო, - ამტკიცებდა მეორე.

საინტერესო ის იყო, რომ უფროს-უმცროსი, ჩემს გამოსვლას მექანიკურად დადგმულ სცენარად თვლიდა. გარდა თავად ილუზიონისტისა, თუმცა, ის არ ცდილობდა ამის გამოაშკარავებას. დამიძახა, ცალკე გამიხმო და შემაქო.

- შთაგონების კარგი უნარია შენში, შენს მშობლებს უთხარი, შეგამოწმონ. მონაცემებს გააქტიურება სჭირდება. ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

ხელი მაგრად ჩამომართვა, წარმატებები მისურვა და დამემშვიდობა.

ახალი კვირა, თანამოკავშირეებთან ერთად ბანაკში დარჩენილი დღეებიც კარგად გავატარე, ისიც კი მოვახერხე, დირექციას ერთი რაზმის გაშვება მაინც გადავაწყვეტინე მდინარეში საბანაოდ.

საბანაკო დროის მიწურულს მეგობარს ვეკითები:

- იქნებ დაგავიწყდა, შენი ახლობლის ჟურნალისტურ გამოძიებას რომ ვგეგმავდით, არ გაინტერესებს, გამზავებელი რატომ იხდის სასჯელს?

- ვინ თქვა, რომ არ მაინტერესებს?

- ჩავიწეროთ ერთმანეთის ნომრები და დავიწყოთ მოკვლევა!

- შენსას მაინც არ იშლი, ბალღებს ვინ მოგვისმენს! - მიმეორებდა ერთსა და იმავეს.

- რატომ, ჩვენ გვექნება საბუთი, როგორც ახალგაზრდა იურისტთა, ასევე ჟურნალისტთა ასოციაციიდან, სად რომელი საბუთიც დაგვჭირდება, იმას გამოვიყენებთ!

- ჰო, კარგი, გამოვიძიოთ!

- პირველ რიგში მისი ადვოკატი უნდა ვნახოთ.

- მე არ ვიცი, ვინ არის. მშობლებმა იციან. მოდი, ასე გავაკეთოთ, ხვალ, აქედან რომ გავალ, ჩემებს გავმოვკითხავ დაწვრილებით და ადვოკატის მისამართსაც გავიგებ.

- მაშ, შევთანხმდით, არა? კარგია, ორი დღის შემდეგ დაგიკავშირდები.

დილით თანარაზმელებს დავემშვიდობე, განსაკუთრებით მოკავშირეებს, მისამართები ჩავიწერეთ და გულშეჯერებული შინისკენ გავემგზავრეთ.

მეორე დღეს მამა ჩემი საბანაკო მოგონებებით დაინტერესდა.

- აბა, შვილო, მითხარი, როგორ მოიბანაკე? რით ერთობოდით, მიამბე.

მეც ყველაფერი მოვუყევი, გარდა წინა საუკუნეში მოგზაურობისა.

- რატომ მას არ მიყვები, სამოგზაუროდ რომ გადიოდით შენ და შენი მეგობრები?

მამასთვის მხოლოდ გაკვრით მქონდა ადრე ნათქვამი, რატომღაც ჯერ არ ვაპირებდი დაწვრილებით მისთვის მოყოლას. რაკი შემეკითხა, ესე იგი იცოდა, თურმე ჩემი ტყუპის ცალი ჩემს გასვლას სხეულიდან თავადაც გრძნობდა. ახლა კი განიცდიდა, მოგზაურობაში მონაწილეობა რომ არ მივაღე-

ბინე. ბანაკიდან შინ მოსულმა მამას უთხრა, მამამ კი - მე. მეც თანმიმდევრულად წამოვიწყე თხრობა.

მამა გულისყურით მისმენდა, შეკითხვებს არ მისვამდა. როცა დავამთავრე, მეუბნება:

- კარგად მოგიფიქრებია, რომ დახმარებიხარ, ეს შენს კარგ ხასიათზე მეტყველებს, მაგრამ შენს დას გული რომ სწყდება, ეს კი კარგი არ არის.

- განა არ ვუთხარი, როცა ციხესიმაგრე დავათვალიერეთ, მის მეორე დღეს, არ სჯეროდა, რომ ვეუბნებოდი, არც მე მივძალებივარ.

საუბრის დამთავრებისას ხვალის სათხოვარი აღარ გადამიდია.

- მამი, შეიძლება ვესტუმრო მეგობარს? აქვე ცხოვრობს, სანამ სკოლამდე მივალთ.

- ის აქეთ რატომ არ მოიწვიე?

- შემდგომში დავპატიჟებ.

- ოღონდ, უცნაურად არ იცელქოთ.

- კარგი, მამი, გმადლობ!

- მადლობას რატომ მიხდი?

- რომ მენდობი!

- ნდობა რომ მაქვს, ამიტომ გიშვებ, - გამიცინა, ფეხზე წამოდგა. წასვლისას მხარზე მარჯვენა ხელი მომკიდა და მეუბნება:

- რაიმეს რომ მიმალავ, ეს იგივე სიცრუეს ნიშნავს, შვილო, როგორც სიბნელეა სინათლის მოწინააღმდეგე, ანალოგიურია სიცრუე, სიმართლის მიმართაც, უკეთუ მიეჩვევი, ზღვარს ვეღარ გაიგებ მართალსა და არამართალს შორის. შემდგომში აუცილებლად გაითვალისწინე! - მითხრა და თავის სამუშაო ოთახში გავიდა. მე კი საფიქრალი დამიტოვა.

მეორე წიგნის დასასრული

დაწერილია წმინდა მიწაზე.

ვაჟა პაპიძე

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71

www.mtsignobari.ge



ISBN 978-9941-498-93-0